

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
რეჯემ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი

**ქართულ-თურქული საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია**

15-16 დეკემბერი, 2017, გორი, საქართველო

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
RECEP TAYYIP ERDOĞAN UNIVERSITY

**Georgian-Turkish International  
Scientific Conference**

December 15-16, 2017, Gori, Georgia



წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის 15-16 დეკემბერს ჩატარებულ ქართულ-თურქულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

The Collection covers the scientific works presented at Georgian-Turkish International Scientific Conference at Gori State Teaching University held on December 15-16, 2017.

**საორგანიზაციო კოლეგია:**

**თავმჯდომარე:** გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

თანათავმჯდომარეები:

**ჰუსეინ ყარამანი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**მეჰმეტ ბიზერი,** არდაჰანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

**თავმჯდომარე:** გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

თანათავმჯდომარე: **ალი ბილგინი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, დოქტორი, პროფესორი

**წევრები:**

**ლევან მიდოდაშვილი,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი

**ანა იმნაძე,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

**გივი გაგნიძე,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახურის უფროსი

**გიორგი ტეტუნაშვილი,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

**ბეჟან რომელაშვილი,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**პროგრამული კომიტეტი:**

**თავმჯდომარე:** ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი

**წევრები:**

**ალი ბილგინი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი

**საკირ აიდოგანი,** არდაჰანის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი

**ელდარ მამისთვალაშვილი,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ვიანორ ახალაია,** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**მეჰმეტ კურჩუკი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**სალიპ საბრი იავუზი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**ალაატინ კიზილტანი,** რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**სერეფ კილიჩი,** არდაჰანის უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**მეჰმეტ კილდიროღლუ,** არდაჰანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიტერატურის ფაკულტეტის ვიცე-დეკანი, ასისტენტ პროფესორი

**კუტაი უსტუნი**, არდაჰანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა და ეკონომიკის ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი  
**თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**ნელი ჭამპურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი  
**თეა ხორგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი  
**ივანე ბალახაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი  
**ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**სარედაქციო კომისია:**

**წევრები:**

**თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**ჰარუნ ჩიმქე**, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, დოქტორი  
**ბექირ გუზელი**, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის კვლევითი ასისტენტი  
**ოზან სელჩიქი**, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის სპეციალისტი  
**სელიმ შიმშექი**, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ლექტორი  
**ელენე ხოჯევანიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**მარიამ კობერიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**მარიკა შერაზადიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**მარინე ცერცვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**ტექნიკური რედაქტორი:**

**გიორგი ყაზიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

**ORGANIZATIONAL BOARD:**

Chair: Prof. Dr. **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University;

**Co-chairs:**

Prof. Dr. **Hüseyin Karaman**, Recep Tayyip Erdoğan University, Rector;

Prof. Dr. **Mehmet Biber**, Ardahan University, Rector;

**ORGANIZATIONAL COMMITTEE:**

Chair: Assoc. Prof. Dr. **Giorgi Khorbaladze**, head of the administration at Gori State Teaching University

Co-chair: Prof. Dr. **Ali Bilgin**, Recep Tayyip Erdoğan University, Vice Rector;

**Members of the Committee:**

Prof. Dr. **Levan Midodashvili**, head of the Quality Assurance Service at Gori State Teaching University;

Assoc. Prof. **Ana Imnadze**, head of the Public and International Department at Gori State Teaching University;

Mr. **Givi Gagnidze**, head of the Logistics Department at Gori State Teaching University;

Mr. **Giorgi Tetunashvili**, head of the Procurement and budgeting Department at Gori State Teaching University;

Mr. **Bezhan Romelashvili**, head of the Informational Technologies Department at Gori State Teaching University

**PROGRAM COMMITTEE:**

Chair: Prof. Dr. **Aleksandre Mgebrishvili**, deputy rector at Gori State Teaching University;

**Members of the Committee:**

Prof. Dr. **Ali Bilgin**, Recep Tayyip Erdoğan University, Vice Rector

Prof. Dr. **Şakir Aydoğan**, Vice-Rector at Ardahan University;

Prof. Dr. **Eldar Mamistvalishvili**, head of the Research Centre for History and Archaeology at Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Vianor Akhalaia**, head of the Research Centre for Georgian Literature and Language at Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Mehmet Küçük**, Recep Tayyip Erdoğan University, Dean of Faculty of Education

Prof. Dr. **Salih Sabri Yavuz**, Recep Tayyip Erdoğan University, Dean of Faculty of Theology

Prof. Dr. **Alaattin Kızıltan**, Recep Tayyip Erdoğan University, Dean of Faculty of Economics and Administrative Sciences;

Prof. Dr. **Şeref Kilic**, Dean of Engineering Faculty at Ardahan University;

Asist. Prof. **Mehmet Kıldıroğlu**, Vice Dean of Humanities Science and Literature Faculty at Ardahan University;

Asist. Prof. **Kutay Ustun**, Faculty of Economics and Administrative Sciences at Ardahan University; Prof. Dr. **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Neli Champuridze**, head of the Department of Pedagogics at Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Tea Khorguashvili**, head of the Department of Business Administration at Gori State Teaching University;

Mr. **Ivane Balakhashvili**, head of the Department of Social Sciences and Street Law Clinic at Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Zurab Chkhikvadze**, head of the Department of Foreign languages at Gori State Teaching University;

**EDITORIAL BOARD:****Members of the board:**

Prof. Dr. **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University;

Assist. Prof. Dr. **Harun Çimke**, Faculty of Science and Letters, Recep Tayyip Erdoğan University;

Research Assistant Mr. **Bekir Güzel**, Faculty of Economics and Administrative Sciences, Recep Tayyip Erdoğan University;

Spec. Mr. **Ozan Selcik**, School of Foreign Languages, Recep Tayyip Erdoğan University;

Lecturer Mr. **Selim Şimşek**, School of Foreign Languages, Recep Tayyip Erdoğan University;

Prof. **Elene Khojevanishvili**, Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Mariam Koberidze**, Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Marika Sherazadishvili**, Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Marine Tsetrtsvadze**, Gori State Teaching University;

Prof. Dr. **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University.

**Technical Editor:**

Dr. **Giorgi Kazishvili**, Chief Specialist at Quality Assurance Department at Gori State Teaching University

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ჰუმანიტარული მეცნიერებები

- იოსებ ალიმზარაშვილი - ქართლისა და დაღესტნის ურთიერთობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები მე-18 ს. 30-იან წლებში – 9
- ვიანორ ახალაია - რუსეთ-თურქეთის ომი დავით კლდიაშვილის მემუარებში და ჭანეთი – 15
- დავით ახლოური - ცხრაზმის საერისთავოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან (ალან-ოსები) – 17
- ლატავრა ბუკია - თედო სახოკიას პიროვნებისთვის - თურქეთი ემიგრაციის წლების კვალდაკვალ – 21
- კლარა გელაშვილი - მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ლიტერატურული დისკურსის დეფინიციისთვის – 27
- ექრემ გიუზელი - აბულჰაჯ ჰამიდ თაჰრანის მოსაზრებები მისი ლექსების ადრესატების – ნაზირესა და სხვა პოეტების – შესახებ – 35
- ნები გუმუში - 1835 წლის მოსახლეობის აღრიცხვის დავთრების მიხედვით აჭარაში არსებული საგანმანათლებლო საქმიანობის ზოგიერთი დეტალის შესახებ – 39
- თამარ გოგოლაძე - ა. ფურცელაძის „მაცი ხვითას“ პერსონაჟთა გეოგრაფიული გარემო (საქართველო, თურქეთი, საფრანგეთი) – 43
- რესულ თურანი - შავ ზღვაში პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამირული რუსული სამედიცინო დანიშნულების გემი „პორტუგალი“ – 47
- ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია, მარინე ჯღარკავა - ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები ქართველურში – 54
- მაია კიკვაძე - ქოლგა და გმღე – 58
- მარიამ კობერიძე - ზმნის ახლანდელი დროის ფორმები ქართულსა და თურქულში (შეპირისპირებითი ანალიზი) – 64
- ელდარ მამისთვალიშვილი - დომენტი IV კათალიკოსი - ტყვისყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი – 68
- ქეთევან მარგიანი - სვანური საკუთარი სახელები (-ბი,-ყან,-ხან ანთროპოფორმანტები) – 72
- ნინო მაშია - სახვნელი იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და მეგრულ-ლაზურში – 77
- მურად მთვარელიძე - ქრისტე და მარიამი რუჰი ბაღდადის პოეზიაში – 81
- ლელა მიქავა - ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური სიტყვაწარმოება და არანორმატიული ლექსიკა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში – 85
- ნაილე მიქელაძე - საკულტო ხესთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში (საკმეველის უძველესი დამზადების წეს-ჩვეულება აჭარის ფოლკლორში) – 92
- ციალა ნარაკიძე - სატრფიალო ლექს-სიმღერები ლაზურ ფოლკლორში – 96
- ნიკოლოზ ოთინაშვილი - ფრონეს ხეობის სოფლების (ატოცი, ებრალეთა დასახლება) საკუთარი სახელების სტრუქტურა 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით – 103
- რუსუდან სალინაძე - ზმნურ ფორმათა ყალიბები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში – 106
- ელზა ფუტკარაძე - ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისა და ხატოვანი სიტყვა-თქმის შესახებ ზედა მაკახ-ლურში – 110
- ტარიელ ფუტკარაძე - ქართული ენა თურქეთში „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ქარტიის“ კონტექსტში – 115
- თეა შავლაძე - ინგლისური და ქართული გამოცანების შედარებითი კვლევა – 119
- მარინე ცერცვაძე - ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი ჟურნალ „განთიადის“ 2016 წლის 1-2, 3-4 ნომრებში – 121
- ნელი ჭამპურიძე - დევნილთა სევდა - „მესაფლავენი“ – 125
- ოთარ ჯანელიძე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან (1920-1921 წწ.) – 128

## სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები

- დილარა აილა, აქიფ ზია ბაირაქი - თურქეთში წიაღისეული ენერჯისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოხმარების ეკონომეტრიკული ანალიზი - 136
- მუსა გიუნ - ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, ეკონომიკური ზრდა და ენერჯის მოხმარება საქართველოსა და თურქეთში - 145
- ონდერ დილექი - რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის გამოყენებით მეცნიერებათა პროფესიული სკოლის სტუდენტების შემოსავლისა და გასავლის მიმართება - 149
- ნათია ილურიძე - ციფრული ეკონომიკა - მომავლის ეკონომიკა - 155
- ნესტან ლომია - ისლამი და ფილოსოფია - 158
- თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე - ციფრული რეკლამირების ინოვაციური მეთოდების გამოყენების მექანიზმები საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესის ფუნქციონირებისათვის - 162
- ნესტან მამუჭაძე - ბექა (ფარნა) ჩილაშვილი (ფაჰრეთთინ ჩილოღლუ) - საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, რედაქტორი და მწერალი - 166
- თამარ ნადირაძე - რისკის მახასიათებლები და მართვის მეთოდები - 173
- ჰასან ორუჯუ, თოლგაჰან შაფაქი, სულიმან ქანდეშირი - ტერმინის „მომუშავე ბავშვი“ სამართლებრივი და ფსიქოლოგიური მიმოხილვა - 177
- ალი რიზა სანდალჯილარი - თურქული საექსპორტო საქონლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასება - 182
- ალი რიზა სანდალჯილარი, ფიქრეთ იეთქინი - მდგრადი განვითარება და საბანკო სექტორი - 188
- იოსებ სანიკიძე - რიტმი და მელოდია პუბლიცისტურ ტექსტში - 194
- ირფან სანჯაქი, ქადირ სანჯაქი - რუსული ავიაკრიზისის მიმოხილვა - 198
- ქადირ სანჯაქი, ირფან სანჯაქი - საერთაშორისო მიგრაციის კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის პერსპექტივით - 204
- საადეთ ელა ფელენქი, ალი აჯარაი - სამსახურში დაკავებისა და შემდგომი წინსვლის მიმართება: კვლევა საბანკო და საფინანსო სექტორების შესახებ - 210
- სულიმან ქანდეშირი, ჰასან ორუჯუ, თოლგაჰან შაფაქი - საშიში საქონლის გადატანის რეჟიმი (მიმოხილვა 861-ე მუხლის ფარგლებში) - 217
- ჰეიდარ ქარადაღი, მუსტაფა შითი, აჰმეთ შითი - საერთაშორისო ფინანსური ცენტრების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში (სტამბოლის მაგალითზე) - 224
- თოლგაჰან შაფაქი, სულიმან ქანდეშირი, ჰასან ორუჯუ - ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის ადგილი და მნიშვნელობა თურქეთის საკანონმდებლო სისტემაში - 229
- ხალიანა ჩიტაძე - ტურიზმის განვითარება სტატისტიკა და პერსპექტივები საქართველოში - 236
- თეა ხორგუაშვილი, ნათია ხორგუაშვილი - რისკების მართვის კონცეპტუალური საკითხები საჯარო ფინანსების მართვაში - 240

# CONTENTS

## Humanities

- Ioseb Alimbarashvili** - *Political-Economic Aspects of Kartli and Dagestan Relations in the 30s of the 18th Century* – 9
- Vianor Akhalaia** – *Russian-Turkish War in the Memoirs of Davit Kldiashvili and Chaneti* – 15
- Davit Akhlouri** - *Eristavi of Tskhrazmas Relationship with North Caucasian people with Alan Ossetians* – 17
- Latavra Bukia** - *For the Personality of Tedo Sakhokia – Turkey in the Footsteps of Emigration Years* – 21
- Klara Gelashvili** - *For the Definition of the Literary Discourse of the 90s of the 20th Century* – 27
- Ekrem Güzel** - *The Thoughts of Abulhak Hamid Tahran Over The Poets That He Wrote Nazire and Poems about Them* – 35
- Nebi Gümüſ** - *About Some Details of Educational Activities in Achara According to the 1835 Book of Census* – 39
- Tamar Gogoladze** - *The Characters of "Matsi Khvitia" by A. Purtseladze Geographical Environment (Georgia, Turkey, France)* – 43
- Resul Turan** - *The Russian Hospital Ship "Portugal", Which Was Sunk in The Black Sea During The World War I* – 47
- Ketevan Margjani, Marine Kakachia, Marine Jgharkava** - *The Verbs Denoting Conversation in the Kartvelian Languages* – 54
- Maia Kikvadze** - *"Umbrella" (Kolga) and "gölge"* – 58
- Mariam Koberidze** - *Present Tense Verb Forms in Georgian and Turkish Languages (Comparative Analysis)* – 64
- Eldar Mamistvalishvili** - *Catholicos Domenti IV - the Fighter Against Slave Traders* – 68
- Ketevan Margjani** - *Svan Proper Names (the Anthropoformants: -bi, -qan, -khan)* – 72
- Nino Mashia** - *Vocabulary Denoting Ploughing Tools in Georgian, Megrelian and Laz Languages* – 77
- Murad Mtvarelidze** – *Christ and Maria in the Poetry of Ruhi Bagdatli* – 81
- Lela Mikava** - *Phraseological Units, Idiomatic Word – Formation and Non – Normative Vocabulary in the Modern Georgian Literary Language* – 85
- Naile Mikeladze** - *The Stories About the Cult Tree in Georgian Folklore (Ancient Rule of Making Incense in Adjarian Folklore)* – 92
- Tsiala Narakidze** - *Love Lyrics in Laz Dialect* – 96
- Nikoloz Otinashvili** - *Structure of Proper Names in Villages of Phrone Gorge (Atotsi, Iudish Settlement) According to Osmal Records of 1728* – 103
- Rusudan Saghinadze** - *Shapes of the Verb Forms in Speech of Georgians Living in Turkey* – 106
- Elza Putkaradze** - *Some Lexical Units and Figurative Phrases in Upper - Machakhela Vocabulary* – 110
- Tariel Putkaradze** - *Georgian Language in Turkey in the Context of "the Charter of Regional or Minority Languages"* – 115
- Thea Shavladze** - *The Comparative Study of English and Georgian Riddles* – 119
- Marine Tsertsvadze** – *Georgian-Turkish Literary Relations in the Magazine "Gantiadi" from 2016, №1-2, 3-4* – 121
- Neli Champuridze** - *Melancholy of the Internally Displaced People – "The Grave-diggers"* – 125
- Otar Janelidze** - *From the History of Relationships between the Democratic Republic of Georgia and Turkey (1920-1921)* – 128

## Social and Economic Sciences

- Dilara Ayla, Akif Ziya Bayrak** - *Econometric Analysis of Relationship Between The Fossil Energy Consumption and The Real Gross Domestic Product in Turkey* – 136
- Musa Gün** - *CO<sub>2</sub> Emission, Economic Growth and Energy Consumption in Georgia and Turkey* – 145
- Önder Dilek** - *Income and Expenditure Relationship of Recep Tayyip Erdoğan University Fındıklı School of Applied Sciences Students* – 149
- Natia Iluridze** – *Digital Economics - Economics of the Future* – 155
- Nestan Lomaia** - *Islam and Philosophy* – 158
- Tamar Makasarashvili, Lia Nadiradze** - *Mechanisms of Using Innovation Methods of Digital Advertising in Georgia for the Functioning of Competitive Business* – 162
- Nestan Mamuchadze** - *Beka-Pharna Chilashvili (Fahrettin Chiloglu) - Public figure, Publicist, Editor and a Writer* – 166
- Tamar Nadiradze** - *Financial Risk Characters and Methods of Management* – 173
- Hasan Örucü, Tolgahan Şafak, Süleyman Kandemir** - *A Legal and Psychological Review of The Concept of Child and Child Workers in Turkish Law System* – 177

- Ali Rıza Sandalcılar** - *An Evaluation on The International Competitiveness of Turkish Export Commodities* – 182
- Ali Rıza Sandalcılar, Fikret Yetkin** - *Sustainable Development and Banking Sector* – 188
- İoseb Sanikidze** - *Rhythm and Melody in Journalistic Texts* – 194
- İrfan Sancak, Kadir Sancak** - *Aircraft Crisis Discussed in The Media of Azerbaijan in The Context of The Media's Function of Molding Public Opinion* – 198
- Kadir Sancak, İrfan Sancak** - *International Migration Concept by International Relations Theories' Perspective* – 204
- Saadet Ela Pelenk, Ali Acaray** - *Examining of The Relationship Between Empowerment Climate and Job Engagement: A Study on Banking and Finance Sector* – 210
- Süleyman Kandemir, Hasan Örucü, Tolgahan Şafak** - *Regime for Transportation of Dangerous Goods (Examination Within The Framework of Article 861 of TCC)* – 217
- Haydar Karadağ, Mustafa Şit, Ahmet Şit** - *The Importance of International Financial Centers in Economic Development: The Case of Istanbul* – 224
- Tolgahan Şafak, Süleyman Kandemir, Hasan Örucü** - *Place And Importance of The Crime of Human Trafficking in The Turkish Legal System* – 229
- Khaliana Chitadze** - *Statistics and Perspectives of Tourism Development in Georgia* – 236
- Tea Khorguashvili, Natia Khorguashvili** - *Risk Management Conceptual Issues in Public Finance Management* – 240



# ჰუმანიტარული მეცნიერებები Humanities

იოსებ ალიმბარაშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

## ქართლისა და დაღესტნის ურთიერთობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები მე-18 ს. 30-იან წლებში

„ლეკიანობა“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენადაა შეფასებული. ეს პროცესი საქართველოში საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მისი თანამედროვე თუ მომდევნო პერიოდის მკვლევარ-მოგზაურთაგან (როგორც ქართველი, ისე საქართველოში მყოფი უცხოელი) არ დარჩენილა ვინმე, რომ ამ საკითხს მეტ-ნაკლებად არ შეხებოდა.

იგი იზოლირებული მოვლენა არ ყოფილა და ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში, ირან-ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიებში ხსენებულ პერიოდში განვითარებული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩრდილო-კავკასია ფარად უდგა საქართველოს და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ქართველი მეფეები ამ ფაქტორს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ, ამიტომაც პოლიტიკური ქორწინებებიც ქართველ გვირგვინოსნებს, უმეტესწილად, ჩრდილო-კავკასიელებთან აკავშირებდათ.

XIX და XX საუკუნის 90 წლის განმავლობაში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, ამიტომ ეს მოვლენა განიხილებოდა და ფასდებოდა იმგვარად, როგორც ეს იმპერიის ინტერესებს ესაჭიროებოდა. როგორც ჭარ-ბელაქანისა და მთიანი დაღესტნის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ი. პეტრუშევსკი მიუთითებდა: „მთელი მთიანი დაღესტნის მოსახლეობის (განურჩევლად – ავარების, წახურების და სხვ.) „მონათვლა“ ლეკებად, ხოლო „ლეკის“ გაიგივება დაუნდობელ მკვლელებსა და მძარცველებთან, თვითმპყრობელი იმპერიის ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა: გაემართლებინა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსია და რუსეთის კულტურულ მისიას – დაეცვა ქრისტიანული საქართველო და სომხეთი „მუსულმანი ბარბაროსებისაგან“ ...ამ ფონზე ძალზე მოსახერხებლად გამოიყურებოდა მთელი დაღესტნელი მოსახლეობის წარმოჩენა ავაზაკებად, რომელთაგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთის ძლიერ ხელს შეეძლო<sup>1</sup>.

რუსეთი მოხერხებულად სარგებლობდა იმ ქართველი მოსახლეობის განწყობილებით, რომელთაც გამუდმებული „ლეკიანობის“ პირობებში არაერთი ახლობელი ჰყავდათ დაკარგული და შურისძიებისათვის მიზეზი საკმაოდ ჰქონდათ<sup>2</sup>. ხსენებულს კარგი მაგალითია მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მიერ 1845 წლის დარგოზე, შამილის წინააღმდეგ ლაშქრობა, რომელშიც ქართველების საკმაოდ დიდი რაოდენობა იღებდა მონაწილეობას, თანაც საკუთარი ინიციატივით. ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილის – დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თქმით, მათი მოტივაცია სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ქართველებს კარგად ახსოვდათ ლეკების მიერ ქართლ-კახეთის საუკუნოვანი ძარცვა-რბევა, ამიტომ „აღტაცებულნი მხიარულებით ულოცვლით ჩვენ ურთიერთთა, ვითარცა წინსვლასა და დაცემას იმათ მტერთა ზედა, რომელთაგან მოხრებაი ჯერეთცა არ გვაქვს დავიწყებულიო“<sup>3</sup>. იგივე პათოსია დაღესტნელების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილების მქონე გრიგოლ ორბელიანის მიერ ძმის – ილიკოსადმი 1848 წლის 16 აგვისტოს ტურჩიდადიდან გამოგზავნილ წერილშიც: „სალტას, ქუდალას, ყუპპას, კოპორს იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი, მგონია უფრო მეტი (საუბარია ადგილობრივ მოსახლეობაზე – ი.ა.); ახლა სად არიან,

<sup>1</sup> Петрушевский И. Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934, გვ. 46.

<sup>2</sup> გიორგი ანჩაბაძე. თანამედროვე საქართველოსთვის ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები (2008 წლამდე). – კრებ.: „ჩრდილო კავკასია და საქართველო“; ნაწ. I, თბ., 2012, გვ. 6.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი 30; QD-986; საბუთი 18.

რა იქმნენ? – წლეულს გერგებლიც ამ გვარად გაღეწეს (რუსებმა – ი.ა.); დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე. – მამა-ვაცხოხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის დადადისია“.<sup>1</sup>

კახეთში „ლეკიანობა“ შედარებით ადრე, XVI ს. მიწურულიდან დაიწყო. რაც შეეხება ქართლს, ვითარება აქ განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის ირანში წასვლის შემდეგ გამწვავდა, როდესაც ორი დიდი ქვეყნის ინტერესს (ირანისა და ოსმალეთის) რუსეთის ამბიციებიც შეეჯახა.

1711 წელს სეფიანთა ირანის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ლეკებისა და დაღესტნის სხვა ხალხთა მეთაურმა ჰაჯი დაუდმა, რომელსაც მიემხრო ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაი-ხანი. ო. მარკოვას შეფასებით, ლეკების თავდასხმები აზერბაიჯანის ირანულ სახანოებზე ატარებდა არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ ხასიათსაც და მიმართული ირანელი მმართველებისა და ფეოდალების მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგ. ლეკების ეს გამოსვლები XVIII ს. I მეოთხედში ირანისათვის წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას, მით უფრო, რომ იგი თურქეთის მხარდაჭერით სარგებლობდა.<sup>2</sup>

ოსმალეთი ირანში არსებულ ყველა წინააღმდეგობას მოხერხებულად იყენებდა და მის ერთ-ერთ მთავარ „იარაღად“ დაღესტანი იქცა. მით უფრო, რომ ეს ორივეს (თურქეთსაც და დაღესტანსაც) აწყობდა. თურქეთს იმიტომ, რომ მის ტრადიციულ მეტოქეს – ირანს კიდევ უფრო ასუსტებდა, ხოლო დაღესტნისათვის მთავარი მიზანი მარცვა-რბევა და მისგან მიღებული ნადავლი იყო. პორტა ხვდებოდა, რომ თუ მისთვის შექმნილ ხელსაყრელ მომენტს არ გამოიყენებდა, ამ მომენტით მისი მეორე, შედარებით ძლიერი მეტოქე – რუსეთი – აუცილებლად ისარგებლებდა, ამიტომ, ლეკიანობის გამომწვევმა მიზეზებმა დაღესტნის გარემოც იჩინეს თავი, კერძოდ, ოსმალეთ-ირანის მტრული ურთიერთობის სფეროში. ასეთ ვითარებაში დაღესტანთან დამოკიდებულების საკითხმა ვახტანგისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღო.<sup>3</sup>

XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთი სამხრეთ კავკასიაში უკვე აქტიური და ამბიციური პოლიტიკური მოთამაშის სახით გამოჩნდა, მით უფრო, რაც ვახტანგ VI-მ პოლიტიკური ორიენტირი საბოლოოდ რუსეთზე გააკეთა.

ქართლის მეფის იმედი მართლაც არ ჩანდა უსაფუძვლო. რუსეთის საიმპერატორო კარს სერიოზული საბაზი გააჩნდა კასპისპირეთში ლაშქრობის დასაწყებად. რუსი ვაჭრები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და ირანთან ვაჭრობდნენ, ჯერ ერთი, გზებზე მიმოსვლისას მთიელი დაღესტნელების თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ და მეორეც – ირანელი მმართველები, რომლებიც რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებას ეწინააღმდეგებოდნენ, რუსი ვაჭრების მიმართ თვითნებობდნენ,<sup>4</sup> რუსებისათვისაც ნათელი გახდა, რომ თუ ირანში შექმნილ ვითარებით არ ისარგებლებდნენ, მაშინ სამხრეთ-კავკასიისა და კასპისპირა აზრეშუმით მდიდარი რაიონები შეიძლება ოსმალეთის ხელში მოქცეულიყო. როგორც ზურაბ ავალიშვილი შენიშნავდა: „მთავარი პოლიტიკური სტიმული რუსეთისათვის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისა, იყო იმის საშიშროება, რომ ირანის დასუსტებით კასპის ზღვის ნაპირებზე თურქეთი დამკვიდრდებოდა“.<sup>5</sup>

პეტრე I-მა მიზეზად მოიღო ირანის ქვეშევრდომის - სურხაი-ხან ყაზი-ყუმუხელის მიერ შემახაში რუსი ვაჭრების გაძარცვისა და დახოცვის ფაქტი და 1722 წელს ზუბოვის მეთაურობით ლაშქრობა წამოიწყო კასპისპირეთში<sup>6</sup>. 1723 წლის 12 სექტემბერს შაჰ თამასპმა მთელი კასპისპირეთი: ასტრახადიდან - დარუბანდამდე რუსეთს „სამუდამო მფლობელობაში“ დაუთმო, მათ შორის, ძირითადი სააზრეშუმო რაიონებიც.<sup>7</sup>

მოვლენებს არც „ბრწყინვალე პორტა“ ჩამორჩა და რაკი ირანს თავისი მემკვიდრეობის დაცვის თავი აღარ ჰქონდა, შირვანის ცენტრი, შემახა, აიღო, დაღესტან-შირვანის მმართველად ჰაჯი დაუდი დასვა და დაავალა, ყოველგვარი საშუალებით განედევნა კასპისპირეთიდან რუსეთი, რადგან იგი ყოველად მიუღებელი იყო მისთვის<sup>8</sup>.

<sup>1</sup> გრიგოლ ორბელიანი. წერილები, ტ. I, *აკაკი გაწერელის* რედ. თბ., 1936, დოკ. 123, გვ. 183.

<sup>2</sup> О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва 1966, გვ. 102-103.

<sup>3</sup> ვარლამ დონდუა. დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. თბ., 1959, გვ. 75.

<sup>4</sup> შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975, გვ. 20-21.

<sup>5</sup> ზურაბ შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1970, გვ. 4.

<sup>6</sup> А. К. Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы). *Сборник сведений о Кавказских горцах*, вып. II, Тифл., 1869, გვ. 9-10.

<sup>7</sup> Петрушевский И. П. Сборник: „История Ирана с Древнейших времен до конца XVIII века“, Л., 1958, გვ. 314

<sup>8</sup> Джевдет паша. Описание событий в Грузии и Черкасии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русск. язык М. А. Гамзова. – *Русский Архив*. кн. I. № 3. М., 1888. გვ. 372.

თუმცა, თურქეთის აშკარა გაღიზიანებას რუსეთი ამ ეტაპზე მაინც ერიდებოდა. ეჭვის საფუძველი რომ არ მიეცათ, კასპისპირეთში ლაშქრობის პარალელურად, რუსეთის იმპერატორმა პორტას შესთავაზა, თვითონაც გაეგზავნა იქ დამკვირვებლად თავისი კომისარი<sup>1</sup>.

სულთანის კარზე „ჩრდილოელთა“ დიპლომატიური ხრიკებს კარგად ხვდებოდნენ, ამიტომ პეტრე I-ს მალევე მოსთხოვეს შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები ერთმორწმუნე და თურქეთის მფარველობაში შესული ლეკების წინააღმდეგ და გაეყვანა ჯარები დაღესტნიდან.<sup>2</sup> ასეთ ვითარებაში რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი მეორე რიგის ამოცანად იქცა, მისთვის მთავარი ირან-ოსმალეთთან ურთიერთობების „დალაგება“ იყო.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და იბრაჰიმ ფაშას 50 ათასიანი ჯარი თბილისი-საკენ დაიძრა. მათ თბილისი უბრძოლველად დაიკავეს. 1723 წლის 10 ივლისს სულთან აჰმედ III-ს მიართვეს თბილისისა და გორის ციხეების გასაღებები.<sup>3</sup> ვახტანგისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ 1724 წლის 22 ივნისს რუსეთს თურქებთან სტამბოლში ზავი დაედო, რომლის ძალითაც მთელი საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში რჩებოდა.

ყოველმხრივ შევიწროებულ ქართლის მეფეს საკუთარ ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა და 1724 წლის 15 ივლისს 1200 კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა, როგორც თამარ ოთხმეზური წერდა: „ქართლი ერთბაშად დაიცალა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისაგან“.<sup>4</sup> შექმნილი არეულობით მაშინვე ისარგებლეს ლეკებმა და დაეცნენ დიღომს, დუშეთს, თელავს... დაარბიეს და ტყვე-ნადავლი გაიტაცეს<sup>5</sup>.

1727 წელს გარდაიცვალა იესე-მუსტაფა. ოსმალებმა ქართლი დაანაწევრეს, ერასტი ყაფლანიშვილს სომხით-საბარათიანო მისცეს, მცხეთის ზემოთ – ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი – გივი ამილახორს, ქვეყანა აღწერეს და მძიმე გადასახადები დააკისრეს. ქართლში „ოსმალთა“ ოფიციალურად დაიწყო. კონსტანტინე კახთა მეფემ ოსმალთა წინააღმდეგ კვლავ ლეკების გამოყენება სცადა და მოურიგდა: ლეკებმა კახეთი დატოვეს, სამაგიეროდ მეფემ (კონსტანტინემ) მათ საკუთარ ქვეყანაზე გზა გაუხსნა. მართალია, ლეკებს საბოლოოდ არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ კახეთის მარცვა-რბევა, მაგრამ ამიერიდან ისინი უმთავრესად მაინც „უპატრონო და მდიდარ“ ქართლს ესხმოდნენ თავს და არბევდნენ<sup>6</sup>. ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ამ დროს გორი. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით: „ჟ“დ (ჟამად – ი.ა.) მეფის ვახტანგის ჟამსა იყო ცარიელი (გორი – ი.ა.) შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შანადირ დაარღვივა ციხე; არამედ დამალყოფილი ოსმალთა, და ლეკთა, და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა“.<sup>7</sup>

ამასობაში ლეკები უკვე მთელ ქართლ-კახეთს იყვნიენ მოდებულნი. ისაყ-ფაშა, უსუფ ფაშა, ოსმან ფაშა (ქართლის გამგებლები 1727-35 წლებში) ოსმალ-ქართველთა ჯარით ამაოდ დასდევდნენ მათ მუხრანთან, ნადარბაზევთან, ნიჩბისთან, დიდგორთან, თელათგორთან, ქვიშხეთთან, სურამთან, წრომთან, მეჯვრისხევთან... ლეკთა სხვა რაზმები იმავე დროს საციციანოს, თრიალეთს, საბარათიანოს, ქიზიყს აწიოკებდნენ.

სანამ ვახტანგი გადასახლებაში იმყოფებოდა, რუსეთს, ირანსა და ოსმალეთს შორის ხუთი ომი მოხდა და ამდენივე ზავი დაიდო. თითოეულ მათგანში ქართლის სამეფო ტახტის საკითხს გარკვეული ადგილი ეკავა: რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რემტის ხელშეკრულების მესამე მუხლით რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები ქართლისა და კახეთის სამეფოებზე<sup>8</sup>.

1731 წელს ოსმალებმა შაჰ-თამასპი დაამარცხეს და ჰამადანის საზავო ხელშეკრულებით ირანმა კვლავ აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს გადასვლა ოსმალთა ხელში<sup>9</sup>.

<sup>1</sup> З. Авваловъ. Присоединение Грузии къ Россiи, გვ. 55.

<sup>2</sup> Н. Смирнов. Политика Россiи на Кавказе в XVI-XIX веках. М., 1958, გვ. 66.

<sup>3</sup> მურმან პაპაშვილი. დაღესტნის როლი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში 1722-1724 წწ. – საქართველო და ევროპის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები) თბ., 1991, გვ. 143-144.

<sup>4</sup> თამარ ოთხმეზური. აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წ.წ. („ოსმალთა“). ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1975, გვ. 76.

<sup>5</sup> სოსო (იოსებ) ალიშბარაშვილი. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011, გვ. 46-48.

<sup>6</sup> ნიკოლოზ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, გვ. 164-165

<sup>7</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 367.

<sup>8</sup> Договoры Россiи с Востоком (политические и торговые), собрал и издал Т. Юзефович, СПб 1869, გვ. 190-191.

<sup>9</sup> ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო (1700-1921), თბ., 2011, გვ. 15-16.

1732 წლის 21 იანვრის რუსეთ-ირანის რემტის ხელშეკრულების მერვე მუხლით, შაჰი ვალდებული იქნა დაეტოვებინა ქართლის ტახტზე დააბრუნებდა ვახტანგ VI-ს, როგორც კი ქართლზე ირანის პროტექტორატი აღსდგებოდა<sup>1</sup>.

რუსებთან დროებითი მშვიდობით ისარგებლა ირანის ტახტზე ახლად ასულმა ნადირ-ხანმა, ქერმანშაჰთან 15 ათასიანი ჯარით 45 ათასი ოსმალთა სასტიკად დაამარცხა და ბაღდადს ალყა შემოარტყა. 1733 წლის 9 დეკემბერს ნადირსა და ოსმალთა აჰმედ ფაშას შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვით, ირანს უბრუნდებოდა ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორია: ერევანი, განჯა, შირვანი, თბილისისა (ქართლის) და კახეთის ჩათვლით<sup>2</sup>, თუმცა, სულთანმა მაჰმუდ I-მა (1730-1754 წწ.) ზავი არ ცნო და ირანთან ომი განაახლა. პორტას გეგმის მიხედვით, ყირიმის ხანი ჩრდილოეთიდან, დაღესტნის გავლით უნდა შეჭრილიყო ირანში. ეს ყველაფერი რუსული ტერიტორიების სიახლოვეს ხდებოდა, რაც მის ომში ჩაბმასაც არ გამორიცხავდა, თანაც ერთდროულად, ირანსა და ოსმალეთთან.

1735 წელსვე „ოსმალთა“ „ყიზილბაშობით“ შეიცვალა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

ლევებისათვის სულერთი იყო, ქართლში ყიზილბაშები იბატონებდნენ, თუ ოსმალები, მათთვის ყველაზე მისაღები მტრის ძალმომრეობით დამაბუნებელი და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქვეყანა იყო. ამჯერად მათ სპარსელების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და არც ამ ეტაპზე დააყარეს ქართლ-კახეთს ხეირი. დაეცნენ ყელქცეულს, დირბს, ხვედურეთს, ბეზნისს, დუშეთს, აიკლეს და უამრავი ტყვე-ნადავლი წაიყვანეს.

ლევების შემოსევები ქართლში „ოსმალთა“ დროსაც არ შეწყვეტილა, მაგრამ თუ ადრე ოსმალები აქეზებდნენ და აფინანსებდნენ კიდევ ლევებს ქართლის სარბევად, რათა მისი დასუსტებით თავიანთი მდგომარეობა განემტკიცებინათ, ახლა სიტუაცია შეიცვალა, ნ. ბერძენიშვილის შეფასებით: „ლევები ახლა უკვე სულთნის მხარეს არბევდნენ“<sup>3</sup>, ამიტომ „კონფლიქტი“ მათ შორის გარდაუვალი გახდა. საქმე ისაა, რომ დაღესტან-ოსმალეთის პოლიტიკური კავშირი XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში შემთხვევითი არ იყო. რელიგიური ერთიანობის გარდა, ამ ურთიერთობებს წმინდა პრაქტიკულ-ფინანსური ხასიათი ჰქონდა.

ერთი მხრივ, ოსმალეთი მოხერხებულად იყენებდა დაღესტნისა და ირანის რელიგიურ (სუნიტურ-შიიტურ) შუღლს და ლევებს მუდმივად აქეზებდა ირანის ჩრდილოეთ პროვინციებზე სათარეშოდ, რითაც ტრადიციულ მეტოქეს კიდევ უფრო ასუსტებდა.

მეორე - დაღესტნის საშუალებით იგი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში.

და მესამეც, ლევები მუდმივად უზრუნველყოფდნენ ოსმალეთის ტყვეთა ბაზრებს საქართველოში ნაშრონი ძვირფასი „ნედლეულით“, რასაც მისთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა.

ეს პირობები ჩრდილო კავკასიელებს სავსებით აკმაყოფილებდათ, რადგან მათ ფიზიკურ არსებობას ძარცვა-რბევით ნაშრონი ნადავლი და ტყვეების გაყიდვით მიღებული შემოსავალი განაპირობებდა. ოსმალეთი, არა თუ ხელს უშლიდა, არამედ უხვად აფინანსებდა დაღესტნელთა თარეშს, რითაც მათ ცხოვრების „სახსრით“ მუდმივად უზრუნველყოფდა.

ამრიგად, ეს ურთიერთობები წმინდა პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათის იყო და სულაც არ მომდინარეობდა ერთმანეთისადმი რაიმე სიმპათიით. როგორც ო. გიგინეიშვილი წერდა: „ოსმალები იყენებდნენ თავისი ინტერესების სასარგებლოდ არა ლევებს, არამედ ლეკიანობას, როგორც სოციალურ მოვლენას“<sup>4</sup>. ქართლში „ოსმალთა“ დამყარების შემდეგ თურქებსა და დაღესტნელებს შორის მოკავშირეობის აუცილებლობა მოიშალა. ოსმალებმა ქართლში გაბატონება დაღესტნის გარეშე მოახერხეს, ირანს მოცემული დროისათვის თავისი პრობლემები ჰყოფნიდა, რუსეთი ხელსაყრელ დროსა და ვითარებას ელოდებოდა.

ამიტომ, ოსმალეთისათვის ჩრდილო-კავკასიელთა ძველებურად ძარცვა-თარეში, ამჯერად „თავის საპატრონოში“ – ქართლში, უკვე მიუღებელი იყო.

თავის მხრივ, არც დაღესტნელები იღებდნენ ხელს ტრადიციულ „ხელობაზე“. საქმე ისაა, რომ ლე-

<sup>1</sup> Договора России с Востоком... გვ. 201.

<sup>2</sup> Армянская анонимная хроника 1722-1736 г.г. пер. З.М. Бунятова. Баку 1988. გვ. 48, შენიშვნა 106.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია. ნაწ. I. უძვ. დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1948, გვ. 439.

<sup>4</sup> ოთარ გიგინეიშვილი. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982, გვ. 60.

კებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მისგან შორს მყოფი თურქეთი იყო. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, ისინი ჩრდილო-კავკასიას უშუალოდ გაუმეზობლდნენ და გამორიცხული არ იყო, რომ მის დაპყრობასაც მოინდომებდნენ. ამიტომ დაღესტნურ-თურქულმა მოკავშირეობამ ამ ეტაპზე აზრი დაკარგა.

1735 წლიდან სპარსელების მიერ ქართლიდან ოსმალების განდევნამ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებამ დაღესტნელების ორიენტაცია ისევ შეცვალა. დაღესტნურ-ოსმალურ დუეტს თანამშრომლობის საფუძველი კვლავ გაუჩნდა. ახლა მათთვის საერთო მტერი სპარსეთი იყო, ამიტომ ერთად „დაუწყეს ცემა“, როგორც ყიზილბაშებს, ისე საქართველოს“.<sup>1</sup>

ნადირ-ხანის დაღესტანში (1735-1744 წწ.) ლაშქრობებისა და მარცხის შემდეგ, დაღესტან-ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები კვლავ პოზიტიურ ჭრილში გადავიდა. როგორც „ჭარის ომების ქრონიკის“ ავტორი გადმოგვცემს, დაღესტნელებს ზავიც შეუკრავთ თეიმურაზ II-სთან და მისთვის მიძველებიც მიუციათ. ზავის დადების შემდეგ, ქართველებსა და ლეკებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარებულა და ლეკები ხშირად ჩამოდიოდნენ კახეთში ხორბლის, სიმინდისა და მარილის შესაძენად.<sup>2</sup>

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „ოსმალთა-ყიზილბაშობის“ დროს ლეკები, მართალია ველური ფორმებით, მაგრამ მაინც საქართველოს ერთგვარ სამხედრო მოკავშირედ გვევლინებოდნენ. XVIII ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული 40-იანი წლების პირველ ნახევრამდე ქართლ-კახეთის ისტორია სავსეა ლეკების – ჯერ ოსმალებთან, ხოლო შემდეგ ყიზილბაშებთან ბრძოლის მაგალითებით და ამ ბრძოლებში უმეტესწილად სწორედ ლეკები იმარჯვებდნენ. მართალია, ისინი ქართლ-კახეთისათვის ისეთივე მტრულ ძალას წარმოადგენდნენ, როგორსაც ოსმალ-ყიზილბაშები, მაგრამ საქმე სხვა რამეში იყო. ქართლში ჯერ ოსმალების, ხოლო შემდეგ ყიზილბაშების გაბატონებით ლეკებს „ნადავლში“ მოზიარე გაუჩნდათ, ამიტომ, ისინი აქ ყოფნისას დაუნდობლად ებრძოდნენ „ოსმალთა-ყიზილბაშობისას“ – ოსმალებს, ხოლო „ყიზილბაშობისას“ – ყიზილბაშებს. სამართლიანად მიანიშნებდა თეიმურაზ ბოცვამე: „პარადოქსალურად არ უნდა გვეჩვენოს იმის აღნიშვნა, რომ „ოსმალთა-ყიზილბაშობის“ პერიოდში ლეკთა შემოსევებიც კი, რომლებიც აუცილებელ შეჯახებას იწვევდა გაბატონებულ ოსმალებთან თუ ყიზილბაშებთან, რამდენადმე არყევდა მათ ბატონობას“.<sup>3</sup> XVIII საუკუნის II ნახევარში დაღესტნელების ბრძოლის „სუბიექტი“ კვლავ შეიცვალა და მათი „სამიზნე“ ქართველები და მათი მოკავშირე რუსები გახდნენ.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ლეკიანობა“, ძირითადად, სოციალურ მოვლენას წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ ნედლეულით მდიდარი და სამხედრო თვალსაზრისით არცთუ ძლიერი ქართლი დაღესტნისათვის ყველაზე ახლო მეზობელი იყო, რაც განაპირობებდა კიდევაც მის აგრესიას.

#### ლიტერატურა:

**ანჩაბაძე გიორგი.** თანამედროვე საქართველოსთვის ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ჩამოყალიბების ისტორიული წინაპირობები (2008 წლამდე). – კრებ.: „*ჩრდილო კავკასია და საქართველო*“, ნაწ. I, თბ., 2012.

**ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება* IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1973.

**ბერძენიშვილი ნიკოლოზ.** XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*. ტ. II თბ., 1965.

**ბერძენიშვილი ნიკოლოზ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ., 1966.

**ბოცვამე თეიმურაზ.** დაღესტანი XVIII ს. წიგნში: **ზურაბ ანჩაბაძე, თეიმურაზ ბოცვამე, გიორგი თოგოშვილი, მარინე ცინცაძე.** *ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები*, ნაკვ. I. თბ., 1969.

**ბოცვამე თეიმურაზ.** საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.) თბ., 1968.

**გიგინეიშვილი ოთარ.** ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ., 1982.

**გურული ვახტანგ.** საქართველო და გარე სამყარო (1700-1921), თბ., 2011.

**დონდუა ვარლამ.** დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია. თბ., 1959.

**ლომსაძე შოთა.** სამცხე-ჯავახეთი. (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975.

<sup>1</sup> თეიმურაზ ბოცვამე. ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო., გვ. 170.

<sup>2</sup> *Хроника войн дия Джара. под ред. В. Хулуфлу и с прим. Е. Пахомова, Баку 1931*, გვ. 36

<sup>3</sup> თეიმურაზ ბოცვამე. საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 169.

**ოთხმეზური თამარ.** აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წ.წ. („ოსმალობა“). ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1975.

**ორბელიანი გრიგოლ.** წერილები, ტ. I, *აკაკი გაჩეჩელის* რედ. თბ., 1936.

**პაპაშვილი მურმან.** დაღესტნის როლი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში 1722-1724 წწ. – *საქართველო და ევროპის ქვეყნები* (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები) თბ., 1991.

*საქართველოს ისტორია. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია.* ნაწ. I. უძვ. დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. თბ., 1948.

**შარაშენიძე ზურაბ.** ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1970.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი # 30; QD-986.

**Авваловъ З.** Присоединение Грузии къ Россiи, СПб., 1901.

**А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы). *Сборник сведений о Кавказских горах*, вып. II, Тифл., 1869.

Армянская анонимная хроника 1722-1736 г.г. пер. З.М. Бунятова. Баку 1988.

Договоры России с Востоком (политические и торговые), *собрал и издал Т. Юзефович*, СПб 1869.

**Джевдет паша.** Описание собитии в Грузии и Черкасии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русск. язык **М. А. Гамазова.** – *Русский Архив*. кн. I. № 3. М., 1888

**Маркова О.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва 1966.

**Петрушевский И.** Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934.

**Смирнов Н.** Политика Россiи на Кавказе в XVI-XIX веках. М., 1958.

**Хроника войн для Джара.** под ред. **В. Хулуфлу** и с прим. **Е. Пахомова**, Баку 1931.

*Ioseb Alimbarashvili*

*Gori State Teaching University*

**POLITICAL-ECONOMIC ASPECTS OF KARTLI AND DAGESTAN RELATIONS IN THE 30S OF THE 18<sup>TH</sup> CENTURY**  
**ABSTRACT**

The article deals with the aspects of political and social-economic relations between Kartli and Dagestan in the 30s of the 18<sup>th</sup> Century. At this time, “Osmaloba” and “Kizilbashoba” were going in the country, which was caused by Vakhtang VI's rolling into Russia.

During this period, the North Caucasian attacks were intensive, which is known in the history of Georgia as “Lekianoba”.

In the paper, this process has been analyzed in Kartli during 20-25 years, based on narrative and documentary sources and literature and it is confirmed that, the attacks of the North Caucasian were compulsory and not intended and this process was no less damaging for Dagestan. This process prevented both sides from political and social-economic development.

Russia has benefited from the endless conflict of neighbors, at first, he conquered Kartli and then, with the participation of Georgians - Dagestan.

## რუსეთ-თურქეთის ომი დავით კლდიაშვილის მემუარებში და ჭანეთი

თადარიგში მყოფი სამხედრო პირი, რუსეთის არმიის ოფიცერი, I მსოფლიო ომის გამო ხელახლა გაწვეული მოქმედ არმიაში, მწერალი დავით კლდიაშვილი ომის დროს ლაზეთში (ჭანეთში) მსახურობს. იგი მემუარების ერთ თავს უძღვნის რუსეთ-თურქეთის ომს, სადაც საკმაოდ ცნობებს გვაწვდის და რეალურ სურათს წარმოაჩენს ომის შედეგად გაუბედურებული და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ლაზეთის ყოფა-ცხოვრების შესახებ. აი, რას წერს იგი ერთგან: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარის წყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა-ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავიანთ მხეცობით, შეუბრალებლობით და მცარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები, იყვნენ გაუმაძღარ ცარცვაში-საცარცვაში კი ბლომად იყო, რადგან გარეკილი მცხოვრებლები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ მთლად თავიანთი ავლა-დიდება, თავისი ქონება. ცარცვას არ სჯერდებოდნენ პლასტუნები, შეუბრალებლად აქცევდნენ სახლებს, წვავდნენ, რაც საუკეთესო შენობები იყვნენ...“

არავითარი ჭაჭანება ადამიანის, აგერ-აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ღმუილი, საზარელი ღმუილი, გულის მომკვლელი, შეწუხებული ამ სანახაობით უნებლიედ ეკითხებოდი შენს თავს: სადაა ეს ამოდენა გარეკილი ხალხი, სად ყრიან? უპატრონოდ არიან ეს საცოდავი დედაკაცები, მამაკაცები, მოხუცებულები, აკვნებიდან ამოყვანილი ბავშვები!“

ნანახისაგან შეძრული და თავზარდაცემული დავით კლდიაშვილი ამჟღავნებს რა თავის დამოკიდებულებას ომისა და ძალადობისადმი, წერს: „ბორცახის კომენდანტი მეუბნებოდა, რომ სახლები ნგრევას ვერ გადავარჩინეო, და ბოლოს ვიფიქრე, მეფის რუსეთის ჯარი ჯვარს პატივს სცემს და ერთ სახლზე მივაჭედვინე დიდი ჯვარიო, მეგონა, მოერიდებოდნენ და შენობას ხელს არ ახლებდნენ, იმედი ტყუილი გამოდგა - შენობა მაინც დაანგრიეს, ტყუილუბრალოდ, დარჩა მხოლოდ აღმართული ჯვარიო.“

ახლო წარსულში რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩადენილი ეთნოწმენდა მთელი თანმხლები უბედურებებით რუსების მიერ ლაზეთში მაშინდელ ნამოქმედარს ხომ არ გაგონებთ? ასე რომ, ვფიქრობთ, თითქმის საუკუნის წინ დაწერილ ამ სტრიქონებს დღეს ცხოველმყოფელობა თუ მოჰმატებია, თორემ განელებით სრულებით არ განელებია.

როგორც ადრე ვწერდით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დ. კლდიაშვილი წელიწად-ნახევარი ცხოვრობდა ლაზეთით დასახლებულ პირონიტში, ბუნებრივია, იგი დაინტერესდებოდა მაცხოვრებელთა ყოფა-ცხოვრებით, იყო თუ არა მათ ადათ-ჩვევებში, ქცევასა და ფსიქიკაში შემორჩენილი რაიმე ქართული ნიშან-თვისებები, საერთოდ, მათი ბედით გულგრილი ვერ დარჩებოდა. როგორც მემუარებიდან ჩანს, მწერალი მოლაპარაკებია ბათუმში საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა მოეელოთ სოფლები და ჩაეტარებინათ ახსნა-განმარტებითი შეხვედრები მოსახლეობასთან მათი ისტორიული წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. მემუარების ავტორი დასძენს: „საზოგადოების თბილისურმა მთავარმა გამგეობამ კიდევ გამოაგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულუბა. კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიდი-მოდიოდა სოფლებში. დიდად კმაყოფილი ბრუნდებოდა იგი ხოლმე და აღტაცებით ჰყვებოდა ლაზეთთან ნალაპარაკების შესახებ. ზოგ სოფელში ასეთ რამესაც ჰქონია ადგილი: სახლში, სადაც კრება იყო, შუაზე ჩამოკიდებდნენ საფარებელს, რომ ქალებსაც საფარებელს ამოფარებულთ, მისცემოდათ საშუალება მოესმინათ კომახიძის სიტყვა. კომახიძე უყვებოდა თუ ვინ იყვნენ ლაზეთი. აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში“ (1, 317). თვითონ ეს ფაქტიც ბევრ რამეზე მეტყველებს. დიდებული წარსულის გახსენება-გაცნობიერება, ამ საქმის ორგანიზატორთა აზრით, საქართველოს, ლაზეთის მომავლის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

„ჩვენებურებად საინტერესო რამდენიმე შეხვედრაზე მოგვითხრობს დ. კლდიაშვილი. მაგალითად, აბუსლეღ ლაზ ჰასან ჰუსეინ ამივ-ოღლისთან. მის თანასოფლელებს გადაუწყვეტიათ სოფელში ქართული სკოლის გახსნა, შეუგროვებიათ კიდევ საჭირო თანხა, სტამბოლში კაცი გაუგზავნათ

ნებართვის მისაღებად, მაგრამ ომის გამო შეფერხებულა ეს საქმე. ან მუსტაფა ბექირ ოღლი, რომლის ნამდვილი გვარი ჩხეიძეა, „მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდი, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა“ – (1, 316) და ა. შ.

როგორც ადრე აღვნიშნე, პირონიტში ხვდება სამეცნიერო მივლინებით მყოფი ი. ყიფშიძეს და თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ამ შეხვედრას აღწერს. ეს მოგონება საინტერესოა იმით, რომ „...ი. ყიფშიძე წარმოჩენილია როგორც კარგი მცოდნე ჭანური კილოკავებისა, ნამდვილი პროფესიონალი და უბადლო პიროვნება“. აი, ეს მოგონება:

„მაცნობეს, ვილაც თქვენ გკითხულობთო. გამოვედი ოთახიდან, ჩემ წინ იოსებ ყიფშიძეა, მოგზაურის ტანისამოსში ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

- იოსებ! - მივაძახე გაკვირვებულმა, - იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან ფეხით - სამგზავრო ტვირთის მზიდავის პატოსიას თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებები. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოელაპარაკა, გულიანი მუსაიფი გააბეს, მაგრამ როცა იოსებმა იწყო წერა, მუსტაფა რაღაც შიშს მიეცა, ჩაჩუმდა და ითხოვა განთავისუფლება - ავად შევიქენიო. მოხუცებულს შიში შეეპარა. არაფერ სახიფათოში გაებათ და ვერასგზით წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ. გავსწიეთ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ: აქ გამოვატანიე მაგიდა, დავაჯინე იოსები, შემოუსხი ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ, პირონიტელები, ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციან, ვიწები ასე ამბობენ, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენ. შეყრილი ხალხი ისე დაინტერესდა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო:

- გატაცებული მეცნიერი ამოდრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შევაჯინე ცხენზე, გავაყოლე კაცი და გავამგზავრე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად. თან წერილი გაუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კეჯანოღლებს და ომერიაზაკ-ოღლებს, რომ ხელი შეეწყოთ იოსებისთვის, ხოფაში და მის მიდამოებში. ყიფშიძე ერთი კვრა დარჩა, გაფაციცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მაცხოვრებლებში“ (1,317-318).

იოსებ ყიფშიძემ მოიპოვა ძვირფასი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ჭანური ტექსტები, რომლის გადარჩენილი ნაწილი 1939 წელს გამოსცა არნ. ჩიქობავამ. მნიშვნელოვანია ის, რომ „ჭანური ტექსტები“ სამივე კილოკავის, ხოფურის, ვიწურ-არქაბულის და ათინურის მონაცემებს მოიცავს. არნ. ჩიქობავა, ხაზს უსვამს რა ამ ტექსტების ჭეშმარიტ ისტორიულ მნიშვნელობას, წერს: „ყოველი ჭანი თურქულად ლაპარაკობს, მამაკაცებმა ჩვეულებრივ თურქული უკეთ იციან, ვინემ დედა-ენა, სახელმწიფო, სარწმუნოება, მწერლობა ისევ თურქულის შეფარდებითს წონას აძლიერებს. ჭანურის პოზიციები დღითიდღე სუსტდება. ჭანური მეტყველება სასვეა თურქული სიტყვებით... ჭანური მეტყველება კატასტროფულ მდგომარეობაშია... „ქართული ენათმეცნიერება... კარგავს ძვირფას საუნჯეს, ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული ძიებისას მიუცილებელს. დანაკარგის ანაზღაურება შეუძლებელი იქნება და მთელი სიმწვავით იზადება აუცილებლობა ყოველი ჭანური სიტყვის, ყოველი ჭანური ფორმის აღნუსხვისა და ფიქსაციისა“ (2,573).

დავით კლდიაშვილის მემუარები რეალურ სურათს წარმოაჩენს იმ დროს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაუბედურებული და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ლაზების ყოფა-ცხოვრების შესახებ. რამდენიმე ასეული წლის წინათ გამაჰმადიანებულ ლაზებს კიდევ შემორჩენიათ ქართველებთან ოდინდელი ეროვნული ერთიანობის შეგნება. იმედის ნაპერწკალი, ხალხის მეხსიერების სიღრმეშია გულუბრყვილოდ ჯერ კიდევ დაცული: დადიანი ვარ დოღურას „დადიანი არ მომიკვდეს“, მაფა ვარ დოღურას „მეფე არ მომიკვდეს“ (3,176).

მწერალი შეძლებისდაგვარად ცდილობს ხელი შეუშალოს ბედის უკუღმართობის გამო გაპარტახებულ-გავერანებული თვისტომის სრული დენაციონალიზაციის საბოლოო პროცესს...

### ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, ტ. II, თბ., 1981.
2. არნ. ჩიქობავა, შრომები, III, 2008.
3. ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, 2015.



*Vianor Akhalaia*  
*Gori State Teaching University*  
**RUSSIAN-TURKISH WAR IN THE MEMOIRS OF DAVIT KLDIASHVILI AND CHANETI**  
**ABSTRACT**

The military personnel in the army, the Russian army officer, who is re-enlisted in the re-army of the World War II, writer David Kldiashvili is serving in Lazia (Chaneti) during the war. He presents one of the memoirs to the Russo-Turkish war and provides us with enough information to show the real picture about the life and life of lashes from their land and water. Here is what he writes: "It was a spectacular sight that started from the water of Adjara. The Ottomans had to go back to the villages of the village and to find the villages that were here. Later, the Russian army and the Kazakh-plastuns went through their wild beasts, in a sense of inconvenience and inclination. They were completely abandoned by the villages that were abandoned by God, and they were greedy in the cemetery, but the lurking was a bloc because the inhabitants were forced to abandon their whole glory, their property. Plastuns did not believe in the Cretaceous, they made their homes, burned, and burned the best buildings ... "Did Russia's Lazety do not think that their actions in Abkhazia and Samachablo in the recent past?

If we take into consideration that D. Kldiashvili lived for a year and a half in the dormitory where he lived in the lasers. Naturally, he would be interested in the life of the residents, whether they were in their customs, behavior and psyche, any Georgian features that could not remain indifferent to their fate ...

It is interesting to note that the writer's meeting with Ioseb Kipshidze, a well-known scientific scholar in Lazeti (Chaneti), is interesting. Kipshidze has been presented as a true expert and talented person with a good knowledge of Chan Kilokavas ...

In the memoirs we will tell you about some of the interesting events. Kldiashvili. For example, Abu Salem Lass Hasan Hussain Ashish-Ogli. Its villagers decided to open the Georgian school in the village and get the necessary sum, in Istanbul, to get a permit, but because of the war it was hampered. Or Mustafa Bekir Ogli, whose true surname is Chkheidze, "Mustafa talked like this in Georgian, with a beautiful expression that I would often tell you to tell her beautiful Georgian."

The writer tries to prevent the final process of complete denationalisation of the desolate-disenchanted character due to fraudulent mischief ...

**დავით ახლოური**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ცხრაზმის საერისთავოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან (ალან-ოსები)**

ცხრაზმის საერისთავოს ისტორიისა და მისი ჩრდილო კავკასიელებთან, კერძოდ კი ალან-ოსებთან, ურთიერთობის შესახებ, ქართულ წერილობით წყაროებში არაერთი საინტერესო ცნობა მოგვეპოვება, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ... ბუნებრივია, ყველაზე უფრო ვრცლად „მეგლი ერისთავთა“-შია საუბარი, რომელიც ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეა და დაწერილია ცხრაზმისხვეელი ერისთავის ვირშელ მესამის სიცოცხლეში ლარგვისის მონასტერში. იგი ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი გადამუშავებული წყაროა და იმ პერიოდის ისტორიული მწერლობის ძეგლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია. უფრო მეტიც, მისი „როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს.“ (ს. ჯანაშია, გვ. 167). მეგლი, ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი მოსაზრებით, მე-14 საუკუნის დასაბრუნებისა და მე-15 საუკუნის დამდეგით უნდა დათარიღდეს. (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 266). იგივე მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი ვ. კიკნაძეც (ვ. კიკნაძე, ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „მეგლი ერისთავთა“ დათარიღებისათვის, გვ. 56). არსებობს სხვა ვერსიებიც... ქართულ ისტორიოგრაფიაში არც მისი ავტორის შესახებაა ერთგვაროვანი მოსაზრება. მკვლევართა ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, ვ. ბერიძე...)

ფიქრობს, რომ ავტორი ავგაროზ ბანდაისძეა, მეორე ნაწილი (ს. კაკაბაძე, ვ. კიკნაძე, ვ. ლუნაშვილი) ავტორად გრიგოლ ბანდაისძეს მიიჩნევს.

მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე ლარგვისის მონასტერში მწიგნობართა მთელი დასი მოღვაწეობდა, მათ შორის მამა-შვილი ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი მწერლობით, მხატვრობით, საზოგადოებრივი საქმიანობით.

ძეგლის დასაწყისშივე ავტორი საუბრობს ოსთა სამეფოში ატეხილ სისხლისმღვრელ შინაბრძოლებზე, რის შედეგადაც, საგვარეულოს უფროსი შტო ამარცხებს უმცროსს და ძეგლის სამეფოდან: „მაშინ მძლე ექმნეს შვილნი უხუცესისა ძმისანი და გარდმოიყვანეს მთასა ზახისისა შვილნი უმრწემესისანი - როსტომ, ბიბილაი, წითლოსანი და ძენი სამეოცდაათი მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქვეყანასა დვალეთისასა.“ (შ. მესხია, „ძეგლი ერისთავთა“, გვ.344).

ძეგლის მიხედვით, ოსთა სამეფოდან გამოძევებული როსტომი და მისი ამაღა შეეცადა ფიცით დაერწმუნებინა დვალელები, რომ მეფობას არ იკისრებდნენ. დვალელებმა მათ „მისცეს ქუეყანა ბოზალეთაი და უწოდნეს ბიბილურნი“, მაგრამ, როცა გამოიხიზნულებმა სახლებისა და ციხეების აგებას მიჰყვეს ხელი, დვალელები შეიკრიბნენ და „თქუს: ვხედავთ ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოსთა ამათ მეფეთა. დაღათუ სახელვსდევით ბიბილურად, არამედ ესე ვერ დაჰფარავს გუარნათესაობას მათსა: და შემდგომად მცირედისა ჟამისა ეუფლნენ ყოვლისა ქუეყანასა ჩვენსა და მართუეთა სხამდის და ბოლოითა დაბმამდის განვაძოთ ორთავ გუელი მუცლით ჩუენით.“ დვალელებმაც „აღიყუანეს და მოასხეს ხეცა ისროლისასა, ნაკაფუნს როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი.“ ახლა უკვე დვალთაგან დევნილი როსტომი დახმარებას უწევს ცხრაზმისხვევლებს გრუელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ხუთთვიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ ცხრაზმისხვევლებმა მხოლოდ როსტომის, მისი ძმების და მათი ამაღის დახმარებით შეძლეს გრუელთა ძლევა. გამარჯვებით აღფრთოვანებული ცხრაზმისხვევლები აცხადებენ: „არა განვიშორთ ჩუენთაგან ამიერთაგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რამცა უნდეს მას.“ („ძეგლი ერისთავთა“, გვ. 345).

ლარგვისის მამასახლისი, გვარად ხუციანდაბისძე, როსტომს ურჩევს, ცხრაზმისხვევში დამკვიდრების გარანტად ითხოვოს საფლავი მონასტერს, „რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გვირგვინოსნისა ისტვინიანე აღმშენებლისაგან შემოწირული არიან, იყო წინამძღვარ მათდა.“ („ძეგლი ერისთავთა“, გვ. 345). როსტომმა მოითხოვა საფლავი ლარგვისს და „საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა და ცხრაზმის ერისთავის ნაქონებნი მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისხვევლთა, შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი, საფლავი ლარგვისს და საჯდომი (რეზიდენცია -დ.ა.) ქვენიფნევს და უწოდნეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხუაი სახელი არა ინებეს.“ („ძეგლი ერისთავთა“, გვ. 345)

ძეგლის ავტორის მიხედვით, ყოველივე ამის შემდეგ, საჭირო იყო როსტომის ცხრაზმის ხეობაში გაერისთავება ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს ეცნო. იუსტინიანემ გაითვალისწინა ცხრაზმისხვევლთა სურვილი და როსტომს უბოძა: „შვიდნი ესე ხევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისხვევისა და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყური და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშია და შუბი.

ესე ყოველი მიუბოძა მეფემან ისტვინიანე როსტომს და წარმოგზავნა სიხარულით. მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიაი.“ („ძეგლი ერისთავთა“, გვ. 346).

ცხრაზმის ხეობაში გაერისთავებული როსტომი აგრძელებს აღმშენებლობით მოღვაწეობას: აგებს ციხეებს, სახლებს, წინამძღოლობს ცხრაზმისხვევლთა ლაშქრობებს და განუსაზღვრელი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს თავის ხალხში. „არავინ იპოებოდა მართოდ მბრძოლი როსტომისი და შეიყუარნა ყოველმან ერმან ცხრაზმისხვევისმან.“ („ძეგლი ერისთავთა“, გვ. 346).

მართალია, „ძეგლი ერისთავთა“ ქსნის საერისთავოს წარმოშობის საკითხის კვლევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს, ჩვენ მაინც აღნიშნულ ძეგლს უტყუარ დოკუმენტურ მასალად ვერ მივიჩნევთ. როგორც თავის დროზე შოთა მესხიაც შენიშნავდა, „მეთოთხმეტე საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების და გაფორმების საუკუნეა. ქსნის ერისთავებმა ამ დროისათვის უკვე გაიჩინეს რეზიდენცია - „დარბაზოვანი“ და „თავადი ციხე“ ქვენიფნევს, საგვარეულო მონასტერი ლარგვისს. ე.ი. ყველაფერი ის, რაც ფეოდალურ საქართველოში დიდებული თავადის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ეს პროცესი ვირშელ მესამის მოღვაწეობის დროისთვის დასრულებული ჩანს. ამ დროისთვის ერისთავებს მხოლოდ თავიანთი გვარის წარსულისა და სიდიდის მაუწყებელი ძეგლია

აკლდათ. ამგვარი ძველიც მალე შეიქმნა, რომელიც იდეოლოგიურ გამართლებას აძლევდა ყველაფერ იმას, რაც საქართველოს, კერძოდ, ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ფაქტად იყო ქცეული.“ (შ. მესხია, „ძველი ერისთავთა“, გვ. 316).

ამდენად, არაა გამორიცხული, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანეს ავტორს თავის მონათხრობში ბევრი რამ შეელამაზებინა, ზოგიერთი არარეალური ფაქტი რეალურად ეჩვენებინა, რათა კიდევ უფრო განედიდებინა ერისთავთა ისტორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველის ავტორი თავისი დროის კვალობაზე საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი ცნობილია, როგორც მწიგნობარი, კალიგრაფი, მხატვარი. (ვ.ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, გვ.14).

დავუბრუნდეთ ქსნის საერისთავოს წარმოშობის „ძველი ერისთავთა“-სეულ ვერსიას, ძველის მიხედვით, ქსნის საერისთავო მეექვსე საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამ ვერსიას ზოგიერთი მკვლევარი ცალსახად იზიარებს, მათ შორის მისი ერთ-ერთი გამომცემელი თედო ჟორდანიას („ქრონიკები,“ ტომი 2).

„ძველი ერისთავთა“ გარდა ქსნის საერისთავოს წარმოშობაზე და ერისთავთა წარმომავლობაზე სხვა წყაროებშიცაა საუბარი. იოანე ბატონიშვილის 1799 წელს შედგენილ ქართველ თავადაზნაურთა გვარეულობის საერთო ისტორიის მიხედვით, როცა გამწვავებული იყო საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა ნოინთაგან: „მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებული ერისთავთა წინაპრნი სამეფოსა ოსეთის ხეობითგან, რომელიც არის ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარსა შინა გვარნი მათნი. ამათნი უკუმ მოვიდნენ შინა, წელსა ქეს აქეთ 1235. ბიბილა უკმ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენიფნევს, რომელი აწ იწოდების იფნევად. რატი დაესახლა ჟამურის ხეობასა შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412 - სა შინა და იწოდნენ ბიბილურები ქვენაფნოველებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ. შემდგომაც რა მიიღო მეფობა სიმონ მეფისა ძმამან დაუდხანად წოდებულმან, ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენაფნოველი და დაუმტკიცა ერისთავთა განსამტკიცებლად თავისა თვისაც. წელსა ქეს აქეთ 1569 და მუნითგან იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად.“ (ი. ბატონიშვილი, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 37).

გ. თოგომშვილი ყურადღებას ამახვილებს ს. ბარათოვის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ოს თავადებს, გვარად დუდარუკოვებს, შეურიგებიათ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ქსნისა და არაგვის ხეობის მოსახლეობა და მათთვის ზავის პირობებიც დაუდგენიათ. მადლობის ნიშნად ძმებიდან როსტომი ქსნის, ხოლო სიღამონი არაგვის ხეობათა მამასახლისებად მოუწვევიათ. საქართველოს მეფეს კი, ვითომ მხედველობაში მიუღია მათი დამსახურება, ჩამომავლობა და ისინი ერისთავებად გაუმწესებია. (გ. თოგომშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგამდე), გვ. 215-217). ბარათოვის ცნობის თითქმის იდენტურია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თხზულებაში დაცული ცნობა, რომელიც ქსნის ერისთავთა მამამთავრად როსტომს მიიჩნევს და მის ოვსთა მეფისაგან ჩამომავლობაზე მიუთითებს. (ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლი მეორის დროის ცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი). ეს ცნობები აშკარად რეალობასაა მოკლებული და ნაწილობრივ, ისევე როგორც იოანე ბაგრატიონის ცნობა „ძველი ერისთავთა“ გავლენას განიცდიან.

დავით გვრიტიშვილის მიხედვით, არსებულა დავით ციციშვილის საქართველოს თავადაზნაურთა გუარ-შთამომავლობაზე „შემოკლებითი მოთხრობა,“ მაგრამ იგი იმდენად მიუღებელი ყოფილა, რომ მკვლევარი ანგარიშს არ უწევს. (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 60).

ავგაროზ ბანდაისძე, იოანე ბატონიშვილი და ს. ბარათოვი ქსნის ერისთავთა წინაპრებს ოვსთა მეფის შთამომავლებად მიიჩნევენ. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქსნის ერისთავთა ოსური წარმომავლობის უარყოფა. ამ საკითხს ქსნის საერისთავოს ისტორიისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი რეალობის დადგენაა. დ. გვრიტიშვილი არ გამორიცხავს ქსნის ერისთავთა ოსურ წარმომავლობას: „ქსნის ერისთავების ოსთაგან წარმომავლობა არ უნდა იყოს არაჩვეულებრივი რამ, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში საქართველოსა და ოსეთის სამეფო კარს შორის ჯერ კიდევ პატრონყმური ურთიერთობა იყო და შეიძლება საქართველოს მეფეს, რომელიმე, თუნდაც წარმოშობით ოსი, მითუმეტეს, რომ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა ეროვნული განსხვავების ნიშნებს არ აქცევდა ყურადღებას, საქვეყნოდ გამრიგედ-ერისთავად დაესვა. (დ. გვრიტიშვილი, გვ. 61).

გ. თოგომშვილი ცალსახად იზიარებს ქსნის ერისთავების ოსთაგან წარმოშობას და აღნიშნავს: „ოსები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქსნის ერისთავებს, მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში

გადმოვიდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფის სახით, შინაგან არეულობის გამო. ისინი პატივით იქნენ მიღებული და, ბოლოს, ხეობის მმართველობის სადავეებიც ჩაიგდეს ხელში." (გ.თოგოშვილი, გვ. 217).

ქართული ისტორიოგრაფია გამორიცხავს ქსნის ერისთავთა ოსთაგან წარმოშობას. ეს ისეთივე ლეგენდაა მიჩნეული, როგორც ორბელიანების ჩინეთიდან მოსვლა, ამილახვრების-იტალიიდან, ციციშვილების-იერუსალიმიდან, წერეთლების-დაღესტნიდან, შერვაშიძეების-შირვანიდან.

რატომ დასჭირდა ავგაროზ (გრიგოლ?) ბანდაისძეს ასეთი ლეგენდის შეთხზვა? ხომ არ იყო იგი ერისთავთაგან ნაკარნახევი? არაა გამორიცხული. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „მეგლი ერისთავთა" საგვარეულო მატიაწა და ქვენიფნეველთა განდიდებას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია, ქართულ-ოსური კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ჯერ კიდევ ფარნავაზმა მიათხოვა თავის და ოვსთა მეფეს... გიორგი პირველიდან მოყოლებული ქართველი მეფეები ხშირად უმოყვრდებიან ოსებს. მეთერთმეტე საუკუნიდან მომწიფებულია საკითხი საერთო კავკასიური სახლის შექმნისა და ამ პერიოდის ცნობილი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ჰიპოთეზაც ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ კავკასიელი ხალხების (მათ შორის ქართველებისა და ოსების) გაერთიანებას ემსახურება მიზნად. გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ქართველთა ყველაზე ძლიერად გამოჩვენებაში დიდგორის ველზე 500-მა ალან-ოსმაგ შეიტანა წვლილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქსნის ერისთავთა ოვსთა, საერისთაოს მაცხოვრებელთა ოვსთა და უფრო მეტიც, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ქსნის ერისთავთა ოვსთა მეფის შთამომავლებად მიჩნევა საპატიო და სასურველი უნდა ყოფილიყო. იოანე ბატონიშვილის მსგავსად, რატომ არ მიიჩნია ავგაროზ ბანდაისძემ „ოვსთა მეფის შთამომავალთა", შემდგომში ერისთავთა, გადმოსვლა და დამკვიდრება მეცამეტე საუკუნის მოვლენად? - იგი მეთოთხმეტე საუკუნის მოღვაწეა, ასე თუ ისე, იმ ეპოქის შვილი, რომელზეც იოანე ბატონიშვილი საუბრობს, ამდენად „ოსურ თემაზე" შექმნილ ლეგენდას, თავისი დროის ქართულ რეალობას ვერ მოარგებდა. ამიტომ, სხვა რომ არ იყოს, მოვლენების დაძველება და მეექვსე საუკუნეში გადატანა აუცილებელი იყო.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწაში ცხრაზმისხველთა და ოსთა ურთიერთობის სხვა ფაქტებსაც ვხვდებით. შალვა ქვენიფნეველს, რომელიც მეცამეტე - მეთოთხმეტე საუკუნეების მოღვაწეა, ცოლად შეურთავს ოვსთა მეფის ასული შირდი, „რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისა: ოქროსა და ვერცხლისა ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელი და სხუაი ყოველი სამკაული, და მოჭედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთროსანი წმინდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა." („მეგლი ერისთავთა," გვ. 348).

ვ. ლუნაშვილის აზრით, „ოვსთა მეფე" უნდა იყოს ჟამთააღმწერელთან დასახელებული „ოვსთა მთავარი ბაყათარ," რომელიც შალვა ქვენიფნეველთან ერთად მიუძღოდა მონღოლთა ლაშქარს დავით მერვეს წინააღმდეგ. ამ ქორწილით ცხრაზმის ერისთავი განამტკიცებდა პოლიტიკურ კავშირს ქართლში მოთარეშე ოსებთან და მათი თარეშისაგან გადაარჩენდა მის გამგებლობაში მყოფ საერისთაოს. ეს პოლიტიკური კავშირი დავით მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. (ვ. ლუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 55-56).

მეცამეტე საუკუნის 70-იან წლებში, მონღოლთა წაქეზებით, ოსები ქართლში გადმოდიან და გორს იკავებენ. „მეგლი ერისთავთა" მიხედვით გიორგი ბრწყინვალე „მოადგა ოვსთა, გორს მყოფთა, და ჰბრძოდა სამ წელ." მეფის ლაშქრის მხარდამხარ ცხრაზმისხეობელებიც იბრძოდნენ ერისთავ ვირშელის მეთაურობით. „ხოლო ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა სპისა ყოვლისაგან, და აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიშურვეს მთიულთა არაგვისთა და თქუეს: უკუეთუ ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემეზნენ ჩუენ და იხილოთ, რომელი უმჯობეს ვართ." („მეგლი ერისთავთა," გვ. 350). როგორც ვხედავთ, ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა მეფის წინაშე განსაკუთრებული ერთგულება და თავდადება გამოუჩენიათ ცხრაზმისხეველებს, რის გამოც სამეფო კარის შექებაც დაუმსახურებიათ. თუმცა რამდენად იქცა ეს ფაქტი შემდგომში არაგველებისა და ქსნელების დაპირისპირების საბაზად, ეს სხვა საკითხია.

ცხრაზმისხეველებისა და ოსების ურთიერთობის ისტორია, რომელიც „მეგლი ერისთავთაშია" გადმოცემული, ურთიერთთანადგომის, კეთილმოყვრობისა და... დაპირისპირების მაგალითებსაც მოიცავს. მაგრამ, უფრო მეტად, ამ ურთიერთობების დადებით კონტექსტში ჩვენებას ცდილობს ავტორი, ამაყობს იმით, რომ ერისთავები ოსთა სამეფო სახლის „წარმომადგენლები არიან."

### ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ი., შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, 1997.
2. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, 1967.
3. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), 1955.
4. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგამდე), 1958.
5. კიკნაძე ვ., ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა „ძველი ერისთავთა“ დათარიღებისათვის (მეთხუთმეტე საუკუნე), წიგნში ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, 1982.
6. მესხია შ., „ძველი ერისთავთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.
7. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი 2, 1897.
8. ლუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2005.
9. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945.
10. ჯანაშია ს., შრომები, ტომი 2, 1952.

*Davit Akhlouri*

*Gori State Teaching University*

### **ERISTAVI OF TSKHRAZMAS RELATIONSHIP WITH NORTH CAUCASIAN PEOPLE WITH ALAN OSSTIANS ABSTRACT**

The monument of Eristavi is one of the important sources in History of Georgia, which is written in Monastery of Largvisi in the life of Virshel third. In this work is emphasized about the relationship between Tskhradzmkhevi and Ossetians . According to the monument the ancestors of ksani were representatives of the Royal Ottoman Empire. They received the title Eristavi outstanding courage.

How real are these stories? Have you created legend for their glory? These questions are answered in this work. We also talk about on Shalva Qvenipneveli, which was dissolved by Ossetians and participation in the war of Tskhradzmkhevelebis, which was produced by George Brilliant to free Gori the Ossetians.

**ლატავრა ბუკია**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

### **თედო სახოკია პიროვნებისთვის - თურქეთი ემიგრაციის წლების კვალდაკვალ**

თედო სახოკიამ თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი დროის სხვადასხვა მონაკვეთი ემიგრაციაში გაატარა. პირველი 1900-1903 და 1903-1905 წლები, ყველაზე ხანგრძლივი 1909-19016 წლები. ემიგრაციაში ყოფნისას ის სწავლობდა, სწავლის პარალელურად სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში და პარიზის ანთროპოლოგიურ სკოლაში. იღებდა მონაწილეობას სამეცნიერო ექსპედიციებში, 1902 წელს თედო სახოკია არჩეულ იქნა, რეიმსის (საფრანგეთი) აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1904 წლის ერთ-ერთ სხდომაზე, პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპოდენტად.

ემიგრაციაში ყოფნისას, ურთიერთობა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან: საფრანგეთში - არჩილ ჯორჯაძესთან, გიორგი ლასხიშვილთან და სხვებთან. მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოში „საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის“ ჩამოყალიბებასთან ერთად პარიზში არალეგალურად გამოცემული ქართული გაზეთის „საქართველოს“ გამოცემას. აგრეთვე არალეგალურად მის საქართველოში შემოტანა-გავრცელებას.

1905 წლისათვის, საზღვარგარეთ საფრანგეთში მყოფი თედო სახოკია პარტიის დავალებით საქართველოში ბრუნდება. იმპერიის მასშტაბით საყოველთაო რევოლუციური გამოსვლებში მონაწილეობისა და ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდასთან ერთად, საქართველოში შემოტანილი შვეიცარული საბრძოლო იარაღის, თოფების მიღება განაწილების საქმეს ხელმძღვანელობს.

საზღვარგარეთიდან წამოღებული იარაღის გადმოცლა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებში სწორედ თედო სახოკიას ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო. ამავე საქმის გამო დაწყებული გამოძიების შედეგები დასრულდა, - თედო სახოკია ციმბირში გადასახლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, სასამართლო და გამოძიების პროცესები დიდხანს გაჭიანურდა. მოსარჩელე მხარეთა მიერ გასაჩივრებით უმაღლეს ინსტანციებში, მაგრამ საბოლოოდ მიესაჯა „ყოველგვარი ღირსების აყრა“, გადასახლება ციმბირში, სამუდამო პატიმრობა.

ციმბირში თედო სახოკიამ რამდენიმე თვე დაყო, 1908 წლის შემოდგომიდან - 1909 წლის მაისამდე, და მოახერხა გამოქცევა. მიუხედავად უამრავი ხიფათისა და ფათერაკისა მშვიდობიანად მოაღწია საქართველოს, მაგრამ საქართველოში ვერ ჩერდება, იძულებულია თავშესაფარი, რომელიმე უცხო ქვეყანაში ეძებოს, სახამ რუსეთის ხელისუფლებისაგან ხელშეუხებლობის გარანტს არ მიიღებს. მეგობრების დახმარებით ემიგრაციაში მიდის და ხანგრძლივად, 1909-1916 წლამდე, რჩება, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ვიდრე რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისგან საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცა.

დროის ამ მონაკვეთზეა ყურადღება გამახვილებული საკონფერენციო ნაშრომში, ციმბირიდან დაბრუნებული, სახამ ემიგრაციაში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, ე. ი. პერიოდი, როდესაც ციმბირიდან გამოქცეული, საქართველოში დაბრუნებული, ცდილობს და ფიქრობს საქართველოსთან ახლოს, ოსმალეთის ახლად დაარსებულ სახელმწიფოს შეაფაროს თავი.

თედო სახოკიას ცხოვრების ამ მონაკვეთის შესახებ ცნობები, ძალიან მოკლედ, აღწერილი აქვს თავის „ავტობიოგრაფიულ მოგონებებში“ და აგრეთვე, მოგონებანი „ციმბირში“. შედარებით ვრცლად ამ პერიოდზე ცნობებია წერილებში, რომელიც ძირითადად მეუღლის, ნადე სახოკიასადმი აქვს გამოგზავნილი და ეხება თითქმის ყველაფერს, თედოს ცხოვრებას ემიგრაციაში, მის ყოველდღიურ საქმიანობას. წერილები ეხება, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირადი ხასიათის საკითხებს. ამ წერილების, საფუძველზე შესაძლებელია თედო სახოკიას ემიგრაციაში ყოფნის 1909- 1916 წლების მოვლენების ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერა.

ციმბირიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოსული, დიდხანს ვერ ჩერდება ჟანდარმისა და პოლიციის შიშით, მეგობრების დახმარებით, მალულად გადადის ბათუმში და იქიდან კი ლაზი ბეგების დახმარებით, შავი ზღვით, გადაჰყავთ ხოფაში, ხოფიდან ტრაპიზონში, აქედან ტრაპიზონ - მარსელ - პარიზი და საბოლოოდ ბელგია - ბრიუსელში, მკვიდრდება, როგორც ემიგრანტი პოლიტიკური დამნაშავე, რუსეთის ხელისუფლებისაგან ხელშეუხებელი.

ბათუმში ჩასულ თედოს ემიგრაციაში წასვლამდე თანაპარტიელები და ძველი ნაცნობი მეგობრები ხვდებიან, ეხმარებიან ქვეყნის საზღვრების მშვიდობიანად გადაკვეთაში, ჩამოდის აგრეთვე სოხუმიდან ნადე კეკელია შვილთან, ორი წლის თინასთან, რათა იხილოს მეუღლე შორეული ციმბირის ათასგვარ ხიფათს გადარჩენილი, სასწაულებრივად სამშობლომდე მშვიდობით ჩამოდწეული მეუღლე.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თედო სახოკიას საქართველოში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. მეგობრების ხელშეწყობით ბათუმში ჩასულს, აჭარელმა ბეგმა ლორთქიფანიძემ, მისი საზღვარზე გადაყვანა ორ მენავე ლაზს მიანდო, რომლებიც პასუხიმგებელი იყვნენ თედო სახოკიას მშვიდობით გაყვანაზე.

თედო სახოკია ხშირად იგონებდა, ამ გადაყვანის ეპიზოდს, ვრცლად აქვს აგრეთვე ეს სიუჟეტი ჩართული „ავტობიოგრაფიაში“, თუ როგორი საუბარი გააბეს ამ ლაზებმა (ლაზურ ენაზე) თედოს შესახებ: „ამ ჭინჭრაქს, თურმე რუსეთის ფადიშაჰის ჩამოგდება განუზრახავს“, შემდეგ დაურიდებლად, ხმამაღლა, რაც თედოს კარგად ესმოდა, განიზრახეს მისი ძარცვა და ზღვაში გადაგდება, მაგრამ თავი შეიკავეს, რადგან თედო მათ ლაზურად გამოელაპარაკა, მოლაპარაკების შემდეგ თედოსი და

განსაკუთრებით, მოერიდათ ბეგის რისხვისა. თედომ თურქეთის ტერიტორიას უვნებლად მიაღწია. (სახოკია 1969: 238-239).

თედო სახოკია ამ მოგზაურობის დაწყებიდანვე აქცევს ყოველგვარ წვრილმანს ყურადღებას, რომელიც შემდგომ გამოყენებული აქვს თავის ეთნოგრაფიულ თუ სხვა სახის, აღწერებში. ამჯერად ნავი, რომლითაც გადაიყვანეს, ლაზისტანში ყურადღებას ამახვილებს ნავის წინ ცხვირზე ჩამოკიდებულ ქვაზე, რომელიც იყო გახვრეტილი და ბაწარი ჰქონდა გაყრილი, შეღებილი იყო ლურჯად. ადგილობრივი მენავეების რწმენით ამგვარი დანიშნულების ქვა, (ავგაროზი) წარმოადგენდა სიმბოლოს, ნავის გამარჯვებისა და მშვიდობიანად გადაადგილებისას, იცავდა ნავს დელვისა ყოველგვარი ზარალისგან”. (სახოკია 2012: 187)

თედო სახოკიას გადწყვეტილი ჰქონდა გაჩრებულიყო და დაკვიდრებულიყო თურქეთში იმჟამად ახლადდაარსებულ ოსმალეთის რესპუბლიკაში (1908 წელი) გამოენახა სამუშაო და ოჯახიც, მეუღლე შილთან ერთად, წაეყვანა. მისი ამ გადაწყვეტილების შესახებ ცნობებს ვეცნობით პირადი ხასიათის წერილებიდან. ნადე სახოკიასადმი წერილში წერს, თავის ცხოვრებაზე ხოფასა და შემდგომ ტრაპიზონში; წერილიდან ჩანს, რომ ნადე სახოკია აპირებს გამგზავრებას ქმართან ტრაპიზონში. (სახოკიას ფონდი N73; ფ.764). „ჩემო სიცოცხლე ხოფაში ორშაბათს ჩამოვედი, მაგრამ იქ დარჩენა არ შეიძლებოდა და ჯერ ერთი, ცხოვრება ძვირი ყოფილა. აპირებს გამგზავრებას პარიზში შემდეგ კი ბრიუსელში ტრაპიზონიდან - ბანძაში. (სახოკიას ფ. N73. 766)

მოგზაურობისას თედო სახოკია აღწერს ერთ-ერთ ლაზურ სოფელს ხოფაში: „თვალწინ გადაშლილი სოფელი, მისი მოსახლენი - ლაზები... (მაგრამ მას თავისი მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას ყოველივე ნანახის ჩაწერისა), ავი სევდანარევადა აღწერს კიდეც, „აჰა, ამისთანა ხელსაყრელი კარს მომდგარი შემთხვევა და თავად კი ხელფხმეკრულად გრძნობდე თავს - ლტოლვილი და უსახსრო--- ჩვენი ძმები, ჩვენს გულმკერდს, ჩვენს მიწა-წყალს საუკუნოებით მოწყვეტილები, თავისუფლად, შინაურულად მენახა, მათს შორის დავტრიალებულვიყავ, მათს სულსა და გულს ჩავწვდომოდი, საერთო ენა გამომენახა სალაპარაკოდ, მეძებნა ნიადაგი ჩვენს შორის ძველის გაწყვეტილის კავშირის აღდგენისა..

თედო აგრძელებს: „ეს რა ხდება სამეგრელოსა და გურიის სოფელი ხომ არ გადმოტყორცნილა აქეთ - ფიცრული სახლები, ხეებით სავსე ეზოები, .... ხეებზე გასული ვაზები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები. იქვე წყაროები, სადაც წყლის ამოსაღებად და კოკაში ჩასახსმელად მეგრული ტარიანი ხრიკებია... მეგრული ლაპარაკი ქალებისა და ბავშვებისა... თედოს მოსვლისას მამაკაცები ყანებში გასულიყვნენ სამუშაოდ, ასე რომ, უმამაკაცო ოჯახში შესვლა, როგორც არა მაჰმადიანს, სათაკილოდ და საშიშრადაც კი მოეჩვენებოდა... თვალებით მიესალმებოდა იქაურობას და, ვიდრე რაიმე უსიამოვნება - და შესაძლოა დიდიც - შეხვდებოდა, ამჯობინებდა დროზე გასცლოდა...

გულდაწყვეტით აღწერს ამ მხარეს საქართველოდან ჩამომორებულს რომ ხედავს, „ვწყვეტილი ჩვენს უბედო ბედს, რომელიც იმთავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემოვლებულ საქართველოს განაპირა ადგილებს, ამ ადგილებს მტრების სათარეშოდ ხდიდა, გულიდან გვგლეჯავდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნოებას, აზროვნებას უცვლიდა და გუშინდელ ქართველს დღეს საზოგადოდ ქართველისათვის უცხოა და მტრად გადაკიდებულ ადამიანადა ხდიდა...ოცნებამ გამიტაცა: იქნება მოვესწროთ იმ დღეს, როცა უკულმა დატრიალებული ჩარხი ბედისა წაღმა დატრიალდეს და ეს გულიდან მოწყვეტილი, სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და გაწამებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრას თავის დედას გულში, ისევ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, ერთმანეთს მხარში ამომდგარნი შევებრძოლოთ ცხოვრების უკუღმართობას რომ, ოდნავადაც არი, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი-მეთქი”..(სახოკია1969: 240)

ხოფაში თედო სახოკია ხვდება სოხუმის ციხის საპყრობილეში მასთან ერთად მყოფ ამხანაგს, ლაზ ახმეტ ბეჟირ-ოღლის, რომელიც საზღვარგარეთიდან იარაღის გადმოტვირთვაში მონაწილეობდა და დატუსაღებულთა შორის, ისიც იხდიდა სასჯელს. ციხეში ბეჟირ-ოღლის ქართული წერა-კითხვაც კი ასწავლა და სწორედ ერთმანეთის ნახვით დიდად გაიხარეს „ახმეტს მივწერე ქართულის ასოებით და ქართულისავე სიტყვებით - ჩამოსულიყო და ვენახე. წერილი მიეღო თუ არა, ქუდგადაგლეჯილი გამოქცეულა და ქაქანით მოვიდა. გადამეხვია, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას ...დამიკოცნა გული, ხელები. რაც რამ საალერსო სიტყვები იცოდა, სულ ჩემთვის დახარჯა ... გარშემო ხალხი გამტერებული დარჩა, ასეთ მოყვარულ მეგობრებს რომ გვხედავდა მისს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვუამბე, რომ მეც მისებრ გამოქცეული ვიყავ, მხოლოდ ცოტათი უფრო შორი ადგილიდან და მანძილიც მეტი მქონდა გამოვლილი, ვიდრე მან გამოიარა სოხუმიდან ხოფამდე... ბევრი ძვირი თქვა ნიკოლოზისა,

ცუდი კაცი იყო. ...,აი ჩვენ ვაჯობეთ, - სულთან ჰამიდი ჩამოვადეთ ტახტიდან, რესპუბლიკა გვაქვს. ყველანი გვეუბნებიან, თავისუფლები ხართო, მაგრამ ჩვენი ფუნარა (ღარიბი) ხალხისთვის არაფერი მოუტანია, მისი მდგომარეობა არ გამოკეთებულა; მჭადი როგორც მაშინა გვექონდა გაჭირვებით საშოვარი, ახლაც ისევე გაჭირვებით ვმოულობთ, გადასახადებს ისევ ძველებურად გვახდევინებენ და ის კი არა მომატებიათ. შეიძლება ყველაფერი ერთბაშად არ მომხდარიყო, მერე, დრო და ჟამი გაივლის, შეიძლება უკეთესობა დაგვეტყოს, დღევანდელი ჯანაბეთი (ჯოჯობეთური) ცხოვრება გამოიცვალოს, კარგი ყისმათი (ბედი) დაგვიდგეს... შეიძლება ვნახოთ, ჯანუმ..”(სახოკია 2012: 196)

სთხოვს დროებით მასთან დარჩენას, რასაც ვერ ახერხებს, რა თქმა უნდა თავისი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

ხოფიდან გემით გადადის ტრაპიზონში, სადაც მას თავისი თანაპარტიელი მემედ-ბეგ აბაშიძე ხვდება. საინტერესოა, მემედ აბაშიძეც, ბათუმიდან საიმპერიო ხელისუფლების მიერ, იძულებით გადმოხვეწილი. „ხოფიდან ტრაპიზონში უნდა ჩავსულიყავ და იქ მომეხერხებინა რაიმე საქმის შოვნა და დარჩენა, როგორც სამშობლოდან დასამხარ ადგილას. მით უფრო რომ ამ ქალაქში მეგულებოდა ჩემი პარტიული მეგობარი მემედ-ბეგი აბაშიძე, რომელიც ნიკოლოზის მთავრობას ბათუმში არ დაუყენებია და ისიც ტრაპიზონში გადაბარგებულა. სადაც უფრო მოახერხებდა ცხოვრებასთან ბრძოლას”. (სახოკია 2012: 198)

თედო სახოკიას ფათერაკები ყოველთვის თან სდევდა აქაც ხოფიდან გამომგზავრებამდე გემის მოლოდინში პოლიციის ანუ ხელისუფლების წარმომადგენელი (ჩვენებური ბოქაული) - აღნიშნავს თედო, აქ მისი წარმომავლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ამჯერად, სომეხი ეგონათ. მაგრამ ბოქაულის დაუდევრობისა გამო გაუშვეს, „მე რათ უნდა დავიჭირო, სულ ერთია, ტრაპიზონს ვერ ასცდება, ნაპირას გასვლისას ჩაუხვდებიან და თუ დასაჭერი ვინმეა, ფიქრი არ არის, არსად გაუშვებენო. თან ტელეგრამა უკვე გაგზავნილი ჰქონია ტრაპიზონში”

თედო სახოკიას მისი პოლიტიკური მდგომარეობა და უსხსრობა არ აძლევს საშუალებას, თავისი დაუოკებელი წყურვილი ყოველივეს აღწერისა მაგრამ მოკლედ მაგრამ მაიც ახერხებს გადმოსცეს; - „ხოფიდან დილის ორ საათზე გავედი საღამოს უკვე რიზეში ვიყავი, მართლა რომ მშვენიერი საყურებელი იყო რიზეს მიდამოები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეებით გადაფენილი. ორივე ეს ხილი აქ ისევე მოყავთ, როგორც ჩვენში ვაშლი. სიცივე და ყინვა არ იცის, მამასადაძმე, ეს ხეები თავს სრულებით თავიანთს სამშობლოში ჰგრძნობენ, ისევე, როგორც იტალია-ესპანეთში”.

ტრაპიზონში თედო სახოკიას დამხვედრი თანაპარტიელი, მემედ-ბეგ აბაშიძე იმედიტ ეუბნება სამშვიდობოს მის ყოფნაზე, „ნუ გეშინია, რესპუბლიკაში ვართო!..”, მაგრამ თედო სახოკიას მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ საკმაო პირობები და სამუშაო ადგილი სჭირდებოდა თავისა და საქართველოში ოჯახის რჩენისათვის. თედო სახოკია ტრაპიზონში დამკვიდრებაზე გადმოცემული აქვს შემდეგი; „დავბინავდი შუაგულ ქალაქში, ერთად-ერთ რიგიან სასტუმროში, სასტუმროს გარდა ორიოდ შენობა კიდევ მოიძებნება აქ, ცოტათიც არის, სახლს ჰგავს. ეს გახლავთ ტრაპიზონის ცენტრალური და ეგრეთწოდებული ევროპული ნაწილი, სადაც ევროპულ გემოვნების კაცს შეუძლია თვალს წყალი ასვას. პერიფერიები, თუნდ კომერციული ნაწილი ქალაქისა, ერთი მეორეს მიყრილ დაბალ ქოხ-მახებს წარმოადგენს. თვით მდებარეობა-კი საუცხოვო აქვს ქალაქს: ზღვის პირიდან თანდათან ტერასებად აჰყვება აღმართს და ამნაირად მთელი ქალაქი შეფენილია გორაკზე და ზედ გადასცქერის ზღვას, რომელიც საუცხოო სანახაობას წარმოადგენს. ამ სიმშვენიერის აღწერის გვერდით საუბრობს ქალაქზე: „ქალაქში არ არის ის რასაც ევროპულის ქალაქს უეჭველად მოსთხოვთ. არ არის მოკირწყლული და დაგეგმილი ქუჩები, არ არის წიგნთსაცავი, თეატრი. არსადაა რესტორანი, ქუჩების ელექტრონით განათება ... გაზეთი .. არავითარი ქარხანა, და ა. შ. ყველაზე გულდასაწყვეტად აღნიშნავს, ერთადერთი, რაც აქ გამართულად არის აბანოა, თავისი მექისეებითურთ. და სწორედ ამ მექისეთა ფუნქციას ასრულებენ შავშელები და იმერხველები, სულ დარჩეული ბიჭები. ამბობენ, ტრაპიზონელებისათვის აბანო, ერთგვარი დიდი ოჯახი არის და ქალების როლს მექისეები ასრულებენო! და აი ამაზე წუხდა, ოღონდაც, რომ საწყენი ქართველის თავმოყვარეობისათვის.

ტრაპიზონის მოსახლეობის შემადგენლობასაც ასახელებს საერთო რიცხვი აქ მაცხოვრებელთა 100 000 შეადგენს, ხოლო აქედან 7000 ბერძნებს და 6000 სომხებს ასახელებს და შემდგომ ლაზებს.

ტრაპიზონის, როგორც სატრანზიტო ქალაქის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ევროპიდან შემოსული საქონელი ამ გზით არზრუმისაკენ მიდის, აგრეთვე აქედანვე შემოდის საქონელი სტამბულიდან ევროპისაკენ გასაგზავნად. ასეთთა რიცხვს შეადგენს თუთუნი, ტყავეულობა, კვერცი და სხვა.



აღწერს ტრაპიზონის ისტორიას „როგორც ვიცით, მე-XII საუკუნეში ტრაპიზონის იმპერიის დედა-ქალაქი ტრაპიზონი იყო“, ამხვილებს ყურადღებას თამარ მეფის მეფობის ოქროს ხანაზე და მისი გავლენის სფეროებზე, იმდროინდელი საქართველოსთვის. აგრძელებს და მიყვება თხრობას, „ქართველების პრეტენზია ამ ქალაქზე ამითღა თავდება და აგრეთვე იმით, რომ აქ გვიმარხია იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მე-II-ე. (1772-1815წწ) სოლომონ მეფე საქართველოდან რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისაგან დევნილი, რომელსაც თავის ამალით ტრაპიზონის ახლოს ერთს პატარა სოფლისათვის შეუფარებია თავი, და აქ დიდხანს არ გაუვლია, გარდაცვლილა. აქვე ბერძნების წმ. გიორგის ეკლესიაში დაუსაფლავებიათ. თუ დღეის პარალელს გავავლებთ, წმინდა მეფე სოლომონ II-ის საფლავი უკვე აღარ გვაკავშირებს. (2012: 200,) მისი ნეშტი, საქართველოში ჯერ კიდევ, 1990 წელს გადმოასვენეს, წმინდანად შრაცხეს და გელათის მეფეთა სამვალეში დაკრძალეს.

გადმოცემისას ლაზებზე შემდეგს აღწერს, „ერთ დროს ლაზების ქალაქში, ლაზურს ელემენტს დღეს სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ჯერ ეს ერთი, ლაზები ძალიან ცოტანი არიან, და ვინც არიან, ისინიც მხოლოდ წვრილ ვაჭრობას მისდევენ. თავს სრულებით დაჩაგრულებად გრძნობენ, სუფრის ბოლოს გდებულები. ეს უქნია ოსმალეთის იმპერიალიზმს, რომელიც თვინიერ ოსმალებისა, სხვა ეროვნებას არა ჰგუობს. თქვენ წარმოიდგინეთ, ლაზები ჰმალავენ კიდევ თავის ვინაობას, ლაზობა და ლაზური ლაპარაკი ერცხვინებათ. ინტელიგენტი მათ შორის იშვიათი მოვლენაა. ჩემს იქ ყოფნაში ერთადერთ ლაზს შევხვდი, ვეტერინარს. ამასღა ჰქონდა შეგნება, რომ ის ქართველის ჩამომავლობისა იყო, რომ ქართველთა ისტორია იმავე ლაზების ისტორია იყო. ჩვენ აზრს ერთმანეთს ფრანგულის საშუალებით ვაგებინებთ. მთხოვა მიმეცა მისამართი ისეთი დაწესებულებისა, საიდანაც შესძლებოდა გამოეწერა წიგნები ჩვენის ძველის ცხოვრების შესახებ. „წერა-კითხვის საზოგადოებაზე“ მივუთითე და კიდევაც გამოეწერა, ფრანგულ ენაზე, რაც რამ მოგვეპოვებოდა მის გამოსაყენებლად.

ტრაპიზონში დაბინავების შემდგომ „მეორე დღესვე იცოდა მთელმა ქალაქმა ჩემი იქ ჩასვლისა და დაბინავების შესახებ. ამჯერად თედოს სადაურობის (სომხობის), ამბავი უნდა გარკვეულიყო, ამბობს „ერთს მშვენიერ დღეს კაცი მოვიდა სასტუმროში: ვალის (გუბერნატორის) კანცელარიაში გთხოვენ, ფრანგული ენის თარჯიმნის საშუალებით გამომკითხეს ვინაობა, სადაურობა, მიზეზი ტრაპიზონში დაბინავებისა. რამდენადაც შევძელი, დავარწმუნე, რომ განზრახვანი ჩემნი ოსმალეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის მიმართ სრულებით მშვიდობისმოყვარული ხასიათისა იყვნენ, რომ სულით და გულით ვნატრობ მის აღორძინებას და რითაც შეემძლება, მზადა ვარ ხელი შევუწყო მის პოპულარიზაციას და განმტკიცებას-მეთქი. ამ თარჯიმანს შემდეგ დამალაპარაკეს მეგრულად ერთ ლაზ ქითაჩბისთან ან ჩვენებურათ კანცელარიის მოხელესთან და ამან ჩემს ორატორობაზე უკეთესად დაამშვიდა ყველანი. ესეც რიზეში სომხად შეცნობილი თედოს ისტორია. ამის შემდგომ აღნიშნავს, „ჩემი ნაცნობი გავლენიანი პირებიც ჩაერივნენ საქმეში და ტრაპიზონის ხელისუფლების წარმომადგენელი და მე თითქმის მეგობრებად დავემორდი ერთმანეთს“.

თედო სახოკია ტრაპიზონში ქართველ კათოლიკე ბერების მონასტერში ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი, სანამ მოახერხებდა საზღვარგარეთ მარსელში გამგზავრებას. იქიდან კი ბრიუსელში. „კიდევ კარგი ბინა უსასყიდლოდ მაქვს: ქართველ კათოლიკე ბერების მონასტერს შევაფარე თავი, აქ გავიცანი ფაღავა პოლიციაში გუბერნატორის თანაშემწედ, მეტად კარგი კაცი აღმოჩნდა გაეხარდა ჩემი ნახვა,... ის დამპირდა ბილეთის აღებას და ხვალ გავემგზავრები გემით საფრანგეთში“, ამავე წერილში აიძვედებს მეუღლეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მოახერხებს ისიც მასთან ჩასვლას, „აბა შენ იცი ჩემო კარგო, რომ დაიტანჯე მაგრამ ცოტაც მოვითმინოთ. ღმერთი მოწყალეა რაკი ცოცხალი გახლავარ, გადავრჩი იმ დასაქცევ ქვეყანას იმედია, აწი არა მიშავს რა“, მოიკითხავს შვილებს იმედით, რომ შეძლებს მალე მათ ნახვას. ამხვილებს ყურადღებას პასპორტზეც, - გამოუგზავნოს საფრანგეთში გადაღებული სურათი, რომელსაც ფრანგულად აწერია სახელი და გვარი, „რათა ამ სურათმა პასპორტის მაგივრობა გაუწიოს“. (სახოკიას ფონდი: N 73: N776).

ტრაპიზონში იმედით ჩამოსულს გაუცრუვდა იმედი, რაიმე სამუშაოთი დაკავებისა უშედეგო აღმოჩნდა, „ჩემს აქ ფეხისმოკიდებას ვერაფერი ეშველა... რაიმე საქმის შოვნა და არსებობისათვის წყაროს გაჩენა ყოვლად შეუძლებელია; ევროპულ ენების ცოდნაც ვერაფერსა შველის კაცს. მაშასადამე ფუჭი იყო ოცნება სამშობლოდან ოჯახობის დაბარებაზე. სხვა გზა არ იყო, ისევ დასავლეთ ევროპას მივაპყარ თვალი,.. (სახოკია,2012:2020) „ერთი ამოდ, შემრჩა-ღა საქართველოდან ლტოლვილი იმერეთის მეფის სოლომონის საფლავის ქვის დათვალიერება. (სახოკია 1969: 240) ტრაპიზონიდან სტამბულში ორი კვირა ჩერდება. „აქაც ჩავუსწარი გალათაში მოედანზე გამართულ სახრჩობელებს და ზედ დაკიდებულს ახალგაზრდა რესპუბლიკის ორგულებს... აქაც ვეძიე ბედი, მაგრამ, რადგან აქაც

მწელი საპოვნელი შემექმნა, სამუდამოდ გამოვეთხოვე ოსმალეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას და მის სატახტო ქალაქს... სალონიკთან ახლოს ვნახე სახლი, სადაც დაემწყვდიათ ადამიანის სისხლით გაუმაძღარი, აღმოსავლეთის დესპოტის ნამდვილი წარმომადგენელი, რისხვა და თავზარდამცემი მთელის ოსმალეთის ისტორიისა - აბდულა ჰამიდი, კაცი, რომლის წინაშე შიშითა ძრწოდა მთელი 20 მილიონი ხალხი ესოდენ საუკუნეთა განმავლობაში... თავისი თვალთ დაინახა თავისი ტახტის დამსხვრევა, დაინახა გაბატონება ხალხისა, რომელიც, მისი აზრით, მისი ფერხთა მტვერი უნდა ყოფილიყო.." (სახოკია 2012: 202-203).

სტამბულიდან - მარსელი - პარიზი - ბრიუსელი. (ბელგიის დედაქალაქში დაიდო ემიგრანტული ბინა, თედო, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, ბელგიის მთავრობის კანონის ძალით, რუსეთის მთავრობის მხრიდან ხელუხლებელი იყო.

ემიგრაციაში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, ბედის მამებარი თედო სახოკიას ისტორია, რომელიც მცირე ხნით, დაუკავშირდა, საქართველოს მეზობელ თურქეთს; - ახლადდაარსებულ ოსმალეთის რესპუბლიკას.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს თედო სახოკია ცდილობდა გაეცნო და დაახლოებოდა მეცნიერების, ლიტერატურისა თუ სხვა დარგის ცნობილ და გავლენიან პიროვნებებს, გაეცნო მათი მუშაობა. „ვეცილობდი გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხის გაჭირვება, მისი პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ამ დამონავებულ მდგომარეობისაგან თავის ხსნისათვის. ყოველი მათგანის თუნდ უბრალო თანაგრძნობის სიტყვა მალამოდ ეხებოდა ქართველის დაკოდის გულს და შიგ იმედს უსახავდა, რომ პოპულარული გახდებოდა სახელი საქართველოსი, მის სვე-ბედის თანაგრძნობთა რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა და შეიქმნებოდა ერთგვარი მიმდინარეობა აზრისა, ამალეობდა ერთგვარი ხმა უკმაყოფილებისა და პროტესტისა, რომლისათვის ანგარიში უნდა გაეწია რუსეთის მთავრობას“.

თედო სახოკიას ემიგრაციიდან დაბრუნებულს, საქართველოში ხელახლა საზოგადოებრივ ფერხულში ჩასაბმელად საუშაო და სახსარი სჭირდებოდა, მას კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა ტრაპიზონში მუშაობისა, რომელიც კიდევ ერთხელ დააკავშირებდა, წლების წინ გავლილ ნაცნობ ადგილებს. თედო სახოკიას ამ მუშაობის შესახებ ცნობებს მხოლოდ პირად წერილებში ვხვდებით, მიწერილს მეუღლის ნადე კეკელიასადმი. წერილიდან ირკვევა: „1916 წლის 6 სექტემბერი, ამბოხს; - მემლეეთენ ადგილას (ქალაქთა კავშირი) ტრაპიზონში, თვეში 300 მანეთი ყოველივე მზამზარეულზე მე მგონი იქითა კვირას მომიწევს წასვლა“, აქ არ საუბრობს რა სახის სამუშაოს შესრულება მოუწევდა მაგრამ წერილიდან შეიძლება გავარკვიოთ, ეს სახელმწიფო სამსახურთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ხოლო იმავე წლის 26 სექტემბრის წერილში კი აუწყებს; - „ქუთაისში ნახევარი დღე დავრჩი: მეორე დღეს ბათუმში წავედი, პარასკევს საღამოს ტფილისში დავბრუნდი. ტრაპიზონის რაინას უფროსმა გენერალმა, რომელიც აქეთაა არამცთუ ნებართვა უნდა მომცეს, არამედ ადგილიც. ამის ცდაში ვარ მე მგონი ერთი კვირა მოუწდება ამის გამორკვევას“. გამომდინარე წერილიდან აშკარაა, სამუშაოს საძებნელად ყველა ღონეს ხმარობს ჰქონდეს, რაც შეიძლება მაღალანაზღაურებადი, სამსახური, რათა თავისუფლად შეძლებოდა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენა, განსაკუთრებულად მეუღლის, რომელიც უკურნებელი სენით (ჰლექით) ავადმყოფი ჰყავდა, მისი მდგომარეობა მძიმე იყო.

თედო სახოკიას ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, ირკვევა ნადე კეკელიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად დამძიმდა, თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები თავის მშობლიურ მარტვილის სოფელში ბანძაში გაატარა და იქვე დაკრძალული. საინტერესოა მისი ავადმყოფობაც, საზოგადოების ინტერესს მოკლებული არ ყოფილა, მას სანუგეშო წერილით ამხნევენს წმინდა ბერი ალექსი შუშანია. გარდაცვლილს (1918 წ) ასევე გამოასათხოვარი სიტყვა უძღვნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა წმინდა ამბროსი ხელაიამ.

თედო სახოკია ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, მიუხედავად მისი ესოდენ მძიმე პირადი ოჯახური ცხოვრებისა, აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1916 წლიდან იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში აქტიურად ჩართული და საკათოლიკოსო საბჭოს წევრი. ქართული ეროვნული ღირსების სარწმუნოების დაცვისთვის აქტიური მებრძოლი, ათეიზმის პერიოდში „მამული, ენა, სარწმუნოების“ – წმინდა ილია მართლის ფორმულირებაში ჩადებული იდეის მატარებელი. წლების მანძილზე 1924 წლამდე, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, ხოლო შემდგომ სიცოცხლის ბოლომდე (1956 წ) სამეცნიერო, ლიტერატურულ, საგამომცემლო, თუ სხვა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე თედო სახოკიას მიერ ემიგრაციაში გატარებული წლები, აღსანიშნავია, იმით, რომ წლების მანძილზე შეინარჩუნა უტეხი სული და საარაკო გამძლეობა, სამშობლოსა და ოჯახს მონატრებულს გაეტარებინა 12 წელი ემიგრაციაში.

ამრიგად, თედო სახოკიამ ემიგრაციის წლების კვალდაკვალ, მიუხედავად დროის იმ მცირე პერიოდისა, რა დროც დაჰყო ახლადდაარსებულ ოსმალეთის რესპუბლიკაში, მოვლენები, აღწერილი პირადი ცხოვრების ისტორიის პარალელურად, ძალიან საინტერესო და აღნიშვნის ღირსია.

**ლიტერატურა:**

1. სახოკია თედო, კრებული. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969.
2. სახოკია თედო, ციმბირში მოგონებანი, 1905 წლის რევოლუციის დროიდან ლიტერატურის მუზეუმში. თბილისი, 2012.
3. კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; თედო სახოკიას ფონდი N73.
4. სახოკია თედო, მოგონებათა ფურცელი - ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1969.

***Latavra Bukia***

*Aviation University of Georgia*

**FOR THE PERSONALITY OF TEDO SAKHOKIA – TURKEY IN THE FOOTSTEPS OF  
EMIGRATION YEARS**

**ABSTRACT**

Tedo Sakhokia a historian, lived and worked at the end of the XIX and the first half the XX centuries. His contribution in the Georgian historiography is invaluable. For his struggle against imperialistic. Tedo Sakhokia was arrested, repressive and exile. He lived in emigration twice in 1900-1905 and 1900-1916. Belgium, France, England.

The work presents Tedo Sakhokia's immigration to the end of its existence. The focus is on the period of time spent in the newly-populated Ottoman republics, hoping to escape from life imprisonment (Siberia) in close proximity to Georgia. Because of the current situation, the emigrant's apartment is forced to go to Europe.

While staying in emigration Tedo Sakhokia, carried on his educational and scientific activities. In France he took active part in importing to Georgia and spreading weapon and illegally printed paper “Georgia”. He also collaborated with Archil Jorjadze, Giorgi Laskishvily and others. In Italy-with Michael Tamarashvily, and Oliver and Marjory Wordrop - in England.

In 1916 Tedo Sakhokia returned to his homeland and started public activities. From 1924 till the end of life he spend his time on literary.

**კლარა გელაშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ლიტერატურული დისკურსის დეფინიციისთვის**

XX საუკუნის 90-იანი წლები უმნიშვნელოვანესი ეტაპია ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პროცესში. ეს არის ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი გენეზისის, მისი მიზნებისა და ორიენტაციების ფორმირების საწყისი ეტაპი, სადაც დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის ტენდენციები ჩამოყალიბდა. ეს იყო მიძინებული ეროვნული ცნობიერების აღდგენისაკენ სწრაფვა. ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო „რკინის ფარდის“ რღვევას, სოცრეალიზმში გაბატონებული იდეოლოგიური კურსის უკუქცევადი პროცესების განვითარებას, სადაც პროპაგანდის შემაფერხებელმა ლოგიკიამ, დიდი გავლენა მოახდინა

ლიტერატურულ-კულტურული პროცესების განვითარებაზე. ამგვარად, გარე ფაქტორებმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა ქართული ლიტერატურის ევოლუციაში. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ აისახა პოლიტიკური პროცესების განვითარების ფონზე შექმნილი ეროვნული ტრაგედიის სურათი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ზემოაღნიშნულის ასახვას წინ უძღოდა პოლიტიკური კურსი, რომელმაც სათავე ეროვნული მოძრაობიდან აიღო და რომლის ღერძი იყო ანტისაბჭოთა მოძრაობა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით. ამ პერიოდმა მთელი ეპოქა შექმნა ეროვნული იდეის რეალიზაციისთვის ბრძოლის ისტორიაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას ხელი შეუწყო ზ. გამსახურდიას რედაქტორობით გამომავალმა გამოცემებმა: „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“, „საღვთისმეტყველო კრებული“. ეს იყო ეროვნული თვითშემეცნების გაღვივების საწყისი პროცესი.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ფუნდამენტური პოლიტიკური მოთხოვნა, რომელიც 1988 წლის 12 ნოემბრის მრავალათასიან მანიფესტაციაზე დაფიქსირდა, იყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა. სულ მოკლე პერიოდში გაცხადდა „ლიხნის წერილის“ შინაარსი, რამაც ეროვნული ძალების დიდი რეაქცია გამოიწვია. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან თავს იჩენს აფხაზეთის პრობლემა.

პოლიტიკური, სოციალური და კულტურული წნეხით გამოწვეულმა პროტესტმა კულმინაციას 1989 წლის 9 აპრილს მიაღწია. ამავდროულად აქტუალური გახდა ოსური სეპარატიზმიც.

უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლთმეწირვა, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილის სტატუსით თავმჯდომარეებულ ადამიანთა ხვედრი, ტრაგედიის თავიდან აცილების გზები თუ გარდაუვალი პროცესები დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და განსხვავებულად წარმოჩინდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (და არა მარტო ლიტერატურაში!). მისი შესწავლა და ობიექტური ანალიზი საინტერესოს ხდის თემას, რომელიც დღემდე სწორედ ამავე მიზეზითაა აქტუალური.

90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ სივრცეში. სამოქალაქო ომმა, რომელიც ფაქტობრივად კარგად შენიღბულ რუსეთ-საქართველოს ომს წარმოადგენდა, დაზარალებული დატოვა ყველა - მონაწილე, დაღუპული, უგზოუკვლოდ დაკარგული თუ სიტუაციის რეალურად აღმქმელი.

მწერლობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. სულიერმა წნეხმა და ტრაგიკულმა შედეგმა ასახვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც კოლონიალური სივრცის იდეოლოგიური წნეხიდან მიმდინარე პროცესების ფონზე სხვა განზომილებაში აღმოჩნდა. ისტორიის ამ მონაკვეთმა, რომელმაც ეროვნული დეპრესია გამოიწვია, სხვადასხვაგვარი შეხედულებებით დატვირთული ლიტერატურა შემოგვთავაზა.

ლიტერატურა, როგორც ზედნაშენური კატეგორია, მკაფიოდ ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიული ხასიათის მოვლენებს. თავის მხრივ ისტორიულ მოვლენათა განვითარება განაპირობებს ლიტერატურის განვითარების გზასაც. მაგრამ ლიტერატურის სპეციფიკური ბუნება ის არის, რომ მასში სხვადასხვაგვარი მიდგომითაა ასახული ეპოქის რეალური სურათი, მოვლენები და ფაქტები. ომის თემატიკის ლიტერატურამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებაში. მწერლობის წინაშე მრავალი ისეთი ახალი საკითხი დადგა, რომელიც დაუყონებლივ მოითხოვდა პასუხის გაცემას. პარტიული იდეოლოგიიდან გათავისუფლებამ ხელი შეუწყო ისეთი ლიტერატურის შექმნას, სადაც საზოგადოების პრობლემები დაუფარავად იქნებოდა წარმოჩენილი.

საინტერესოა, როგორ შეფასდა და რა კუთხით წარმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობა, თბილისში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენები.

ნაირა გელაშვილის რომანი, „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, თავისთავად მიგვანიშნებს „მთავარ“ და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. რომანი მოთხრობათა ერთი ციკლია, სადაც ნარატორი, ფოკალიზატორი და აქტორი ერთმანეთს იმდენად ემთხვევიან, რომ ძნელია ერთმანეთისგან გამიჯვნა. ტექსტი, მთლიანად, მნიშვნელოვანი ისტორიაა, რომელშიც მთხრობელი თანამონაწილეა წიგნში გადმოცემული მოვლენებისა. იმ სუბიექტურ მოსაზრებებს კი, რომელიც მას აღნიშნული საკითხისადმი გააჩნია, სხვადასხვა მთხრობელის პირით ახმოვანებს.

რომანში გადმოცემულია მესამე თვალთ დანახული ქართული ხასიათი, ველიჩკოს შეფასება ჩვენს შესახებ ასეთია: „ქართველების უცნაური აგზნებულება, თეატრალურობა + ბინარული აზროვნება + სიზარმაცე + ცუდი განათლება შანსს არ დაუტოვებს მავან სერიოზულ სახელმწიფო მოღვაწეს (ასეთი კიდეც რომ გამოჩნდეს), გადადგას ნამდვილად საჭირო ნაბიჯები, გააგებინოს ხალხს, რომ გადარჩენა განათლებაში, ცოდნაში, შრომაში, წესიერებასა და აზროვნებაშია და არა „ვერბალურ ბუნტში“, ყოყობასა და უზარმაზარ სახელმწიფოებთან ავადმყოფურ დაპირისპირებაში“ [გელაშვილი, 2009: 763]

გარდა ამისა, რომანი ეძღვნება კიდეც ერთ მნიშვნელოვან თემას, რომელიც დღეს ტოტალურად ბატონობს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საზოგადოებას განათლება რეალურად არ სჭირდება, განათლებული ადამიანი კი ხშირ შემთხვევაში დაცინვის ობიექტი ხდება: “პრობლემა, რომელიც ლაიტმოტივის სახით არის რომანში და სტრუქტურულად განსაზღვრავს მას, ესაა შემეცნების წყურვილის ძალიან, სასოწარმკვეთად დაბალი დონე საქართველოში, როცა ცოდნის სიყვარული უკვე აღარ იგრძნობა და შემეცნების წყურვილი, თვითონ სამყაროს შემეცნების წყურვილი დასულია იმდენად ნულს ქვემოთ, რომ პერსპექტივა არ ჩანს”.

ნაირა გელაშვილის მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, პოზიცია და წინასწარმეტყველური შიში იმისა, რომ „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთის გარდა სხვა ნაწილებიც არ დაგვეკარგოს. გასაგებია საშიშროება, რომ ჩვენი კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სრულ დაცემას, ჩვენი ტერიტორიების სხვა დიდ მეზობლებზე გადანაწილება გამოიწვევს, რისი ალბათობაც ძალიან დიდია, რადგან ამ ფაზაში ჩვენ უკვე შევავიჯეთ... 9 აპრილის შემდგომ ისევ აქტუალურია თემა, ერეკლე II-ის გადაწყვეტილების შესახებ: „მთელი ცხოვრება თავს ვიმტვრევდი, მაინც რატომ შეუერთა ერეკლე მეორემ საქართველო რუსეთს, ჩვენზე მეტი პატრიოტი იყო, სხვა თუ არაფერი, კაცი ასი ჭრილობით ჩავიდა მიწაში-მეთქი, და ახლა მივხვდი: გარეშე მტრების კი არა, არამედ ქართველების შიშით გააკეთა ეს, რომ ქართველებს ერთმანეთი, ანუ საკუთარი თავი არ ამოეწყვიტათ!“ [გელაშვილი, 2009:764]

წიგნში გადმოსაცემი მასალა გადანაწილებულია თარგმანის ცენტრის თანამშრომლებზე. 9 აპრილის მოვლენებისადმი, თბილისის, სამაჩაბლოსი და აფხაზეთის ომებისადმი სუბიექტური აზრის გადმოსაცემად, ნარატორი სხვადასხვა მხატვრულ ხერხს მიმართავს.

საზოგადოება, რომელმაც ბავშვები საკუთარი ხელით ჩაუსხა ურჩხულს ხახაში, მხოლოდ მოკლულებისა და მკვლელებისაგან არ შედგებოდა. მთელი პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს მიტინგის ორგანიზატორებზე.

ყველაზე უსუსური ადამიანები ენდნენ მათ გვერდით მდგარ ცნობილ პიროვნებებს. სწორედ მათ არ უნდა დავიწყებოდით 1956 წლის 9 მარტი!

მომიტინგეებს ემატებოდნენ მშობლები, ახლობლები. რაც უფრო იზრდებოდა წრე, მით უფრო ვიწროვდებოდა და ქრებოდა განცდა საშიშროებისა.

ხელისუფლების მიერ დანახულ რეალურ საფრთხეს თვალს და ყურს არიდებენ მიტინგის ორგანიზატორები, რადგან კულმინაციამდე სულ რაღაც ორი ნაბიჯია დარჩენილი... დაე, ყოფილიყო დაცემა, რბევა, ოღონდ არა ნებაყოფლობითი დაჩოქება. ერთი სისხლი იყო, მეორე ცრემლი-ვერმიულწველობისა. პირველს ფიზიკური შანსი ეკარგებოდა. მეორეს - ეძლეოდა განმეორებითი ცდისა, მაგრამ დროს მეტი ფასი დაედო, ვიდრე ადამიანებს... „იქ მოზღვავებული ხალხისთვის ყველაზე მეტი ავტორიტეტი ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ჰქონდათ. ამიტომ მხოლოდ მათ სიტყვას დაუჯერებდნენ.. ეს უნდა ყოფილიყო მიტინგის დაშლის კატეგორიული მოთხოვნა და არა ფორმალური მზრუნველობის გამოხატულება, თუ გინდათ ქალები და ბავშვები შინ წაბრძანდითო, ორფოჭულად რომ შესთავაზა წინა დღეებში გამსახურდიამ“ [გელაშვილი, 2009:429] როდესაც საბედისწერო წუთის წინ პატრიარქი საერო წინამძღოლს სთხოვს, მოუწოდოს ხალხს დაშლისაკენ, რადგან სხვა გზაც არსებობსო, მოღალატედ გამომაცხადებენო და, მისგან პასუხად უარი მიიღო... (მას რომ სცოდნოდა, ისტორიულ ჭრილში მავანთაგან მაინც ასე მოინათლებოდა, იქნებ დაზოგილიყო სისხლი... კ.გ) მომიტინგეთათვის ბელადის აზრი ცნობილია. ახლა პატრიარქი მიდის მათთან და საშიშროების შესახებ საუბრობს. მოუწოდებს უბედურების ასაცილებლად ეკლესიას მიაშურონ, მაგრამ... მოძღვარი მარცხს განიცდის, რადგან ცხადია, ეკლესია და პატრიარქი ხალხისთვის აღარ არსებობს..სამკაულივითაა- საჭიროებისამებრ მოიხსნის ან, გაიკეთებს. პირველმა „არა“-მ გადაუარა მასას და პატრიარქის ხელიდან წაგლეჯილ მიკროფონში ი. წერეთელმა „მამაო ჩვენო“ წამოიწყო... აპრილის ტრაგიკული ღამის მოვლენათა ანალიზისას მწერალი არა მარტო გამსახურდიას, არამედ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებსაც არ ინდობს.

ქვეცნობიერში არსებულმა სისხლის კულტმა, რომელიც ინტელიგენციის დიდ ნაწილში იყო გაბატონებული, „ვიდრე სისხლი არ დაიღვრება“-მ, დიდად შეუწყო ხელი ლიდერთა მხრიდან სისხლზე გათვლილ სპეკულაციას. თუ სისხლი და მსხვერპლი ასეთ უნივერსალურ მისიას კისრულობს, ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ, ბევრად უფრო მძლავრად დავეციოთ, ვიდრე მანამდე?! განიწმინდება ის, ვინც საკუთარ ცოდვებს აცნობიერებს, სინანულს განიცდის და გარდაქმნას ახერხებს. „...შრომა და აზროვნება რომ ეზარებათ, გამოიგონეს უნივერსალური წამალი-სისხლი! და მხსნელი-მესია!“ [გელაშვილი, 2009:433]

1. ქუურჩქილი, ბაბაკოჩი **რაგადანს** “უსმინე, უფროსი კაცი ლაპარაკობს”; 2. ირდას თის **ურაგადუქ** “ყოველდღე მას ველაპარაკები”; 3. **აკირაგადელს** ჯიმალენქ “მოილაპარაკეს ძმებმა”; 4. **აკარაგადანს** უბადოს “ცუდს მიადევნებს უკან”; 5. უჩა ხენწიფე ვადგანებენსი **გიორაგადესგ** “შავი ხელმწიფე არ დაგანებებსო,—ზედ დაალაპარაკეს”; 6. მუს რე **გილარაგადანს?** “რასაა, რომ დალაპარაკობს?”; 7. მუმაქ **კინარაგადუუ** ათე კუბეცის “მამამ უკან მიალა პარაკა ამ ვაჭარს”; 8. ლეჯეფი ონჯუას **მირაგადუნა** “ღორები საღამოს მოილაპარაკებენ”; 9. ბოში, მუს რე **მირაგადუქ?** “ბიჭო, რასაა რომ მელაპარაკები?”; 10. ირფელი **ვერაგადე** “ყველაფერი არ ითქმის”; 11. **გორაგადეს** ართიანწკალა “გაისაუბრეს ერთმანეთში” (ქაჯაია II, 507-508).

**რაგადანს** ზმნას მომავლის ფორმა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში მას ენაცვლება **თქუნს** “იტყვის”, **უწინს** “ეტყვის” და **იტყუ(ნ)**. ეს უკანასკნელი მარტვილურ-ბანძურ მეტყველებაში გვხვდება და სწორედ ამიტომ აქვს შეტანილი თავის “მეგრულ-ქართულ ლექსიკონში” ო. ქაჯაიას. **ვიტყუუქ//იტყუუქ** “ვიტყვი” ფორმების გამოყენება მეგრულის სხვა კილოკავებში საეჭვოა.

ერთ სემანტიკურ ველში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი ზმნები:

**ბარდალანს** “უთავბოლოდ, დაბნეული ლაპარაკობს”, **ბობოხანს** “ბუხბუხებს, ტრაბახობს”, **ბარდ-ღალანს** “როშავს, ლაყბობს”, **ბურდინუნს** “ბოდილობს, ბოდავს”, **ბურდდინუნს** “ბურდდუნებს”, **პურტყინუნს** “პურტყუნებს, პუტპუტებს”, **ბურტყინუნს** “დაბალი ხმით ლაპარაკობს, ბურტყუნებს”, **ბურხინუნს** “რიხით ლაპარაკობს”, **ბურდინუნს** “ბურდდუნებს, დუდდუნებს, ბოდავს”, **ბუყინუნს** “ბლუყუნებს”, **გილარაქვალანს** “ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს”, **დადღალანს//დადღალანს** “ჯაჯღ-ღანებს”, **დვარდვალანს** “როშავს, ყველაფერს ამბობს, რაც ენაზე მოადგება”, **დირდინუნს** “დუდუნებს, დაბალ ხმაზე გაურკვევლად ლაპარაკობს”, **გედუდინუნს** “გაურკვევლად ლაპარაკობს”, **დღურდინუნს** “თავისთვის რაღაცას ბურტყუნებს”, **თირთინუნს** “დუდუნებს, ჩქარა გაურკვევლად ლაპარაკობს, ბუბუნებს”, **თირთხინუნს**, **თხირთხინუნს**, **თხვანთხვალანს**, **ტყვანტყვალანს**, **თხუმინუნს** “ცხვირში ლაპარაკობს, თხიპინებს”, **კავალანს** “ხმამაღლა ლაპარაკობს”, **კვაკვალანს**, **გეკვაკვალანს** “როშავს, მთელი დღე ლაპარაკობს, მიშაპრენტანს” “სისულელეს ამბობს”, **მიშარაგადანს** “ჩაალაპარაკებს”, **პანტალანს** “პრუტუნებს, სისულელეს ბოდავს”, **პაჭკვალანს** “ჩიფჩიპებს”, **პუტინუნს** “პუტუნებს, ჩუმად ლაპარაკობს, ჩურჩულებს”, **რანტალანს**, **რანგვალანს**, **რანგალანს** “უჭკუოდ, უშნოდ ლაპარაკობს, როტავს”, **ფურცინუნს**, **ფურსინუნს** “ენამოჩლექით ლაპარაკობს, ჩიფჩიფებს”, **ფურცქინუნს//ფუცქინუნს** “ჩურჩულებს”, **ქადაგენს**

“ქადაგებს, ბევრს ლაპარაკობს”, **ღაბაჩანს** “მხიარულად ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს”, **ღანდაღანს** “უღონოდ, უძლურად ლაპარაკობს”, **ღარჩაღანს**, **ღვარჩაღანს** “სასიამოვნოდ ლაპარაკობს, ჟღერტულებს”, **ყვაყვალანს** “წვრილი ხმით ლაპარაკობს, წკაწკავებს, ყიყინებს”, **ყირყინუნს** “ყროყინა ლაპარაკი”, **ყვაბალანს** “როშავს”, **ჩვაგალანს**, **ჩქვაფალანს**, **ჯვაბალანს**, **ჯვატალანს** “უაზროდ, სულელურად ლაპარაკობს”, **წკვანტალანს** “წიკვინებს”, **წკვაპალანს//წკვაპალანს//წყვაპალანს** “უაზროდ ჩიფჩიფებს (უკბილოს ლაპარაკი)”, **წკუფინუნს** “წვრილ ხმაზე ლაპარაკობს, წივის”, **წკაპალანს** “წრიპინებს”, **წყირწყინუნს** “წიკვინებს”, **ჭკვარჭკვალანს** “ზავმვივით ლაპარაკობს”, **ჭყარჭყალანს**, **ჭყირჭყინუნს** “ჭიჭყინებს”, **ხაფალანს** “სასიამოვნოდ ლაპარაკობს”, **ხვასქალანს** “უაზროდ ლაპარაკობს”, **ხვაპალანს** “ბოხ ხმაზე სასიამოვნოდ საუბრობს”, **ხუფინუნს** “მხიარულად ლაპარაკობს”, **ჯარღალანს** “ხმაურით ლაპარაკობს”, **ჯაჯღალანს** “ჯაჯღანებს”...

უმეტესობა ამ ზმნებისა ხმაბამეითია. ისინი ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში. მაგალითად:

ლაპარაკის სხვადასხვა მანერის გადმოსაცემად მეგრულში ფრაზეოლოგიზმებიც ბევრი გვხვდება, ქართულის “**ენას ატლიკინებს**” ტიპისა: **ნინას უდარდალუნს** „ენას უდარდალებს, ყბედობს, მოსაბეზრებლად ლაპარაკობს“, **ნინას უდარდალუნს** „ბევრს ლაპარაკობს, ხმამაღლა მოსაბეზრებლად ლაპარაკობს“, **ნინას უდარდალუნს** „უადგილოდ, უთავბოლოდ ლაპარაკობს“, **ნინას უტარკალუნს** „ენას ატლიკინებს“, **ნინას ულაბამუნს** “ყბედობს”, **ნინას ურსხაპალუნს** “ჩქარა ლაპარაკობს” და სხვ.

მოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ უმეტესობა ამ ზმნებისა ან აქტივის ფორმისაა, რადგან სემანტიკურად სუბიექტის რეალურ მოქმედებას გადმოსცემენ. ისინი მოქმედებითი გვარისაა (რელატიური, ორპირიანი), ან საშუალო-მოქმედებითებია (აბსოლუტური), თუმცა ეს დაყოფაც ზოგჯერ პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ფორმას კონტექსტის მიხედვით ეცვლება პირიანობის გაგება. მაგ.: მუდგასიე **ბურდღინუნს**, ვეგმაგინუ, მუ ოკონი “რადაცას **ბურდღუნებს**, ვერ გავიგე, რა უნდა“ (ბურდღინუნ-ს თინა თის “ბურგღუნებს ის მას”); თუნთიშორო ბურდღინუნს “დათვივით **ბურდღუნებს**“ (ბურდღინუნს თინა “ბურდღუნებს ის”); მნიშვნელობის სხვაობას განაპირობებს სუბიექტის (წინადადებაში - ქვემდებარის) კატეგორია : ადამიანთა და არაადამიანთა. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, თუ სუბიექტი (ქვემდებარე) ადამიანთა კატეგორიისაა, ამ ზმნებს პირიანობის გაგება ემატება და პირიქით.

მეტყველების, ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნების სუბიექტი უდავოდ აქტიურია, მაგრამ აქტივისა და მედიუმის ფორმებს შორის შეგვხვდა პასივის ფორმებიც. ქართულში ასეთის გამჭვირვალე მაგალითებია ზმნები **ელაპარაკება** და **ეუბნება**.

**იჩიებუ(ნ)** ზმნა დეპონენსია **ი-უ** ყალიბისა (**ი-ჩიებ-უ**). იწარმოება **ე-უ** ყალიბის ფორმაც: **ე-ჩიებ-უ** “ელაპარაკება, უყვება”. **ი-ჩიებ-უ** და **ე-ჩიებ-უ** ფორმები პასივისაა, მაგრამ ორივე გარდამავალია, რადგან პირდაპირ ობიექტს შეიცავს: **იჩიებუ** ორპირიანი ზმნაა (**ი-ჩიებ-უ თინა თის** “ლაპარაკობს ის მას”, **იჩიუ** თიქ თინა “ილაპარაკა მან ის”, **უჩიუ** თის თინა “ულაპარაკია მას ის”....), **ეჩიებუ** სამპირიანია (**ე-ჩიებ-უ თინა თის თის** “ელაპარაკება ის მას მას”, **ეჩიუ** თიქ თის თინა “ელაპარაკა მან მას ის”, **უჩიუ** თის თინა თიმა “ულაპარაკია//უთქვამს მას ის მისთვის”....)

**ი-უ** ყალიბისა დეპონენსებია შემდეგი ზმნებიც:

**ი-ბობოქ-უ-(ნ)** “ხმამაღლა ლაპარაკობს, ბობოქრობს”, **ი-ბობოხ-უ-(ნ)** “ბუხბუხებს”, **ი-ბორჯღიკ-უ-(ნ)** “არეულად ლაპარაკობს”, **ი-ბუდინ-უ-(ნ)** “დუდუნებს, გაურკვეველად ლაპარაკობს” **ი-ბურჭულ-უ-(ნ)** “ლაყბობს”, **ი-ბურხინ-უ-(ნ)** “ბრუხუნებს”, **ი-დვარდვალ-უ-(ნ)** “როშავს” და სხვ.

ზოგი მათგანის პარალელურად გვხვდება აქტივის ფორმებიც: **ი-დურდინ-უ-(ნ)** //**დურდინუნს** “დუდუნებს”, **ი-დღუმინ-უ-(ნ)**//**დღუმინუნს** “დუდუნებს”, **ი-თირთინ-უ-(ნ)**//**თირთინუნს** “დუდუნებს, **ი-ფურხონ-უ-(ნ)** “ტრაბახობს, ფახიფუხობს”, **ი-ღაბაჩ-უ-(ნ)**//**ღაბაჩანს** , **ი-ღარღალ-უ-(ნ)** //**ღარღალანს** “უაზროდ ლაპარაკობს, ყბედობს”, **ი-ჩურჩინ-უ-(ნ)** [/ **ჩურჩინუნს**] “ჩურჩულებს”, **ი-ხვანჯგალ-უ-(ნ)** //**ხვანჯგალანს** “როტავს უაზროდ”, **ი-ხირთინ-უ-(ნ)** “ხმაურით ლაპარაკობს” [/**ხირთინუნს** “ხვრინავს”], **ი-ჭაფალ-უ//ჭაფალანს** “წვრილი ხმით სასიამოვნოდ ელაპარაკება ლაპარაკობს”...

ამ ზმნათა ნაწილს შეუძლია აწრმოოს აწმყოს წრისა და დრო-კილოთა IV ჯგუფის ან მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები.

ლაზურში ლაპარაკის, საუბრის სემანტიკის ზმნებია: **ზოპონ-ს** “ამბობს, იტყვის”, **თქვ-უ**, **ტკ-უ** “თქვა, იტყვის”, **ი-ლაკირდ-უ** “ილაპარაკა, ილაყბა”, **ლაჭ-ამ-ს** (თურქ.) “ლაპარაკობს, საუბრობს”, **პარამით-ამ-ს** (ბერძნ.) “ლაპარაკობს, მეტყველებს”, **ი-სინაფ-ამ-ს** “ლაპარაკობს, იმეტყველებს”, [ოკი(<ოკო-ი)-სინაფ-ამ-ან “მოილაპარაკებენ ერთმანეთში...”], **ღაჭ-ღალ-ამ-ს** “ლაპარაკობს, დარდალებს, ყაყანებს”, **ბარბალ-**

აფ-ს “ბუზუნებს, ხმამალა ლაპარაკობს”, ხაპარ-ამ-ს “ლაპარაკობს”, ბეჯდ-უმ-ს//ბეჯდამს “ჯიჯღინებს, ბუზუნებს, წყრება”, ელუ(>)ილუ(<ელა-უ)-ფურჩ-ოლ-ამ-ს “ჩაუწურჩულეს”, დულუ(<დოლა-უ)-ყუ{რ}-ამ-ს “ჩაჰყვირის”, უწვეუ „უთხრა“...

მეგრულსა და ლაზურში ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნების საერთო ძირებია: თქ//თქვ//ტქვ “თქვა”, წ//წვ და ღარღალ. ღარღალი ზოგადად “ლაპარაკია” ლაზურში, მეგრულში კი – “მოსაბეზრებელი ლაპარაკი”. რაც შეეხება რაგად ძირს, მეგრულში ლაპარაკის აღმნიშვნელი ყველაზე პროდუქტიული ფორმების საფუძველია, ლაზურში კი “რყევას, ზანზარს, ბანცალს, ნგრევას” აღნიშნავს. მაგ., ირფელი ირაგადენ მეგრულად ნიშნავს “ყველაფერი ითქმება-ს”, ლაზურად კი – “ყველაფერი ზანზარებს”; ღარღალ ლაზურში კანკალს ნიშნავს, მეგრულში კი მოსაბეზრებელ ლაპარაკს(ჩიქობავა 2009,264)

#### ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში:

1. მუსით თქუანს მარგალია, ბრელი ვარე მართალია. „მეგრელი რასაც იტყვის, ბევრი მართალი არ არისო” (ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ. 100).
2. ნინას ქარაგადაფე-და, ირფელს თქუანსია. „ენას თუ თქმევინე, ყველაფერს იტყვისო”(ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ. 106).
3. ოხორს ფულუნდესია და სამუარხოს იჩიებუდესია. „სასახლეში მალავენ და სამოახლოში კი ლაპარაკობდნენო”(ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.113).
4. სოდე დიდი ირაგადენი, თექი ჭიჭეთი ითქუენია. „სადაც დიდი ითქმება, იქ პატარას თქმაც შეიძლებაო”(ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.123).
6. ტურა ტყაბარელქ მინორინაფილ კოს უწუა: იმენ ქოგიჯგუქია. „გატყავებულმა ტურამ ჩასიძებულ კაცს უთხრაო: მაინც გჯობივარო”(ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.129).
7. სკაქ ოკო ტუტინას, ოსურქ ოკო რაგადუას. „ფუტკარმა უნდა იტუტინოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს”(ხალხ. სიბრძნ. 1994: გვ.123).
8. ნინას ვუტერკუანქ. „ენას ვატლიკინებ”(ყიფშიძე, 1994: გვ. 532)
9. თი ოსურქ ნინა უპარკალუუ, უპარკალუუ დო ვადომურდუ დღას. (ყიფშიძე, 1994: 501) „იმ ქალმა ენა უტლიკინა, უტლიკინა და საერთოდ არ დაიღალა“.
10. მუს გებუყინუნს ღორონთგიე, მუ ოკო? (ქაჯაია I, 273) „რას ბლუკუნებს, ღმერთმანი, რა უნდა?“.

#### ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები ლაზურში:

1. ამან ოხორის ურუმჩე იპარამითამან (ასათიანი 2012, 18) “მაგრამ შინ ბერძნულად ლაპარაკობენ”.
2. მიწვი დო იშოთე ვიხაპარათ “მითხარი და ისე ვილაპარაკოთ” (მარ. 81).
3. მედგითეს, დაჭკინდუმ-კულ თქვეს: “ოჭ” (ასათიანი 2012, 18) “გაჩერდნენ, რომ დაიღალნენ, თქვეს “ოჭ”“.
4. იღარღალენ. თხორის ბუღარღალ ბერეფეს დულდამ ოხენუმენი (ასათიანი 2012, 24) “ითქმის. შინ ველაპარაკები ბავშვებს საქმის გაკეთებისთვის”.
5. ჩქუ აწურდე ბუწუმერთ, ათინურეფე ბზუჯი (ჩიქობავა 1936, 70) “ჩვენ “აწულეს” ვეძახით, ათინელები “ბზუჯი-ს”.
6. ემუს ბურბალი უწუმელან (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 149) “იმას ბურბალს ეუბნებიან”.
7. მა ბზოპონ, სი ზოპონ, ჰემუქ ზოპონს, ჰამუქ ზოპონს (ასათიანი 2012, 26) “მე ვამბობ, შენ ამბობ, ის ამბობს, ეს ამბობს”.
8. ხოფას ზოპონა ღორონთი...(ასათიანი 2012, 27) “ხოფაში ამბობენ “ღორონთი“-ს...”
9. ჰექ ქოდოხედეს დო ისინაფამან (ასათიანი, 445) „იქ დასხდნენ და ლაპარაკობენ”.
10. ჰადა სი ქომექჩამ, ამმა მცუდი დიდო ისინაფამს (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 10) “ამას შენ მოგცემ, მაგრამ ბევრ ტყუილს ლაპარაკობს”.
11. უკულე მაკრიალურეფექ დუჯოხეს ქი, – ჰამ თილქი, დერეს ნა მიკახთუ, კუდელი დიშუფუ-ი დოქსე ვარ? სარფულეფექ თქვეს ქი, – კუდელი ვა აშუფუ, ხომბულა ტუ-მა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 15) “მერე მაკრიალელებმა დაუძახეს, რომ, – ამ მელას, მდინარეზე რომელიც გადავიდა, კუდი დაუსველდა თუ არა? სარფელებმა უთხრეს, რომ, – კუდი არ დაუსველდა, მშრალი იყო”.
12. აღაქ-თი უწუ ქი, – ქომომილი-ა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 16) “აღამაც უთხრა, რომ, – მომიტანეო”.

ორ. ასათიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს თქვ ძირისგან ნაწარმოები პრევერბიანი ფორმა, ოხო-თქ{ვ}-უ-ნ “ერთმანეთში მოილაპარაკებს, საუბრობს”, უნიშნო ვნებითის 0-უ ყალიბისა, რომელიც დაუფიქსირებია ს. ჟღენტს. (კავე ოშვეს. იპარამითამან მეხელი. ხაჯიქ-თი, ბელიშ ბერექ-თი... ოხოთქუნან (ჟღ. 72) “საყავეში ლაპარაკობენ გახარებულები. ხაჯიც, ბალის ბავშვიც... საუბრობენ” (ჟღ. 72).



როგორც ამოკრებილი მასალიდან ჩანს, ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში გაცილებით მეტია, ვიდრე ლაზურში. დეპონენსები ამ სემანტიკის ზმნებს შორის ლაზურში ნაკლებად გვხვდება, ვიდრე მეგრულში, რადგან ლაზური ძირითად ინარჩუნებს ტრადიციულ ფორმებს.

**სვანურში** ლაპარაკის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნებია: **გარგლი** “ლაპარაკობს, ამბობს”, **ტჷლი** “ამბობს, იმახის” **რაგდი** “ლაპარაკობს, ამბობს”, **ლჷქინე/ლჷქინი** “იტყვის”, **იმბჷლ** “ლაპარაკობს, საუბრობს”... ყველაზე ხშირად მეტყველებაში გვხვდება ზმნები **გარგლი** და **იმბჷლ**.

განსხვავებით მეგრულისაგან სვანურში **გარგლი** ფორმას ეწარმოება სრული პარადიგმატული მოდელი, ოთხივე სერიის ყველა მწკრივის ფორმა, მათ შორის, მყოფადსრული, სვანურისათვის სპეციფიკური მყოფადსრული და III თურმეობითი: **იგრგალნი** “ილაპარაკებს” (მოფად. უსრული) **ლჷფგრგლნი** “ილაპარაკებს” (მოფად. სრული) **ლჷფგრგლე** “ილაპარაკა”, **ლოხგრგლა** “ულაპარაკნია”, **ლემგრგალი** “ნალაპარაკება” (III თურმეობ.).

ერთ სემანტიკურ ველში შეიძლება გავავრთიანოთ შემდეგი ზმნები: **იმბჷლ** “უთავბოლოდ, დაბნეული ლაპარაკობს”, **იფშდილ** ტრაბახობს”, **ფოჷჷე** “ბოდილობს, ბოდავს”, **ბურდღნი** “ბურდღუნებს”, **პურტყნი /პგრტყნი** “პურტყუნებს, პუტპუტებს”, **ბურტყნი** “დაბალი ხმით ლაპარაკობს, ბურტყუნებს”, **დურდღნი**, **დუდღუნებს**, **ბურდღუნებს**, **ბანყრე** “ბლყუნებს”, **ჯურჯღნი/ჯანჯღრე** “ჯაჯღანებს”, **ტგრტნი** “როშავს, ყველაფერს ამბობს, რაც ენაზე მოადგება”, **დანდღრე** “დუდღუნებს, დაბალ ხმაზე გაურკვევლად ლაპარაკობს”, **დგრდღნი** “დუდღუნებს”, **სხერპე** “სხაპასხუპით ლაპარაკობს”, **ტგრტყნი** “ტატყანებს, ჭაჭყანებს”, **პრტყნი** “პრუტუნებს, სისულელეს ბოდავს”, **ტანტყრე** “ტიტყინებს”, **იფუნჷლჷლ** “ჷურჷულებს”, **ბჷპე** “ქადაგებს, ბევრს ლაპარაკობს”, **აკრზე** “სასიამოვნოდ ხმამაღლა ლაპარაკობს”, **რტე** “ხმამაღლა, ჩქარა ლაპარაკობს”, **ყანყრე** “ყრანტალებს”, **ფანჷრე** “ჷურჷულებს”, **ჭგრჭყნი** “ჭიჭყინებს”, **ჭგრჭნი** “წვრილი ხმით არასასიამოვნოდ ხმამაღლა ლაპარაკობს”, **ბანდღრე** “ცხვირში ლაპარაკობს, თხიპინებს”, **დანდღრე** “დუდღუნებს”, **ცხვირში ლაპარაკობს”, ბანდღრე** “ჩუმი ლაპარაკობს, ჩურჷულებს”, **ტანტრე** “პრუტუნებს, ტიტინებს” **პანტრე** “პრუტუნებს, სისულელეს ბოდავს”, **ფანჷრე** “ჷურჷულებს”, **წურწყნი** “წიკვინებს”, **ბანყრე** “უჭკუოდ, უშნოდ ლაპარაკობს, როტავს”, **ბანგრე** “ხმადაბლა, გაურკვევლად ლაპარაკობს”, **წრწნი** “წრიპინებს”...

უმეტესობა ამ ზმნებისა ხმაბაძვითია. აქ აშკარად გვაქვს საქმე ბგერწერით შინაარსთან, ფონოსემანტიკურ ლექსემებთან. საუბრის, ლაპარაკის სხვადასხვა მანერის აღმნიშვნელი ეს ზმნები ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში. მაგალითად:

1. **გარგლი მჷმა, ბანგრე მგრამ** “კი არ ლაპარაკობს, დუდღუნებს რაღაცას“;

2. **ჷამუნდჷნჷბოზდ ჩუ ლგ ი ტანტყრე** „მთელი დღე (დილიდან საღამომდე) ხმამაღლა უთავბოლოდ ლაპარაკობს“;

3. **თგრთნი ი ეჩი ნჷქუსგს ჩუ დემგჷამ მომ ხჷცხრე** “თრითინებს, დუდღუნებს და მისი ნათქვამიდან ვერაფერს გაიგებ“;

ამრიგად, ქართველურ ენებში უმეტესობა ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნებისა აქტივის ფორმისაა, რადგან სემანტიკურად სუბიექტის რეალურ მოქმედებას გადმოსცემენ. მოქმედებითი გვარისაა (რელატიური, ორპირიანი), ან საშუალ-მოქმედებითებია (აბსოლუტური), თუმცა ეს დაყოფაც ზოგჯერ პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ფორმას კონტექსტის მიხედვით ეცვლება პირიანობის გაგება. გვხვდება პასივის ფორმებიც, დეპონენსები, განსაკუთრებით მეგრულში.

სემანტიკური ასპექტით დაკვირვებისას ჩანს, რომ ხმოვანების, ლაპარაკის აღმნიშვნელ ზმნებს მრავლად შორის გვხვდება ხმაბაძვითი ფორმები. აქ აშკარად გვაქვს საქმე ბგერწერით შინაარსთან, ფონოსემანტიკურ ლექსემებთან. საუბრის, ლაპარაკის სხვადასხვა მანერის აღმნიშვნელი ეს ზმნები ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილების გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში.

#### ლიტერატურა:

1. ასათიანი ი., „ლაზური ლექსიკონი“, ბილისი, 2012;
2. დიუმეზილი ჟ., „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი“, თბილისი, 2009);
3. Марр Н., „Грамматика чанского (лазского) языка“, С-Пб, 1910;
4. ჟდენტი ს., „ჭანური ტექსტები“, ტფილისი, 1939;
5. ქუთელია ნ., ჯიქია ს., „ლაზური პარამითეფე, თბილისი, 1982;

6. ჩიქობავა არნ., „ჭანური ტექსტები“, I, ტფილისი 1929;
7. ჩიქობავა არნ., „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, II, 1936;
8. ქაჯაია ო., „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, I-IV ტომები, თბილისი, 2001-2006.

**Marine Kakachia, Ketevan Margiani**

*Sokhumi State University*

**Marina Jgarkava**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics*

**THE VERBS DENOTING CONVERSATION IN THE KARTVELIAN LANGUAGES  
ABSTRACT**

The publication presents the verbs that belong to the semantic group, meaning the conversation (talk, speak) in Kartvelian languages (svan, megrelian and laz) and their structural and semantic aspects.

In Klanguan languages are lot of such verbs. Most of them have the form of active, though, there are some forms of passive. Their semantics is often dependent on context, which affects on the number of persons. Among them there are phonosemantic lecsyms (tokens).

**მაია კიკვაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი

**ქოლგა და გõlge**

ქოლგა ქართულში სპარსულ-არაბულიდან შემოვიდა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ქოლგა** (ქოლგისა) ასეა განმარტებული: წვიმისა და მზისაგან დასაცავი ხელში დასაჭერი დასაკეცი მოწყობილობა – ჯოხზე მიმაგრებულ ჩხირებზე მომრგვალოდ გადაჭიმული ქსოვილით: *ვაჟს ქოლგა ეჭირა ხელში და ქალს მზისაგან იცავდა (ნ. ლორთქ.). ქვრივი ანო..., მზე არ მომეკიდოსო, სამგერ ქოლგას შეეფარებოდა ხოლმე (ი. მაჭავ. თარგმ.)...*

თურქულში **ქოლგას** ჰქვია şamsiye. Şamsiyya არაბული სიტყვაა და სამზესოს ნიშნავს. şams شمس [#şms] = güneş → şems = მზეს. არაბულ ქვეყნებში მაღალი ტემპერატურის გამო Şamsiyya-ს მზისგან დასაცავად იყენებდნენ. (<https://www.etimolojiturkce.com>). „halk dilinde güneş veya yağmur siperliği (თურქ. =ხალხურ ენაზე მზისა და წვიმისაგან დამცავი საშუალება).

თურქეთელ მუჰაჯირ ქართველებში დასტურდება შემსიე (şamsiye) =ქოლგა: *ამას შემსიეთ დევხურევდით. მუჰაჯირებში შემსიე ქალის სახელიცაა: ჩემ ნენეს შემსიე ერქუა (იმერხ.) (ფუტკარაძე, 1993: 629).* ძველ თურქულში პირქუმის, გაშავების გამოსახატავად გამოიყენებოდა ლექსემა **kõlige**. შდრ. არაბული **gõlge** (ძველ არაბულ წყაროებში ასეა განმარტებული: kõlige „koyu gõlge“= მუქი ჩრდილი)

(<https://www.etimolojiturkce.com>). თურქულში **gölge**-ს თავდაპირველად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც არაბულში. დროთა განმავლობაში კი მნიშვნელობა გაიფართოვა და აქტიური გამოყენების სიტყვა გახდა.

ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში ხშირია ლექსემა **ქოლგე**, რომელიც სტრუქტურულად ჰგავს არაბულ **gölge**-ს და ჩრდილს, დაბნელებას ნიშნავს. ამ სიტყვის ფუძე უნდა იყოს köli- gölgelemek, kararmak (=პირქუში, გამავება).

Kölige-არაბული— ქოლგა-ქართული ( Kölige > ქოლიგე > ქოლგა).

ქოლგა დღეისთვის ჩვეულებრივ საგნად ითვლება. ის ხალხს წვიმისგან და მზისგანაც იცავს; ბევრი ქოლგა იკეცება, ამიტომ ადვილია მისი ხელით ტარება.

ქოლგა აქსესუარია, რომელსაც ქალებიც ატარებენ და მამაკაცებიც. თუმცა, ყოველთვის როდი იყო ქოლგა ჩვეულებრივი საგანი. წარსულში ის მეფობის ან მნიშვნელობის ნიშანი იყო. რამდენიმე აფრიკული ტომი ქოლგას ჯერ კიდევ ამ გზით იყენებს – ვიღაცას ხელში უჭირავს ქოლგა და მიდის მეფის ან მნიშვნელოვანი ადამიანის უკან. ე.ი. იცავს იმ ადამიანს, რომელსაც მიჰყვება. დღეს იშვიათად, მაგრამ მაინც, გამოიყენება ქოლგა ამავე მნიშვნელობით როგორც უცხოურ, ისე ქართულ სინამდვილეში (მხედველობაში გვაქვს მთავრობის წევრთა მაღალი დონის შეხვედრები (აეროპორტებში, ქუჩაში... უამინდობის დროს ხელისუფლების წარმომადგენლებს დაჰყვებათ ადამიანები, რომელთაც ხელთ უჭირავთ მოზრდილი ქოლგა, წვიმისაგან დამცავი). საინტერესოა, რომ **ქოლგის** ეს მნიშვნელობა დადასტურებულია ქართული ენის დიალექტურ კორპუსშიც: თავადიშვილებიო, რო იყმოზენო, თავადიშვილების ცოლებისაა ეს შალები და **ქოლგებიო**. დასახელებულ მაგალითში ყურადღება გამახვილებულია ქოლგის, როგორც აქსესუარის მხარეზე, რომელსაც მაღალი წრის წარმომადგენელთა ოჯახის წევრები ატარებდნენ.

ქოლგის, როგორც პრაქტიკული დანიშნულებით წვიმისა და მზისაგან დამცავის საშუალება, დღემდე შეუცვლელია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ მნიშვნელობა გაიფართოვა და გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ქართული ენის დიალექტურ კორპუსში დასახელებულია **ქოლგა** ძირიანი შემდეგი ფორმები: ქოლგა, ქოლგაი, ქოლგას, ქოლგასა, ქოლგასავით, ქოლგაში, ქოლგაჩი, ქოლგაჩი მიდგომა, ქოლგაჩიგა, ქოლგაც, ქოლგე, ქოლგებ, ქოლგები, ქოლგებიო, ქოლგეში. იგი გვხვდება ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობებით.

**ქოლგა** ძირიანია ბოტანიკური ტერმინები, რომელთა სახელდება ფორმის მიხედვით სწორედ ქოლგას უკავშირდება. ასეთებია:

**ქოლგანა** (ლექს.) დიდი მცენარე (ა. მაყაშვილი).

**ქოლგისებრი**-ქოლგის ფორმისა, ქოლგის მსგავსი. ქოლგისებრი სოკო-ქოლგისებრი კამარა.

**ქოლგოსანნი**-ბოტან. ორლებნიანთა კლასის ერთი დიდ ოჯახთაგანი; დამახასიათებელია ყვავილეთი, რომელიც გაშლილ ქოლგასა ჰგავს; მას ეკუთვნის სტაფილო, ქინძი, ნიახური, ოხრახუში, კამა, დიცი, დუცი და მრავალი სხვა(ალ.მაყაშვილი).

ელიტა კვანტალიანის ქართულ-თურქულ ლექსიკონში **ქოლგას** ორი მნიშვნელობა აქვს: 1.şemsiye; ქოლგა 2. ბოტანიკური sayvan.

**Gölge** -ჩრდილი; Gölge-ჩრდილიანი; Gölge bahçe-ჩრდილიანი ბაღი; Gölgecil- ჩრდილის მოყვარული მცენარეები (ბოტ.).

ლია ჩლაიძის თურქულ-ქართული ლექსიკონში კი **ქოლგა** და **Gölge** ასეა განმარტებული:

**Şemsiye** (არაბ.) - ქოლგა; **Şemsiye anteni** -**ქოლგისებური** ანტენა;

**Şemsiyelik** : 1) საქოლგე ქსოვილი; 2) ქოლგის შესანახი ადგილი

**Gölge**: 1) ჩრდილი; **Gölgelemek**- 1) დაჩრდილვა; მოჩრდილება; bu ağaç penceremizi gölgeleyor-ეს ხე ჩვენს ფანჯარას უჩრდილებს; 2) გადატ. დაჩრდილვა, დამცირება, ჩრდილის მიყენება; **Gölgelemek**-დაჩრდილვა; მოჩრდილება;

Gölgeci-ჩრდილიანი; ჩრდილოვანი.

Gölgecik- 1) ჩრდილიანი (ადგილი); 2) საჩრდილობელი, ტენტო, ჩარდახი.

ქოლგას აქვს ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა.

**ძირითადი მნიშვნელობა:**

**ქოლგა** – სამზუური; **ქოლგა** – საწვიმარი; **ქოლგა**– ჩადრი;

**ქოლგა**–ჩერო, გადახურული;

პატარა ქოლგას სამზეურს ვეძახოდით და დიდ ქოლგას კი ქოლგაც ერქვა და საწვიმარსაც ვეძახოდით: *ოი, მზე რო ცხელია, ქოლგას მეილ მაქ მე, არა?* (ქედვ corpora.ge).

*ნინუა ფეხზე წამოდგა, ქოლგა გაშალაო (corpora.ge).*

*არ მიყვარს ქოლგა, რადგან დასველებსაგან მიცავს...* (<https://m.ok.ru/profile>)

*მერე ავლანელმა ქომოთ მარტყოფიც დაიჭირა, მოიდა ზემოთ მარტყოფსათი სოფლისკე გერდზევ ჩადრები დაიდგა, ჩადრს ქენ ქოლგას ეძახით, არა?* (ქედვ corpora.ge).

საინტერესოა, როგორ იცავენ თავს მწერები თავსხმა წვიმის დროს. „წვიმიან ამინდში მოხვედრა დიდად არც მწერებს სიამოვნებთ. ეს პატარა არსებები ცდილობენ მოერიდონ გიგანტურ წვეთებს და სადმე შეაფარონ თავი. ხანდახან ისინი სხვა მწერებსაც იყენებენ, როგორც ქოლგას (comments posted by Charkius on 28.07.2012)“.

**ქოლგა // ქოლგე – ჩრდილი:**

*ცოლმა უთხრა: მოგიცლიაო, მოიცა, ჩაი დავლიოთ, სადილი ვჭამოთ, მერე ქოლგა დაიდგი და ჩადი, რიგება მიეცი სუყველასაო (corpora.ge).*

*ძმას უთხრეს: ქოლგაში დაჯექიო! (corpora.ge).*

*-ერთი, ამ ქოლგაში მოვისვენოო (corpora.ge).*

*მე ამ წყაროს ვიცავ, ჩემ ქოლგაში ყველა ისვენებს, ვინც კი აქ წყალ სვამსო (Corpora.ge(ქართ.ენის დიალექტ.კორპ.)).*

*ის, რო ქოლგაჩი გახმის, წონე ის იყო, კარგი ქიშმიში იყო (corpora.ge).*

*ბავშვები ყურძენსა ჭამდიანყე და რაძლა რო დავარდის ზაფხულობამდე, გაქიშმიშავდის, იმას დავძახოდით წონე ქიშმიში, ქოლგაჩი რო გახმის (corpora.ge).*

*შადი, ორი კაკალი არი, თავის ქოლგაჩი დაჯე, ბიჭო! (corpora.ge).*

*ბოძის უკან დავსხდითყე და პურს შავჭამდითყე, ქოლგაჩი (corpora.ge).*

*წაველ, დავჯე წნურის ეს ქოლგაჩიგა (corpora.ge).*

*მერიდვანი ქოლგეში გემეიტაით, აღარ დაღპება წვიმაში შრალათ დარჩება = კიბე გადახურულში გამოიტანეთ, არ დაღპება (მერიდვანი-თურქ. Merdiven =კიბე) (corpora.ge).*

*ქოლგეში გამეიტაით სანდალიები და მოსაფირიც გამეიყუაით (შ.ფუტკ.)*

*ხის ძირი დიალექტებში იგივეა რაც ხის ქოლგა: ხის ძირზე ქოლგაში არის უსეინი. corpora.ge); მოსწყურებია ძაან წყალი, მისულა და ერთ ხის ქოლგაში დუუსვენია (corpora.ge) = ხის ჩრდილში დაუსვენია.*

**გადატანითი მნიშვნელობა:**

ლექსემა ქოლგამ დღეს მნიშვნელობა გაიფართოვა. მას ვხვდებით ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა მიმართულებით, ეს იქნება მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, საგანმანათლებლო თუ კულტურული სფერო და ა.შ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაცემების შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში ერთ-ერთ კანდიდატს, ირაკლი ბრეგვაძეს სატელევიზიო პროექტის სამუშაო სახელწოდებად შემოუტანია „ქოლგა“. „ქოლგა“ არის ფოტოკონკურსის სახელწოდებაც: „ფოტოკონკურსი - „ქოლგას“ ფარგლებში შაბათს, თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა), მეოთხე კატალოგის პრეზენტაცია გაიმართება... ფოტოკონკურსი „ქოლგა“ საქართველოში 2000 წლიდან ყოველწლიურად ტარდება (<http://www.stars.ge>).

საინტერესოა მაგალითია: 23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს! ამ დღის აღნიშვნის ტრადიციას საქართველო წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით შეუერთდა და უკვე 14 წელია „იუნესკოს“ საერთო „ქოლგის ქვეშ“ წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე სხადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებებით ყოველწლიურად აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში (<http://bu.com.ge/geo/news/story>).

ქოლგა მეტაფორული აზროვნების კარგი საშუალებაა. მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს პოეზიასა და კინოხელოვნებაში. მიხეილ კობახიძის ფილოსოფიური ზღაპარი „ქოლგა“ ახალგაზრდა წყვილის სიყვარულს ეხება. სიუჟეტის მიხედვით „ქოლგა ბედნიერების ეფემერული ასოციაციაა. ეფემერულის, მაგრამ სასურველის. ბედნიერების ძიება ამ ზღაპრის მოტივია. თავად ქოლგა – ფუფუნების საგანი, რომელიც შეიძლება გქონდეს და ადვილი შესაძლებელია, არც გქონდეს. ზუსტად ისევე, როგორც ბედნიერება. აი, რატომ არის, რომ ოდნავ სევდანარევი გვესმის ახალგაზრდა წყვილის, რომელმაც თავი დაკარგა, ირგვლივ ველარაფერს ამჩნევს და ცეკვა-ცეკვით ხტუნვით დაიარება ქოლგით ხელში, თითქოს

მასთან ერთად აფრენას აპირებსო. საბოლოოდ სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე ბედნიერება, რომელსაც მოფრენა და გაფრენა სჩვევია“.

**ქოლგა** არის ფროიდის ექსპერიმენტის სახელი: სახელგანთქმულმა „ექსპერიმენტმა ქოლგით“ ახალგაზრდა ფროიდს ახალი რაკურსიდან დაანახა ადამიანის ფსიქიკა (ზიგმუნდ ფროიდის ხელოვნების ფსიქოლოგია <http://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/froidi-xelovneba>).

ქართულში **ქოლგა** გადატანითი მნიშვნელობით გამაერთიანებელს აღნიშნავს. ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს სინტაგმაში **მზის ქოლგა**. ერთ-ერთი ბლოგის სახელწოდებაა **მზის ქოლგა**– Sun Ambrella (<http://nmeladze.blogspot.com.tr/2011/04/blog-post-754.html>, ნინო მელაძე). ბლოგი ასახავს პედაგოგიურ გამოცდილებას და ერთი პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. იგი პედაგოგებს მოუწოდებს გაერთიანდნენ ერთი საერთო იდეის ქვეშ. რატომ მზის ქოლგა? ვფიქრობთ, შესიტყვება მოტივირებულია. პედაგოგის საქმიანობა მოსწავლისათვის ნათელი, მზიანი გზაა.

**ქოლგა** სოციალური ქსელების ენაში სუფრის თავყრილობის აღსანიშნავადაც დადასტურდა: **ქოლგის ქვეშ** (გაშლილ სუფრასთან მეგობრებს მოუყრიათ თავი და ლხინს შეექცევინ) [/www.facebook.com](http://www.facebook.com). 13.12.2017.

**ქოლგა** სიმბოლოა დაცვისა, გაერთიანებისა. ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ენა, წინაპართა ენა აერთიანებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ აქაურ და იქაურ ქართველებს. მხედველობაში გვაქვს დღევანდელი თურქეთის ქართველობა, ძირძველი ქართველები თუ მუჰაჯირებად ქცეულნი. შეიძლება ითქვას, ქართველობა არის შუამავალი, მედიუმი როგორც თურქეთის სვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველთა, ისე ორი ქვეყნის, თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობებისა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და ყურადსაღებია ცნობილი მუჰაჯირი ქართველის, ორჰან ბერიძის ამონარიდი სტატიიდან „**ქართველობა ჩვენი ქოლგაა!**“

*...ჩვენში ხომ ქართული სისხლი და გენია, საქართველოს სიყვარულს ყოველთვის გულით ვატარებთ. მე ნამდვილად მემამყება, რომ ამ პატარა, მაგრამ ძალიან განსაკუთრებული ხალხის შვილი ვარ. ქართველობა ჩვენი ქოლგაა!..(ორჰან ბერიძე, more: <http://totadze.blogspot.com/2014/07/blog-post-19>).*

ტრადიციულად, აჭარაში ქალს მზითევაში ქოლგას გაატანდნენ ხოლმე ნიშნად დაცვისა.

**ქოლგა** ერთგვარი აქსესუარია და უფროვე სიმბოლო გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ პერსონაჟ ფუფალასათვის: *ფუფალა ბოხჩითა და ქოლგით მიუახლოვდა ქალთა კრებას... დახეული ქოლგა დაკეცა დიდი სიფრთხილით...*“

*ქოლგით იგი თითქოს რაღაცას მაღავს... ამის დამადასტურებელია, რომ ქოლგას ფუფალა არა მხოლოდ მზეში, არამედ ბინდშიც იყენებს: ბინდი გამუქდა... ფუფალამ გაშალა ქოლგა და ლასლასით გაუდგა გზას. საით? თვითონაც არ იცოდა! ბინდში გაშლილი ქოლგა რომ დაინახა, – მზე არ მოგვეციდოსო, – გესლიანად მიაცეცხლა ქარცეცხლამ. ფუფალა მიჰფარდა იქვე ორლობეს მოსახვევში თავის ქოლგით, ბოხჩითა და თექვსმეტნაჭრიანი კაბით. მიდიოდა პურუჭმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნაწამები, და არ იცოდა, რომ უკვე გაცემული იყო ყველა მისი დიდი საიდუმლოება, რომ ხვალიდან უკვე მზადდებოდა მისთვის გოლგოთა, ახალი ჯვარცმით...*“

**ქოლგა** მეტაფორულად გამოიყენება ქართულ სინტაგმებში:

**მწიფე ქოლგები:** *ჩვენმა ქუჩამ მოლია წვიმა და მზემ დაკრიფა მეზობლების მწიფე ქოლგები* (გიორგი კეკელიძე, ემზინტი).

**დიდი ქოლგა:** ცა– დიდი ქოლგა, უჭირავთ ალგებს (<http://litklubi.ge/biblioteka>)

**დიდების ქოლგა:** *ღმერთმა ჩონ დიდების ქოლგა თავთაყე არ მოგომოროს* (Corpora.ge).

**ნისლის ქოლგა:** *ფანჯრის რაფას დაეკიდა შემოდგომა,*

*გარეთ წვიმამ ნისლის ქოლგა დაიხურა...* (მგზავრები, შავ ღვინოში ალუბლები ბანაობენ).

**ქოლგა** და **Gölge** ჩანს თურქულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებში. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

**ჩრდილის დაცემა, ღირსების შელახვა:**

**Gölge düştü**– ქართ.შესატყვისი „**ჩრდილი დაეცა**“. = დამცირდა, ღირსება შეელახა, გაუფასურდა; ჩრდილში აღმოჩნდა; Bu olaydan sonra ona gölge düştü ამ შემთხვევის შემდეგ ის ჩრდილში აღმოჩნდა. შდრ. **gölge düşmek**- gölgeli duruma gelmek, parlak bir şeym üzerine karaltı inmek, üzerine gölge gelmek: Saat daha on olmadan çiçekler **gölge düşüyor**. ჩრდილის დაცემა (METİN YURTBAŞI), შდრ.ლ. ჩლაიძე **gölge düştü**– გადაატ. **ჩრდილი მიადაცა;**

**Gölge düşürür**–ქართ.შესატყვისი „**ჩრდილს აყენებს**“= მის ღირსებას, მნიშვნელობას ამცირებს, ჩრდილავს, აუფასურებს; ფასს უკარგავს: Böyle davranınca bütün başarılarına gölge düşürdü. როდესაც ასე

მოიქცა, მთელ თავის წარმატებას ჩრდილი მიაყენა. შდრ **gölge düşürmek**-bir şeyin değerini azaltacak işler yapmak, bir şeyin değersiz göstermeye çalışmak: Son davranışlarıyla başanlarına **gölge düşürdü** -მისი ქცევებით მის წარმატებას ჩრდილი მიადგა (METİN YURTBAŞI); შდრ. ჩლაიძე **gölge düşürdü** პირდ., გადატ. ჩრდილი მიაყენა; **gölge vermek** დაჩრდილვა;

**Gölge etme**, başka ihsan istemem: „ნუ მიჩრდილავ და სხვა შენი დახმარება არ მინდა“=ოლონდ ხელს ნუ შემიშლი; ოლონდ წინ ნუ გადამეღობები! შდრ. **Gölge etmek / etmmek**- 1. Işığa engel olmak-დაჩრდილვა 2. İyi giden bir işin düzerini bozacak davranışta bulunmak, ona engel olmak.კარგად წასულ საქმეს ჩრდილი მიადგა. **Gölge etme** başka insan istemem, demiş. (METİN YURTBAŞI)

**Gölgede bırakır**-ქართ.შესატყვისი „ჩრდილში ტოვებს“=სჯობნის, ჩრდილავს. უკან იტოვებს, ჩრდილში აყენებს, წინ უსწრებს: Sınıfın en başarılı öğrencisini bile gölgede bıraktı -კლასის ყველაზე მოწინავე მოსწავლეც კი უკან მოიტოვა.

**წარმატების მიღწევა, ვიღაცის ჩრდილში დატოვება- უკან მოტოვება :**

**Gölgede bırakmak**- 1. Birini kazandığı başarı ile geçmek, değerce ondan üstün olmak, onu geride bırakmak. Çalışkanlığıyla bütün arkadaşlarını gölgede bıraktı. თავისი წარმატებით ყველა ამხანაგი უკან მოიტოვა 2.eski durumundan daha iyi durumlara ulaşmak. ძველი პოზიციიდან წინ წასვლა. 3.bir şey hk. Nitelikçe daha üstün olmak. - წარმატების მიღწევა

**შიში, შეწყუბება:**

**Gölgesinden korkar**- ქართ.შესატყვისი „თავისი ჩრდილისა ეშინია“ = მშიშარაა, მხდალია, ლაჩარია: O gölgesinden korkar bir adamdır -საკუთარი ჩრდილისა ეშინია. შდრ. ქართ. საკუთარი ლანდის ეშინია, მშიშარაა, მხდალია, ლაჩარია. შდრ. **Gölgesinden bile korkmak**: 1. Kuşkulu olmak, her şeyden korkar olmak-სამწუხაროდ, ყველაფრის ეშინია. 2. Bir kimseden çok korkmak. **Gölgemizden korkar** olduk/ kapımızı çalan postacıdan dilenciden-ჩვენ გვაშინებს ჩვენი ჩრდილები (METİN YURTBAŞI)

**Gölgesinden bile korkmak**: 1. Kuşkulu olmak, her şeyden korkar olmak. 2. Bir kimseden çok korkmak. **Gölgemizden korkar** olduk/ kapımızı çalan postacıdan dilenciden.ჩვენ გვაშინებს ჩვენი ჩრდილები. შდრ. ჩლაიძე: **Gölge gibi takip etmek**-ჩრდილივით ადევენება; sinden korkar-თავისი ჩრდილის ეშინია;

**ყურება:**

**Gölge gibi izlemek**- ჩრდილივით ყურება: hiç belli etmeden birisinin arkasından gitmek-ვინმესგან შეუმჩნეველად წასვლა= ჩრდილივით რომ არ აგედევნოს.

**დაცვა, მფარველობა:**

**Gölge olmak**- ჩრდილში ყოფნა, უსაფრთხოდ, დაცვის ქვეშ ყოფნა: birini kayırmak, korumak, ona yardım etmek

**Gölgesi altında**- ჩრდილის ქვეშ ყოფნა: birisinin korumasında himayesinde: ვინმეს დაცვის ქვეშ ყოფნა. ağabeyinin gölgesi altında epeyce önemli işler basardı. შდრ. ჩლაიძე: **gölge**-ın , **gölgesine** sığınmak-ვინმეს ჩრდილს ამოფარება; **gölge** oldu- ვინმეს დამცველად , მფარველად იქცა;

თურქულსა და ქართულ ენებში ზოგან იდენტური, საერთო მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბების საერთო უნივერსალურ გზასთან.

ლექსემა **ქოლგას** ხშირად ვხვდებით პოეზიაში, განსაკუთრებით სასიყვარულო თემაზე დაწერილ ლექსებში. ლექსში „რად მინდა ქოლგა?“ ქოლგის ძირითადი მნიშვნელობა ჩანს:

რად მინდა ქოლგა? თუ იწვიმებს, უნდა დავსველდე.

უნდა მაწვიმოს სიყვარული, წვეთებად წვიმამ...

(<https://www.ok.ru/group/53461641134245/topic/66403605332133>)

პოეტურ მეტყველებაში **ქოლგა** ხან წვიმისგან დამცავი საშუალებაა, ხან კი, ადამინივით მგრძნობიარეა, მოძრავი და აქტიური:

„ჩემი ღელვაც თუ აღწევს ცაში  
იქნებ შენამდე მოვიდნენ ასე,  
შენ კი მაგ **ქოლგით** დაიცვა თავი...

წვიმს,

შენი **ქოლგა** და შენ

ებრძვით ცის აუარებელ ხმას“ („წვიმს“, შონ აბრამი)

ზოგან **ქოლგა** გასულიერებულია, ადამიანის თვისებები აქვს მიწერილი.

წვიმაში **ქოლგა** ხარ,

სიცხეში ჩერო...

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ ჩემო!...

წვიმაში მკლავებს შენ მიშლი „ქოლგად“,

ცხოვრების ქარი მე არ მაშინებს,

რადგან კიბეზე ავდივართ მწყობრად!

(<https://ok.ru/medahemisi/topic/67136212268497>; „წვიმაში ქოლგა ხარ“).

მუხრან მაჭავარიანთან ქოლგა ფართო მნიშვნელობითაც გამოიყენება–იცავს არა მხოლოდ ადამიანს, არამედ მთელ დედამიწას:

„ოცნება ჩემი

გაიშალა, ვითარცა ქოლგა,

და ამ ქოლგის ქვეშ

დედამიწა

აღმოჩნდა მთელი “

მაჭავარიანი, „იქუხა როცა“).

საანალიზო მასალა გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ დამცველის, მფარველის, დაფარვის მნიშვნელობა თურქულ ენაში აქვს **gölge**-ს, ქართულში კი – ქოლგას.

მასასადამე, ქოლგა, როგორც წვიმისა და მზისაგან დამცავი საშუალება, ნივთის, საგნის აღმნიშვნელი სიტყვა თურქულში არის **şemsiye**. **gölge** თურქულში პირდაპირი და დამატებითი მნიშვნელობით არის **ჩრდილი**, ქართულში კი **ქოლგამ** ორივე მნიშვნელობა შეითავსა და უფრო მეტიც, გაფართოვდა და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება.

ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი, ყოფითი ნივთის თუ საგნის აღმნიშვნელმა სიტყვამ შეიძლება ენის ამოუწურავი შესაძლებლობები გადაგიშალოს თვალწინ. ამდენად, სიტყვას მისი გამოყენების სფეროდან უნდა შევხედოთ. ამ თვალთ დანახული ლექსემებია **ქოლგა** და **gölge**.

#### ლიტერატურა:

კვანტალიანი ე., ქართულ-თურქული ლექსიკონი, 2010

მაყაშვილი ალ. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 2010

მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი; Türkçe–Gürcüce Deyimler Sözlüğü, გამომც. „ცისარტყელა“, თბ., 2006

ჩლაიძე ლ., თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბული, 2001

ქართული ენის დიალექტური კორპუსი ( Corpora.ge)

**YURTBAŞI** ., **SINIFLANDIRILMIŞ, DEYİMLER SÖZLÜĞÜ**, ex.cel.lence publishing, alokitap. Com. 2012  
ISTANBUL

*Maia Kikvadze*

*Batumi Shota Rustaveli State University, Recep Tayyip Erdogan University*

**“UMBRELLA” (KOLGA) AND “GÖLGE”**

**ABSTRACT**

Studying the semantic field of this or that word and conducting comparative research in different languages always gives an interesting picture to linguists.

The aim of the research is to study the lexemes **“Kolga”** and **“gölge”** in Georgian and Turkish languages. The above mentioned lexemes are structurally similar in the above mentioned languages, but the differences are found in semantics.

As an umbrella was invented at different times by the people of different countries, its form and content is different in different languages.

**“Kolga”** in Georgian has direct and figurative meanings. It has two direct meanings: 1) a device used in rainy days to protect oneself from getting wet; 2) a device used in hot days to protect oneself from the sun; The most general and therefore direct meaning of **“Kolga”** in Georgian is „a device that covers and protects human beings from rain and sun.” It should be mentioned that Georgians call a small umbrella „samzeuri” (used in hot, sunny days) and a big umbrella – „kolga” and „satsvimari” (used in rainy days).

“Kolga” in Georgian has figurative meanings as well (**Kartveloba chveni kolgaa** = Kartveloba unites and protects us, **Me am tskaros vitsav, chems kolgashi kvela isvenebs** = Everyone rests under my shade).

“Gölge” is an Arabic word and means “shade.” The word has the same meaning in Turkish. Lexeme “kolge” is found in Samkhruli dialect (one of the Georgian dialects) and is used in the speech of Muhajirs. It has the same meaning “shade” as in Arabic and Turkish languages.

In Georgian and Turkish phraseological units lexemes: “kolga” / “kolge” (< gölge) are used figuratively, having the meaning of shade, chador, fear, mediator, unifier. We single out semantic groups according to these criteria.

**მარიამ კობერიძე**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **ზმნის ახლანდელი დროის ფორმები ქართულსა და თურქულში (შეპირისპირებითი ანალიზი)**

სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში იზომრფიზმისა და ალომორფიზმის შესწავლა მნიშვნელოვანია ლინგვისტური ტიპოლოგიისათვის. „ტიპოლოგიური კვლევა - ძიების შედეგად ვლინდება ენობრივ სისტემათა უზოგადესი საერთო მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ენის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის არსს“ [2, 401]. გასათვალისწინებელია პრაგმატული ასპექტებიც (თარგმანის, უცხო ენის სწავლების თეორიისა და პრაქტიკის საკითხები...). „თუ გავითვალისწინებთ სათარგმნი მასალის ჟანრს, სტილისტიკურ თუ სხვა თავისებურებებს, საკმაოდ რთულია და ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდება. ეკვივალენტობის ნებისმიერ დონეზე საფუძვლად უდევს სათარგმნი და თარგმნის ენებს შორის ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების მსგავსებისა და, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, განსხვავებათა გამოვლენა“ [1: 4].

ქართულ - თურქულ თარგმანში ზმნასთან დაკავშირებული მოვლენების აზრობრივად და გრამატიკულად შესაბამისობაში მოყვანა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქართული და თურქული ზმნის თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის შედეგია ის სტილისტიკური და გრამატიკული შეცდომები, რომელიც თავს იჩენს წერილობით თუ ზეპირ მეტყველებაში. ასეთი სირთულეები კარგად ჩანს, ქართულისა და თურქული ენის ახლანდელი დროის ფორმების შეპირისპირებითი ანალიზის დროს.

როგორც ცნობილია, დრო ქართული ზმნის ერთ - ერთი ურთულესი და უმთავრესი კატეგორიაა. ცალკეულ მწკრივთა ფორმებს გარკვეულ შემთხვევაში შეუძლიათ რამდენიმე დროის გაგებაც მოგვცეს. „თითო დროს გამოხატავს მხოლოდ უწყვეტელი და მყოფადის კავშირებითი; სხვა მწკრივები ორ - ორი ან მეტი დროის გამომხატველია .... თავისთავად ცხადია, კონტექსტის გარეშე დროულ მნიშვნელობაზე საუბარი გაუმართლებელი ხდება“ [3, 329].

საინტერესო სურათს გვაძლევს ახლანდელი დროის ფორმების შეპირისპირებითი ანალიზი აწმყოს მწკრივის საილუსტრაციო მაგალითების საფუძველზე. არაქართულენოვანისათვის სირთულეს წარმოადგენს გარკვეული კონტექსტი. აწმყოში „ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც. „იქს“ ეხლანდელია ამ ფრაზაში: „ჰკითხა რასა იქს ქალი“ („ვეფხის“), მაგრამ მომავალია ამ ფრაზაში: „ეხლა რომ მაგებს მეუბნება და მაგებს ჩადის, მერე რაღასა იქს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება?“ (ჭავ., „გლებთა განთ. სცენები“). ასეთივე პოლისემიური ფორმებია: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს“. ერთი და იგივე ფორმა ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი - უდროო“ [4, 218].



თურქულ ენაში გამოიყოფა ახლანდელი დროის დადებითი, უარყოფითი და კითხვითი სახე. აქ სიტყვას ემატება სუფიქსი იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი დგას სიტყვის ბოლოს. ქართულ ენაში ერთ პირს მუდმივად ერთი სუფიქსი შეესაბამება, ხოლო თურქულ ენაში ერთ პირს ახლანდელ დროში აწარმოებს ოთხი განსხვავებული სუფიქსი: **iyor, iyor, uyor, üyor**. ეს სუფიქსები ხმოვნების მიხედვით შეესაბამება ზმნას. ზმნის mak და mek საწყისი ფორმის ჩამოცილების შემდეგ ხდება უღლება [5].

1. თუ ზმნის ბოლოს იქნება ხმოვანი e ან **ı**, ემატება **iyor** სუფიქსი.  
მაგ.: Vermek - მიცემა  
Veriyor - აძლევს
2. თუ ზმნის ბოლოს იქნება ხმოვანი a ან i ხმოვანი, ემატება **iyor** სუფიქსი.  
მაგ.: yapmak - კეთება  
yapıyor - აკეთებს  
bilmek - ცოდნა  
biliyor - იცის
3. თუ ზმნის ბოლოს იქნება ხმოვანი o ან u, ემატება **uyor** სუფიქსი.  
მაგ.: Konuşmak - ლაპარაკი  
Konuşuyor - ლაპარაკობს
4. თუ ზმნის ბოლოს იქნება ö ან ü ხმოვანი, ემატება **üyor** სუფიქსი.  
საილუსტრაციო უღლების ნიმუში: გაჩერება - Durmak.  
მხოლოდითი რიცხვი  
მე ვ-ჩერდები Ben dur - uyor - um  
შენ ჩერდები Sen dur - uyo r - sun  
ის ჩერდებ - ა o dur - uyor  
მრავლობითი რიცხვი  
ჩვენ ვ - ჩერდები - თ biz dur - uyor - uz  
თქვენ ჩერდები - თ siz dur - uyor - sunuz  
ის ჩერდებ - ა onlar dur - uyor - lar

ქართულ ენაში დადებით ფორმაზე არ , ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნულარ, არც (ა), ვეღარც(ა), ნურც(ა) უკუთქმითი ნაწილაკების დართვით გამოიხატება უარყოფითი სემანტიკა. უარყოფის გამომხატველი სპეციალური სუფიქსები ზმნის ფორმაში არ გვაქვს. თურქულ ენაში ახლანდელი დროის უარყოფითი სუფიქსებია: **mi, mi, mu, mü**. თუ ზმნის ფუძის ბოლოს იქნება ხმოვანი a ან **ı**, ემატება **mi** სუფიქსი, e ან i -ს შემთხვევაში - **mi**. o ან u-ს შემთხვევაში - **mu**, ö ან ü-ს შემთხვევაში - **mü** სუფიქსი.

მაგ.: anlıyorum - მესმის.

anlamıyorum - არ მესმის.

ზმნა ასე შეგვიძლია დავშალოთ: -anla-ფუძე, უარყოფითი სუფიქსი - mi , ახლანდელი დროის სუფიქსი - yor, პირველი პირის სუფიქსი-um.

ვაუღლოთ სიტყვა „yaşamak” (ცხოვრება, სიცოცხლე).

**მხოლოდითი რიცხვი**

მე არ ვ-ცხოვრობ Ben yaşamıyor - um

შენ არ ცხოვრობ Sen yaşamıyor - sun

ის არ ცხოვრობ - ს o yaşamıyor

**მრავლობითი რიცხვი**

ჩვენ არ ვ - ცხოვრობ - თ biz yaşamıyor - uz

თქვენ არ ცხოვრობ - თ siz yaşamıyor - sunuz

ის არ ცხოვრობ - ენ onlaryaşmıyor - lar

ქართულ ენაში ახლანდელი დროის კითხვით ფორმას ინტონაცია გამოხატავს. თურქულში ახლანდელი დროის ფორმა გამოიხატება კითხვითი ნაწილაკებით. კითხვითი ნაწილაკი სიტყვისაგან განცალკევებით იწერება და იცვლება პირის მიხედვით. კითხვითი ნაწილაკები პირების მიხედვით. კითხვის დასასმელად აუცილებელია კითხვითი ნაწილაკის გამოყენება.

კითხვითი ნაწილაკები პირების მიხედვით:

**მხოლოდითი რიცხვი**

მე Ben muyum ?

შენ Sen musun ?

ის o mu ?

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ biz muyuz ?

თქვენ siz musunuz ?

ისინი onlar mi ?

საინტერესო სურათს გვაძლევს მეშველწმინიანი ფორმების შეპირისპირება ქართულსა და თურქულში. „ყოფნას“ ახლანდელ დროში ქართულში შეესაბამება ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან. თურქულში „ყოფნას“ ახლანდელი დროის დადებით ფორმაში შეიძლება შევუსაბამოთ ოთხი განსხვავებული სუფიქსი. ეს სუფიქსები გარკვეულ წესებს ემორჩილება.

1. თუ სიტყვის ბოლოს იქნება ხმოვანი a ან | შეესაბამება შემდეგი სუფიქსები:

მხოლოდითი რიცხვი

მე ვარ Ben - (y)ım

შენ ხარ sen - sın

ის არის o -

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ ვართ Biz - (y)ız

თქვენ ხართ siz - sınız

ისინი არიან onlar - lar

მაგალითად: უცხოელი ვარ - yabancıyım, უცხოელები ვართ - yabancıyız.

2. თუ სიტყვის ბოლოს იქნება ხმოვანი e ან i შეესაბამება შემდეგი სუფიქსები:

მხოლოდითი რიცხვი

მე ვარ Ben - (y)ım

შენ ხარ sen - sın

ის არის o -

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ ვართ Biz - (y)ız

თქვენ ხართ siz - sınız

ისინი არიან onlar - ler

3. თუ სიტყვის ბოლოს იქნება ხმოვანი o ან u შეესაბამება შემდეგი სუფიქსები:

მხოლოდითი რიცხვი

მე ვარ Ben - (y)um

შენ ხარ sen - sun

ის არის o -

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ ვართ Biz - (y)uz

თქვენ ხართ siz - sınız

ისინი არიან onlar - lar

მაგ.: მე ექიმი ვარ - Ben doktorum, ჩვენ ექიმები ვართ - sen doktorsun.

5. თუ სიტყვის ბოლოს იქნება ხმოვანი ö ან ü შეესაბამება შემდეგი სუფიქსები:

მხოლოდითი რიცხვი

მე ვარ Ben - (y)üm

შენ ხარ sen - sün

ის არის o -

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ ვართ Biz - (y)üz

თქვენ ხართ siz - sünüz

ისინი არიან onlar - ler

მაგალითად: güçlü müyüm - ძლიერი ვარ; güçlü müsünüz - ძლიერები ვართ [5].

თურქულში არ ყოფნას განსაზღვრავს სიტყვა değilim (არ არის), რომელიც იწერება სიტყვის შემდეგ, ფორმაუცვლელია და იცვლება პირის მიხედვით აფიქსებს.

მხოლოდითი რიცხვი

მე არ ვარ Ben değilim

შენ არ ხარ sen değilim

ის არ არის o değil

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ არ ვართ Biz değiliz

თქვენ არ ხართ siz değilsiniz

ისინი არ არიან Onlar değililer

მაგალითად: დადებითი ფორმა - okuldayim (სკოლაში ვარ); უარყოფითი ფორმა - okulda değilim (სკოლაში არ ვარ) [5].

თურქულ ენაში უარყოფითი კითხვის დასასმელად სიტყვა değil გადაგვყავს კითხვით ფორმაში და შევუსაბამებთ იმ კითხვით ნაწილაკებს, რომელიც შეესაბამება i-სა e- ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებს. მაგალითად:

მხოლოდითი რიცხვი

Ben değil miyim? მე არ ვარ ?

sen değil misin? შენ არ ხარ ?

o değil mi? - ის არ არის ?

მრავლობითი რიცხვი

ჩვენ არ ვართ ? Biz değil misiniz?

თქვენ არ ხართ ? Siz değil misiniz?

ისინი არ არიან ? Onlar değililer mi?

წინადადებაში ამ ფორმით დაისმის უარყოფითი კითხვა. მაგ.: zengin değil miyim? (მე მდიდარი არ ვარ?) შდრ. კითხვა დადებითი ფორმით: zengin değilim? ( მდიდარი ვარ?) [5].

ამრიგად, ქართული და თურქული ენის ახლანდელი დროის ფორმების შეპირისპირებით ანალიზი აწმყოს მწკრივის საილუსტრაციო მაგალითების საფუძველზე, გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ: ქართულ ენაში, თურქულისაგან განსხვავებით, გარკვეულ კონტექსტში ახლანდელი დროის ფორმამ შესაძლებელია მომავლის გაგებაც მოგვცეს, ან ერთ შემთხვევაში დროს გამოხატავდეს, სხვა შემთხვევაში კი უდროო იყოს. ქართულ ენაში ახლანდელი დროის მაწარმოებელი საგანგებო დანიშნულების გრამატიკული ნიშანი არა გვაქვს; ერთ პირს მუდმივად ერთი სუფიქსი შეესაბამება. თურქულ ენაში ერთ პირს ახლანდელ დროში აწარმოებს ოთხი განსხვავებული სუფიქსი. ეს სუფიქსები განსხვავებულია ახლანდელი დროის დადებითი, უარყოფითი და კითხვითი ფორმის დროს. ასეთი სუფიქსები ზმნის ფუმეს დაერთვის და იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. ქართულში უარყოფითი ნაწილაკების დართვით იცვლება მხოლოდ ინტონაცია.

#### ლიტერატურა:

1. ბერძენაძე - კაციტაძე მ., მოდალობა ქართულსა და ინგლისურში: ავტორეფერატი (ხელნაწერის უფლებით), თბილისი, 2006.
2. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.
3. გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა სისტემა: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), თბილისი, 2011.
4. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, ტომი III, თბილისი, 1980.
5. Calameo PDF Download: <https://ru.calameo.com/books/005073106c9aebb5ec74f>

**Mariam Koberidze**  
*Gori State Teaching University*  
**PRESENT TENSE VERB FORMS IN GEORGIAN AND TURKISH LANGUAGES**  
**(COMPARATIVE ANALYSIS)**  
**RESUME**

The report covers comparative analysis of present forms of the verbs based on illustrative examples of Georgian and Turkish languages. In Georgian language the present form the verb is expressed by the present row.

The forms of the present tense have the thememarkers or the affixes producing the stem of the present tense. The endings ი-ს, ავ-ს, ებ-ს, ობ-ს, ებ-ა... equally indicate the present tense. In Turkish language there are positive, negative and interrogative types of the present tense. Addition of suffixes to the word depends on which vowel is at the end of the word.

In Georgian language one suffix is constantly added to one person, however in Turkish language four different suffixes may be relevant to one person: **Iyor, iyor, uyor, üyor**. e.g.: if the vowels **a** or **iare** at the end of the word, the following suffixes shall be added: I am - Ben (y)im; You are -Sen sin; He(she) is -o (no); We are- Biz (y)iz; You are- Siz siniz; They are- Onlar lar.

If the vowels **ö** or **ü** are at the end of the word, the following suffixes shall be added: I am - Ben (y)üm; You are -Sen sün; He(she) is -o (no); We are- Biz (y)üz; You are- Siz sünüz; They are- Onlar ler.

Comparative analysis of the Georgian and Turkish materials will reveal isomorphism and allomorphy between the different linguistic systems.

**Keywords:** language, Georgian, Turkish, present, analysis.

**ელდარ მამისთვალიშვილი**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**დომენტი IV კათალიკოსი - ტყვის სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი**

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო, პოლიტიკური და კულტურის მოღვაწე იყო ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი დომენტი (დამიანე) IV (1705-1741).

კათალიკოს დომენტის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მკაფიოდ გამოჩნდა XVII ს. ბოლო მეოთხედის და XVIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს უაღრესად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მესვეურები გამუდმებით მოკავშირის და „მშველელის“ ძიებაში იყვნენ, მაგრამ ამაოდ.

კათალიკოსი დომენტი ახალგაზრდობიდან ცდილობდა როგორმე შეუმსუბუქებინა ეკლესიისა და სამწყმოს მდგომარეობა. თავისი აქტიური და პრინციპული ცხოვრების წესით მრავალი ოპონენტი და მტერიც გაიჩინა, როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მის შესახებ ვრცელდებოდა ანეკდოტური ამბები.

წინამდებარე სტატიის დაწერა მიკარნახა კათალიკოს დომენტის კომპრომეტირების მიზნით არაკეთილშინაობების მიერ XVIII ს. პირველ მეოთხედში გავრცელებულმა სიმართლესთან არავითარი კავშირის მქონე ხმებმა. ამჯერად შევჩერდები მის მრავალ „ცოდვათაგან მხოლოდ ერთზე, რომლის მიხედვითაც იგი თითქოს ქართლის ტახტს თუ უბოძებდა ირანის შაჰს, ამის სანაცვლოდ ჰპირდებოდა:

გაუგზავნიდა მონათა დიდი რაოდენობას, გადაუხდიდა ხარკს, გაუგზავნიდა შაჰის მიერ დატყვევებული ვახტანგ VI-ის ოჯახს და სამეფოს თავადებსა და დიდებულებს<sup>1</sup>.

მას შემდეგ, რაც დომენტი გახდა კათალიკოსი (1704 ან 1705 წელი), მან ყურადღება გაამახვილა ქართული რეალობის ისეთი მახინჯ მოვლენაზე, როგორც იყო „ტყვის სყიდვა“, ან, როგორც დღეს ვამბობთ, ტრეფიკინგზე. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში ეს საშინელება ისეთი სისასტიკით არ მძვინვარებდა, როგორც დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მაინც მოწინავე საზოგადოებას არ შეიძლებოდა თვალი აერიდებინა იმ შედეგებისათვის, რასაც იწვევდა ეს უარყოფითი მოვლენა ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობის საზიანოდ.

მოღწეულია 1712 წლის 2 აგვისტოს პირობის წიგნი, გაცემული რუსუდან დედოფლისა და ბაქარ ბატონიშვილის მიერ (ამ დროს ვახტანგ VI უკვე სპარსეთში იმყოფება), რომელიც, ვფიქრობ, დაწერილიყო უნდა იყოს კათალიკოს დომენტის მოთხოვნით. ტყვის სყიდვის აკრძალვა, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით საგარეო პოლიტიკის იმ კურსის დემონსტრირება იყო, რომელიც თავისი არსით მიმართული იყო ზოგადად ოსმალეთის სახელმწიფოს ინტერესის წინააღმდეგ, მაგრამ იმ გამონაკლისით, რომ კონკრეტულად ყენისათვის განკუთვნილ ტყვეებზე არ გავრცელდებოდა დოკუმენტის ძირითადი სულისკვეთება. კათალიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართლში ეს სენი შემთხვევითი ხასიათისაა: „რომე ზოგს-ერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქუწნი ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწყინეთ და გამოეკიდენით. ახლა ეს აღთქმა დაგვიდგია თქუწნს წინაშე, სადაც ან სადედოფლოში და ან საუფლისწულოში, ან საცა ჩუწნს საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამსყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან *საყენოს გარდა*, ჩუწნს საბატონოში ტყვე მოიყუანოს გასასყიდელი და ჰყუანდეს ვინმე და წართვათ და თქუწნ გაუწყრეთ და გამოენახნეთ, მოიკითხოთ, არცა-ვის ამისთანა საქმე აქნევინოთ, არც ვიწყინოთ და დიდათაც კელი მოგიმართოთ და თუ ვინმე წინ აღვიდგეთ და თქუწნი ნება არა ქნას, დიდათაც გამოვენახოთ და უწყინოთ. ეს ასრე მოგვიხსენებია და დაგვიმტკიცებია... თუ იმერელმან კაცმან მოიყუანოს ტყუწ, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ შესანახავათ დაიხსნას, თვარა გასასყიდლათ ნუ იყიდის და ნურც გაყიდის“<sup>2</sup>.

პირობის წიგნიდან ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დომენტი მზად იყო პოლიტიკური მოსაზრებით კომპრომისზე წასასვლელად ოსმალეთის სულთნის ინტერესის მიმართ, რათა არ შეფერხებულიყო „საყენო“ ტყვეების გაყვანა ქვეყნიდან. სავარაუდოა, დომენტი იცოდა პატრიარქ დოსითეოსის პასუხი ვახტანგ VI-ის კითხვაზე (1706 წ. ივნისი): როგორ მოქცეულიყო მაშინ, როდესაც შაჰი ქართლის მეფისგან ხარკის სახით ითხოვდა ქრისტიანების გაგზავნას? დოსითეოსმა მეფეს ურჩია, არ შეეწყვიტა ხარკის გაგზავნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფო უფრო მეტად დაზარალდებოდა<sup>3</sup>. დომენტი ითვალისწინებდა ოსმალეთის სულთნის ძალას და გავლენას და მზადა იყო წასულიყო დათმობაზე.

გვაქვს ერთი საყურადღებო და საინტერესო დოკუმენტი, რომელიც შექმნილია ფადიშაჰ ახმადის (1703-1730) კანცელარიაში და გასაგებს ხდის, რომ საქართველოდან მონების გაყვანა არ იყო ოსმალეთის სახელმწიფოს იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც იგი ატარებდა საქართველოს მიმართ. სულთან ბრძანებდა, რომ აკრძალულიყო საქართველოდან ტყვეების გაყვანა, მაგრამ უნდა გაირკვეს, ვის ეკრძალებოდა ეს ხელობა. ჯერ გავეცნოთ დოკუმენტს:

„ქართველი ხალხის შემვიწროებელი ზოგიერთი სამხედრო პირის და ლეკი ყაჩაღების შეზღუდვის შესახებ.

ებრძანოს ჩილდირის და თბილისის ვილაიეთების მფლობელს და თბილისის ციხისთავს, ვეზირ ისჰაკ ფაშას<sup>4</sup>.

<sup>1</sup> საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბაღულამ, თბ., 1975, გვ. 299; ვრცლად: ტაბაღულა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 303-305; ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა წირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 493

<sup>2</sup> *Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I, Тифлис, 1866, г. 55, №5.*

<sup>3</sup> *მამისთვლიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI-XVII სს.), თბ., 2008, გვ. 223.*

<sup>4</sup> ისჰაკ ფაშა იყო სამცხის ათაბაგების გამუსლიმებული შთამომავალი, ახალციხის ფაშა (1723-1735), რომელიც განაგებდა თბილისის ვილაიეთსაც. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის გამგებელი ვეზირის ტიტულს ატარებდა. *ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტ //*

ჩემს სასახლეში მცხოვრებმა საქართველოს პატრიარქმა<sup>1</sup> წარმოადგინა განცხადება, რომელშიც გვაცნობებს, რომ თბილისში და მის შემოგარენში ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანი მოსახლეობის სიცოცხლის, ქონებისა და ცოლ-შვილის უსაფრთხოების შესახებ მრავალგზის გამოგზავნილი უმაღლესი ბრძანების და ჩემს მიერ უსაფრთხოების გარანტიის მიცემის მიუხედავად, ზოგიერთი სამხედრო რაზმები და ლეკების ყაჩაღთა ჯგუფები სოფელ-სოფელ დადიან, მარცვავენ და მონად გაყიდვის მიზნით იტაცებენ ბავშვებს. მან (კათალიკოსმა დომენტიმ - ე.მ.) გამოთქვა მწუხარება და ითხოვა მოწყალეობა. დიადი სახელმწიფოს მორჩილებაში მყოფი საქართველოში მცხოვრები ადამიანების გატაცება და მონად გაყიდვაზე ან მათთვის იოტისოდენა ზარალის მიყენებაზე ფადიშაჰის უმაღლესი ნება არ ყოფილა. შენ კი ჩემო ვეზირო, თბილისის ციხისთავი ხარ. ჩემი მითითების მიხედვით მოძალადე და ადამიანის გამტაცებელი ყაჩაღები ხელში ჩაიგდე და დააკავე. გატაცებული ბავშვები და დამალული ქონება პატრონებს დაუბრუნე. დამნაშავეები კანონის შესაბამისად და შენი კომპეტენციის ფარგლებში დასაჯე. ქართველი ხალხი დაიცავი და მათ დაჩაგვრას ნუ შეურთებ. ამ საკითხზე ძალიან ყურადღებით იყავი, რისთვისაც ამ ვირმანის მიღების ღირსი გახდი.

1138 წლის 10 რაბიულაჰირ / 1726 წლის 4 იანვარი<sup>2</sup>.

ციტირებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სულთანი ახმადი თავისი წინამორბედი სულთნების მსგავსად უბრძანებდა სახელმწიფო მოხელეებს და სამხედრო მოსამსახურეებს, რომ შორს დაეჭირათ თავი დაპყრობილი მოსახლეობის შევიწროებისა მონებით ვაჭრობისაგან და, თუ სადმე მოხდებოდა ამგვარი დანაშაული, მაშინვე აღედგინათ სამართლიანობა.

ძნელია იმის თქმა როგორი ეფექტი ჰქონდა კათალიკოს დომენტის თხოვნით დაწერილ სულთნის ბრძანებას, მაგრამ ზოგადად თუ განვიხილავთ დოკუმენტს, შეიძლება ეჭვი არ გაგვიჩდეს სულთნის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის გულწრფელობაში, მაგრამ არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ვიეჭვოთ, რომ ფადისაჰმა იცოდა რამდენად სარფიანი იყო თურქი მონათმოვაჭრეების საქმიანობა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ზოლში. მათ ათასობით ქართველი და არაქართველი გოგო-ბიჭები გაჰყავდათ საქართველოდან და ალბათ სახელმწიფო ხაზინაც გარკვეულ შემოსავალს იღებდა. განხილული დოკუმენტი იმის თქმის უფლებას იძლევა, რომ სამარცხვინო საქმიანობა მხოლოდ სახელმწიფოს სამსახურში მყოფ ადამიანებს ეკრძალებოდათ, თორემ ვაჭრობის თავისუფლება „ცოცხალ“ საქონელზეც ვრცელდებოდა.

ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთას მცდელობას არ აკლებდა კათალიკოსი დომენტი მთელი სიცოცხლის მანძილზე, როცა კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ მისი ერთი წერილი გაგზავნილი გადასახლებაში მყოფი დომენტის მიერ თავის მონაცვლე აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილსადმი (1724-1737). დომენტი საყვედურობს იმ გულგრილობისათვის, რომელიც მან გამოამჟღავნა საქართველოდან სტამბოლში გასაყიდად წაყვანილი 50 ყმაწვილის მიმართ: „რამოგი თხრა, თუ ვითარ აოხრებულ არს ქვეყანა ჩვენი. მე არა მწყენია, რომ მამა-პაპათა სარწმუნოების უარმყოფელმა იესემ<sup>3</sup> შენ დაგადგინა ჩემს ნაცვლად-კათალიკოზად, მე ვსასოებდი, რომელ მეფესთან ეგრე დაახლოვებული მცველ და მფარველ ექმნებოდი სარწმუნოებასა ჩვენსა და ეკკლესიის დამშვიდებასა; ...50 ყრმათა დახსნისათვის ოსმალთა ტყვეობისაგან, უნდა აღემრათ გული შენი და დაგეხსნა იგინი საუკუნოსა და დროებით დაღუპვისაგან. ერთი მაგ ყრმათაგანი აქ კონსტანტინოპოლში გამოსყიდულ იქმნა სომხის გასპარას მიერ და ჩემდა მოყვანებულ მოსამსახურედ. ყრმა ესე არის მუხრანიდამ და ძე ბონიაშვილისა; დღე და ღამ აფრქვევს ცრემლთა და ვერ ივიწყებს სამშობლოს განშორებასა. ვერა რამე ვერ ანუგეშებს მას და მის მწარე სიცოცხლე სამშობლოს

---

*თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 153-172: სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 2008, გვ. 100, შენ. 1.*

<sup>1</sup> ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების შემდეგ აღარც კათალიკოსი დომენტი გაჩერდა საქართველოში. დომენტი ოსმალებს გაერიდა და ლორეში გადავიდა. დომენტის ლორეში დაუკავშირდა რაჯაბ ფაშა და კათალიკოსი „მონიდო“. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, დომენტი ფაშას შეევედრა, რომ ხონთქართან გაეგზავნა, რადგან ვარაუდობდა, რომ იქიდან შეძლებდა ქართლისათვის დახმარებას. *ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 508.* ფაშამ თხოვნა შეუსრულა. სტამბოლში ჩასულ დომენტის დიდი პატივი მიაგო სულთანმა.

<sup>2</sup> *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გამომცემელი მუმიზ ილდიზთაში, მთარგმნელები – გელა გუნიავა და ირაკლი აღთმელაძე, სტამბოლი, 2012, გვ. 163.*

<sup>3</sup> ქართლის მეფე იესე, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა (ალი ყული-ხანი, 1714-1716).

მოშორებისა გამო უაღრესად ამბაფრებს სულიერთა ჩემთა წყლულთა. სხვა 49 ყრმანი სტამბოლის სალაყბოზედ განსყიდულ იქმნენ და წაყვანებულ ტყვეებად ეგვიპტეში და ალჟირში. რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მისცე ღმერთსა, რომელმან მოგმადლა შენ დაცვა ქრისტეს ეკლესიისა შვილთა? ვსწუხარ სულით, რომ შენს მოვალეობას მოგაგონებ, თუმცა მე ღირსი არა ვარ განვიცხვად შენდა. ჰქმენ, რაცა გსურს: მე განშორებულ ვარ გამგეობასა, გარნა სიყვარული ღვთისა და თვისთა მაიძულებს მოგაგონო მოვალეობა შენი ვითარცა უხუცესსა მწყემსსა ეკლესიისასა“<sup>1</sup>.

ყოველივე რაც ზემოთ ითვა დომენტი VI კათალიკოსის დამოკიდებულებაზე ტყვეთა სყიდვასთან დაკავსირებით დაუჯერებელს ხდის ამ სტატიის დასაწყისში ფრანგი დ'ისუდენის გადმოცემას, რომ იგი მზად იყო შაჰისთვის გაეგზავნა მონათა დიდი რაოდენობა, გადაეხადა ხარკი, გაეგზავნა ვახტანგის ოჯახი და სამეფოს თავადები და დიდებულები.

### ლიტერატურა:

კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფ., 1900.

მამისთვალშიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI-XVII სს.), თბ., 2008.

საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), ნაწილი I, შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ილია ტაბაღუამ, თბ., 1975.

სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 2008.

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გამომცემელი მუმინ ილდიზთაში, მთარგმნელები – გელა გუნიავა და ირაკლი აღთმელაძე, სტამბოლი, 2012.

ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა წირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი // თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I, Тифлис, 1866.

***Eldar Mamistvalishvili***  
*Gori State Teaching University*  
**CATHOLICOS DOMENTI IV - THE FIGHTER AGAINST SLAVE TRADERS**  
**ABSTRACT**

Catholicos of the Eastern Georgia Domenti (Damiane) IV (1705-1741), the younger brother of Vakhtang VI, was one of the most important, ecclesiastical, political and cultural figures.

We find out from Georgian and Turkish documents how fervently Catholicos Domenti IV fought against trafficking, against the slave traders, who kidnapped and sold people overseas.

---

<sup>1</sup> კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფ., 1900, გვ. 136-137.

**სვანური საკუთარი სახელები (-ბი, -ყან, -ხან ანთროპოფორმანტები)**

ონომასტიკა მეცნიერების ის უბანია, სადაც ერთიანდება ინტერესები ლინგვისტა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... გამომდინარე ზოგადად საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან.

ონომასტიკურ ლიტერატურაში ითვლება, რომ ქართულ-მეგრულთან შედარებით სვანური ანთროპონიმია ხასიათდება **-ხან, -ყან, -ბი, -მირზა/მურზა/მგრზა...** ფორმანტიანი საკუთარი სახელების საოცარი სიმრავლით; ამ ტიპის ანთროპონიმებია: **ადიმხან, მეღეხან სიდიხან, აშტერხან, მისირხან/მისგრხან, სირმახან, დარისხან, ორსახან/ტორსახან, სოფილხან, რადიმხან, ჯამირხან/ჯამგრხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემღეხან, სერეხან, ყაზმარხან, კესგმხან, ჯარგმხან/ჯამგრხან, დაურხან, დიგორხან, მწიფხან, სიდახან, ინგლისხან, ერქახან, დევღეთხან, ქაბახან, თათარხან, ძუბუმხან...** მგზა, მგზალაჲდ, მგრზაბეგ, შეხზა, აყზა, შემზა, ყამგრზა, ნამგრზა, ბეხზა, ემუზა, ბეხმგრზა, ბექმგრზა, შემზა, ათმგრზა, ბიმურზა, მამურზა... **ასლამბი/ასლანბი, ბექგრბი, ბათგრბი, ქელესბი/ქელეგბი, ქერთბი, ყარამბი, ყვღვგბი/ყვღვგბე, შგრგმბე, მგრამბი, მუსამბი, თანბი, მგჰარბი, სარბი, თაუბი, ქვგგრბი, კადგრბი, ყარამბი, მარამბი, ქაჰშუბი... მურზაყან, თათარყან, ბაბიყან, თელყან, გჰამაყან, თავყან, ყანგეზ, ყანგი, ყანსაჲ...**

საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური პროზაული ტექსტებიდან, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ადრეული პერიოდის საეკლესიო დავთრებიდან, სამეცნიერო ექსპედიციებისა და საველე მუშაობის დროს ასაკოვან ინფორმატორთაგან საგანგებოდ ჩაწერილი მასალებიდან... ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული სიხშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქელიანთა გენეალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპონიმიაში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XVს.) დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. მთავარ დადემქელიანთა შესახებ ხალხში სხვადასხვა ლეგენდა-გადმოცემა, ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდი, დოკუმენტებში კი რამდენიმე გენეალოგია არსებობს, შედგენილი სრულიად სხვადასხვა პირთა მიერ. მათ შორის უზუსტესად მიიჩნევენ პეტრე უსლარისეულ გენეალოგიას. ბალსქვემო სვანეთის მებატონე დადემქელიანები XV ს. საუკუნის მიწურულამდე არ ჩანან ისტორიულ არენაზე. მანამდე სვანეთის მთავრები ყოფილან რიჩეგვიანები/რუჩეგიანები, რომელთა ამოწყვეტა ახალმოსულმა დადემქელიანებმა მოახერხეს კარისკაცების – ციქვილდ ცალანისა და აზნაგებ გერლიანის მოსყიდვით (ე. გაბლიანი). ლეგენდის თანახმად დადემქელიანები ჩრდილო კავკასიიდან მოსულებად ითვლებიან. გაურკვეველია და დაუდგენელი გვარის ეტიმოლოგიაც. გადმოცემით ეცერში პირველად მოსული მომხიბვლელი სილამაზისა და აღნაგობის ვაჟკაცის, დადემქელიანთა უშუალო წინაპრის პირველი ნათქვამიდან "დაშდან გელან", რაც მის ენაზე ნიშნავდა "მოვედი ამ მთებიდან", ეცერელებმა აწარმოეს მისი გვარი, დადემქელიანი ფორმით (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 60-61); უფრო დამაჯერებელია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დადემქელიანი ეპონიმური გვარსახელი უნდა იყოს – ნაწარმოები კომპოზიტური ანთროპონიმისგან – დადიშგელა (გ. გასვიანი, 1991, გვ. 144). მართალია, სულთა მატთანებსა და XV საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში გვარი დადემქელიანი არ დასტურდება, მაგრამ მამაკაცის სახელად ხშირად გვხვდება დადიშგელა. მეშვიდე მატთანეს მიხედვით ეცერის მკვიდრნი სხვა მრავალ შემომწირველთა შორის არიან დადიშგელა წარეკელიანი და დადიშგელა აშტიანი. საინტერესოა ასევე მსგავსება გვარსახელებისა – დადიანი-დადემქელიანი; ორივეში უნდა გამოიყოფოდეს ძირეული დად ელემენტი; ისტორიულ არენაზე სწორედ, დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად სვანეთის წერილობით ძეგლებში ჩნდება -ხან, -ყან, -ბი, -მირზა/მგრზა ფორმანტიანი საკუთარი სახელები: თათარყან, ყანგეზ, თემირყან, მგრზაბეგ, ყვღვგბი, თაუბი, შინხსანუყ, მამათუყ, მალყარუყ ... უცხოენოვან ანთროპოფორმანტებთან დაკავშირებით ონომასტიკური თვალსაზრისით, ზოგადად, საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ გვხვდება



საკუთარი სახელები თითქოს მერეული მორფემის გარეშე, ნაწარმოები ნასესხებ ანთროპოფორმანტა სხვადასხვა კომბინაციით: ბი-მურზა, კნინ. ფორმა: ბი-მგრზ-ოლ, მურზა-ყან, მგრზა-ბეგ, მირზა-ყუ...

**-ყან:** პოლისემანტიური თურქული სიტყვაა: 1.სისხლი, 2.მეფე. ფართო გავრცელება ჰპოვა ადიღურ ენებში მნიშვნელობით "აღმზრდელი" და სახელებსა და გვარებს აწარმოებს ამოსავალი მნიშვნელობით "ვიდაცის აღმზრდელი".მაგ. ურუსყან "რუსის აღმზრდელი"(დ. კოკოვი, ადიღური (ჩერქეზული) ანთროპონიმის საკითხები, ნალჩიკი, 1973, გვ. 144). -ყან სუფიქსიანი სახელები არ გვხვდება ადრეული პერიოდის სვანეთის წერილობით ძეგლებში, სულთა მატთანებში. -ბი და -ხან ფორმანტიან სახელებთან შედარებით ისინი ნაკლებადაა გავრცელებული დღევანდელ სვანურშიც. სამაგიეროდ ხშირია დადემქელიანთა საგვარეულოს მატთანებში, განსაკუთრებით კი XVIII ს. მოსახსენებლებში. „უფალო ღმერთო, ალაშენე და აკურთხე სახლი და საყოფელი... დიდებულის ბატონის გელახსანის, ახლავ დადემქელიანისა, მირზა-ყანს, გელახსანს, კაკუს, ხოსის, თათარყანს, თემირყანს... (მოსახ. 13, სვან. წერ. ძეგ. ტ. 2, გვ. 283). `კრება შეგიყარეს, ახლავ რუჩეგიანისა ღირსიანად უყავ, ამენ, ღმერთო! კერმუგ რუჩეგიანისა, ახლავს, ბათარს, ურუს-ყან რუჩეგიანისა, მის მეთოფეს დადაუს, თათარსავ რუჩეგიანისა,... (მოსახ. 32, სვან. წერ. ძეგ. ტ. 2, გვ. 297).

**-ხან:** თურქულენოვან და მონღოლურ ხალხებში ფეოდალ მმართველთა ტიტულის აღმნიშვნელი -ხან ელემენტი თავდაპირველად ფართო გავრცელებას პოულობს მამაკაცთა, ხოლო შემდგომ დესემანტიზაციით ქალთა სახელებშიც: სალიმხან, ზულიხან, შამხან (დ. კოკოვი, 1973, გვ. 48). ცნობილი თვალსაზრისია, რომ ანთროპონიმთა სესხება, შეთვისება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ხალხისა და ნებისმიერი ენისათვის. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართველური ენები წარმოადგენენ, რომელშიც საუკუნეთა მანძილზე არაერთი თურქული ანთროპონიმია დამკვიდრებული. მათი შემოსვლის წყაროდ მიჩნეულია ანატოლიური თურქული, კავკასიის თურქული ენები, ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმიხური. იტორიულად ცნობილია აგრეთვე ქართველთა ურთიერთობა ხაზარებთან, პაჭანიკებთან, ყივჩაღებთან (მ. ჯიქია, 1973, გვ. 212). სვანურ ანთროპონიმიაში მთელი ფენა, საკმაოდ დიდი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს -ხან, -ყან, -ბი ფორმანტიანი თურქული წარმომავლობის საკუთარი სახელებისა, რაც საუკუნეთა მანძილზე სვანთა და ყარაჩა-ბალყარელთა ცხოველი კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგია: ხან-ით ნაწარმოები სახელები ფართოდაა გავრცელებული დღევანდელ სვანურში, XIX ს. საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებსა და განსაკუთრებით დადემქელიანთა გენიალოგიურ ტაბულებში. ისტორიიდან ცნობილია საბატონო სვანეთის მთავრის - ციოყ დადემქელიანის დედა - დიგორხანი, ფაქტიური მმართველი თავისი შვილის სამთავროსი. 1832 წლის ზამთარში დიგორხანი გადავიდა კავკასიის ქედზე ყაზარდოში და ნალჩიკში მყოფ გენერალ გორიხვოსტოვს განუცხადა შვილის - ციოყის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი. იქვე მძევლად ჩააბარა ციოყის შვილი ბექერბი, თვითონ როზრენტან გაემგზავრა ტფილისში და მოაწერა ხელი რუსეთთან შეერთებაზე. 1843 წელს ეცერის მთავარი თათარხანი დაეცა დადემქელიანთა სასახლეს. დიგორხანი გადმოხტა ციხიდან და ტრაგიკულად განუტყვა სული; „**სვანეთის დედოფალი – მდინარეების ბახსანის, ყუბანის, დალისა და ენგურის ზემო დინებათა მბრძანებელი**“ – ასეთი იყო ტიტული დიგორხან დადემქელიანისა (ე. გაბლიანი, 1925, 72); ცნობები არსებობს ასევე სხვა მანდილოსნების შესახებაც. სალდათხანი – თენგიზ დადემქელიანის და – 1860 წელს ბაქსანში ცოლად გაჰყოლია თავად ადინგერ ურუსბეის და ქრისტეს რჯულზე მოუნათლავს ქმარი და ოთხი შვილი. ამ დროისთვის ეს იყო ერთადერთი ქრისტიანი ოჯახი მთელ ბაქსანში (ბ. ნიჟარაძე, 1962, გვ. 167); ამ ტიპის სახელები გვხვდება წერილობით ძეგლებში: „ბეჩუეს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა ელჩი ჩადაისა, ასიანისა, ბურდუ-ხან-ისა, კვირიკე ბაბიანისა, მეულლესა მისა ბურთუ-ხან-ისა“ (მატ. XII, პ. ინგ. გვ. 155). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ორიოდ გამონაკლისის გარდა თანამედროვე სვანურში -ხან დართული სახელები, როგორც ეს მასალების ჩაწერა-შეკრებისას გამოიკვეთა, ძირითადად ჰქვიათ ქალებს, მანდილოსნებს: სიდახან გომთელიანი, დევლეთხან კახბერიძე, დაურხან გუჯეჯიანი... მისირხან/მისგრხან გულბანი, ინგლისხან გომთელიანი, სირმახან, დარისხან, ორსახან/ჭორსახა, სოფილხან, რადიმხან, ჯამირხან/ ჯამგრხან, ვარახან, რისიმხან, სალდათხან, ჰემლეხან, სერეხან, ყაზმარხან, კესემხან, ჯარემხან, ჯამგრხან, დიგორხან, მაიფხან, სიდახან, ერქახან იოსელიანი, ქაბახან, თათარხან, ადიმხან, მელეხან, აშტერხან, ძუბუმხან...

**მირზა/მგრზა/მურზა:** მამაკაცთა სახელების ფართოდ გავრცელებული მაწარმოებელია: მომდინარეობს სპარსული მირზადან, რომელიც აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხებში სახელს ერთვოდა ხან წინ, ხანაც ბოლოში და გამოხატავდა: 1.ტიტულს არისტოკრატიულობისა, 2. განათლებულობას, 3. მდივან-მწიგნობრობას (კოკოვი, 1973, გვ. 58). ონომასტიკურ ლიტერატურაში

არსებობს სხვაგვარი ახსნაც: მირზა მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვებიდან: ამირზადე „ამირის შვილი“. ამირი შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს, ...ამირობით დაიწყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც ეს ტიტული არ გაცვალა უფრო საპატიო წოდებაზე, ხან-ზე, (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგის-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა). მირზა/მგრზა-ს თავდაპირველი მნიშვნელობა არის „უფლისწული, ბატონიშვილი“, ამ მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს, ხოლო წინ დაისმის მდივან-მწიგნობრობაზე მიმართვისას (ზ. ჭუმბურიძე, 1992, გვ. 131). მაგალითები ქრესტომათიიდან: უფალო ღმერთო, აღაშენე და აკურთხე სახლი ახლავს დადიშქელიანისა, მირზაყანს, თემირყანს, თათარყანს... (სვან. წერ. ძეგ. ტ. 2, გვ. 283). „აშხ ისგე ხომამ მგრზა ხაშხენა. მგრზა გუნ ლგჳმაშ ი ხოჩა მეთხვარ ლგმარ“ (სვან. ენ. ქრესტ. გვ. 225).

-**ბი**: როგორც არაერთგზის აღინიშნა, მახლობელი აღმოსავლეთის ანთროპონიმიკის ერთ-ერთი თავისებურებაა ტიტულთა და წოდებათა საკუთარ სახელად ან მის კომპონენტად გამოყენება: სულთანი, ხანი, ბეგი, მირზა... შდრ. ქართ. გვარი ბეგაშვილი. ბეგი უმაღლესი სამხედრო წრის წარმომადგენელი იყო. ოსმალთა იმპერიაში ბეგი დაერთვოდა დიპლომატიების, თარჯიმნებისა და დიდი მოხელეების სახელებს. დროთა განმავლობაში იგი მიმართვის ფორმის კომპონენტად იქცა. ყარაჩაულსა და ბალყარულში ბეგი (ბეჯ) წარმოითქმის ბი-დ (ბიჯ) (მ. ჯიქია, 1973, გვ. 213); დ. კოკოვს აღნიშნული აქვს, რომ -ბი ელემენტი მოჩვენებითად, არასწორადაა ასოცირებული ომონიმურ ყაბარდოულ სიტყვასთან ბი, რაც ნიშნავს „მტერს“. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს დაბადებულ ბიქს უწოდეს გერმანზი – „გერმანიის მტერი“ (დ. კოკოვი, 1977, გვ.57); -ბი ელემენტს ყაბარდოულის ლექსიკაში სხვა სახის კორელატები, სემანტიკური ნიუანსები მოეპოვება; ყაბარდ. ბეჟ/ადიდ. ბაჟ „მდიდარი“. ბეი ერთერთი ცნობილი ყაბარდოული გვარიცაა. საუკუნეების მანძილზე ცხოველი კონტაქტების შედეგად ყარაჩაულ-ბალყარულიდან შეთვისებული -ბი ფორმანტიანი სახელები ფართოდაა გავრცელებული სვანურ ონომასტიკონში: ვსლანში/ვსლანზი, ბეკერბი, ბათერბი, ქელესბი/ქელეჩბი, ქერთბი, ყარანბი, ყელგზბი/ყელგზბე, შერგზბე, მერანბი, მუსანბი, თანზბი, მგჳარბი, სარბი, თაუბი, ქეჩგზბი, კადერბი, ყარანბი, მარანბი, ქაუშუბი...ჯაშაბეგ, მგრზაბეგ... ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სვანეთის დიდი მემეტაიანის ბესარიონ ნიჟარაძის ცნობა, რომ ლეგენდა-გადმოცემებში ცოცხლობს სახელი ძლიერებით, გონიერებით განთქმული ქავშუბისა, მულახის საზოგადოების მახვილისა, რომელიც პურობისას ვერაგულად მოუკლავთ უშგულში (ზ. ნიჟარაძე. 1962, გვ. 82). -ბი ელემენტის სახელები გვხვდება XIX საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებში, რუსუდან ხარაძის მიერ შედგენილ გენიალოგიებში, მეტნაკლებად დღევანდელ სვანურ ანთროპონიმიშიც, X–XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლებისათვის კი ამ ტიპის სახელები უცნობია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე სახელს (კიბიბი, ლიბი, რაბი, საგუბი, ქერობი...), რომელთა სემენტაცია და -ბი ელემენტის გამოყოფა, ბუნებრივია, სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია: კიბიბი (სვანური გრაფიტები, სვან. წერ. ძეგ. II გვ. 520). რაბი (მატიანე VII სვან. წერ. ძეგ. გვ. 538).

-**უყვ/უყ/ყვა** როგორცსაკუთარ სახელთა მაწარმოებელი უფრო ხშირია წერილობით ძეგლებში, ზღაპრებსა და ლეგენდა-გადმოცემებში, ვიდრე თანამედროვე სვანურ ანთროპონიმიში: ამ ტიპის სახელებია: **დუდარუყუტ, ლეფსუყუტ, მამსრუყუტ, ხანთუყუტ, მანთუყუტ, თანდუყუტ, შტოგვარი თანდუყუტ, ნამსრუყუტ, იელბერდუყუტ, მალყარუყუტ, ყაფსუყუტ, გეყვა...** ყაფსუყ გომთელან, ჳევს ლგჳაშვდი ყაფსუყელა „ხევში ქებული ყაფსუყ გომთელიანი“ (სვან. პოეზ. 1939, გვ. 160). ოჲ, საბრალე ჯარაშდუყი, ქავ ჯიშგვმინან აშდარხანი „ოი, საბრალე ჯარაშდუყ, რომ გეთხოვა აშდარხანი (სვან. პოეზ. გვ. 160). „სვანურში გვხვდება ჩერქეზული წარმომავლობის გვარებიც, რომლებიც -ყვა, -ყა (უდრის ქართ. „ძე, შვილი“) სუფიქსიანად აღიქმება, როგორც მთლიანი საკუთარი სახელი და დაირთავს შტო-გვარების მაწარმოებელს: გენჯაყვაშა შავჳჲლ „გენჯაყვანთ შავაილი“ (ჩანტლაძე, 1967, გვ. 297). ირკვევა ასევე, რომ გვარი პირველი სვანურ ანთროპონიმიში შემოსულია ადიღურის (ჩერქეზული) ენიდან სპარსულ-არაბული წარმოშობის ფირ-ველნ ანთროპონიმის შესხების გზით. თურქულ ენაში ფირ-ველნ ნიშნავს „მოხუცი მმართველი“, იგულისხმება ვილაიეთის ან სხვა ადმინისტრაციული დანაყოფის გამგებელი. თურქულიდან ადიღურის მეშვეობით შემოდღეული ანთროპონიმი ფირ-ველნ რიცხვით სახელთან პირველი გაიგივებულა და ამ შინაარსისავე სვანურ გვარად დამკვიდრებულა (ბედოშვილი, 1997, გვ. 12). ამ დებულების სისწორეზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და დიდი სვანური გვარი პირველი არ გვხვდება X–XVIII საუკუნეების სვანეთის არცერთ წერილობით ძეგლში. ზემორეჩამთვლილ

ანთროპოფორმანტა გამოყენების კუთხით საინტერესოა წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი შემდეგი პარალელური ფორმები: თათარ/თათარყან, თემურ/თემურყან, რადიმ/რადიმხან, სოფილ/სოფილხან, ბათერ/ბათერბი, მუსა/მუსაბი...

**საინტერესოა ანთროპონიმიკის კუთხით ისტორიული დოკუმენტებისა და წყაროების მონაცემთა ანალიზი:** სვანეთის წერილობითი ძეგლები ქრონოლოგიურად მოიცავს X-XVIII საუკუნეებს; „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“ XIII საუკუნის მეორე ნახევრის მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლია როგორც სვანეთის, ისე სრულიად საქართველოს ისტორიისათვის. **დემეტრე დოღელიანის** ხელით დაწერილ, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით უაღრესად ფასეულ ამ ძეგლს ზუსტი ანალოგი, გარდა ტბეთის სულთა მატიანისა, საქართველოს სხვა კუთხეებში არც კი ეძებნება, როგორც ამას ისტორიკოსები და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკვლევრები აღნიშნავენ. ძეგლში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ონომასტიკური მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოა არქაული **ანთროპონიმი** ფორმები... აქ გვხვდება დღეს, სამწუხაროდ, უკვე გამქრალი და გადამწეხებული შემდეგი გვარსახელები: **ჭირეკიანი, ფოხელიანი, აზუგანი, ამნასარიანი, ითანოზიანი, მანაშიანი, ბობჩიანი, ფალგარიანი, გაყანიანი, კიკედიანი, ტბელიანი, მსავიანი, ჭუშულიანი, კაჩილიანი, რუბაგანი...** ჩხუმიფხე, გოშუანიფხე, ბეთმანიფხე...

სულთა მატიანეების და, ზოგადად, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების ანთროპონიმია და თანამედროვე სვანურ გვარსახელთა სისტემა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ძეგლებში გამოიყოფა ყოველგვარი მარკირების გარეშე ანთროპონიმებად ქცეული ქართული და სვანური აპელატივების ჯგუფები: **მამა, აღმართი, აზნაური, ჭიქა, ქარი, რკინა, გედი, ჯაგშანი, თოვლაი, თვარე /მთვარე, თეთვარი, მახარობელ, ოდიშ-ელ-იან, საღირ-ელ-იან...** სვანური: **სარაგ „წყარო“ ნელარ „კასრი“ ნინ „ენა“ ბერეუ „რკინა“, შიხ „ნახშირი“ ხუნ „საძირკველი“ ბაჟინ „მაცნე, შიკრიკი“, მანგურ...** სვანეთის წერილობით ძეგლებში გვხვდება ზანური სემანტიკის ანთროპონიმებიც: **უჯგუში, ჯიჯი, კობირა, ქვარ/ქუვარა, ხოჯი, კოჩა, ჭკომი...** გვარსახელები: **კოჩიანი, უხოჯელიანი...** გამოიყოფა აგრეთვე ჯგუფი კნინობით-მოფერებითობის -ა სუფიქსით მარკირებული ანთროპონიმებად ქცეული აპელატივებისა: **ნაკვეთა, ლხინა, ნაღდა, მალაღა, ერთგულა, ახალა, ნაღველა...** საინტერესოა, რომ საზოგადო არსებით სახელებთან ერთად ანთროპონიმებად გამოყენებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: ზედსართავი, ნაცვალსახელი, მასდარი და ზმნის პირიანი ფორმებიც კი: **ქველი, ბრმა, მწარე, შვენიერი, დიდი, პატარა, ნათება, ცხორება, ეს, შენ...** სვან. ეჯა „ის“, მაკუ „მინდა“ იგია, არმინდი, არველოდი... ყოველგვარი ანთროპოფორმანტის დართვის გარეშე ძეგლებში პირის, ძირითადად მამაკაცთა სახელებად გვხვდება ტოპონიმები: **ბაღდადი, იორდანე, ყირიმი, ხახული...** ეთნონიმები: **ფრანგი, ჯიქი, თათარი...** ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ფაქტი, რომ სულთა მატიანეების ანთროპონიმიკის ლექსიკურ-სემანტიკური მხარე თანამედროვე სვანურთან შედარებით ბევრად უფრო მკაფიო და გამჭვირვალეა; თანამედროვე სვანურისაგან განსხვავებით X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებში ქართველურ -იან/-ან გვარდაბოლოების გვერდით გვხვდება ძველი ქართული -ენ და დასავლურ ქართულ არეალში გავრცელებული -ფხე სუფიქსები;

ამრიგად, ანთროპონიმთა სესხება, შეთვისება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ხალხისა და ნებისმიერი ენისათვის. მირზა, ხან, ბეგ... წოდებათა და ტიტულთა საკუთარ სახელად ან მის კომპონენტად გამოყენება არის მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ანთროპონიმიკის ერთ-ერთი თავისებურება (მ. ჯიქია). ქართულ-მეგრულთან შედარებით სვანურში თურქულენოვან ანთროპონიმთა და ზოგადად, -ხან, -ყან, -ბი... ლექსემებით მარკირებულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელება ჩრდილო კავკასიის ენებთან - ადიღურ-ყაბარდოულთან, ყარაჩაულთან და ბალყარულთან მეზობლობამ, უშუალო კონტაქტმა, სოციალ-ეკონომიური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კონტაქტებმა განაპირობა. ქრონოლოგიურად, როგორც ეს ვ. სილოგავას რედაქტორობით გამოცემულ X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, სვანურში აღმოსავლური (თურქული) წარმომავლობის -ხან, -ყან, -ბი, -მირზა/მგრზა... ანთროპოფორმანტიანი საკუთარი სახელები არ გვხვდება ადრეული პერიოდის მოსახსენებლებში, სულთა მატიანეებში, XVI საუკუნეზე ადრინდელ წერილობით ძეგლებში. ირკვევა, რომ ამ ტიპის საკუთარი სახელები განსაკუთრებული სიხშირით არის დამახასიათებელი ბალსქვემო სვანეთის მთავარ დადემქელიანთა გენიალოგიებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ანთროპონიმიში ამგვარი სახელები მრავლდება სწორედ ისტორიულ არენაზე (XV ს.)

დადემქელიანთა გამოჩენის პარალელურად. ბალსქვემო სვანეთის მეზატონეთა გვარის ერთ-ერთი ცნობილი პირები არიან მურზაყან, თათარყან, დიგორხან... დადემქელიანები. თანამედროვე სვანურ ონომასტიკონში კი უკვე იკვეთება ტენდენცია აღმოსავლური წარმომავლობის ანთროპონიმთა მკვეთრი შემცირებისა, შეიძლება ითქვას, გაქრობისაც კი წინა საუკუნეების მონაცემებთან შედარებით.

#### ლიტერატურა:

- ბედოშვილი 1997 – გ. ბედოშვილი, რიცხვითი სახელების შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში, რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესიის თეზისები, თბილისი;
- გაბლიანი 1925 – ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი.
- გასვიანი 1991 – გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან.
- კოკოვი 1973 – დ. კოკოვი, ადიღური (ჩერქეზული) ანთროპონიმის საკითხები.
- ნიჟარაძე 1962 – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე.
- სწმ – სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I თბ. 1986წ. ტ. II, თბ. 1988.
- სვანური პოეზია, თბ. 1939.
- სვანური ენის ქრესტომათია, თბ. 1978.
- ჭუმბურიძე 1992 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.
- ჩანტლაძე 1967 – ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, მაცნე, თბილისი.
- ჯიქია 1973 – მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III. თბილისი.
- სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941 – სვანეთის საისტორიო ძეგლები, „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“ – გამომცემელი პ. ინგოროყვა, თბილისი.
- Лавров Л. И. Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М. – Л. 1950.
- Робакидзе А. Сванети, Тбилиси, 1984.

*Ketevan Margiani*

*Sokhumi State University*

### **SVAN PROPER NAMES (THE ANTHROPOFORMANTS: -BI, -QAN, -KHAN)**

#### **ABSTRACT**

Svanian anthroponymy is characterized by variety of personal names with formants: –khan, -kan, -bi... such as: Daurkhan, Digorkhan, Bimurza, Taubi, Kelechbi, Murzakan, Tatarkan... In comparison with Georgian-Megrelian language the great number of Anthroponyms of Eastern (Turkish) Origin in Svanian Language, namely, the personal names marked by lexemes was conditioned by neighboring Caucasian languages, Adighen-Kabardian, Karach and Balkar, social-economic, cultural and other kinds of contacts. The Material for analysis have been collected from X-XVIII cc. Svanetian written monuments, from Svanian language chrestomathia...

Chronologically as it can be said on the basis of the observations made on the written works, anthroponyms of Turkish origin are not met in Svanian chronicles of the souls of dead people of earlier period, in written monuments dating back to earlier than XVI c. It was found out that these types of personal names are met especially often in Dadeshkeliani genealogy of Balsqvemo Svaneti. The monument contains luxuriant onomastic material, archaic anthroponomical forms presented in it are especially interesting, surnames that have subsequently become extinct nowadays (Hirekiani, Pokheliiani, Abugiani, Amnasariani, Itanoziani, Manashiani, Bobchiani, Palgariani, Gajaniani, Kikediiani, Tbeliani, Msaviani, Chishiliani, Khachiliani, Robagiani... Chkhumipkhe, Goshuanipkhe, Beutmanipkhe...). The monument though does not always exactly and elaborately expresses specifics of pronunciation and difficulties related to transcription of Svanian language. In comparison with the data of the last century the number of anthroponyms of Eastern origin in modern Svanian onomastikon is quite reduced.

## სახენელი იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და მეგრულ-ლაზურში

საქართველო მსოფლიოში უძველესი მიწათმოქმედი ტომების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა. პირველი სახელმწიფოებრივი ჩანასახები ამ ტერიტორიაზე სამი ათასეული წლის წინ შეიქმნა. ქართველმა ხალხმა ადრე შედგა ფეხი ცივილიზებული ცხოვრების გზაზე და გულმოდგინე შრომითა და დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით შექმნა და დაიცვა თავისი მაღალი და თავისთავადი კულტურა.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სახენელი იარაღების აღმნიშვნელ ლექსიკას მეგრულ-ლაზურში. ცნობილია რომ, **სახენელ** იარაღს ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანიდან იყენებდნენ, რისი დამადასტურებელი პირდაპირი საბუთი არ მოგვეპოვება; თუმცა გ. ჩიტაიამ თავის ნაშრომებში აშკარად დაგვანახა, ქართველური ტომების მიერ ძველთაგანვე მისი გამოყენების ფაქტები. აფხაზური სახენელი იარაღის შესწავლისას კი აღნიშნა, რომ ეს სახენელი ძალიან ახლოს დგას **ურის** სახენელთან, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე ძველია (Читая, 1941: 375).

მიწის სახენელი იარაღებიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მეტად გავრცელებული იყო **გუთანი**. იგი რამდენიმე სახელით არის ცნობილი: ქართული გუთანი, დიდი გუთანი, დიდი ქართული გუთანი, ხის გუთანი, შავი გუთანი, პაპას გუთანი. ყველა ეს სახეობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება ან მათ კონტრუქციაში მდგომარეობს, ან მასალაში, რომლითაც გუთნები დამზადებული. მუშაობის პრინციპი კი ყველა მათგანისათვის ერთია.

დიდი **ქართული გუთნის** ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: „რვილი“ (მოხრილი გრძელი ძელი, რომელზედაც მიმაგრებულია სახნისი, საკვეთელი, ფრთა და სხვა ნაწილები გუთნისა, ზომით დაახლოებით 320- 340 სმ.), „მანჭები“ (სახელურები), „ფრთა“ (ბელტების გადასაბრუნებელი ფიცარი), „ხმალა“ (აერთებს რვილსა და გუთნის სხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რითაც გუთანს სიმტკიცეს სძენს), „ქუსლი“ (ხის ნაწილი, რომელზედაც სახნისი იყო წამოცმული), რკინის „სახნის-საკვეთელი“, „ფამფალაკი“ (დერძი, რომლის ბოლოებში გაყრილია სხვადასხვა ზომის გოგორები - „კვალის გოგორა“ და „ველის გოგორა“).

გუთნის ხის ნაწილები მაგარი ჯიშის ხისგან მზადდებოდა (მუხა, იფანი, თელა და სხვა). დიდი ქართული გუთნისათვის ისევე, როგორც საერთოდ ქართული სახენელებისათვის, დამახასიათებელი იყო მრუდე რვილი. გუთნის ტიპის ევროპული სახენელი იარაღები, რომლებიც გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, ხასიათდებოდა პირდაპირი მხრით. რვალის სიმრუდე, რომელიც ქართულ სახენელებს ახასიათებს, ადასტურებს ქართული გუთნის თვითმყოფად ხასიათს.

ფრთა და სხვადასხვა ზომის გოგორებიანი ფამფალაკი არის ის ნაწილები დიდი გუთნისა, რომლებიც მარტივ სახენელ იარაღებს არ გააჩნიათ.

დიდი **ქართული გუთნის** არსებობა დასტურდება XI-XII საუკუნეებში. იგი ღრმად ხნავდა (35 სმ. სიღრმეზე), ბელტს (50-60 სმ. ზომისას) ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა. სწორედ ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სახის სახენელ იარაღებთან შედარებით. XIX ს-ის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჩნდება ქართული გუთნის გაუმჯობესებული სახეობანი. ასეთებია: ე.წ. **მუხრანული გუთანი** და **კაკაბური გუთანი**.

დიდი ქართული გუთანი დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების საანულო სისტემასთან . იგი საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთის ბარში, ნაწილობრივ ქართლის მთის წინა ზოლში. მესხეთში დიდი გუთანი მხოლოდ ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხის გუთნები ნიადაგის თავისებურების მიხედვით ზომით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგალითად, გარეკახეთსა და ივრის ხეობაში უფრო დიდი ზომის გუთნები იყო ხმარებაში, ვიდრე ქართლში, შიდა კახეთსა და ქიზიყში. ქართლის მთის წინა ზოლში ქართლის ბართან შედარებით უფრო პატარა ზომის გუთნები იყო.

გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირად ღირებულ სახენელ იარაღს წარმოადგენდა. შედარებით იაფი ჯდებოდა გუთნის ხის ნაწილი, რომელსაც ხშირად გლეხები თვითონ თლიდნენ. თითქმის ყველა სოფელში იყვნენ ამ საქმის მცოდნე გლეხები. შედარებით დიდ სოფლებში იყვნენ ისეთი ხელოსნებიც,

რომელთათვისაც ეს ხელობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ისინი, ჩვეულებრივ, რამდენიმე სოფელს ემსახურებოდნენ.

შედარებით ძვირი ჯდებოდა გუთნის რკინის ნაწილები, სახნისისათვის საშუალოდ ერთი ფუთი რკინა იყო საჭირო, საკვეთლისათვის კი - ნახევარი.

გუთნის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა **ჯამბარა** - ტყავისაგან დაწნული ღვედი, რომლის საშუალებითაც გუთანი მიბმული იყო ფამფალაკზე. XIX ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის ზოგიერთ ნაწილში იგი რკინის ჯაჭვმა შეცვალა. გუთანში გამწვევი ძალის შესაბამელად გამოიყენებოდა უღელი ტაბიკებითა და აპურებით. ჯამბარა-ღვედის საშუალებით უღლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. თითო ღვედი 3-4 უღელს აკავშირებდა. ღვედის დასაწვენლად საჭირო იყო 2 კამეჩის, ან 3 ხარის ტყავი. ღვედების ოსტატებად ხევსურები ითვლებოდნენ. ქართლში ადგილობრივადაც ამზადებდნენ ღვედებს. გადმოცემით, ღვედი 25-30 წელი ძლებდა.

როგორც ჩანს, გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ალბათ, ამიტომ საბუთებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მოხსენიების დროს გლეხის ოჯახში სახვინელი იარაღების ნაწილებზეა ხოლმე უმეტესად ლაპარაკი და არა გამართულ სახვინელ იარაღზე - გუთანზე. გლეხთა შორის მხოლოდ შემდგომულებს გააჩნდათ საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი. ქართლ-კახეთის სოფლებში გამართული გუთანი საშუალოდ კომლების 10-12% ჰქონდა.

სახელწოდება **გუთანი** შესულია აზერბაიჯანულში - **გოთან**, სომხურში - გუთან, თურქულში - **ქოთან**, დაღესტნურ ენებში - **ქოთ** და ადიღეურში (სადაც ფამფალაკის სახელწოდებაშია შეფარებული) - **გუთლამიშ**. ენის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ **გუთანი** არ არის ინდო-ევროპული, არც თურქულ-მონღოლური, არც სემიტური, არამედ კავკასიური წარმოშობისა.

ივ. ჯავახიშვილის წერს: „ტერმინი **გუთანი** და ყველა მისი ფონეტიკური სახენაცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებული ენებიდან არც ერთს ამ ტერმინის არსებობის ესოდენ ძველი საბუთის წარმოდგენა არ შეუძლია როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშვება აზრი, რომ გუთანი პირველად საქართველოში უნდა იყოს გაჩენილი და აქედან გავრცელებული მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აბრკოლებს, რომ „გუთნის“ ეტიმოლოგია გაურკვეველია“ (ჯავახიშვილი, 1930:12).

სტამბოლის უნივერსიტეტის პროფ. ა. ჯაფაროღლუმ ტერმინი **გუთანი** ახსნა თურქულში დადასტურებული სიტყვიდან **ქოთ**, სადაც ეს სიტყვა აღნიშნავს წრის შემოხაზვას. სემანტიკურად ამგვარი დაკავშირება ხელოვნურად გამოიყურებოდა (ჩიტაია, 1997:145.). სერგო ჯიქია ამტკიცებს, რომ თურქი პროფესორის მტკიცებულება უსაფუძვლოა, ქართულს სიტყვა **გუთანი** თურქულიდან ჰქონდეს ნასესხები საფუძველს მოკლებულია (ჯიქია, 1985: 255-262). ქართველ ტომებში ტერმინი **გუთნით** აღინიშნება არა მარტო სახვინელი, არამედ სახვინელი იარაღის ქუსლი ( ქსნის ხეობა, ქობულეთში, სოფ. ბობოყვათი), სადაც ჯილდის ქუსლს გუთანი ჰქვია. ეს ფაქტი შეიძლება ტერმინის სიძველის ნიშნად მივიჩნიოთ. ტერმინი **გუთანი** რომ უძველესია, ამაზე მეტყველებს ძველი წარმოშობის ხალხური ზღაპრები. ჩიტაიას აზრით, იგი ზოგადკავკასიური კუთვნილების სიტყვაა, რომელიც თავდაპირველად პრიმიტიული (ხევსურული აჩაჩის ტიპი) სახვინელ იარაღს აღნიშნავდა. ხოლო შემდგომი მისი დიფერენცია - **მთის გუთანი, ორხელა გუთანი, ბარული გუთანი** ამ იარაღის დაწინაურებამ განაპირობა (ჩიტაია, 1997: 85)

გავრცელებული ტერმინია **ჩორბაქი** - ხის გუთანი, ორფრთიანი, რომლითაც ჭაობიან ადგილს ამუშავებდნენ. შდრ. ტოპონ. **ნაჩორბაქუ** (სენაკ. ტოპონ, გვ. 31; ქაჯაია, 2009 : 552)

**წიწენა/ წინმავალა** - გუთნის იარაღი, მოკალული კეცია, რომლის ქვემო ნაწილი მიწაზე ცოცავს და ჭდობილების შემწეობით არეგულირებს ღრმად ხვნას, უმსუბუქებს გუთნის დედას სახვინელი იარაღის მართვას. იგი მარტივი სახვინელი იარაღის პირობებში იმავე როლს ასრულებს, რასაც გუთანში ფამფალაკი. (ჩიტაია, 1997: 333. ტ. I)

**ოქოქა** - ერთგვარი გუთანი (იგივეა რაც აჩაჩა), გუთნის საკვეთელი, ხელანა (ქობალია, 2010 :549).

ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის ერთ-ერთი ელემენტია **ქართული უღელი**. სამეურნეო პირობების თავისებურებებთან დაკავშირებით დასტურდება შემდეგი დანიშნულების უღელი: **სამარხილე, სალაჩქიმე, საკალოე, სააჩაჩე, საყვერის, საწკეპი, სახდომი, სამირე** და სხვ. ყველა ეს უღელი დაიყვანება რამდენიმე ძირითად ტიპამდე: **საზარე ურმისა, ჩოჩიალა ურმისა, მარხილისა, ორხელისა და აჩაჩისა**. დასახელებული უღლის თითოეული ტიპი შეიცავს სხვადასხვა სახის ვარიანტს ფუნქციის შესაბამისად. ჩვენებური უღლის ძირითადი ნაწილებია: **ხის მორი**, უპირატესად ივნის ან თელის, მორის ცენტრში კორაა დატანებული უღელზე- საზიდის ხელანების ღვედით დასამაგრებლად, ან კიდევ აქ



ნაჩვრეტია თავტაბიკისათვის; **საქედური** უღლის ის ნაწილია, რომელიც ქედზე ადევს საზიდის დასამრავად. საქედურებთან გაყრილია წყვილი **ტაბაკი**, უმთავრესად შვინდისა, რადგან შვინდი მოქნილია და ხარს კისერს არ ტკენს. უღლის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ძუის ან კანაფის **აპეური**, დაწნული ღვედი, რომელიც უღლის შუა წელზეა მიბმული.

უღელი არსებობს ერთი, ორი ან სამი ხარისათვის. უღელი ერთი ხარისათვის ცალუღელად არის წოდებული.

მეგრულშიც სახვნელი იარაღის სახელწოდებაა **გუთანი**, თუმცა გვაქვს რ-აე განვითარებული ფორმაც: **გურთანი**. მაგ.: ფიქსირებული ტექსტებიდან: „ეჩი უღუ **გურთანი**თ ქოხონგე ართი კოჩი“ (ხუბუა, 1937: 270) \_ „ოცი უღელი გუთნით ხნავს ერთი კაცი“...

ქართ. **გუთანი** მეგრ. **გუთანი/გურთანი**

მთხრობელი სოფ. დიხაზურგადან (ლეო ღაჭავაძე, 78წ) აღნიშნავს: „ჩვენთან ვიყენებდით კინახონას, რომელიც რკინისგან იყო დამზადებული, და მიწას კარგად ხნავდა, მას სხვანაირად **აგაფასაც** ვეძახდით, ჯერ იყო **აგაფა**, შემდეგ შეიცვალა **გურთნით**.“

**გურთანი**- გუთანი; ხვეულა (ა. ქობალია, 2010 :228).

ლაზურში **გუთანი** ტერმინით - **ხოჯიკოკარი** არის მოხსენიებული.

**ხოჯიკოკარი**- სახნისი, გუთანი(?) (თანდილავა, 2013 : 888)

აღსანიშნავია, რომ ლაზურში სახნისი მოცემული გვაქვს ტერმინით **საფანი** (თურქ. sapan): „სი **საფანი** ქოდიქაჩი!“ - შენ სახნისი დაიკავე (ჩიქობავა, 1936: 116). „**საფანით**ე ხოჯებს ლეტა ონოხორაფამს“. - სახნისით ხარებს მიწას ახრევენებს. (ჩიქობავა, 1936: 2).

გუთნის ნაწილებია: **კიბირი//კვბერ** (კბილი), რომლის ძირი ბრტყლად არის გათლილი (გოთეთ რე თოლირი), ხეკუდელი (ხელკუდი). ყამა (ხანჯალი), მანჯა, ფთე ხემიოთხუმუ (სახელური), კინახონა (სახნისი), საშერი (ბუდე) და წვანჯი/წვანდი (წვერი) (ი. ბებია, 2003, 70).

**ფამფალაკი** წარმოადგენს სახვნელი იარაღის (დიდი ქართული გუთანი, ჯილღა) ნაწილს, ღერძს, რომლის ბოლოებში გაყრილია. ქართული **ფამფალაკი** ფორმა გვხვდება მეგრულშიც. ლაზურში მსგავსი ტერმინი ვერ მოვიძიეთ.

სვანეთში უღლის შემდეგი სახეობებია დამოწმებული: ა) სახნავი უღელი- **ლაკნიაშ უღვა**, გრძელია.

ბ) სალენი უღელი- **ლაკლავიაშ უღვა**, გ) საზიდი უღელი -**ლალკანიაშ უღვა**, დ) სანაკელო უღელი- **ლაჰუნწვიაშ უღვა** ე) საცალხარო უღელი- **ლამეშიაშ უღვა**. (ჩიტაია 1997:147)

დასახელებული უღლების ყველა სახეობა გამოიყენებოდა ხარის შესამბელად საზიდარში ხარის ქედზე დადგმული საქედურის შემწეობით. განსხვავებულია ის უღელი, ტომელიც ქედზე კი არ ედგმის, არამედ რქის ძირში.

საქედური წარმოადგენს უღლის მთლიანი მორის გაგრძელებას და გადარკალური, კამაროვანი კვეთილების გამო, მეტად ლამაზი შესახედავია.

**უღელი**, საბას განმარტებით - კართ ქედსადები ხე შესაბმელად (მითითებულია ფსალმუნი 2,3).

საბა აგრეთვე განმარტავს: **უღელი** ეწოდება სასწორის საკიდარს (მითითებულია გამოცხადება 6,5) და აგრეთვე **უღელი** ქრისტეს სათნოების აღებაა.

უღლის სახელწოდებაში ერთი და იგივე ძირია გამოყენებული როგორც ქართულში, აგრეთვე მეგრულსა და სვანურში **უღუ** და **უღვა**. ამავე სიტყვასთან კავშირი უნდა იყოს ავარული рукъ ჩაჩურ-ინგუშური рукъ, ლაკური рукъ, ლეზგიური виг (ჩიტაია, 1997:149).

მთხრობელი(დიხაზურგა) ამბობს, რომ ნიადაგი ძირითადად ორი ხარით იხვნებოდა, ხარს უკეთებოდა ხის უღელი, მეგრ. **უღუ**, რომელზედაც მაგრდებოდა **აგაფა (გურთანი)**. **უღუს** ჰქონდა **ღეტამა** (მეგრ) - ბაწარი, რომლითაც იკვრებოდა. **ღეტამას** ჩვენ **ტაბაკსაც** ვეძახდით. ღეტამას თხილის წნელისგან ვამზადებდით: „დობწილოხუნდით დო ქიმვოსკუანდით აგაფას“ - დავწურავდით და მივაბამდით გუთანს (აგაფას).

**ნტაქიმი (არქ.)** უღელი (?): „ნთხაქ: „ნტაქიმითენ ბიდა ი, ხვალა ბიდა ი? იდი, კითხი“ -ია დო თქოუტორენ“- უღელთან ერთად წავიდე თუ, მარტო წავიდე? მიდი, ჰკითხეო, უთქვამს თხას (თანდილავა, 2013:583).

სავარაუდოა, რომ სიტყვა **„უღელი“** განეკუთვნება იმ ხანას, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი საერთო ქართველურიდან სვანური და მეგრული, როგორც ამას ფიქრობენ ლინგვისტები. საბას **უღელთან** დაკავშირებით მოეპოვება შემდეგი სიტყვები: **ცანკუჭუღელი**, რომელიც ახსნილია, როგორც წყვილი და კენტი, უღელი ცალი ლუწი და კენტი. მასვე მოაქვს სიტყვა **ცანკვილი // ცანკული**-კენტი კარი. ეს მასალა გვაფიქრებინებს, იქნებ არსებობდა უღლის აღსანიშნავად სხვა ქართული სიტყვა.

ამის საფუძველს შეიძლება იძლეოდეს ტერმინი **ყვეარი**, რომელიც ახლოს დგას საბას მიერ დადასტურებულ **კვილ-თან**. ეს უკანასკნელი, როგორც ნ. მარი არკვევს, სვანურს შემოუნახავს სიტყვაში de-ge-da (ორისაგან არც ერთი. ლათ. neuter). თუ ეს ეტიმოლოგია მართებული გამოდგებოდა, უძველესი განათხარი უღლისათვის შეიძლება გვევარაუდა ზოგადი ქართული სიტყვა **ყვეარი**.

ქართ. **უღელი**-ს ექვივალენტი მეგრულში არის **ულუ**, ხოლო ლაზურში **ორხუ**.

**ულუ** - უღელი, **ულუ** გეიონწყი ხოჯემს, - უღელი ახსენი ხარებს ( ელიავა, 1997: 304). **ორხუ** - უღელი (თანდილავა, 2013 : 654). ნიმუშები ტექსტებიდან:

„გუთანს, ყიარს ქუსქ ვითამშვი ულუ კამბეშეფი“ (ხუბუა, 1937: 56 )- გუთანს, ყვეარს უბია თექსმეტი უღელი კამეჩები. „მაფშალიას ულუ გედგ“ (ყიფშიძე,1937: 146) — ბულბულს უღელი ადგას. „ჩხოუს ნიგა ქემეულეს — ხოჯი ვორექია; ულუ ქემეულეს - ფუჯი ვორექია“ (ყიფშიძე,1937: 179) - ძროხას ნიგა რომ მიუტანეს, - ხარი ვარო, უღელი რომ მიუტანეს, - ძროხა (ფური) ვარო. მაფშალია უღუს უსქუ: (ქხს,1,გვ.174) - ბულბული უღელშია შებმული.

მიწის სახენელი იარაღია **ჩუთი** ანუ **კავი**. ჩუთით შესრულებულ მუშაობას **აჩუთვას**, **აოშვას** და **აკავებას** უწოდებდნენ. როგორც ვარაუდობენ, ჩუთი გუთნის გაჩენამდე ძირითადი სახენელი იარაღი უნდა ყოფილიყო, გუთნის გაჩენის შემდეგ კი ჩუთის ფუნქცია ვიწროვდება და იგი ძირითადი იარაღიდან დამხმარე სახენელის ადგილზე ინაცვლებს.

ჩუთის ანუ კავის მეგრული სახელია **ოგაფა** (მაკალათია, 1941: 186; ჯალაბაძე, 1974: 32), რომელიც ზოგჯერ **აგაფას** სახელწოდებითაც გვხვდება. „ჯვეშო დიხას ხონუნდეს ოგაფათ“ - „ძველად მიწას ხნავდნენ კავით“. ოგაფას ნაწილებია: ოგაფეში ტარი- კავის ტარი (ტანი), **ქური** - ქუსლი, **ერქვანი**-კავის სახელური (მაჭი), **კინახონა** -ქუსლზე წამოსაცმელი რკინის სახენელი

(მაკალათია, 1941:187. ქაჯაია, 2002:422).

ოგაფას ღერძს ( რვილეს) ზოგან **გა**-საც ეძახიან.

მთხრობელი (გვაძი ვეკუა,105 წლის, სოფ. სავეკუო) აღნიშნავს, რომ აგაფასთვის გამოდგებოდა ბალი, თელა ან ლანჭი, სხვა ხე არ გამოდგება. როდესაც ხე ცოტა გაშრებოდა ლარით გავასწორებდით და გავთლიდით. დავტოვებდით გასაშრობად. მერე კიდევ გავთლიდით და გამოგვყავდა აგაფა. მერე **ქურს** (ქუსლს) გამოვთლიდით. ქუსლისათვის საჭირო იყო ან ნიგოზი, ან თხმელა, სხვა ხე არ ვარგოდა. ქუსლს სიგრძეზე გავთლიდით და აგაფას მივაზომებდით. ქუსლს, იმ ადგილას, სადაც აგაფა უნდა ჩამაგრდეს, ამოვტოხავდით. ამ ბუდეში აგაფას **სოლებით** ჩავამაგრებდით. (ჯავახიშვილი; ტ. V. 1987).

ეთნოგრაფების მიერ სამეგრელოში აღმოჩენილია კავის იშვიათი სახე, რომელიც **სუმქურის** სახელით არის ცნობილი. **სუმქური** ქართულად **სამფებს** ნიშნავს და ის მართლაც სამქუსლაა. მის შემქმნელად ასახელებენ ნამაკოლას მკვიდრ გლეხს სოფრო ოყუჯავას.

XIX საუკუნეში კავის მოვალეობას აფხაზეთში ასრულებდა გრძელი ძელი, რომელსაც თავი წაწვეტებული ჰქონდა და რკინის სახნისი ჰქონდა ჩამოცმული. ძელის ტანს სახელური უკეთებოდა. ამ სახნავ ს „აწაჰა-ცმათა“ ეწოდებოდა. ეს არის პირველი აფხაზური სახენელი იარაღის ტიპი. პირველი ნაწილი „აგა“ (აფხ) = ხის ნაჭერი. „აჰ“=ცარავს. სიტყვასიტყვით თარგმანია უკულმა ტრიალებს, შლის არღვევს. პარალელურად ზოიფურ აფხაზეთში ამ სახენელისათვის იხმარებოდა: „აგმათა“, რაც ხარი სახელურს, ხარის ქუსლს, ხარის სამოსს აღნიშნავდა. აფხ. „აგ“=ხარს, „ამათა“=ჩაცმა. ე. ი. ხარზე ჩამოსაცმელი (ბახია-ოქრუაშვილი, 2011:59).

ამდენად, ჩვენ სტატიაში განვიხილეთ ძირითადი სახენელი იარაღი **გუთანი** და მისი სახესხვაობები როგორც ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში, ისე მეგრულ-ლაზურში. თუმცა ლაზურში, ცნობილი მიზეზების გამო, სახენელი იარაღების ლექსიკა, რაც საერთოქართველურ ძირს უკავშირდება, შედარებით მწირია.

#### ლიტერატურა:

1. ს. ჯიქია, 1985 - ს. ჯიქია მასალები „გუთან“ სიტყვის ისტორიისათვის, კრ. „ხელეური“ (მსე, ტ. XXVII) თბილისი, 1985.
2. ი. ბებია, 2003 - ი. ბებია „სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში“, (დისერტაცია), თბილისი, 2003.
3. ივ. ჯავახიშვილი, 1930 - ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 1930.
4. ა. თანდილავა, 2013- ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
5. გ.ელიავა, 1997 -გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი- თბილისი, 1997.
6. გ.ჩიტაია, 1997- გ. ჩიტაია, შრომები ტ. I, ქართ. ხალხის სამეურ. ყოფა და მატერ. კულტურა, თბილისი. 1997.



7. ა. ქობალია, 2010 - ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
8. ი. ყიფშიძე, 1994- ი. ყიფშიძე - რჩეული თხზულებები, თბილისი, 1994.
9. არნ. ჩიქობავა, 1936 -არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.
10. ს.ბახია-ოქრუაშვილი, 2011-ს.ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი; 2011.
11. ს. მაკალათია, 1941 - სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.
12. ხუბუა, 1937 - მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი 1937.
13. ქაჯაია, 2009 - მეგრული ლექსიკონი, ტ. IV დამატებანი, თბილისი, 2009.

*Nino Mashia*

*Sokhumi State University*

**VOCABULARY DENOTING PLOUGHING TOOLS IN GEORGIAN, MEGRELIAN AND LAZ  
LANGUAGES  
ABSTRACT**

In the previous article we have analysed the vocabulary of agricultural tool, namely plough and its name in Mengrelian- Laz languages. It corresponds with Georgian language and the dialects are given as far as possible the attempt of etymological search of these names is made. The example of archeological and etymological material is viewed.

The analysis provides that Georgian –Mengrelian- Laz material is basically Georgian. The difference appeared later. The Laz language because of widely known reasons was more developed.

**მურად მთვარელიძე**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ქრისტე და მარიამი რუჰი ბაღდადის პოეზიაში**

როგორც ცნობილია, ქრისტესა და ღვთისმშობელს საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ყურანში“. შესაბამისად, სპარსული პოეზიისათვის ისინი პოპულარული პერსონაჟები არიან. ეს საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართველი მკვლევარების მიერ (მ. თოდუა, გ. ლობჯანიძე).

პროფ. მაგალი თოდუა წიგნში „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“ წერს: „შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ ყურანში მოხსენებული იესო საყვარელი პერსონაჟი გახდა, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ მთელი სპარსული პოეზია არის სუფიური ანუ ნეოპლატონური, რომლის მიხედვით ჩვენ ვართ უფლის ემანაცია, რომელსაც აქვს უნარი ამაღლდეს და დაუბრუნდეს ისევ ღვთაებას, მაგრამ თუკი ქრისტიანული სწავლებით ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრებით უფალთან მისვლა, სუფიზში მიიჩნევენ, რომ ადამიანს აქვს საშუალება 12 საფეხურის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც კარგავს ხორციელ არსებობას, არათუ მივიდეს უფალთან, არამედ გაითქვიფოს მასში, ანუ ღმერთად იქცეს. ქრისტე აღმოჩნდა იდეალური მოდელი ისლამის მოაზროვნეებისათვის. ღმერთი, რომელიც ჩამოვიდა, იცხოვრა, ივნო და აღდგა.“

რამდენადაც ეს პრობლემა კარგადაა შესწავლილი სპარსული მწერლობის მაგალითზე, იმდენად საინტერესო ხდება, თუ როგორ დადგა აღნიშნული საკითხი თურქულ მწერლობაში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მე-16 საუკუნის დიდი ოსმალთა პოეტის რუჰი ბაღდადის შემოქმედება. რაკი რუჰი ბაღდადი თავის თავს მოიაზრებს, როგორც რინდ პოეტს, ბუნებრივია, დგება

საკითხი, თუ რით გამოირჩეოდნენ ამ მიმართულების ავტორები და, ზოგადად, რას ითვალისწინებდა რინდის, როგორც ერთგვარი პოეტური კასტის მსოფლმხედველობა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში რინდების საკითხს თავის დროზე შეეხნენ ივ. ჯავახიშვილი, ვ. გაბაშვილი, ელ. ჯაველიძე...

„ქართლის ცხოვრებაში“ რინდები უარყოფით კონტექსტში მოიხსენებიან. ლაშა-გიორგის შესახებ აქ ნათქვამია: „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და წესთა მასწავლელნი, შეიყურა რა თანამოსაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა, თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთათანა, რათა მუნ განძრონ სიბილწე თვისი.“

როგორც ვხედავთ, მეფის რინდთა შორის ყოფნა ჟამთააღმწერელს მიაჩნია სამრახ, ყოვლად მიუღებელ საქმედ.

სპარსული სიტყვა, „რინდი“ ლოთს, მოქეიფეს, თავზე ხელადებულს ნიშნავს და ჟამთააღმწერელის მიერ მოთხრობილი ეპიზოდის რინდს სწორედ ამ კუთხით წარმოგვიდგენს.

თვითონ რინდები, როგორც შენიშნულია, ამყოფდნენ ამ სახელით. მათი გაგებით, რინდი ნიშნავდა ვაჟკაცს, დარდიანს, კეთილშობილ, პატიოსან ადამიანს.

მე-14 საუკუნის გამოჩენილი სპარსი პოეტი ჰაფეზი წერდა: „როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე. მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად“. რინდი პოეტების ამ თვალსაზრისით შესწავლა ცალკე კვლევის სფეროს განეკუთვნება. დგება საკითხი სარწმუნოებასთან რინდების დამოკიდებულების შესახებ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, მათი ერთადერთი სარწმუნოება არის ჭეშმარიტება. შეიძლება ითქვას, რომ რინდებისათვის ჭეშმარიტება დგას სარწმუნოებაზე მაღლა, ამ მიდგომით უნდა განვიხილოთ რუჰი ბაღდადის დამოკიდებულება იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლისადმი.

ერთ ლექსში რუჰი ბაღდადი საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები უფლის პატარა ნაწილაკები (ატომები) არიან. მათ თავისი თავი წარმოუდგენიათ იმ წმინდა სულად, რომელიც გაბრიელმა „სცხო მარიამს“. ისინი მზის თასებით ყოველ ცისმარე ეწვეიან ლხინს, ხოლო ნაბახუსევზე პურ-მარილს ქრისტეს გვერდით შეექცევიან. მტრის მიმართ რინდი პოეტები მუსას (მოსეს) კეთილი ხელის მქონენი, წარღვნის დროს კი ნოეს კიდობნის გამომთლელეები არიან. ამავე ლექსში პოეტი გამოთქვამს ერთგვარად თამამ აზრს, რომ რინდი პოეტები „ქრისტეს სუნთქვის შთამაგონებელი გასაღები“, უფრო მეტიც, „ქრისტეს სუნთქვა“ და თვით ჰიზირის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან.

#### **ბწკარედი:**

თუმც გარეგნობით მცირე ატომები ვართ, სულიერ სიღრმეში მზეები ვართ, წმინდა სულის (გაბრიელის) მიერ მარიამში შთაბერილი სულები ვართ.

მზის თასით ყოველ დილით ვეწევით ლხინს,

ქრისტესთან ერთად ნაბახუსევზე ჯამის მსმელები ვართ.

უგვანო ღვინოს არ დავლევთ, თუ ალთქმა დავდეთ

ჩვენ ალთქმაში მტკიცედ ვდგავართ, ნასუქები\* ვართ.

გველიც რომ იყოს მტერი, მუსას თეთრი ხელი ვართ.

ქვეყნის მწუხარება თუ იქნება ნიაღვარი, ჩვენ ნოეს კიდობანი ვართ.

მოლამ წაიკითხოს მედრესში ორბწკარედის (პოემის) ახსნა..

ჩვენ გამოგვიწოდე ჯამის ფსკერი (არსი), ეი, ჩვენ ახსნის ჭეშმარიტი მცოდნენი ვართ.

სუფი, ჩვენ ფიზიკური თვალით ნუ გვიყურებ,

გახსენი სულის კარი, შემოგვხედე, ნახე, რა სულები ვართ.

აუგის მთქმელებს და ცილისმწამებლებს ჩვენ კრიჭაშეკრული ვენახვებით,

მაგრამ ქრისტეს სუნთქვის მქონე რინდების შთაგონების გასაღები ვართ.

ქრისტეს სუნთქვა ვართ, ზერქმევა რუჰი გვაქვს, ჰიზირის ცხოვრება ვართ.

სახეთა (ატრიბუტთა) ზღვაში ზათის\*\* მალული მარგალიტები ვართ.

\* **ნასუქი** - კაცის სახელი, რომელიც თაღლითობდა ქალთა აბანოში, მაგრამ შემდეგ ალთქმა დადო, რომ ასეთ რაიმეს აღარ ჩაიდენდა. მისი ალთქმა მიჩნეულია, როგორც დაურღვეველი ფიცი.

\*\* ზათი- ამ შემთხვევაში: მარად არსებული, ღმერთი.

**პოეტური ვერსია:**

თუმც ატომნი ვართ, სულში გვიდგას მხოლოდ მზეები,  
წმინდა სული ვართ, გაბრიელმა რომ სცხო მარიამს,  
ჩვენ მზის თასებით ლხინს ვეწევით ყოველ ცისმარე,  
ნაბახუსევზე ქრისტეს გვერდით ვიღებთ პურმარილს.  
უგვანო ღვინო ჩვენ არ გვინდა, თუ აღთქმა დავდეთ,  
ჩვენ ჩვენს აღთქმაში გადავწყვიტეთ ნასუქებს\* ვგავდეთ.  
გველიც რომ იყოს მტერი, მოსეს თეთრი ხელი ვართ,  
წარღვნის დროს ნოეს კიდობნების გამომთლეღნი ვართ.  
დაე,მედრესშიწაიკითხოს მოლამ ეს ლოცვა  
ჯამის ფსკერს გვიძღვნი ჩვენ ჭეშმარიტ მცოდნეებს როცა,  
ო, ნუ გვიყურებ სუფი, ასე უბრალო თვალით,  
აუგის მთქმელთან მხოლოდ ვდუმვართ, პასუხს ვცემთ ამით.  
მაშ, გახსენ სულის კარი, ნახე, რა სულელები ვართ  
ჩვენ ქრისტეს სუნთქვის მქონე რინდთა შთაგონების გასაღები ვართ,  
ქრისტეს სუნთქვა ვართ, ვართ ცხოვრება თავად ჰიზირის,  
თუმც რუპი გვქვია, სახეთა ზღვაში სხვა მზე გვიღიმის.  
იმ ზღვაში ზათის მიმაღული მარგალიტნი ვართ.

ამ ლექსში განსაკუთრებულ ყურადღება იქცევს სიტყვა ჰიზირი. რას ნიშნავს ეს და რატომ დასჭირდა ავტორს მისი ხსენება ქრისტეს გვერდით?. ისლამში გადასულ ქრისტიანულ წმინდანთა შორის ასევე პოპულარულია წმინდა გიორგი. როგორც ზ. გამსახურდია შენიშნავს, ისლამში ის მოიხსენიება როგორც „ჯირჯისი“, ხიზრი (ხიდრი). ვფიქრობ, ამ შემთხვევაში რუპი ბალდადი საუბრობს სწორედ წმინდა გიორგიზე და შენიშნავს, რომ რინდი პოეტები სწორედ ამ წმინდანის ცხოვრების ერთგვარ განსახიერებას წარმოადგენენ. რომ „სახეთა ზღვაში“ მათ მზე უღიმის და იმ ზღვაში ზათის მიმაღული მარგალიტები არიან.

ქრისტეს, როგორც მადლმოსილს ახსენებს რუპი ბალდადი სხვა ლექსებშიც. ერთგან მას შემოაქვს სიტყვათმეხამება „დროების ქრისტე“, რასაც ის თავის თავს უწოდებს:

**ბწკარედი:**

ჩემთ ხელთ (ისე) მოზიდულია ყასიდის მშვილდი,  
(რომ) ჩვეულებრივმა მშვილდოსანმა იგი ვერ დასჭიმოს,  
ლექსში დროების ქრისტე ვარ, მე მეკუთვნის  
ქმნილებათა ნიჭით მომადლებული სიტყვა,  
სხვათა ლექსები ჩემი ლექსის დარი იქნებოდა,  
თუკი ჩვენ დროში სპილენძი ოქროს გაუტოლდებოდა!

**პოეტური ვერსია:**

ისე მოვზიდე მე თითებით ყასიდის\*\*\* მშვილდი,  
რომ ვერ დასჭიმოს მშვილდოსანმა ღონითაც დიდით.  
ლექსში დროების ქრისტე ვარ და მეკუთვნის თავად  
ყველა ის სიტყვა მადლმოსილი ქმნილების ნიჭით  
და ალბათ, ჩემს ლექსს შესწვდებოდა სხვათა ლექსები,  
ოქროს ზოდად თუ წარმოვსახავთ სპილენძს, თუნდ იჭვით.

ბალდადისეული ქრისტე, მოსესთან ერთად, მოიაზრება როგორც მიწიერი ადამიანი. ერთ-ერთ სატრფიალო ლექსში რუპი პირდაპირ აცხადებს, რომ „ტრფიალების ვარამი“ ისევე ჰქონდა მოსეს და ქრისტეს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს

**ბწკარედი:**

ყველას გადააქვს შენი უბედურება, მხედველშიც დარდია, ბრმაშიც დარდია,  
განა ჰაზირი, გინდა მეჯნური ყველა სიყვარულის მწუხარების ტყვეა.  
ასე მოსულან და ასე წავლენ, ცოცხლებშიც დარდია, მკვდარშიც დარდია  
იმ ორ ჯადოქარ თვალის, იმ ორ წმინდა ლალის,  
ეი, რუპი, თუ იკითხავ, (მისი დარდი) ქრისტესაც აქვს მოსესაც!

\*\*\* ყასიდა - აღმოსავლური დივანის ლიტერატურაში გავრცელებული ლექსის ფორმა.

### პოეტური ვერსია:

ტრფობის ვარამი გადააქვს ყველას - ბრმას და თვალბილულს,

ჰაზირია თუ მეჯუნუნია ამ სევდით ამობს,

ასე მოსულან, ასე წავლენ, დარდობენ მუდამ

მკვდრებიც, ცოცხლებიც ამ ორ ჯადო თვალეზის გამო.

და, ეი, რუჰი, ჰკითხე წამსვლელს, ჰკითხე მომსვლელსაც,

გეტყვის: ეს დარდი ჰქონდა ქრისტეს და თვით მოსესაც.

რუჰი ბაღდადი სრულიად თავისუფალია თავის არჩევანში. საკუთარი ესთეტიკის ჩამოყალიბების გზაზე ის ხშირად მიმართავს ბიბლიურ პერსონაჟებს, ახალი აღქმიდან კი იესო ქრისტე მას წარმოდგენილი ჰყავს როგორც აუცილებელ მეგზური რინდი პოეტის შესაცნობად.

*Murad Mtvarelidze*

*Gori State Teaching University*

### **CHRIST AND MARIA IN THE POETRY OF RUHI BAGDATLI ABSTRACT**

The 16th century famous Ottoman poet Ruhi Bagdatli in his poetry is mentioned several times by Jesus Christ and Mary the Mother of God.

As it is known, Christ and the Mother of God are given a great place in the Qur'an. Accordingly, they are popular characters for Persian poetry. This issue is quite thoroughly studied by Georgian researchers (Magali Todua, Giorgi Lobzhanidze).

As regards Ruhi Bagdatli's attitude to Jesus Christ and the Virgin Mary, he was not a subject of judgment. Professor Elizbar Javelidze was involved in this issue.

Ruhi Bagdatli, like the other Rind poet, is the only true believer. Consequently, Maria is the Mother Goddess, and Christ is the real personality of her, in which she finds full freedom. Mary did not become a separate subject for him, the poet recalls her identification of her personality and the general rhyme poets ("Holy Spirit, Gabriel to the Anointed Mariam"), and as regards Jesus Christ, Ruhi Bagdatli imagines him not as God (according to the point of view of Islam), but as a prophet, The nation usually human being. Moreover, he will be like Christ's friend. In one poem, the poet directly speaks without any allegory, that the poets, "the sun's cups" everywhere are celebrated, and the bread of the Nalchuse on the side of Christ.

The observation of the text of the poetry works reveals that their source is kindness and they follow the example of the Bible characters on the way to this good. According to Ruhi Bagdatli, Rindie poets even have the hand of the Musa (Moses) hands of the enemy, and the Flood of Noah's Ark during the Flood.

Rihigh Bagdatli will use the symbol of Christ to symbolize the Rite poetry. Here is one thing to take into consideration: If the Sparse poets pray to Jesus Christ instead of Mohammed, Ruhi Bagdatli is already thinking of Christ as Rind's unlawful friend and fellow. Ruhi Bagdatli is the source of the poet's creation. In the poet's opinion, they are "the key to the inspiration of Christ" and, moreover, imagine themselves as the resurrection of Christ.

Bagdatli's Christ, along with Moses, is regarded as the earthly man. In one of his passages, Ruhiyas directly states that "the Vrtam of the Trials" had the same as that of Moses and Christ as a normal person ("and, hey, Ruhi, ask the reader to tell the attendant to tell you that it was the Christ and Moses himself").

Taking into consideration this, we can conclude that Ruhi Bagdatli is totally free in his choice and often places the Bible characters in the way of his own aesthetics, and from the new perspective of Jesus Christ as the essential guide on the road to the knowledge of Rindie poet.

**ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური სიტყვაწარმოება და არანორმატიული ლექსიკა  
თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში**

ფრაზეოლოგია ენის გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ფრაზეოლოგიის არსის გაგება და ენაში მისი სიმრავლე ხელს უწყობს არა მარტო მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ მხარეს, არამედ მეტყველების კულტურის ამაღლებას. ფრაზეოლოგია, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, სწავლობს ფრაზეოლოგიის სტრუქტურას, ადგენს ფრაზეოლოგიურ ერთეულს და მის მნიშვნელობას ანუ სემანტიკას [Дудников, 1983, с. 68-69].

ფრაზეოლოგია, ფრაზეოლოგიური ერთეულები, სიტყვისა და ფრაზის სემანტიკური ველი ენაში მიმდინარე ლექსიკურ პროცესებსაც უკავშირდება [Галкина-Федорук, 1954, с. 26]. სწორედ ამ დროს მდიდრდება ენა ნაირ-ნაირი ლექსიკურ-სემანტიკური გამომსახველობითი საშუალებებით. ამის დასტურია თუნდაც მეოცე საუკუნის ე. წ. „საბჭოური“ ლექსიკის დამკვიდრება ახალ ქართულში.

ენის შემოქმედებითი არსის შეცნობა და ხორცშესხმა ყველაზე რელიეფურად მწერალ-შემოქმედთა მხატვრულ ტექსტებშია განსხეულებული. ამის ნიმუშია თუნდაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ფრაზეოლოგია და ფრაზეოლოგიზმები მდიდარი და მრავალფეროვანია, რომლის საშუალებით პოეტი აყალიბებს სახეებს, პერსონაჟთა შინაგან ბუნებას. როგორც შ. დლონტი წერს, რუსთაველის ფრაზეოლოგია არსებითად მხატვრულია, თუმცა პოემაში ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული წმინდა მხატვრული ფუნქციით არაა დატვირთული [დლონტი, 1968, გვ. 3].

თანამედროვე ცხოვრებისეული ტენდენცია მეტყველების უკიდურესად „დაბინძურება“ და ვულგარიზმებით გადატვირთვაა, რასაც სალიტერატურო სივრცე სრულყოფილად ასახავს და სტილურ მახასიათებლად აქცევს. ჟარგონის, ინვექტივების, ობსცენური გამონათქვამების სიჭარბე ხელს უწყობს მათ ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ ფრაზეოლოგიზმებად ჩამოყალიბებას.

უახლესი ქართულ სალიტერატურო ენა ზედმიწევნით დაახლოებას ცდილობს ქუჩურ მეტყველებასთან, მდაბიურ საკომუნიკაციო სტილთან. აქედან გამომდინარე, ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი გამონათქვამები, იდიომატური ელემენტები და ჩართული წინადადებები ძალიან ხშირად გვხვდება. სამაგიეროდ არქაულმა ფორმებმა და სიტყვაწარმოების ნიმუშებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს. თანამედროვე მწერლობაში მათი ადგილი ძალიან შემცირებულია და მხოლოდ იშვიათად, სტილური ნიუანსის დონეზე ფიგურირებენ.

ცნობილია, რომ არქაიზმის ცნება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ლექსიკით (და გამოთქმებით). არქაიზმის ცნებაში უნდა შევიდეს ის მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენებიც, რომლებიც ძველია, მკვდარი, ხმარებიდან გამოსული მაგრამ, რომელთაც მწერალი იყენებს გარკვეული სტილისტიკური მიზნით, თუმცა ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ისინი დამახასიათებელი არ არიან ენის გრამატიკული წყობისათვის [თოფურია, გიგინეიშვილი, 1968, გვ. 168].

ჩვენ მიერ მოძიებული საილუსტრაციო მასალიდან გამომდინარე, არქაიზმები, იშვიათად, ახალგაზრდა მწერალთა ნაწერებშიც იჩენს თავს, მაგ.,

**დიდის ამბით** (მართებულია: დიდი ამბით): „ჭრიდა, **დიდის ამბით** კედელზე აწებებდა“ (სადღობელაშვილი, 2010, გვ. 88).

**არა არს იწრო**: „**არა არს იწრო**, ყოველ შემთხვევაში, წამიკითხეთ!“ (ლომოური, 2, 2000, გვ. 150);

**ნაყოვანება**: „რა მოგვიტანე ლალიკოო? **ნაყოვანება**...“ (კვირტია, 2011, გვ. 93);

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ინვექტივების, აგრესიული ლექსიკის, სხვადასხვა სოციოლექტების კვლევა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. მკვლევარი ს. ოშიაძე ამას ტრადიციის არქონით ხსნის და აღნიშნავს: „მართლაც „ენის სისრულისათვის“ საბას შეუტანია ლექსიკონში უწმაწური (უცენზურო) სიტყვებიც, მაგრამ იმათგან ერთი ათეულიც ვერ შეგროვდება ისეთი, რომელიც „ქეგლ-“ში არ იყოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მოგვეპოვება ვულგარიზმების ისეთი ლექსიკონი, როგორცაა, მაგალითად, რ. სოირსის ლექსიკონი, სადაც წარმოდგენილია წყევლის, ლანძღვის, გინების და სხვ. შეურაცხმყოფელი ინგლისურენოვანი ლექსიკა, ნარკომანთა და ჰომოსექსუალთა ჟარგონიზმები და სხვ. ჩვენში არავის

აღუნუსხავს უხამსი ლექსემები მსგავსად გ. ჰუნოლდისა, რომელმაც გერმანული ობსცენური სიტყვების ლექსიკონი შექმნა. თ. სახოკიას „ქართული უწმაწური ანდაზები და სიტყვა-თქმანი“, რომელიც წმინდა მეცნიერული მიზნებით 1950-იან წლებში უნდა გამოსულიყო და რაც მაშინ ცენზურამ არ დაუშვა, მხოლოდ ახლა დაიბეჭდა ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშებთან ერთად ვ. კოტეტიშვილის მიერ შედგენილ კრებულში. ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ ნაკლებად შეიცავს ინვექტიურ ლექსიკას, მით უფრო - ობსცენურს. ავტორი გვერდს უვლის უწმაწურ სიტყვებს, როცა მათ პარალელური, შედარებით ევფემიზებული ვარიანტით წარმოგვიდგენს. მაგალითად ს... ბევრად შერბილებული ჟარგონული ეკვივალენტია ფალოსის პირდაპირი დასახელებისა, რაც უფრო ხშირად გამოიყენება არა მარტო ვულგარულ ზეპირ მეტყველებაში, არამედ თანამედროვე ახალგაზრდულ პროზაშიც. იგივე შეიძლება ითქვას ლექსიკონში მოყვანილ გამოთქმებზე: უკანალის თამაში, ჭკუაც ვატირე და სხვ. რომელთა უფრო უმეერი, ობსცენური შესატყვისები ასევე ფართოდ იხმარება ჟარგონულ მეტყველებაში“ [ომიაძე, 2006, გვ. 265-266].

ჰომოსექსუალთა პრობლემას და მათ სპეციფიკურ ჟარგონს განიხილავს ბ. ცხადაძე [ცხადაძე, 2016, გვ. 247-252].

ენაში არსებული ლექსიკური ფონდის სრულყოფილი აღნუსხვა თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების და საერთოდ, ჰუმანიტარული დარგის მთავარი ამოცანაა, ასევე აქტუალურია სოციოლინგვისტური კუთხით მისი კვლევა, კლასიფიცირება და სათანადოდ შეფასება.

ქართულ ენაში ფრაზეოლოგიზმები, ფრაზეოლოგიური თქმები და გამონათქვამები ასრულებენ წინადადების რომელიმე წევრის როლს. ისინი ხშირად გამოდიან ზმნის, არსებითი სახელის, ზმნიზედის, ზედსართავი სახელის და ა. შ. ფუნქციით:

„როგორც მგონია, ზოდიში მომითხოვია და სულ ცალ ფეხზე მკიდია - ერთ მშვენიერ დღეს ან ჩემს საყვარელ ლოგინში მოვკვდები ან გარეთ გასვლისას“ (კვირტია, 2011, გვ. 152);

გამოთქმა **„ერთ მშვენიერ დღეს“** წინადადებაში განსაზღვრებას წარმოადგენს, იგი გულისხმობს აღსასრულის დადგომის მომენტს და „მშვენიერ დღესთან“ არანაირი აზრობრივი კავშირი არა აქვს. **„ცალ ფეხზე მკიდია“** ნიშნავს, რომ მოსაუბრეს არაფერი აინტერესებს და მისთვის „საყვარელი ლოგინი“ მხოლოდ ირონიული შეფერილობის გამონათქვამია. სინამდვილეში „ლოგინიც“ და „მშვენიერი დღეც“ პირდაპირი მნიშვნელობით არაა ნათქვამი და მკითხველმაც სათანადოდ უნდა აღიქვას.

გამოთქმა **„ფეხებზე მკიდია“** ლ. ბრეგაძეს თედო სახოკიას მიხედვით ასე აქვს განმარტებული: „დარდი არა მაქვს, არა ვზრუნავ, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემთვის სულერთია“; შემდეგ ამ ხატოვან თქმას ექსპრესიის გაძლიერების მიზნით დაემატა „ორი და ათი შაური“: „- რას უხამ მთვრალეები არიან, ფეხებზე ჰკიდიანთ **ორი და ათი შაური**. დაგარტყამს და წავა, სდიე მერე“ (თამაზ ნატროშვილი)“ [ბრეგაძე, 2005, გვ. 126].

ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ სინონიმურობა, ვარიაციულობა, ექსპრესიულობა, სტილური ინტენსიურობა, კონტაქტურობა (კაუზატიურობა), დინამიკურობა...

მაგალითად, ასეთი გამოთქმა „ყველა ძაღლი და ღორი“ არის სხვა გამონათქვამის „ყველა ოხერ-ტიალის“ ვარიაცია, აზრობრივად ისინი იდენტურები არიან, მაგრამ გარეგანი ფორმით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

„...მობილური ახალი შემოსული როა და ყველა ძაღლსა და ღორს ჯერ არ უჭირავს“ (კვირტია, 2011, გვ. 68):

**„ძაღლსა და ღორს“** წინადადებაში ექსპრესიულად გამძლიერებელი ფუნქცია აქვს, მოსაუბრე ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას და გვამცნობს, რომ მას აქვს იშვიათი ნივთი და ამით ამაყია. ანუ ინვექტივა სუბიექტის ეგოს ხაზგასმას ემსახურება.

კომუნიკაციის სინტაქსი ზოგადად აგებულია შემდეგი მოდელის მიხედვით: **მისცე-მიიღო-გაიგო** ნიშანი. სოციალური ურთიერთობების მოდელი ასეთია: **მოქმედება-წარმოება-სიტყვიერი** ინტერპრეტაცია-შეფასება. ანუ ქმედება აუცილებლად იწვევს ვერბალურ გამოხატვას, აზრის გაჩენას და გრძნობების ამის მიხედვით ფორმულირებას.

„ლამარა თავიდან აზრზე ვერ მოვიდა, პირი დაალო. მერე, ირინა რო აითესა, ყველაფერი მოწვა და ორმეტრიანიც აამუშავა“ (კვირტია, 2011, გვ. 34);

**„აზრზე ვერ მოვიდა“** არის ვულგარული, ქუჩური გამოთქმა და ის იგივეა, რაც „გონს ვერ მოვიდა“.

**„აითესა“** ნიშნავს გაიქცა, იქაურობას გაერიდა-ს. თუმცა, მწერალმა ჟარგონი არჩია და ვითარების დრამატიზმის ხაზგასასმელად და დამაბულობის უკეთ აღსაწერად ასეთი ხერხი არჩია.

**„ყველაფერი მოწვა“** ანუ ყველაფერი გაიგო, გაიაზრა;

**„ორმეტრიანი“** ნახმარია „ენის“ მნიშვნელობით.

მწერალი საგანგებოდ ასხვავებს ერთიმეორის მიყოლებით ჟარგონულ გამოთქმებს, რომ ყოველდღიური საკომუნიკაციო ლექსიკური ერთეულების საშუალებით სიტუაციის ტრაგიკომიკურობა გვიჩვენოს.

„ეს თორნიკეს ყურამდეც მივიდა და... მინისტრად დანიშვნის მეორე დღესვე ბახვას მამა სადარბაზოში ვილაცებმა ისე სცემეს, კაცი სიკვდილს ძლივს გადარჩა. სამკურნალოდ ფული რო ეშოვა, მანქანა გაყიდა და ფეხზე ძლივს დადგა“ (კვირტია, 2011, გვ. 27-28);

ფრაგმენტში სამი ფრთიანი ფრაზაა: **„ყურამდეც მივიდა“**, **„სიკვდილს ძლივს გადარჩა“** და **„ფეხზე ძლივს დადგა“**. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს შეეძლო უფრო მცირე დოზით გამოეყენებინა ზეპირსიტყვიერი კლიშეები, მან ასეთი სტილი ირჩია და ეპოქის ენობრივ დემოკრატიულობას გაუსვა ხაზი.

„ძლივს დადგა“ ანუ დიდი გაჭირვებით, ძნელად გამოჯანმრთელდა.

სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გამართული ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: „ეს თორნიკემაც გაიგო (შეიტყო) და... მინისტრად დანიშვნის მეორე დღესვე ბახვას მამა სადარბაზოში უცნობებმა ისე სცემეს, კაცი სიკვდილს დიდი გაჭირვებით გადაურჩა. სამკურნალოდ ფული რომ ეშოვა, მანქანა გაყიდა და ძლივს ძლივს გამოჯანმრთელდა“.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავტორისეული გადაწყვეტა უფრო შეეფერება თანამედროვე კომუნიკაციების სტილსა და მანერას.

„... მიდი, მიდი ჩაიცივი და სუ მწვანეზე იარე“ (კვირტია, 2011, გვ. 26);

**„მწვანეზე სიარული“** ბედნიერებას, უზრუნველობას და ფათერაკებისაგან განრიდებას ნიშნავს. სურვილი „სუ მწვანეზე იარე“ დალოცვის ფორმულაა და პოზიტიურ განწყობას ადასტურებს. მსგავსი პოზიტიური ფორმულირება ნაკლებად გვხვდება თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში.

„არა, ეს ასიანი თავის ვეზდებოდს ვერ ელევა, შვილები კიდე ეუბნებიან, ეგ ტრანკალეტკა სანაგვეზე გადააგდე და ჩამოდიო“ (კვირტია, 2011, გვ. 26);

ავტორი ერთბაშად იყენებს რამდენიმე ჟარგონულ ფრაზეოლოგიზმს, ასიანი ანუ დანამდვილებით, მთელი 100 %;

ვეზდებოდი ირონიული სახელდებაა ძველი, დროგასული მანქანის,

ტრანკალეტკა ვულგარული და ირონიული რუსიზმია. მთელი ეს რთული წინადადება გადატვირთულია ჟარგონით და ე.წ. „ბლატნოი“ ლექსიკით, რითაც ახალი თაობის ირონიული და ცინიკური დამოკიდებულება არის გამოკვეთილი.

„მაშინ კიდე არ მქონდა დანძრეული და რაღაცას ვაზროვნებდი (კვირტია, 2011, გვ. 72);

„დანძრეული“ ყოველდღიური ლექსიკის ნაწილია, რითაც თანამედროვე ადამიანი საკუთარ გრძნობას ააშკარავებს. ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ დაენძრა და დაერხა ახსნილია როგორც „ცუდად წაუვიდა საქმე“ (ბრეგაძე, 2005, გვ. 53).

„ჭამე, შეჩემა, რას მიყურებ, ერთი დანძრევა კაცი ვარ“ (კვირტია, 2011, გვ. 78);

ამ წინადადებაში „დანძრევა კაცი“ უფრო მეტ ნიუანსს შეიცავს და ის უიღბლო, წყალწალბულს უფრო ნიშნავს. ანუ ერთი და იგივე ჟარგონი გამოთქმის და წინადადებაში ჩასმის დროს სხვადასხვა აზრობრივ დატვირთვას შეიცავს.

შემდეგ წინადადებაში:

„ბერძენს ძალიან მაგარი ჯინსის შარვალი, უფრო მაგარი ბათინკები, ხომიანი სვიტრი ეცვა და გაგლეჯილი მთვრალი მანქანაში ვერ ჯდებოდაო!“ (კვირტია, 2011, გვ. 23);

ძალიან საინტერესო სემანტიკური დონეები გვხვდება; „ძალიან მაგარი“, „უფრო მაგარი“ და „ხომიანი“ - მიგვითითებს, რომ, სიტყვა მაგარს ქვეჯგუფებიც გააჩნია, მხოლოდ ეს სიტყვა არ კმარა მთელი იმ სურათის დასახატად, რაც ავტორის აზრით, რეალობაა. ანუ არის ხარისხის მაჩვენებელი „ძალიან მაგარი“, მაგრამ მასზე აღმატებული მოცემულობაა „უფრო მაგარი“, ხოლო „ხომიანი“ სიტყვა გამლიერებულია უცხო ენის გამო.

მოცემულია ტრიადა: „ძალიან მაგარი“, „უფრო მაგარი“ და „ხომიანი“. ერთმანეთისგან აღმატებითი ხარისხით განსხვავებული. ეს ძალიან საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოხატავენ ემოციას გაუნათლებელი ადამიანები და როგორი ერთფეროვანი და მწირია მათი ლექსიკა.

ლ. ბრეგაძე განმარტავს: „მაგარი - სალიტერატურო ქართულში ნიშნავს ძნელად გასატეხს, მყარს, მტკიცეს, გამძლეს, ძლიერ; სასმელთან დაკავშირებით - ბევრი სპირტის შემცველს; ჟარგონში კი კარგის, ჩინებულის, საუცხოოს მნიშვნელობა შეიძინა“ (ბრეგაძე, 2005, გვ. 83). ანუ ჩვენს მაგალითში „ძალიან

მაგარი ჯინსი“, „უფრო მაგარი ბათინკები“, „ხოშიანი სვიტრი“ ზედმიწევნით შეეფერება ჟარგონის კრიტერიუმებს.

ქართული ხალხური სიტყვიერების და ზოგადად, ზეპირსიტყვიერების ფრთიანი ფრაზების პოპულარული კომპონენტი არის სიტყვა „ვირი“, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება. მაგალითად:

„მე თავდაუზოგავად, ვირივით ვიმუშავებდი. მერე ბავშვი გაჩნდებოდა. მე უფრო თავდაუზოგავად, უფრო ვირივით ვიმუშავებდი. ერთ ბავშვს მეორე მოჰყვებოდა. ნელ-ნელა წაგვიხდებოდა ჯანმრთელობა, ნერვები. მეგი ნამდვილ დიასახლისად იქცეოდა, მე – ნამდვილ ვირად...“

„მე ვიმუშავებდი ვირივით და ვიქნებოდი ბედნიერი. იმიტომ, რომ მეგი მიყვარდა“ (კვირტია, 2011, გვ. 6);

„მე ვიმუშავებდი ვირივით და ვიქნებოდი ბედნიერი (კვირტია, 2011, გვ. 8);

„ვირივით მუშაობა“ თავდაუზოგავად მუშაობას ნიშნავს, როცა მთელ ძალას და ღონეს ადამიანი მხოლოდ რუტინულ შრომაზე ხარჯავს და ცხოვრებისეული სიამეები მისთვის უცხო და მიუწვდომელია.

„ვირივით მუშაობა“ პლებეობის, დაუფასებელი არსებობის და ირონიის მიმანიშნებელია.

„ვირიშვილობა“ ხალხურ მეტყველებაში ყოველდღიური მოხმარების გამონათქვამია, იგი სემანტიკურად დაბალი შეგნების და უმეცრების ეკვივალენტურია.

ვირის შესახებ საინტერესო დაკვირვება და დასკვნები აქვს კ. ჯორჯანელს თავის ნაშრომში „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“, სადაც განხილულია ძველი და ახალი მონაცემები; იგი აღნიშნავს: „დღეს „სახედრის“ მნიშვნელობა დავიწროვებულა და ყოველგვარ საჯდომ ცხოველს კი აღარ აღნიშნავს, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს - ვირს. მაგრამ ამ უკანასკნელისაგან საგრძნობლად განსხვავდება ევფემისტური ემოციური იერით. „ვირი“ უხეშ სიტყვად ითვლება და როდესაც სურთ სათქმელი ზრდილობიანი ან „ამაღლებული“ სიტყვებით გამოხატონ, მას სინონიმურ გამოთქმას („სახედარი“) ამჯობინებენ. „სახედარი“ რომ ვირს აღნიშნავს, ეს გასაგებია: ვირიც საჯდომი ცხოველია, სახედარია, მაგრამ რატომ აღარ აღნიშნავს დანარჩენ ცხოველებსაც, რომლებსაც ამგვარივე დანიშნულება დღესაც აქვთ? ეს ფაქტი მხოლოდ მაშინ შეიძლება აიხსნას, თუ მას ევფემიზაციის შედეგად მივიჩნევთ. უეჭველია, სიტყვას „ვირი“ უფრო ადრე ჰქონდა უარყოფითი ემოციური იერი, ვიდრე „სახედრის“ მნიშვნელობა დავიწროვდებოდა. ამას მოწმობს ის მრავალი ანეგდოტი და სალანძღავი სიტყვა-თქმები, რომლებიც ამ არსებითად უწყინარი, მაგრამ აბუჩად აგდებული და უპატიურად ხსენებული ცხოველის სახელთან არიან დაკავშირებულნი.

ამ სიტყვის ემოციური იერის გამო მის ხმარებას ხშირ შემთხვევაში გაურბოდნენ და ზოგადად ამბობდნენ: „სახედარიაო“, ე.ი. საჯდომი ცხოველიო. სიტყვა „ცხენის“ შეცვლისათვის ანალოგიური მოტივები არ არსებობდა. ამიტომ თანდათანობით „სახედარი“ სულ უფრო და უფრო ხშირად იხმარებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკი იყო ვირზე და სულ უფრო და უფრო იშვიათად, როცა საქმე ეხებოდა ცხენს.“ [ჯორჯანელი, 1997, გვ. 110-111].

უნდა ითქვას, რომ „ვირი“ ფიგურალური გამონათქვამის - „ბურიდანის ვირის“ - ფიგურანტია და წიგნიერი სამყარო მას ფრანგი მწერლის იგავიდან იცნობს, რომელმაც თივის ორ ზვინს შორის ვერაფრით აირჩია სასურველი და შიმშილით მოკვდა [B. Храпа].

სალიტერატურო სივრცეში და ზოგადად, ყოველდღიურ კომუნიკაციებში მოსაუბრის მიერ სიტყვიერი არანორმირებული, არამოდიფიცირებული ლექსიკის გამოყენება შეიძლება შეფასდეს როგორც ეთიკური ზღვარის გადალახვა. იგი წარმოადგენს სიტყვიერ შეტევას, რომელიც შეიძლება სიტყვიდან მოქმედებაშიც გადავიდეს. ეს განსაკუთრებით მაშინ არის თვალში საცემი, როცა ილოკუტიური აქტისას (ანუ მოქმედების დაანონსებისას) ახსენებენ ახლობლებს, ან როცა სუბიექტი გარეგნობაზე ახდენს აქცენტირებას, ან როდესაც ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზე მიანიშნებს. სუბიექტი სიტყვის თავისუფლებას ემოციურად უდგება, საკუთარი თავისადმი მინიჭებულ ზღვარს გადის და სიტყვას არანორმირებულად, აგრესიულად იყენებს.

მაგალითად, ლ. ბულაძის რომანში „ბოლო ზარი“, ვკითხულობთ:

„დიახ, „შე ჩემ“, - ეს შთამბეჭდავი ჟარგონიც აღმოთქვა და ღმერთს უმაღლეს შესწირა მადლობა“ (ბულაძე, 2002, გვ. 74).

„სუ მკიდა ეს გამოსირებული დემური, მივახტები ახლა ამ ნინჩოს და აგერ დამასკდეს ყველაო“ (ბულაძე, 2002, გვ. 82).

„ - მაგას, თქვა, - ეგეთები მოსწონა, გაიგე, ჩათლახები (მამამისი გრიშას საყვარელი სიტყვა გაახსენდა) მკვლელები, ქურდები და ბეზპრედელები...“ (ბულაძე, 2002, გვ. 58).



„შე ჩემა“, „გამოსირებული“, „აგერ დამასკდეს“, „ჩათლახები“, „ბეზპრედელეები“... და მსგავსი ლექსიკური ერთეულები ყველაზე გავრცელებული ფორმებია ყოველდღიურ კომუნიკაციებში.

ლ. ბრეგაძეს განმარტებული აქვს „გამოსირებული“, როგორც „გამოლენჩებული, გამოშტერებული“ (ბრეგაძე, 2005, გვ. 38); იქვე მისი სინონიმი „გამოქლიავებული“; ხოლო „სირი“ განიმარტება, როგორც: „ფალოსი (მველ ქართულში ჩიტს, ფრინველს ნიშნავს“ (ბრეგაძე, 2005, გვ.113). „სირი“ ცვლის არანორმატიულ სიტყვას „ყ.“; რაც ევფემისტური ფორმაა უცენზურო სახელდებისა.

ხოლო სულ სხვა წარმოშობის სიტყვად მიჩნეულია „სირისტიანი“, რომელიც ასე განმარტა ლექსიკონის შემდგენელმა: „წამხდარი, დამპალი (ადამიანი), ქალაჩუნა. მომდინარეობს რუს. სიტყვიდან сырость - სინესტე (ბრეგაძე, 2005, გვ. 113).

ქართული ზეპირსიტყვიერი ლექსიკის კუთვნილებაა საყოველთაოდ გავრცელებული თქმები: „ბაზარი“, „ბაზრობს“, „იბაზრეს და მორჩა!“, „მოკვდა ბაზარი!“, „ბაზარი ხალხი“... სიტყვა ბაზარი ყბედობას, ყაყანს, აურზაურს ნიშნავს.

მაგალითად:

„იარაღი ყოველთვის იმას აქვს, ვისაც სჭირდება და დათუშვი, მეთქი ყველაფერი იქნება ჰეფი ენდ და ასეც ვუთხარი, მეთქი, ვსო, მოკვდა ბაზარი, ტერენტი“ (მორჩილაძე, 2000, გვ. 122).

ლ. ბრეგაძის განმარტებით: „ ბაზარი - ყბედობა, ყაყანი(როგორც ბაზარში იციან), „მთელი ეს ბაზარი ყელში ამომივიდა“ (დალი ფანჯიკიძე, თარგმ.); „მორჩი ბაზარს, დაიძინე!“ (ქართლოს კასრაძე); ამ გამოთქმის ჟარგონულობა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა „ბაზარი“ მიცემითის ნაცვლად არასწორად დგას სახელობით ბრუნვაში: „მორჩით, კაცო, მანდ ბაზარი“ (გურამ რჩეულიშვილი).“ [ბრეგაძე, 2005, გვ.24].

წინადადების დასაწყისში თვალშისაცემია ფრთიანი გამოთქმა: „იარაღი ყოველთვის იმას აქვს, ვისაც სჭირდება“ - რაც ქუჩურ რეალობას წარმოადგენს და მწერალი ამის გათვალისწინებით ლამის ახალ ანდაზას გვთავაზობს. თანამედროვე ქართული მწერლობისმიერი სინამდვილე გაჯერებულია ძალადობით, არატოლერანტობით, ავადმყოფი ადამიანებით და შესაბამისად, ფრთიანი გამონათქვამებიც შესაბამისია.

ზემომოყვანილი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ხელს უწყობენ ენის ხატოვანი, გამომსახველობითი ფუნქციის გაძლიერებას, სპეციფიკურ მეტყველებაში ერთ მთლიან ერთეულად გვევლინება. ასეთია: ვირივით მუშაობა (=თავდაუზოგავი, თავგამეტებული შრომა), მწვანეზე სიარული (=თავისუფლად ყოფნა), ფეხზე ძლივს დგომა და ა.შ. მყარი ფრაზეოლოგიზმებია, ისეთი იდიომატური ერთეულები, რომლებიც მარადიულად და უცვლელად გაუძლებენ ყოველგვარ დროულ გამოცდას. ახალ ფრაზეოლოგიზმებთან ერთად ყოველთვის არის მიმოქცევაში ამგვარი, კლიშეებად ქცეული გამონათქვამები.

უხვად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იკავებს ლიტერატურულ სივრცეს ასეთი არანორმირებული ლექსიკა:

„თვალზე რე ძნერი გაქვთ ჩამოფხატული, არც გინდათ მოიწმინდოთ, რეალობა დაინახოთ და წერთ რაღაც ყლეობებს“ (ტურაშვილი, 2002, გვ.103).

„...ვისაც სუ ოქროს ოქროს კბილები უდგას და პირიდან მაინც ძღრენის სუნი ამოსდის!“ (ხვედელიძე, 2011, გვ. 26);

გამონათქვამში ასახულია ისეთი რეალობა, როცა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი კაცი საეჭვო პიროვნებაა და მის უზრუნველ ცხოვრებას არაკეთილსინდისიერი წარმომავლობა აქვს. ეს წინადადება განეკუთვნება ისეთ ხატოვან ფრაზას, რომელიც ანდაზურ თქმად შეიძლება მივიჩნიოთ. ა. თაყაიშვილის კლასიფიკაციით, ამგვარი ფრთიანი გამონათქვამები გადიან ცალკე კატეგორიაში, როცა: „ფრაზეოლოგიაში ენობრივ მასალასთან ერთად შეაქვთ ცალკეული მწერლის ენაში ნიშანდობლივი გამოთქმები და ფრაზები, რომელთაც საერთო-სახალხო სანქცია არა აქვთ. მათ აკუთვნებენ შესიტყვებებისა და სიტყვათგამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს, დამახასიათებელს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან მთელი ლიტერატურული მიმართულებისათვის“ [თაყაიშვილი, 1961, გვ. 14].

„ვინც პივას წყალს არ უშვება, თავში ქვა უხლია და ტრაკში პალო“ (ხვედელიძე, 2011, გვ. 172).

საყოველთაოდ ცნობილია „თავში ქვა და მუცელში სამართებელი“, ხოლო ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა მწერალი ვარიაციულ ფორმას ქმნის, რითაც მოქმედების ექსპრესიულობას უსვამს ხაზს.

„ადამიანი იმ ეტაპამდე როცა მივა, რომ ვეღარ იგებს, უკვე ადამიანია თუ ფურთხით საესე კუზის ფიალა, იქ მოთმენისა და არმოთმენის არსებობისა და არარსებობის ზღვარი იშლება“ (ბასილია, 2001, გვ. 67-68).

„კუზის ფიალა“ ინოვაციური ფორმაა, რომელიც მწერალმა სიმბოლური აზრით დატვირთა, მან მზა ფორმულა გამოიყენა „ მოთმენის ფიალის“ ან „სიმწრის ფიალის“ სახით და ორიგინალური ხედვით შექმნა ახალი ხატოვანი შესატყვისობა.

„ბრმაი ნაწლევი იგი, რომელ არს აპენდიქსოსი, უწყალოდ სჯიჯგნის ხორცსა ჩემსა, ღირსო მკითხველო, და მით ამერია ტვინი ჩემი უზადრუკი, რისთვისაცა ბოდიშს გეაჯვი აჯითა დიდითა და უშველებელითა“ (ანთიძე, 2011, გვ. 9).

საზოგადოებისადმი დაუფარავი ცინიზმით არის ნიშნდობლივი ეს მიმართვა: „ გეაჯვი აჯითა დიდითა და უშველებელითა“; მწერალი სიტყვათა თამაშით ცდილობს მკითხველის ემოციის გამოწვევას, იგი ძველ ქართულში გავრცელებულ სიტყვას „აჯას“ (თხოვნა, მუდარა) იმგვარად გვაწვდის, რომ ირონია და ახალი სემანტიკური დატვირთვა ნათელი და გამოკვეთილია.

ს. ოშიაძე, რომელიც საგანგებო, ყურადღებას უთმობს ჟარგონის რეგლამენტირების საკითხებს თანამედროვე სალიტერატურო ენაში, მიუთითებს მათი გამოყენების მზარდ ფაქტებზე. იგი აღნიშნავს, რომ: „ახალია ქართულ დისკურსში ნარკომანიის ამსახველი ლექსიკა, რომელიც სულ უფრო ივრცობა. ნარკოტიკულ საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული ჟარგონიზმებია: წამალი, ბალახი, გერვასი/გერონტი (ჰეროინი), თეთრი, კოკნარი, მანაგუა (თრიაქის ფაფა), პლანი, სუბო (სუბოტექსი), სუფთა, ფაქტი, შავი, ჩეკი (დაფხული ფხვნილი), ბაში, დაბაშული, ბაიანი, მასტერკა, მასტერკის ჩაკვლა, ხაზი (ერთი, ორი...საზომია), კუბი (საზომია), ზახოდი, მისკა, პრაკოლი, კაიფი, კასკა, კასკაში წაიღო, შეყვანილი აქვს (ნარკოტიკი მიღებული აქვს), შალა, დაბოლილი, პრახოდი, ადხადნიაკი, ლომკები, კიძარი, აკიძარებს, პლანაქეში, ქეში, კაიფარიკი, კაიფარიკობა, ნარკუშა, წამალზე ზის, წამალზე შეჯდა, წამალზე შესვეს, წამალზე წევს, წამალში გაიპარა და სხვ. ისინი ასახვას პოულობენ თანამედროვე პროზაში“ (ოშიაძე, 2006, გვ. 259-260).

„გერვასი/გერონტი (ჰეროინი)“ სიტყვის პირველი ნახევრის („გერო“) ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის/გეროინის“ სახელდების საწყისი თანხვედრის გამოა შერქმეული. როგორც ჩანს, ასე მარტივად მოხდა ამ ნარკოტიკული საშუალების დასახელების გაჟარგონება. აქ ყურადღებას იქცევს საყოველთაოდ გავრცელებული ჰ/გ ბგერების ურთიერთმონაცვლეობის დეტალიც, რომელიც ფართოდ ფეხმოკიდებულია ჩვენს საზოგადოებრივ სივცეში და რომლის არამართებულობას ენათმეცნიერები დიდი ხანია აღნიშნავენ. „გეროინი“ ქართული ენისთვის ბუნებრივი არაა, „ჰეროინი“ მართებული ფორმაა, რომელიც რუსულმა ფორმამ (გეროინი), თითქმის განდევნა ხმარებიდან.

ზემოთ მოყვანილი გამოთქმების დიდი ნაწილი რუსული ნასესხობებია, რომლებიც გარკვეული სოციალური ფენის კომუნიკაციაში მყარად დამკვიდრდა.

ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა „წამალში გაიპარა“, რომელიც ნაწარმოებია „ძილში გაიპარას“ მიხედვით. ქართული ხატოვანი გამოთქმა „ძილში გაიპარა“ ნიშნავს სიკვდილს, ძილის დროს სიკვდილს, როცა ადამიანი ვეღარ იღვიძებს და ისე აღესრულება.

„წამალზე წევს“ ნიშნავს, რომ სუბიექტი სხვას არ უყოფს ნივთიერებას, რომელიც მათთვის წამალია, მაგრამ სინამდვილეში საწამლაია.

„წამალზე შეჯდა“ ნიშნავს ნარკოტიკის აქტიური მოხმარების დაწყებას, როცა ადამიანი სერიოზულად არის დამოკიდებული.

ქართულმა სალიტერატურო ენამ აითვისა და გაითავისა ამგვარი იდიომატური გამოთქმები და ახალი გარემოების გათვალისწინებით, მოხდა ახალი ფიგურალური გამონათქვამების შექმნა და დამკვიდრება. ანუ ახალი გარემოებების კვალდაკვალ ნარკომანთა სოციოლექტში გაჩნდა რეალობის ამსახველი ახალი სიტყვები და სიტყვათმესიტყვებების მთელი რიგი.

თანამედროვე სალიტერატურო ენის მარაგში უზვად და ურეგლამენტოდ არის დამკვიდრებული ზემოთ მოყვანილი სიტყვები და თქმები, რომლებიც აქტუალურნი არიან ყოველდღიურ ვერბალურ კომუნიკაციებში და რომელთა ადგილი XX საუკუნის სალიტერატურო სივრცეში თითქმის არ იყო. ზეპირმეტყველებამ სამწერლობო ენის ნორმების უგულვებელყოფით აბსოლუტური ჰეგემონის ადგილი დაიმკვიდრა და ჩვენი მწერლობის სტილის მთავარი მახასიათებელი გახდა. თანამედროვე ქართული სოციოლინგვისტიკა აფიქსირებს მჭიდრო კავშირებს საკომუნიკაციო ზეპირ მეტყველებასა და სამწერლობო სტილს შორის, რომლის ცალსახად უარყოფა დაუშვებლად მიაჩნია.

**ლიტერატურა:**

- ღლონტი, 1968** - ღლონტი შ., „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი.  
**თოფურია, გიგინეიშვილი, 1968** - თოფურია ვ., გიგინეიშვილი ი., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, *ვ. თოფურიას* რედაქციით. თბილისი.  
**ბრეგაძე, 2005** - ლ. ბრეგაძე. ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბილისი.  
**თაყაიშვილი, 1961** - თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი.  
**ჯორჯანელი, 1977** - ჯორჯანელი კ., ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ. თბილისი.  
**ომიაძე, 2006** - ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება, სამეცნიერო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.  
**ცხადაძე, 2016** - ცხადაძე ბ., ცისფერი ჟარგონი, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი პარალელი, #8.  
**Дудников, 1983** - Дудников А.В., Русский язык. М.  
**Галкина-Федорук, 1954** - Галкина-Федорук Э.М., Язык как общественное явление. М.  
**Храпа** - Храпа В., От адамова яблока до яблока раздора, Происхождение слов и выражений, [www.gummer.info/biblitek\\_buks/linguist/hrapa/index.php](http://www.gummer.info/biblitek_buks/linguist/hrapa/index.php).

**წყაროები:**

- ბასილაია, 2001** - ბასილაია ნ., კუზი, რომანი, თბილისი.  
**ბულაძე, 2002** - ბულაძე ლ., პოლიტიკური პიესა, თბილისი.  
**კვირტია, 2011** - კვირტია ბ., ახალი ქართული პროზა, #6, მძინარე ციკლოპის ძახილი. მოთხრობები, თბილისი.  
**სადღობელაშვილი, 2010** \_ სადღობელაშვილი ნ., თავშესაფარი (რომანი, მოთხრობები). ახალი ქართული პროზა, #4, თბილისი.  
**ლომოური, 2, 2000** \_ ლომოური ი., შემთხვევა, თბილისი.  
**მორჩილაძე, 2000** \_ მორჩილაძე ა., ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები, თბილისი.  
**ტურაშვილი, 2002** \_ ტურაშვილი დ., ჩამირული ქალაქის დამე, თბილისი.  
**ხვედელიძე, 2011** \_ ხვედელიძე ბ., ახალი ქართული ლიტერატურის სერია #6, მინდვრის ყვავილები, თბილისი.  
**ანთიძე, 2011** - ანთიძე მ., მიზეზი (ისტორიული პიკნიკი), ჟურნ., „ცისკარი“, #10.

*Lela Mikava*

*Sokhumi State University*

**PHRASEOLOGICAL UNITS, IDIOMATIC WORD – FORMATION AND NON – NORMATIVE VOCABULARY IN THE MODERN GEORGIAN LITERARY LANGUAGE ABSTRACT**

The article is devoted to the use of phraseological units, idiomatic words and the non-normative vocabulary in the modern Georgian literary language. It is based on the linguistic analysis of the prosaic works by the Georgian writers of XXI century A. Morchiladze, I. Lomouri, B. Khvedelidze, B. Kvirtia, N. Sadgobelashvili, L. Bugadze and others. On the basis of the corresponding material there are made interesting observations on the linguistic processes which have been revealed in modern Georgian pertaining to the problem under analysis.

**საკულტო ხესთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში  
(საკმეველის უძველესი დამზადების წეს-ჩვეულება აჭარის ფოლკლორში)**

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავლადაა წარმართული და ქრისტიანული რელიგიისათვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები. ადგილობრივი მოსახლეობა ყოფით კულტურულ საქმიანობაში დღესაც აქტიურად იყენებს მათთვის დამახასიათებელ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, თუმცა სოციუმის ნაწილს მათი გენეზისის შესახებ წარმოდგენაც კი არ გააჩნიათ.

აჭარის ფოლკლორში არსებული ქრისტიანული რელიქტის გამოვლენა და შესწავლა წარმოდგენელია ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების გაანალიზების გარეშე. ქრისტიანულ ხალხურ სააზროვნო სისტემისათვის დამახასიათებელ მოტივებთან ერთად ინტეგრირებულად განიხილება მუსლიმური წეს-ჩვეულებები. დღევანდელი ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი ქრისტიანულ წეს-ჩვეულებები მუსლიმურ „დათებთანაა“ შერწყმული. ხის თაყვანისცემასთან დაკავშირებული სახეცვლილებები ქართული ყოფის თანამდევი პროცესია.

ისტორიულად ცნობილია რომ „წარმართ ქართველთა სააზროვნო სისტემაში დიდი ადგილი ეკავა საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. საქართველოში ხის კულტის შესახებ ცნობები დაცულია როგორც საერო ხასიათის, ასევე სასულიერო ჟანრის თხზულებებში. ხის თაყვანისცემის და მის შესასწავლად განსაკუთრებით დიდია ხალხურ ყოფა – ცხოვრებაში შემორჩენილი როგორც ზეპირი გადმოცემების, ასევე სარიტუალო წეს – ჩვეულებების როლი.

საქართველოში ხის თაყვანისცემის ამსახველი ცნობები მრავლად მოიპოვება ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის მიხედვით, წარმართი ქართველები სხვადასხვა ჯიშის ხეებს აღმერთებდნენ: „და იტყოდეს დამზადებლად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჰყედილსა, ღმრთად თავყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 1964: 120). წარმოდგენილი ციტატის მიხედვით, ადამიანის მიერ არჩეულ საგნებიდან ერთ-ერთს ძელი წარმოადგენდა. ფოლკლორულმა კვლევებმა ცხადყო, რომ აჭარაში ხის თაყვანისცემა დაკავშირებული იყო არა მარტო წარმართულ, არამედ ქრისტიანულ ტრადიციებთან.

ვ. ბარდაველიძის თანახმად, საქართველოში ხის სხვადასხვა სახეობის თაყვანისცემა საფუძველს იღებს ტომობრივი ცხოვრების დროიდან, როდესაც ხეები წარმოადგენდნენ ტომის ტოტემურ მცენარეებს, ისინი შემდგომ სათაყვანებელ არსებებად იქნენ მიჩნეულნი, ამას გარდა, იყო რწმენა ხის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ხეები მოიაზრებოდნენ ადამიანის მსგავს ცოცხალ არსებებად (ბარდაველიძე, 1974: 10).

მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი და კვლევა არსებობს ხეთა თაყვანისცემისა და მისი დანიშნულების შესახებ. ოდითგანვე, საქართველოში სალოცავებისა და ხატების გარშემო, მრავლად არსებობდა საკრალური ტყეები, რომლებიც წმიდა და შეუვალი იყო. ისინი ტაძრებისა და ღვთის კუთვნილებად ითვლებოდა. სამლოცველოს გარშემო ხის დარგვას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისთვის შეწირული ცხოველის დაკვლას. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმინდა ხეებად ითვლებოდნენ: ცაცხვი, მუხა, იფანი, ცაცხვი, ტირიფი, ვაზი, ურთხელი//მადა, თხილი და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მსგავსად, აჭარაშიც არსებობდა ეკლესია-მონასტრების ტყეები. ამას ადადასტურებს წარმოდგენილი ტოპონიმები: ხატიტყე, ხატიმამული, ბეთლემის ტყე და სხვა (ჭიჭინაძე, 1913: 120-121). აქ შემონახული თქმულება - გადმოცემების მიხედვით, ეკლესია - მონასტრების საკუთრებაში მყოფი არათუ ხის მოჭრა, არამედ იქ მყოფი ნადირის მოკვლაც კი იკრძალებოდა (მიქელაძე, ჩელებაძე, 2015:2).

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მარადმწვანე ურთხელის კულტის არსებობაც დასტურდება. ამ ხეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. რაჭაში, ლეჩხუმ – იმერეთსა და გურიაში მას ურთხმელა ეწოდება, აჭარაში – (ზოგიერთ რაიონში) მადა, ქართლში – ურთხელი, სამეგრელოში – ურთხელი, ფშავში უთხოვარი (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988: 171).

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვითაც, აჭარის ფოლკლორში საკრალურ მცენარეებად მოიაზრება: ურთხელი//მადა, სატილია, (მაყაშვილი, 1961: 68) ვაზი//ყურძენი, თხილი, მსხალი და სხვა.

ხეთა თაყვანისცემა და მასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები შენარჩუნებული იყო აჭარაშიც. 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, კახიძეების საკარმიდამო ნაკვეთში საკრალური ურთხელის ასწლოვანი ხე იდგა. წმინდა ხესთან მოხუცები, დედაკაცები, ბავშვები იკრიბებოდნენ. და რელიგიურ რიტუალს აღასრულებდნენ (მიქელაძე, 2015: 339-345).

ზოგადქართულ სიტყვიერებაში ამ ხის როლი განუსაზღვრელია. აჭარის ყოფა-ცხოვრებაში მოსახლეობა მას სხვადასხვაგვარად გამოიყენებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მას წმინდა ხედ მოიაზრებენ. მოსახლეობის რწმენით, ამ ხის ხელყოფა უდიდესი ცოდვაა, მას ვინც მოჭრის ან ტოტებს დააზიანებს ღვთისგან დაისჯება. ერთ-ერთ მთქმელმა საუბრში შეიხცადა - „მადის ხე რომ მოჭრათ, ან მისი ტოტი დაეწვათ. რას ამბობთ? ხომ გამოვიფუჭებით (ე.ი. ოჯახი გაპარტახდება // განადგურდება) როგორ შეიძლება, ღმერთი გვკითხავსო“ (მთქმ. ნიაზ ქარცივაძე, 80 წლის, დაბ. და მცხ. შუახევის რაიონი სოფ. ზემოხევში, ჩავიწერე 2015წ. პირადი არქივი).

წიგნში „ორნამენტი ხეზე“ მკვლევარი ჯემალ ვარშალომიძე ურთხელთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს გვაწვდის: „ურთხმელის გამძლეობა მოსახლეობისათვის ცნობილია, მაგრამ მაინც არ ხდება მისი. სამშენებლოდ გამოყენება, კერძოდ, საცხოვრებელი ნაგებობისათვის. მეტად საინტერესოა ამ ხესთან დაკავშირებული ხალხური შეხედულებები და დახასიათება. იგი ისხამს მეტად გემრიელ ნაყოფს, რომელსაც „მადა“ ჰქვია. მადა თავლივით ტკბილია. სექტემბრამდე მწიფდება. ნაყოფი დიდხანს არ ინახება, თხელი კანი აქვს, წვნიანია, უკურკო. ამ ხის სახლზე გამოყენება ცოდვად ითვლებოდა. იგი ხეების უფროსია, მისი დაწვაც არ შეიძლება – ნაცრის გამოლევაზე ოჯახში უბედურება იყო მოსალოდნელი. მას ხშირად სამოთხის ხესაც და ტყის დედოფალსაც უწოდებენ (ვარშალომიძე 1979: 15).

არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ხშირად, მათი დამოკიდებულება ურთხელის// მადის ხის ფუნქცია-დანაშნულებაზე უფროა გამახვილებული, ვიდრე რწმენა-წარმოდგენებზე. მათი განმარტებით, „ურთხელი ყველაზე გამძლე ხეა, მისგან წისქვილის ბორბალს, წყლის ღარას, ავაზანს, თოხის, ცულის სახელურებს (ტარებს) ამზადებენ. მადის ხე ძალიან ნელა იზრდება. თანაც მისი დამუშავება ძნელია, ამიტომაც მადის შემად მოჭრა და გამოყენება –ცოდვაა“ (მთქ. თ. ქარცივაძე, 84 წ. დაბ.სოფ. ჭალაში და მცხ. სოფ. ზემოხევში, ჩავ. 2015წ. პირადი არქივი).

შუახევის რაიონის მოსახლეობის ცნობიერებაში ურთხელის ხე „წმინდა ხეა“ ჯგუფში მოიაზრებოდა. ურთხელის//მადის, ნაყოფს სხვა დანიშნულებათა პარალელურად, საკმეველის დასამზადებლადაც იყენებდნენ. მისი მოჭრა, დაწვა, განადგურება ტაბუირებული იყო.

ერთობ მნიშვნელოვანია, შუახევის რაიონის, სოფელ ქიძინიძეებში მცხოვრები, უხუცესი ქალბატონის ქეთევან (ხენიფე)//გოგიტიძე//ივანაძის მონათხრობი. ამ მხარის სოფლის მოსახლეობა გაურბოდა ღვთის სასჯელს. ისინიც ანალოგიურად არ ჭრიდნენ ურთხელის ხეს. საუბრისას გაიხსენა თუ როგორ აგროვებდნენ სოფლის ქალები და ბავშვები ამ ხის ნაყოფს, რომელსაც ოჯახის საკეთილდღეოდ გამოიყენებდნენ: „ამ ხის მოჭრა ცოდვაა, არ შეიძლება. ეს ხეები გვხდება წმინდისერის მიდამოებში: ნაჭარვალას // ნაწირვალას, ნასაყდრევის ტყეში და სხვა ადგილებში. მის მარცვალს გავახმობდით (თხილის მარცვლის ოდენაა) და მას საკმიელის დასამზადებლად ვიყენებდით (მთქმ. ქეთევან (ხენიფე) გოგიტიძე // ივანაძე, დაბ. სოფ. ჯაბნიძეებში, მცხ. სოფ. ქიძინიძეებში, 80 წ. ჩავიწერე 2017 წ. სოფ. ქიძინიძეებში, პირადი არქივი). საკმეველს შემდეგნაირად ამზადებდნენ: 1.ურთხელის მარცვალი, 2. შხამას კაკალი, 3.თაფლის სანთელი, 4. პურის ფქვილი (შეიძლება მჭადის ფქვილიც), 5. კარაქი (იალი), 6. ფისი (სასურველია კატრისა, შეიძლება ნაძვის და სხვა), 7. ნახშირი (ნაკვერცხალი). ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ნაკვერცხლებზე დააყრიდნენ და უკმევედნენ. ინფორმატორთა გადმოცემით მას სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ.

ურთხელის მარცვლისგან საკმეველის დამზადებაზე საუბრობს ქობულეთის სოფელ ზენითის მკვიდრი გ. ქათამაძე: „ალამბრის ციხის//კატის ციხის ნანგრევების მიდამოები სავსეა ურთხელის

მრავალწლოვან ხეებით. აქ ვხდებით, როგორც მდებარე, ასევე მამრ ურთხელს. საკმევლის გასაკეთებლად, ძირითადად, მდებარე ურთხელის ნაყოფს იყენებდნენ. მას ჯუმათის (გურია) დედათა მონასტერში, დღესაც იყენებენ. მისი ნაყოფი სურნელოვანიცაა და თავისებურ არომატიზებულ ფისსაც შეიცავს (მთქ. გ. ქათამაძე, დაბ. და მცხ. სოფ. ზენითში, 24 წ. ჩავიწერე 2017 წ. პირადი არქივი).

საკმეველი – სურნელოვანი თეთრი ფისია, რომელიც წვის დროს სასიამოვნო სუნს გამოსცემს. გამოიყოფა ბურსერებთა ოჯახის მცენარის, ზოსველიას ანუ საკმელის ხის დასერილი ქერქიდან. ხე იზრდება აღმ. აფრიკის, არაბეთის ნახევარკუნძულზე. საკმეველი შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს, მწარე ნივთიერებებს. ნაწილობრივ იხსნება წყალსა და ორგანულ გამხსნელებში (ენციკლოპედია...2007: 797).

საკმეველი ღვთისმსახურებაში თითქმის ყველა უძველესი ერების, როგორც ებრაელების, ასევე კერპთაყვანისმცემლების მიერ გამოიყენებოდა. აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა ღვთის, როგორც უზენაესი არსების აღიარებასა და ამავდროულად, მისდამი მორჩილებისა და ერთგულების სიმბოლოს.

ბიბლიაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ წმინდა ხეა ურთხელი. ის თავად უფლის რჩეულად გაცხადებული მცენარეა, რომელშიც წმინდა მღვდელმსახურება უნდა აღესრულოს. ძველი აღთქმაში წერია: „1. გააკეთე სამსხვერპლო საკმევად; ურთხელისგან გააკეთე იგი. 2. სიგრძით ერთი წყრთა და სიგანით ერთი წყრთა; ოთხკუთხედი უნდა იყოს; სიმაღლე ორი წყრთა ჰქონდეს, რქები უნდა გამოდიოდეს მისგან. 3. ხალასი ოქროთი მოჭედე იგი, მისი სახურავი, გარშემო კედლები და რქები. ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ. 4. ორი ოქროს რგოლი გაუკეთე გვირგვინს ქვემოთ ორსავე გვერდზე, ორსავე მხარეს გაუკეთე. კეტების გასაყრელად იყოს, რომ მისი ტარება შეიძლებოდეს. 5. კეტები ურთხელისგან გააკეთე და ოქროთი მოჭედე. 6. დადგი იგი კრეტსაბმელის წინ, მოწმობის კიდობნის პირდაპირ რომ არის; სახურავის წინ, მოწმობის კიდობანს რომ ახურავს, სადაც მე გამოგეცხადებით. 7. აკმიოს მასზე აარონმა სურნელოვანი საკმეველი; აკმიოს იგი დილაობით, როცა ლამპრებს გაამზადებს. 8. როცა აანთებს აარონი ლამპრებს სადამოხანს, აკმიოს საკმეველი. ეს იყოს მუდმივსაკმევად უფლის წინაშე თაობიდან თაობაში“ (გამ. 30, 1-8).

ძველ აღთქმაში ასევე მოცემულია წმინდა სურნელების დამზადების წესი (გამ. 30, 34-38). სოლომონის ტაძარში არსებობდა სამსხვერპლო კეთილსურნელების შესაწირად, სადაც მღვდელმსახური ყოველდღიურად სწირავდა ღმერთს საკმევლს და ითვლებოდა, რომ ეს მღვდელი ღვთის მიერ ღირსად იყო შერაცხილი ამ საქმის აღსასრულებლად. საკმეველი ფართოდ გამოიყენებოდა, ასევე, კერპთაყვანისმცემელთა შორისაც. ეგვიპტელები, ბაბილონელები, ბერძნები და სხვა ძველი ერები, რელიგიური მსახურებების დროს, საკმევლს ისევე იყენებდნენ, როგორც მათი თანამედროვე ერთი ღვთის მადიარებელი ებრაელები. საკმევლის გამოყენების ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი მოხმარება რომის იმპერატორისადმი, რომელსაც თავყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. საკმევლის სულიერი სიმბოლიზმები ქრისტიანულ რელიგიაში შემდეგი გახლავთ საკმეველი მიემსგავსება ლოცვას, რომელიც ღვთის საყდრამდე აღწევს. “წარემართენ ლოცვა ჩემი, ვითარცა საკმეველი, შენ წინაშე...” (ფს.140,2),

საღვთო წიგნის, ბიბლიაში არსებული წყაროების - მათეს სახარების მიხედვით, „როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, ჰეროდის მეფობის ჟამს აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მოგვები, რომლებმაც თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თავყვანი ვსცეთ მას... და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყმა მარიამთან თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ თავყვანი სცეს მას და გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური.“ (მათეს სახარება 2 – 2,3,11. ბიბლია საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა 1989, გვ. 953\_960) ის ძვირფასი საჩუქრები, რომელიც მოგვებმა მიართვეს იესოს, ჯერ კიდევ ჩვენ წელთა აღრიცხვამდე პალესტინაში ითვლებოდა წმინდა მცენარეებად, ისინი ამ მცენარეებისაგან ამზადებდნენ, სპეციალურ ნივთიერებებს, რომლებიც ღვთის სადიდებელ რიტუალების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „ბიბლიაში მცენარეულობის მრავალნაირი სახეობაა ნახსენები... ეს მცენარეები გამოიყენებოდა, როგორც სამკურნალოდ და საკვებად, ანდა, როგორც საკმეველი ღვთისმსახურების დროს, რომელიც სავანესა და ტაძარში სრულდებოდა ( ბიბლიის ენციკლოპედია, 2003 : 14-15).

არსებულ წყაროების მიხედვით, გუნდრუკი ფისია, რომელსაც გუნდრუკის ხისაგან იღებენ. ის გახურების ან დაწვისას სასიამოვნო სურნელებს გამოსცემს. ბიბლიურ ხანაში მას იყენებდნენ, როგორც საკმევლს. მოგვების მიერ ყრმა იესოსადმი მორთმეულ ძღვენთა შორის გუნდრუკიც ერია (გამ.

30:34\_38;ლევ.2:1, 15\_16; მ. 2:11) რაც შეეხება მურს (სმირნა) ღია ყვითელი ფისია ბუჩქნარისა, რომელიც იზრდება სომალში, ეთიოპიასა და არაბეთში.

კმევის, მსხვერპლთმეწირვის, მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ჯერ კიდევ საუბარია „წიგნი ძუელისა აღთქმისან“–ში, სადაც მოთხრობილია უფლის რჩეულის ნოეს გადარჩენის ამბავი წარღვნისას. მაშინ, როდესაც უფლის რჩეული, ნოე წარღვნას გადაურჩა, უფლის დანარიგები პირნათლად შეასრულა და დარწმუნდა იმაში, რომ წარღვნა დამთავრებული იყო... „ნათესაობისაებრ მათისა გამოვიდეს კიდობნისაგან და აღუშენა ნოე საკურთხეველი ღმერთსა და მოილო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა და ყოვალთაგან მფრინველთა წმიდათა და ყოველთაგან ფრინველთა წმიდათა და შეწირნა იგინი ყოვლათ ნაყოფებად საკურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან სული სურნელებისა და თქუა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შევსძინო მერმედ წყევად ქუეყანისა საქმეთათვს კაცთასა, რამეთუ შეყოფილ არს მომგონებლობა კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა და სიჭაბუკითგან მისით“ (წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ნაკვეთი I შესაქმისაი გამოსვლათაი გამომცემლო მეცნიერება, 1989: 82). ამ წიგნის ეს წყარო დასტურია, იმისა რომ ამ მცენარეებისაგან დამზადებულ ნივთიერებებს ღვთის მაღლი და კურთხევა გადმოაქვთ ადამიანებზე, რამეთუ სულიწმინდა ანიჭებს სიცოცხლისა და ღვთიურობის ძალას, რომელიც ადამიანს ღვთის გზაზე დააყენებს...

აქარაში დრო-ჟამის, ბედუკულმართი ისტორიის მიუხედავად, მუსულმანური წეს-ჩვეულებებთან ერთად დღესაც სრულდება ქრისტიანული რიტუალები. აქაური მუსულმანები ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ წინაპრისეულ (ქრისტიანულ) წეს-ჩვეულებებს, რომელთაც თავისი თავდაპირველი სახე დაკარგული აქვთ, ფუნქცია და დანიშნულება კი შენარჩუნებული. აქაურთა წეს-ჩვეულებები დღესაც იდენტურია სახარებისეული წეს-ჩვეულებებისა.

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია, აჭარის მოსახლეობის, როგორც წინაქრისტიანული რწმენის სააზროვნო ელემენტები, ასევე ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, რომელთაც თვითმყოფადი სახე და რელიგიური დანიშნულება შენარჩუნებული აქვთ. მსგავსი თქმულებათა ციკლი ერთხელ კიდევ ეხმიანება ზოგადქართულ ტრადიციებს.

### ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე 1974: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, „ფშავი“, თბ., 1974.
2. ბიბლია 1989: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. მათეს სახარება 2 – 2,3,11. – 1989.
3. ბიბლიის ენციკლოპედია 2003: ბიბლიის ენციკლოპედია. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები საქართველოს წარმომადგენლობა თბილისი 2003.
4. ენციკლოპედია... 2007: საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი., 2007.
5. ვარშალომიძე 1979: ვარშალომიძე ჯ. „ორნამენტი ხეზე“, გამ. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
6. მაყაშვილი 1961: ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, გამ. „საჭოთა საქართველო“, 1961 თბ.,
7. მიქელაძე, ჩელებაძე 2015: მიქელაძე ნ., ჩელებაძე ნ., „ტოპონიმ „ბეთლემის“ გენეზისი აჭარის ფოლკლორში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ჩვენი სულიერების ბალავარი, VII. 2015.
8. მიქელაძე, 2015: ნაილე მიქელაძე, „ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, V, თბ., 2015 წ.
9. მოქცევაი ქართლისა 1964: „მოქცევაი ქართლისაი“, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. I, (V–X სს), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.
10. წიგნი ძუელისა აღთქმისანი ნაკვეთი I შესაქმისაი გამოსვლათაი. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა დაცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. „მეცნიერება“ 1989.
11. ჭიჭინაძე 1913: ჭიჭინაძე ზაქარია, „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფილისი
12. ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1988: ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები (ეია – ურთხელი), მნათობი, 1988, №2.

*Naile Mikeladze*  
*Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute*  
**THE STORIES ABOUT THE CULT TREE IN GEORGIAN FOLKLORE**  
**(ANCIENT RITE OF MAKING INCENSE IN ADJARIAN FOLKLORE)**  
**ABSTRACT**

There are a lot of beliefs characterized for Pagan and Christian religion in Adjarian folklore. The local people are actively using their religious beliefs in their life and cultural activities. But many of them have no idea about their genesis.

It is quite important and interesting to know about Ketevan (Khenipe) // Gogitidze // Ivanadze's story, who is a resident in village Kidzinidzeebi in Shuakhevi region. The inhabitants of this region always tried to get rid of God's punishment. From this point of view they never cut the sacred tree – yew (*Taxus baccata*). While interviewing the teller remembered how the children and women from her village gathered the fruit from this tree, which, with some other things was used for making incense. These trees can be found on Mount Tsmindiseri, Nacharvala/natsirvala, Nasakdrevi forest, and in some other ritual places.

Thus, the work represents the elements of pre-Christian belief, as well as Christian rules and traditions that echoes general Georgian traditions once again.

**ციალა ნარაკიძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

**სატრფიალო ლექს-სიმღერები ლაზურ ფოლკლორში**

სატრფიალო ლექს-სიმღერებით მდიდარია ქართველთა ზეპირპოეტური მემკვიდრეობა, რომელშიც თავისი წვლილი აქვს შეტანილი ყველა ეთნოგრაფიულ რეგიონს და მათ შორის–ლაზეთს.

სატრფიალო თემატიკას დიდი ადგილი უკავია შრომის პროცესში შესასრულებელ ლაზურ ლექს-სიმღერებში; მათში გადმოცემულია შეყვარებულთა გულისთქმა, ერთმანეთისადმი სწრაფვა და სიყვარულის განდობა.

ცხენზე ამხედრებული ვაჟი გზად გადაეყრება ქალების ნაღს, რომელშიც მონაწილეობს მისი სატრფოც; სიყვარული ჯერ არ გაუმხელია და გულში სდებია ყმაწვილს:

... ე-ბოზო, გიჩქიტასნა,  
გურის მუეფე მილუნ...  
ქალიშვილო, რომ იცოდე,  
გულში რაღაცები მაქვს...

სატრფოსათვის ყველაფერი მზად აქვს ვაჟს და ჰპირდება რომ ქალბატონივით აცხოვრებს:

ირი შეი მამეტენ,  
დიდო ყოროფა მილუნ,  
ხანუმი დოგოხუნაფ,  
ზენგინობათი მილუნ.  
ყველაფერს გავიმეტებ,  
დიდი სიყვარული მაქვს,  
ქალბატონად შენ დაგსვამ,  
მე სიმდიდრეც ბევრი მაქვს.

(თანდილავა, 1972:121-122)

ჩვენს მიერ თურქეთის სარფში 2015 წლის ჩაწერილი სატრფიალო შაირის თანახმად, ვაჟი შეახსენებს სატრფოს, რომ მას სახლ-კარი აქვს და იშვიათი ეპითეტით („სულის გასართობი“) ამკობს მას:

ოქთის ოხორი მილუნ,



ვა უღუნ გოქთინონი;  
სო იდი სევდა ჩქიმი,  
შუი ოხოქთინონი?  
ოქთაში სახლი მაქვს,  
არა აქვს გასაქანი;  
სად წახვედი, სატრფოვ ჩემო,  
სულის გასართობო?

გაზაფხულზე, როდესაც ნადები განახლდება, შეყვარებულთათვის სასურველი დროა, რადგანაც გაშლილ მინდორში, შრომის დროს საშუალება ეძლევათ ერთმანეთის ნახვით დატკბნენ.

გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა) დაფიქსირებულ ერთ სატრფიალო შაირში გადმოცემულია ბუნების განახლების ჟამს სატრფოსადმი ლტოლვა:

აზი მოხთუ,  
ორთა ლული აეშილი,  
გუიქ მიწუმეს-ქი  
დალის მეშილი,  
მოხთარეი? მიწვი,  
მუ იყვენ ფეშინი.  
გაზაფხული მოვიდა,  
ყველაფერი ამწვანდა,  
გული მეუბნება რომ  
ტყეში შედიო,  
მოხვალ? მითხარი  
რა იქნება შემდეგ.

თურქეთის სარფშივე დაფიქსირებული ნადური ლექს-სიმღერის თანახმად, ვაჟი სიყვარულს უმხელს თვალეზმძივა ქალიშვილს და სთხოვს, მისი ცოდვა არ დაიდოს.

ქალე, ბოზო, თოლიმონი,  
აკო მოთ რე ყოროფონი?  
სი ნოღამე ვარ გინონი?  
სი მა გუი დომიტახი  
სო ილაგინონ ჩქიმი გაუნახი?  
გოგინჩხვარენ ჩქიმი ახი!  
ქალო, გოგო, თვალეზმძივა,  
ასე საყვარელი რატომ ხარ?  
შენ საქმრო აღარ გინდა?  
შენ მე გული მატკინე,  
სად უნდა წაილო ჩემი ცოდვა?  
გამოგიწევს ჩემი დარდი!

ლაზური სატრფიალო ლირიკის თანახმად, გამიჯნურებული ვაჟი უფრო გახსნილი და გულლიაა, ვიდრე ქალიშვილი, რაც ტრადიციული კდემამოსილებითა და მორიდებულობით აიხსნება. ვაჟი კი, არაფერს ერიდება და მაინც გაამხელს გულის ხვაშიადს. ამის დასტურია 2016 წელს სოფელ სარფში ჩაწერილი სატრფიალო ლექსი:

დობწილი ყურძენეფე დო  
ქოგეობლი თავანის,  
ზერა დო ემინეს ვარ დო  
თოლი მიღუნ ჰევაშა.  
მოვკრიფე ყურძნები და  
დავყარე ჰერში,  
ზერა და ემინეს არა და  
თვალი დავატანე ჰევას.

შეყვარებული ვაჟი სთხოვს სატრფოს, სხვას არავის დაუჯეროს, არავისგან აილოს საჩუქრები და მოუწოდებს, ფანჯრიდან მალულად გადმოიპაროს, რათა ერთად გაიქცნენ:

„მითის ვარ ნუსიმიწა,  
ია რენ პატი კოჩი.  
ფეი ვარ ქაგუწულა  
მეგას თინა ნუტკოჩი,  
ფენჯერეშენ გამახთი  
ბოხჩა მა მემიტკოჩი.  
არავის არ დაუჯერო,  
იგი არის ცუდი კაცი.  
არაფერი გამოართვა,  
რომც მოგცეს გადაუგდე,  
ფანჯრიდან გადმოდი და  
გადმომიგდე ბოხჩა მე.

(ვანილიში, თანდილავა, 1964:158).

ერთი სატრფიალო შაირის თანახმად ვაჟი ეხვეწება ქალიშვილს, ნუ გამოიჩენს გულქვაობას:

ქალე-ბოზო, თოლი მსქვა,  
მოხთი მუთუ დოგიწვა,  
გიწვაში გუი გინდლულას,  
მო გილუტას, მუჭო ქვა.  
ქალო-გოგო, ლამაზთვალა,  
მოდი რაღაცა გითხრა,  
რომ გითხრა, გული დაგიდნეს,  
ნუ გექნება როგორც ქვა.

სასიყვარულოდ აღერილი ლაზი ვაჟკაცი ეძებს გულისწორს და თვალი გაურბის ლამაზი ასულისაკენ. ამის დასტურია თურქეთის სარფში ჩაწერილი ლექსი:

ყინი მაყუ, კიში რენ,  
ე, მსქვა ბოზო მიში რენ?  
ბძირიშკულე ვიხელი  
ტუა ქოგობახველი  
შემცივდა, ზამთარია,  
ის ლამაზი გოგო ვისია?  
როცა ვნახე გავიხარე,  
კინაღამ ჩავეხუტე.

ლაზური სატრფიალო ლირიკის ნიმუშები, რომლებითაც ვაჟი გამოხატავს თავის გრძნობებს შეყვარებული გოგონასადმი, უმეტესწილად, „ვაჟის სიმღერად“ („ობირუ ბიჭიში“) მოიხსენიება.

ვაჟი შეხარის სატრფოს მშვენიერებას და იმის თქმასაც უბედავს, რომ მის რჩეულს ბედნიერება მხოლოდ მასთან ელის და არა – მშობლებთან.

ნანა-ბაბა სქანიშენ  
მუთუ ხეირი ვარ გილუნ.  
ბოზო, მენდამყონი,  
სი ჩქიმდენ ხეირი გილუნ.  
დედისა და მამისაგან  
არაფერი ხეირი გაქვს.  
ქალიშვილო წამომყევი  
შენ ჩემგან გაქვს ხეირი.

(ვანილიში, თანდილავა, 1964:158-159)

სატრფიალო ლექსში „დუნა დიეშილუ“ („ქვეყანა გამწვანდა...“) გამოთქმულია შეყვარებული ლაზი ქალწულის სევდა-წუხილი იმის გამო, რომ სატრფო შორს იმყოფება; ამიტომაც გაზაფხულზე ამწვანებული ქვეყანა მისთვის გაუფერულდა და უფსკრულს დაემსგავსა:

დუნა დიეშილუ, ქომოხთუ აზი,  
ნა გულიტი მუჭო ფეშილი კაზი!  
სკანიშკულე დომადოდუ მარაზი,  
სომა ვიდა აშო ყალგელაქთეი?!

ააა დუნა ჩქიმიშენი ზინდანი...  
ქვეყანა, გამწვანდა, მოვიდა გაზაფხული,  
რომ დადიოდი, ვით მწვანე გედი!  
შენს შემდეგ დამემართა ჭლექი,  
ასე მწუხარე საით წავიდე?!  
ეს ქვეყანა ჩემთვის უფსკრული გახდა...

ზღვაზე გემის გამოჩენა შეყვარებულ ლამაზ გოგონას იმედს უღვივებს, მაგრამ სატრფოს მოუსვლელი კვლავ სადარდებელს უმატებს; ქალიშვილის ოცნება სატრფოსთან სიყვარულის სიმი გააბას და, ერთგულებისა და სიყვარულის ნიშნად, ფორთოხლის ლებანს უგზავნის:

გოვინკიდათ სევდალულიში თელი,  
მეგინჯლონოფ ფორტუკალეში ფელი;  
ვა იძლინა, ქომეგინჯლონოფ მთელი,  
ქომოხთი დო აქ ვორტათ, გეელი ჩქიმი!  
მოდო, სიყვარულის გავაბათ სიმი,  
გიგზავნი ფორთოხლის ლებანს.  
თუ არ გეყოფა, მთელს გამოგიგზავნი,  
მოდო აქ ვიყოთ ერთად, სატრფოვ ჩემო!

საანალიზო ლექსში სატრფოსადმი გაგზავნილი ფორთოხლის ლებანი იმავე ნაყოფიერების სიმბოლიკის მატარებელია, რაც, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული სატრფიალო ლექსებში ვაშლის სიმბოლიკა: „ქართულ სინამდვილეში ვაშლი ნიშნობისა და ქორწილის რიტუალებში გამოყენებული იყო, როგორც სიმბოლო ნაყოფიერებისა... ვაშლი, როგორც სიყვარულის სიმბოლო, ცნობილია საბერძნეთში,... სერბებს შორის... ვაშლის მოწყვეტა ან შეჭმა სიყვარულს ნიშნავს“... (სიხარულიძე, 1958:276-277). ქართულ ხალხურ ლირიკაში ხშირად გვხვდება, როცა ვაჟი, სიყვარულის გამბეღის ნიშნად, ქალს ვაშლს აწვდის. ზოგჯერ ქალიც სთავაზობს ვაჟს ვაშლს:

შევარდენი გადმოფრინდა  
თავის ოქროს ბუდიდამა,  
გადმომიგდო ქალმა ვაშლი,  
ამოიღო უბიდამა.  
ჩემეულად შეინახე,  
არ გადმიგდო გულიდამა!

(სიხარულიძე, 1958:277-278).

ამდენად, ლაზურ სატრფიალო ლექსში ნახსენები ფორთოხლის ლებნის გაგზავნა სატრფოსათვის სიყვარულის გამჟღავნებაა და ფორთოხალს, როგორც სუბტროპიკულ ზონაში მცხოვრებთა ერთ-ერთი სახასიათო ნაყოფს ბუნებისას, იგივე სიმბოლიური დატვირთვა გააჩნია, რაც ვაშლს საქართველოს სხვა კუთხეთა სატრფიალო ლირიკაში (სარფი, 2015:375).

შეყვარებული ადამიანი, ლაზური სატრფიალო ლირიკის თანახმად, გულში დაჭრილია:

არ წკაი ქოგემიბით  
შუშეს დოლოტალეი!  
გუი არალი მიღუნ,  
კუშუმი მოტალეი.  
ერთი წყალი დამისხით  
ჭიქაში დარჩენილი,  
გული დაჭრილი მაქვს,  
ტყვია-ჩარჩენილი.

ტრადიციულად, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის თანახმად, მთვარე შეყვარებულთა გულისთქმის მოზიარე, მათი ფარული პაემნების მომსწრე და მესაიდუმლეა. ასეა ლაზურშიც:

ამ სერი თუთას თე რენ,  
მა ქჩუმე მზოდაკალა,  
ვარ მინონ სი მეგაშქვა,  
ქომოხთი ჩქიმიკალა  
მზოდას მურუცხი თანუნ,  
მჩუმელან ჟური ხვალა,

ოფშა თუთაქ ოთანაფს,  
მოხთი, მოგოთვა ვალა.  
მთვარიანი ღამეა,  
გელოდები მე ზღვასთან,  
არ მინდა, შენ გაგიშვა,  
წამოდი, ჩემთან ერთად.  
ზღვას ვარსკვლავი ანათებს,  
გველოდებიან მარტო,  
სავსე მთვარე ანათებს,  
მოდი დაგახურო ფატა.

(კარტოზია, 1993:234)

თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სოფელ სარფის ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებულ ერთ სატრფიალო ლექსში შეყვარებული ვაჟი, რომელიც ჯიბით ატარებს სატრფოს ოქროსფერ კულულს, უმთვარო ღამეში ვარსკვლავს ეხვეწება, გაანათოს და მიანათოს მიჯნურის სამყოფელს:

ვა ფთქვა დო მუჭო ვა ფთქვა,  
მიღუნ ყოროფა სქანი...  
ჟინი ჯებეს გოვიმერ  
ე სარი თომა სქანი.  
ამ სერი თუთა ვა რენ,  
თანი მურუცხი თანი!  
იანიშ ოდაშენ კელე  
თე სინ ქომემოთანი.  
არ ვთქვა და როგორ არ ვთქვა,  
მაქვს შენი სიყვარული...  
ზედა ჯიბით ვატარებ  
იმ შენ ყვითელ თმასა.  
ამ ღამით მთვარე არ არის,  
ანათე, ვარსკვლავო, ანათე!  
გვერდითა ოთახის მხარეს  
სინათლე მომანათე!

სატრფიალო ლექსით „...სი მუ გჯოხონს“... („...შენ რა გქვია“...) ლექსის ლირიკული გმირი ეხვეწება სატრფოს, ნუ დაემალება; გულისწორისაკენ მიმავალი აღმართი ვაჟს სწორ გზად ეჩვენება, მის ირგვლივ არსებული სწორი გზა კი – აღმართად, რადგანაც სიყვარული ჭკუაზე შლის:

რაკანიში ემთი დუზი მომაღეფს,  
ოთალუდიშ დუზითი ემთი მომაღეფს.  
ოროფა სქანიქ თის ნოსი გამამაღეფს,  
სი დომჭვი დო დომხალი გაული ჩქიმი!  
ბორცვის აღმართი ვაკე მგონია,  
აღმართად მეჩვენება ვაკე,  
შენი სიყვარული ისე მაგიჟებს,  
სატრფოვ, ისე დამწვი და დამდაგე!

(ბსკიდა, საქმე N15, გვ. 79).

ლაზური სატრფიალო ლირიკის თანახმად, ზოგადქართულის მსგავსად, შეყვარებული ვაჟი ცეცხლმოკიდებულია და ქალიშვილისაგან წყალს თხოულობს, რაც არქაულ სიმბოლიკებში ნაყოფიერებას, სიცოცხლის გამოხატვას, ხოლო წყლის მიწოდება ცეცხლის ჩაქრობასთან, ანუ სიცოცხლის გაგრძელებასთან ასოცირდება. ჩვენს მიერ გამოღმა სარფში ჩაწერილ ერთ-ერთ სატრფიალო ლექსში ეს უძველესი რწმენა-წარმოდგენები სრულიად ბუნებრივ სახედ გვევლინება და თავის განუმეორებელ ხიბლს მატებს გოროზი ქალიშვილის მიმართ ვაჟის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომლებიც უსათუოდ ძველი, დიდი ლაზეთის ემხისა და სიმბოლიკის სურნელით არის გაჟღენთილი:

არ ქომენდამოწკედი  
ქალე, თოლი კარკალა,  
დომიწვი დო მიჩქიტას

მიში იყვა სინ არი?  
მუ იყვენ ოკონაბლური  
ქოგემიბი სინ წკარი,  
ყოროფელი ჩქიმი რე  
ვა გოხთა მითიკალა!  
შემომხედე ერთი,  
თვალეზბრიალა ქალო,  
საყვარელო მითხარ,  
უნდა გახდე ვისი?  
გული მიწუხს, ეგება  
მომაშველო წყალი,  
ჩემი სიყვარული ხარ,  
ნუ გახდები სხვისი

(ნარაკიძე, 2015:12).

ვაჟი აპირებს, ხელის სათხოვნელად, სატრფოს ოჯახში ეწვიოს, მაგრამ ამავე დროს, გოგოს აფრთხილებს, რომ თუ მშობლები არ დათანხმდებიან, მოიტაცებს:

ეგერ პატი მიწვესნა,  
მეგიხირ სი გიჩქიტას,  
ვა მეგაშქუმე ხვალა,  
გიყონოფ ჩქიმიკალა.  
ხანუმი დოგოხუნაფ  
ოხოის, კეაკალა.  
თუკი ცუდი რამ გვითხრეს,  
მოგიტაცებ უმალ,  
არ დაგტოვებ მარტო  
და წაგიყვან მაშინ,  
ქალბატონად დაგსვამ  
კერიასთან, სახლში.

ზომიერი ადამიანური სიამაყე მომხიზველელობასა და კდემამოსილებას მატებს ქალიშვილს, მაგრამ ჩვენს მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში ცალსახად დაგმობილია ყელყელობა და უსაგნო ამპარტავნობა. ლექსის ლირიკული გმირი ამპარტავან გოგონას შეახსენებს, რომ ქვეყნად ყველა იმედით ცხოვრობს, თუმცა ვინმეს იმედად ყოფნა არაფრის მომტანია; ადამიანი თავადაც უნდა გაისარჯოს. ეს ღრმა ფილოსოფიური დასკვნა სრულიად ბუნებრივად ძვეს მრავალსაუკუნოვან ლაზურ ზეპირპოეტურ შემოქმედებაში:

ეკო მოთ იმცქვე დო მოთ ინაზლებ,  
გუის დოლოხე მეუფე გიღუნ?  
ეკო ბიჭეფეს კაპულა ნუქთი  
აჯაბ, სი მიში ომუდი გიღუნ?  
ომუდითენ სქიდუნ ამ დუნაას მთელი,  
ჰამა ომუდიქ მთელის ვარ ნუშოლს,  
ხე გონკანინა მთელი ომუდი  
სი მეგოდგითუნ ნეკნას კაითენ.  
რად ტრაზახობ და რად ინაზები,  
გულში რა გიდევს, ნეტავ?  
ამდენ ვაჟებს რომ ზურგი აქციე,  
ვისი იმედით ბედავ?  
იმედით ცხოვრობს ამ ქვეყნად ყველა,  
თუმცა იმედი ყველას არ შველის,  
თუ გაირჯები, ხელს თუ გაანძრევ,  
კარს მოგადგება იმედი შენი!

ერთ მშვენიერ ლაზურ სატრფიალო ლექსში ბრძნული შეხედულება – დასკვნაა გამოთქმული მიჯნურობის თაობაზე:

ყოროფაქ კოჩი ოჯგინაფს,  
მთინი რენ, შუიმშინე;  
ყოროფაქ გუი დომიჭუ,  
თის ნოსი ქაგამამილუ.  
გუი ჭვეში ჭამი  
სოთინა ვარ იძირენ...  
ხომ გიჩქინ, შუიმშინე!  
სიყვარული კაცს ამარცხებს,  
მართალია, ძვირფასო;  
სიყვარულმა გული დამწვა  
მთლად წამართვა გონება.  
გულდამწვარის წამალი კი  
არსად მოიპოვება  
ხომ იცი გენაცვალე!

(ნარაკიძე, 2015:15).

ლაზური სატრფიალო პოეზია, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, მდიდარია, ქალ-ვაჟის გაბაასების ფორმის ლექს-სიმღერებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაცულია ლაზური ქალ-ვაჟიან სათაურით „ბიჭი დო კულანიში ბირაფა“ („ბიჭისა და ქალიშვილის ლექსი“), რომელიც მკვლევარმა ზურაბ თანდილაგამ ჩაიწერა 1958 წელს სარფში, ტიპიური ნიმუშია ტრადიციული ქართული ქალ-ვაჟის გაბაასებისა, სადაც ქალიშვილი „არ თანაუგრძნობს ვაჟს“:

ბიჭი: – ტიკინა მოკიდეი  
ქალო, სოლე ნუნკაპუ?  
კულანი: – მუთუ ვარ დომიწვა-ქი  
დააზოი ვუნკაპუ!

ბიჭი: – საით გარბიხარ, ქალო,  
ზურგზე კალათით, ნეტა?  
გოგო–ნურაფერს მეტყვი, თორემ  
სირბილს დავიწყებ მეტად!

ბიჭი: –ოთქვალუში დიდო რენ,  
გუის დაჩხიი მიგზუნ.  
კულანი: –გუის მუთუ ვა გილუნ,  
ბიგაში დოლოგოგზუნ!  
ბიჭი: –ჭიტა ქოდომიყონდი,  
ვიდათ სინ დო მან ისა...  
კულანი: – ინა დოლოგოჭკვიდა,  
ქოგოწიაფ მასა!  
ბიჭი: – აწიშა აშო ვარ ტი,  
აწი აშო მოთ იქიფ!  
კულანი: მციქა ქონიდუშუნი,  
ულნოსე, მუფე იქიფ?

ბიჭი:–სათქმელი ძალზე ბევრი მაქვს,  
გულზე ცეცხლი მწვავს ოხვრით.  
გოგო:–შენ გულზე არაფერი გჭირს,  
წაგეკიდება ჯოხი!  
ბიჭი:–სულ ცოტა დამელოდე და  
ერთადაც წავალთ, ნახე...  
გოგო:–მაგ თავში თუ ჩაგარტყი,

მაისას დაგანახებ!

ბიჭი:–დღემდე ასეთი არ იყავ,

რად შეიცვალე, ნეტავ,

გოგო:–ცოტათი დაუფიქრდი,

სულელო რამდენს ბედავ?

ლაზთა სატრფიალო ლექს-სიმღერები ერთი მშვენიერი ჰიმნია ყველაზე ლამაზი, ყველაზე ამადლებული ადამიანური გრძნობისა – ქალ-ვაჟის ურთიერთსწრაფვისა და სიყვარულისა.

#### ლიტერატურა:

1. ვანილიში, თანდილავა, 1964:მ. ვანილიში, ალი თანდილავა, ლაზეთი, თბილისი
2. თანდილავა, 1972:–ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი
3. კარტოზია, 1993:–გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები II, თბილისი
4. ნარაკიძე, 2015:–ც. ნარაკიძე, ლაზური ტექსტები, ბათუმი
5. სარფი, 2015:–მონოგრაფია, სარფი, ბათუმი.

*Tsiala Narakidze*

*Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute*

**LOVE LYRICS IN LAZ DIALECT**

**ABSTRACT**

Laz love Lyrics are the organic part of united Georgian folklore. Knight soul of inhabitants of Ancient Colchis, kindness of Laz daughters and their rich spiritual world are well represented in the best samples of Laz love lyrics. Laz lyrics are wonderful anthem of the most beautiful human feeling – love of man and woman.

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ფრონეს ხეობის სოფლების (ატოცი, ებრაღეთა დასახლება)**

**საკუთარი სახელების სტრუქტურა 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით**

1724 წელს გართულებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე, დიდი ამალით, კავკასიონის მთავარ ველზე გადასვლით, ჯერ ასტრახანში, შემდეგ კი მოსკოვში ჩავიდა დახმარების აღმოსაჩენად.

1724-27 წლებში გაძლიერებულმა ოსმალეთმა ქართლის სამეფო დაიპყრო და თავისი ჯარი ჩააყენა მთავარ ციხეებში. ერთ-ერთი საინტერესო წყარო, რომელიც ამ დროის მოვლენებს ასახავს არის 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც საუკეთესო წყაროა ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. წიგნი, რომლის ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილურად გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ. დავთარი კარგად ასახავს ოსმალური გადასახადების სისტემას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, აქ დაცული ცნობები ასახავს ასევე ისტორიულ-პოლიტიკურ მდგომარეობას, სოციალურს, კულტურულ ვითარებას, სოფლების, ნასოფლარების ვითარებას და სხვა.

ერთ-ერთი ვრცელი რეგიონი არის საამილახვრო, უფრო მცირეა საციციანო, ქსნისა და არაგვის ხეობები, მუხრანი და სხვები.

დაწერილებით არის აღწერილი საამილახვრო, სადაც წარმოდგენილია 161 სოფელი. სოფლების აღწერისას ჩამოთვლილია ოსმალური გადასახადები, როგორცაა: გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე, წისქვილზე და სხვა.

სოფელი ატოცი, რომელიც ფცის ფრონეს ხეობაში მდებარეობს, ამ დროისათვის დიდი დასახლება ყოფილა, სადც მიწის დღიური მფლობელობა შეადგენდა 50-ს, დუქნები ყოფილა 25, უცხოვრია 158 ადამიანს და შეწერილი ჰქონდათ 44180 ახჩა. დავთრის 301-302, 315-316 გვერდებზე მოთავსებულია, როგორც ოსმალური აღწერა გვამცნობს „ატუცის“ მოსახლეობას, სადაც მხოლოდ მამაკაცებია აღწერილი სახელით გვარის გარეშე, ასევე აღნიშნულია თუ ვინ ვისი შვილია ან ვინ ვისი ძმაა.

სოფელ ატოცის მოსახლეობა აღწერილია „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში“, რომელიც ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა ფრონეს ხეობის ონომასტიკური მასალების შესასწავლად. აქ მოყვანილი მასალების შედარება ოსმალურ ტექსტებთან საყურადღებო შედეგებს გვაძლევს, რომელიც ამ მიმართებით დღესაც საინტერესოა.

მაგალითად, ოსმალურ დავთარში საკუთარი სახელით მხოლოდ ერთი პირი - ბეჟან ძე თამაზისი არის დასახელებული, რომელიც 1715 წლის რუისის დავთარში მოყვანილი ბეჟან სამადანიშვილია, რომელიც აზნაურია.

ოსმალურში მხოლოდ ერთი ქაიხოსრო ძე დეკანოზისა არის, რომელიც ქართულ აღწერაში დეკანოზიშვილი ქაიხოსროა, რომელსაც საწირავი აძეს. ოსმალურში ერთი პირია მახარა, რომელიც ქართულ ტექსტში შახაშვილი მახარაა.

ოსმალურში დასახელებული ესტატე ქართულ ტექსტში არის ჯანვერდაშვილი ესტატე. პირველში აღწერილი თევდორე ქართულ აღწერაში არის შახაშვილი თევდორე. პირველში აღწერილი აღდგომელა არის ქართულში დასახელებული ჭაჭუნაშვილი აღდგომელა და სხვა.

ოსმალურ ტექსტში მოყვანილია მთელი საკუთარი სახელების ჩამონათვალი და მათი სტრუქტურის გარკვევა გაძნელებულია, ამისი მიზეზი კი შეიძლება იყოს ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, როცა ირღვევა ისტორიულად დადგენილი საზღვრები, ხდება მიგრაცია და იმიგრაცია, რწმენის შეცვლა, ჩნდება ახალი დასახლებები და სხვა.

ოსმალურ ტექსტში მთელი რიგი სოფლების აღწერისას უცნაური საკუთარი სახელები გვხვდება და მათ შორის სოფელ ატოცის აღწერაშიც. მაგალითად აქ გვხვდება ასეთი სახელები: სიმადარ, ფარაბულ, კოკინა, ბავდა, ფირხან, გირკული, გიკოლა, ბათიჰა, გოთანა, ბიურდა, ბასთანა, ზაბითა და სხვები, რომელთა ეტიმოლოგია გასარკვევია.

საკუთარი სახელების შესახებ და ასევე მათ განსხვავებას ერთმანეთისაგან თავის გამოკვლევაში აღნიშნავს ცნობილი მეცნიერი ზურაბ ჭუმბურიძე, რომელიც წერს: „ქრისტიანული სახელების ერთი ნაწილი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული - კალენიკე, პორფილე, სევასტი, პისტი, ეს კი იმით აიხსნება, რომ საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან დასავლეთ საქართველოს უფრო მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველო უფრო მეტად განიცდიდა აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენას, განსაკუთრებით არაბეთის, სპარსეთის, თურქეთის ზემოქმედებას. ამიტომ აქ ქრისტიანულ სახელებთან ერთად ვრცელდებოდა არაკალენდარული აღმოსავლური საკუთარი სახელებიც (ჭუმბურიძე ზ., 1971, გვ. 15-16).

ამ ამონარიდიდან იმისი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ძნელია გამოსაცნობად სხვადასხვა ხალხში გავრცელებული საკუთარი სახელები წარმოშობით თუ არის ერთი და იგივე? აქ მთავარი ის არის, რომ ერთი ფუძის სახელები ყველა ქვეყანაში ეროვნულ სახელებადაა ქცეული. ამისი მაგალითები კი საკმარისზე მეტია ჩვენ სინამდვილეში.

როცა სახელის სტრუქტურაზე ვლაპარაკობთ უნდა აღინიშნოს, რომ ენა შეისწავლოის მნიშვნელობასა და შინაარსს, ეს იმიტომ, რომ ენას თავისი ბუნება გააჩნია რაც სისტემატურობაში გამოიხატება. ეს არის ფუნქციონირების კანონზომიერება, რომელიც ყველა ეპოქისათვის არის დამახასიათებელი.

თურქულ ტექსტში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი საკუთარი სახელების ფუძის სახით გამოხატვა ჩვეულებრივი მოვლენაა სოფელ ატოცშიც: დავით ძე რევაზისა, ნიკოლოზ ძე ბათასი, ფარემუზ ძე მისი, დავით ძე მისი, ფარემუზ ძე კარაპეტასი, ფარემუზ ძე მისი, ფარსადან ძე გაგუენასი, ფარსადან ძე მისი, კირაკოზ ძე აჩიკბაშისა, ამირან ძე გიორგისა...



ძველ ქართულში საკუთარ სახელებს არა ჰქონდათ განსხვავებული ფორმები პირველ-ორ ბრუნვასა და წოდებითში. ამის შესახებ აკაკი შანიძე წერს: „საზოგადო სახელების მსგავსად, კარგა ხანია მათ ბრუნვის ნიშანი აქვთ შეძენილი სახელობითსა და მოთხრობითში. ძველებური ფორმა შეირჩინა მხოლოდ წოდებითმა, რომელიც გარეგნულად ფუძეს წარმოადგენს (შანიძე ა., 1953, გვ. 52). აქ ასევე აღსანიშნავია, რომ ახალმა ქართულმა საკუთარი სახელი საზოგადო სახელს გაუთანაბრა.

სოფლის სახელებში ასევე გვხვდება ი ხმოვანფუძიანი სახელები: ბერი ძე გოდერძასი, გივი ძე მისი, ბერი ძე ბაბეკასი, ნათი ძე გელისასი, გორგი ძმა მისი, დიმიტრი ძმა ბერიკასი... როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის აღნიშნული „სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძის ნაწილად არის მიჩნეული და შესაბამისად სახელი ი ფუძემოვნიანებში არის გადარიცხული. ასეთი სახელები ქართულ ნიადაგზე ჩანს ჩამოყალიბებული, ასეთ ფუძეებში ი, ჩვეულებისამებრ მეორე მარცვალს ქმნის“ (არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2008, გვ. 110-111).

საკუთარ სახელთა მორფოლოგიური თავისებურება ისაა, რომ ფუძეცხურად დაკავშირებულია მიმართვის დანიშნულებასთან. ამგვარ ფორმათა საწარმოებლად ქართულს მოეპოვება მთელი სისტემა: -ა, -ია, -იკა, -იკ, -ელა, -ეტა და სხვები. უფრო გავრცელებულია: -ა და -იკა სუფიქსები, ასეა ატოცის ოსმალურ აღწერაში: ბერიკა ძე ემირშაჰისა, ბადრიკა ძე ალიფასი, დაჯუკა ძე ივანესი, ბაღდარა ძე ბათასი, მამუკა ძე კათინასი, ბაბუნა ძე კოკინასი...

ოსმალურ აღწერებში საკუთარი სახელის შემდგომ დაერთვის მაწარმოებელი -ძე, რომელიც შეპირობებულია მორფოლოგიური კანონზომიერებით, ა ხმოვანი დგას ძე მაწარმოებლის წინ და ხშირ შემთხვევაში სუფიქსირებულია: მერაბა ძე როსტომისა, თამაზა ძე მისი, ბერანა ძე გიგუასი, დათუნა ძე ბერეკასი, ძამა ძე კოკინასი...

ფრონეს ხეობაში ებრაელთა დასახლების შესახებ ცნობები დაცულია ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. იგი აღნიშნავს: „აქავ მდინარის კიდესა არს მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი (ბაგრატიონი ვ., გვ. 82). ვახუშტის თავის მიერ შედგენილ რუკაზე (1745) სოფელ ძალინას სამხრეთით ორი მდინარის ფცისა და მუხაურის წყლების შესართავში დატანილი აქვს დასახლებული პუნქტი სათანადო ნიშნით, რომელსაც აქვს წარწერა „ურია“, ებრაელთა დასახლება ამჟამად ნასოფლარია. ოსმალური აღწერის მიხედვით ეს დასახლება აღინიშნება როგორც „ებრაელთა დასახლება“. როგორც ოსმალურ აღწერაშია აღნიშნული ეს დიდი დასახლებაა და ქართველთა მსგავსად ებრაელებსაც მთელი რიგი გადასახადები აქვთ შეწერილი. „აღწერის“ დროისათვის იქ უცხოვრია 118 კაცს, მათი გადასახადი იყო 300 ქილა ხორბალი, 120 ქილა ქერი, ჭვავი 30 ქილა, ფეტვი 80 ქილა, გადასახადი ვენახზე, გადასახადი ხილზე, ერბოზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე, წისქვილის გადასახადი 120 ახჩა და სხვა.

ებრაელთა რქმევის სახელები ტრადიციულია ასე აღინიშნება: შაბათა, ელიფარა, მორჯუქა, მორდება, ბათა, შიუკა, სირანიქ, მოშია, ჯახანა...

ქართულ გარემოსთან სიახლოვემ გამოიწვია ის, რომ ებრაელებს და ქართველებს საზიარო სახელები აქვთ აღწერაში, მაგალითად: რამდენჯერმეა გამეორებული სახელი ბერი, დათუნა, თევდორე, ხოსიტა, როსტომი, გიორგი, იმედა, მამუკა, ნასყიდა, სულხანა, ბერო და სხვები.

ფუძის სახით არის წარმოდგენილი ებრაელთა სახელები: იოსებ ძე ბაბუნასი, იაკობ ძე ხოსიასი, დავით ძე დათუნასი, იაკობ ძე მოშიასი, შალომ ძე მისი, დანიელ ძე იოსებისა...

სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: ბერი ძე დანიესი, ბერი ძე ავრამისა, გიორგი ძე ბაჩუასი, გიორგი ძე თანდილასი, ბერი ძე ბაჩუასი...

სახელები კნინობითი ფორმით: ისჰაკა ძე ბაბასი, აშიკა ძე შაბათასი, ელიკარა ძე იოსებისა, შიუკა ძე შაბათასი...

სახელებში ა ფუძისეულია: ბათა ძე აკდუმასი, სეხნია ძე ჯიკასი, სკანია ძე მისი, იმედა ძე ბეჟანისა, ელიოზა ძე დავითისა, ჩუბინა ძე კოდინასი და სხვა.

თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში მოცემული ცნობები, რომლებიც საკუთარ სახელებს გვამცნობს მეთვრამეტე საუკუნის ოც-ოცდაათიანი წლების ძვირფასი მასალებია. საკუთარი სახელები უპირველეს ყოვლისა არის სიტყვა, რომელიც ლექსიკური ერთეულია და მას სწავლობს ლინგვისტიკა. ონომასტიკა არის ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც რამდენიმე დარგისაგან შედგება. ზემოხსენებული ოსმალური აღწერების შედარება-შეპირისპირება ქართულ აღწერებთან ვიმედოვნებთ, რომ მეტად გაამდიდრებს ქართულ ონომასტიკას. ანთროპონიმები და ტოპონიმები მათი შეგროვება, კვლევა და პუბლიკაცია დღეს დიდი შედეგების მომტან დარგად გვესახება.

**ლიტერატურა:**

1. თაყაიშვილი ე. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პიველი, ტფ., 1907.
2. ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ, თბ., 1966, თბ., 1971.
3. შანიძე აკ. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
4. არაბული ა. ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2008.
5. ბაგრატიონი ვ. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.
6. ბაგრატიონი ვ. რუკები, 1745.
7. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.
8. ცხადაია პ. ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

*Nikoloz Otinashvili*

*Gori State Teaching University*

**STRUCTURE OF PROPER NAMES IN VILLAGES OF PHRONE GORGE  
(ATOTSI, IUDISH SETTLMENET)  
ACCORDING TO OSMAL RECORDS OF 1728  
ABSTRACT**

In 1724-27 Kartli kingdom was conquered by the strengthened Osmal. One of the interesting sources describing Georgian-Osmal relations is the Record-book made in 1728 by Osmals. Its full translation into Georgian, research was made by Acad. Sergi Jikia and Prof. Nodar Shengelia in 2009.

The buuk gives a good description of the tax system in those days. The notes shown there also describes historical and political condition, Social-cultural situation, writes about villages, former villages etc.

In Turkish texts we can only see the proper names without surnames, for example who is whose son, daughter on brother and proper names are represented by the stem. e.g. David son of Revaz, Nikoloz son of Bata.

We can also run into the proper names ending by i – vowel: Beri son of Goderdzi, Dimitri brother of Berika.

The Comparison of Georgian and Turkish records of the eighteenth century will enrich Georgian onomastic.

**რუსუდან სალინაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

რეჯევ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი

**ზმნურ ფორმათა ყალიბები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში**

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში მილიონობით ქართველი ცხოვრობს. მათ ზეპირმეტყველებაში, გადმოცემაში, ლეგენდებში დაცულია ქართული ენა, შემონახულია ქართული ლექსიკა, ენობრივი ფორმები, ფრაზეოლოგიზმები. რაც შეეხება მეტყველებას, თურქულენოვან სივრცეში ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაცხოვრებამ, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა და შეცვალა იგი. ცვლილება მეტწილად შეეხო ლექსიკას, ყოფითი ცხოვრების ამსახველ ტერმინოლოგიას, სახელებს. დღეს რეგიონების მიხედვით განსხვავებულია ეთნიკურ ქართველთა ქართული, მასში ჩანს ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის კვალი. ისიც კარგად ჩანს, რომ სხვადასხვა თაობაში განსხვავებულია ენის ცოდნის დონე. მათ მეტყველებაზე დაკვირვების საშუალებას ძირითადად იძლევა უფროსი და საშუალო თაობა, რადგან მათ აქვთ შემონახული ქართული ენა, როგორც სამეტყველო-საკომუნიკაციო საშუალება, თუმცა მათ შორისაც არის მნიშვნელოვანი განსხვავება. უფროს თაობას

ნაკლებად განუცდია თურქულენოვანი გავლენა და, შესაბამისად, უფრო მეტად ახსოვს ენა, საშუალო თაობის მეტყველებებში კი სამეტყველო კოდთა შერევის ხარისხი გაცილებით მაღალია, სიტყვათა ყალიბები და სინტაქსური კონსტრუქციები თითქმის თურქულია.

შედარებით ნაკლებია გავლენა ზმნურ ფორმებში. თუ ეთნიკური ქართველი პირდაპირ იღებს თურქულენოვან სახელებს და უცვლელად იყენებს მეტყველების დროს, ზმნებში ასე შედარებით ნაკლებად ხდება: ზმნა, ძირითადად, მოთავსებულია ქართულ ყალიბში, ანუ გაფორმებულია ქართული მორფოლოგიური საშუალებებით, პრეფიქს-სუფიქსებით. ამას, ჩვენი აზრით, განაპირობებს პირველ რიგში ის, რომ ქართული ენის სისტემა განსხვავებულია თურქულისაგან, იგი იბერიულ-კავკასიური ოჯახის ენაა, და მეორეც, ქართული ზმნა პოლიპერსონალურია, გაცილებით რთულია. ის არის წინადადების „ხერხემალი“, როგორც იტყვიან. ვფიქრობთ, ეთნოსის მესხიერებაში არსებული ყალიბები მოქმედებს, თუმცა კოდთა შერევის პრინციპებს თავისი გააქვს და მაინც ხდება სესხება: ეთნიკური ქართველი იღებს თურქულ ენობრივ ერთეულს, ამ შემთხვევაში ზმნას, და სრულიად უპრობლემოდ (გაუცნობიერებლად) სვამს თავისი ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელ ყალიბში, ანუ აფორმებს ქართულად. მაგალითად: **გავაყირმიზე** (= გავაწითლე, თურქ. **kırmızı** = წითელი). ეს ფორმა დადასტურდა რიზეში, ფაზარის რაიონის ჰამიდეში (ჰამიეთ ფასიოდლუ, 84 წ.). „გავაყირმიზე“ ტიპის ზმნურ ფორმათა შესწავლა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ზოგადლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური ასპექტებით.

დღეს რეგიონების მიხედვით განსხვავებულია ეთნიკურ ქართველთა ქართული, სხვაობს ქართული ენის ცოდნის დონე სხვადასხვა (უფროს, საშუალო და უმცროს) თაობაშიც. თურქეთელი ქართველები, რომელთაც საქართველოში „ჩვენებურებს“ უწოდებენ, კარგად ხედავენ, როგორ ხდება ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა. ისინი ამ მოვლენას აღიქვამენ, როგორც ასიმილაციას. ამიტომ გაჩნდა მათ მეტყველებაში გამოთქმა **ასიმილა** და აქედან აღწერითი წარმოების **ასიმილე გახდა** (< asimile), რაც ნიშნავს შეიცვალა, გავლენა, ასიმილაცია, განიცადა. „ჩვენებურები“ ამბობენ: *თურქებში გვევრიეთ, ასიმილა გავხდით, აღარც გურჯი ვართ და აღარც თურქი* (სტამბოლი); *ასიმილე გამხდარი ვართ* (ბაზგირეთი); *ისიც ასიმილი გახდილია* (მარადიდი) (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ნიგალური მეტყველების სალექსიკონო მასალა, ქდვ: corpora.co).

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში არსებული ნასესხები ძირის მქონე ზმნები ძირითადად ნასახელარია, მიღებულია სახელებისაგან. ზმნურ ყალიბებს ძირითადად ქმნის ზმნისწინები ნასესხებ ძირთან და სხვა მორფოლოგიურ ელემენტებთან (პირის, რიცხვის, პირთა მიმართების, თემის... ნიშნებთან) ერთად. ზმნისწინთაგან ყველაზე პროდუქტიულია **და-/დე-/დუ-**, შემდეგ – **ა-, გა-**. გვხვდება **მო-/მე-, შე-...** ზმნისწინიანი ფორმებიც. თურქეთელ ქართველთა მეტყველების ამსახველ დიალექტურ მასალაში გამოიყოფა ორგანული და აღწერითი წარმოების ზმნური ფორმები. გვხვდება შერეულიც, ანუ ერთი და იგივე ზმნა შეიძლება იყოს როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოებისა. მაგალითები:

**ა: ორგანული წარმოება:**

**და-** ზმნისწინიანი:

**დააიარალეს** (< თურქ. **yaralı** = 1) დაჭრილი... **yaralanmak**: 1) დაჭრა... – ლ. ჩლაიძე, 2001, 1457 ) = დაჭრის: „გელი შევარდა მეგემ ცხვრებში და **დააიარალა**“ (ადაფაზ., შ. ფუტკარაძე, ქდვ)... გვხვდება იმავე ძირის მქონე დონიანი ყალიბიც: **დაიარალდა** = დაიჭრა: „ერთხან გარეველი თხა **დაიარალდა** ავგაპი დროზე“ (მაჭახელი, შ. ფუტკ., ქდვ);

**დაამარაზიანეს** (< **maraz** = ავადმყოფობა: თურქ. – შ. ფუტკ., არაბ. – ლ. ჩლაიძე, 2001, 942) = დაავადმყოფებს, ავად გახდის: „წარე ენა გულსა გუუხრეტს, **დაამარაზიანეს** ინსანსა“ (იმერხ., შ. ფუტკარაძე, ქდვ)...

**დააყარალეს** (< **karal** = თანაბარი, ზომიერი: თურქ.) = გაათანაბრებს, ზომიერს გახდის, მოაწესრიგებს: „სახლში ყნელამფერი **დააყარალა** (სტამბ., შ. ფუტკ., ქდვ);

**დააქორებს** (< **kör** = ბრმა: თურქ.) = დააბრმავებს: „ტყვილის ლაპარაკი **დააქორებს** ინსანსა“ (ადაფაზ., შ. ფუტკ., ქდვ)... გვხვდება დონიანი ყალიბის **დუ-** ზმნისწინიანი: **დუუქორდა** = დაუბრმავდა: „ამდენ ტირილში **დუუქორდა** თმალები“ (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდვ); „წყევლამ უწია და თმალები **დუუქორდა**“ (ტაო, შ. ფუტკ., ქდვ);

**დაბათლებს** (< **Batıl** = ცარიელი, გამოუსადეგარი, ფუჭი, უქმი არაბული) = 1. გააუქმებს, ამოავსებს, დაგმანავს: „ოჯადი **დაბათლებიე**, ცეცხლი ბარსახანია აღარ დიგვინთია“ (იმერხევი)... **დაბათლდება** = გაცარიელდება, გაუქმდება, ამოივსება: „შენი ყუფ **დაბათლდება**“ (ინეგოლი); „იმათი ოჯადი მალე **დაბათლდება**“ (ინეგოლი)... 2. გადატ. დააბრმავებს / დაბრმავდება: „ჰუდუდი ასენა **დაბათლდეს**ნაო, ვის

ეგონა?!“ (იმერხ.); „**დაბათლდა** ზიქრი დედი“ (იმერხ.); „დედი ვეღარ ხედავს, თლათ **დაბათლდა** ზავალი“ (იმერხ., შ. ფუტკ., ქდკ)...

**დააზაჰმეთებს** (< **zahmet** = საქმე, ზრუნვა, სიძნელე, მოუსვენრობა – თურქ.) = შეაწუხოს, საზრუნავი მისცეს, საქმე გაუჩინოს: „შენ რაზეუნა **დააზაჰმეთო?!“** (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ). ეს ფრაზა ერთ-ერთმა „ჩვენებურმა“ ასე განგვიმარტა: რატომ უნდა შეგაწუხო? (ართვინი, დევისყელი, მთქმელი ო. ილმაზი – ჩაწერ. რ. საღინაძის მიერ რიზეში, 2017 წ.);

**დაამოსაფირებს** (< **Misafir** = სტუმარი – არაბ.) = ისტუმრა, სტუმარი მიიღო, სტუმრად წაიყვანა: „ისკენდერამ უთხრა ჯამის ხალხსა ქეღამში, ვინცხამა **დაამოსაფირეთო**“ (იმერხ., შ. ფუტკ., ქდკ)...

**დააჩივთებს: დააჩივთა** (< **Cift** = წყვილი – სპარს.) = დაწყვილებს: „ძლები დააჩივთა“ (= რძლები დააწყვილა: ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ).

-ავ თემისწინიანი: **დადირეგავს** (< **direk** = ბოძი – თურქ.) = ბოძს შეუყენებს, ბოძს შეუდგამს: „შეფთალის ტანებ **დადირეგავს**“ (ადაფაზ., შ. ფუტკ., ქდკ)... **დაჩიზავს** (< **çiz** = ხაზი, **çizgillçizi** = დახაზვა) = დახაზავს, ხაზს გაავლებს: „სათამაშოს **დავჩიზევდით** ფიცარზე“ (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ)...

დე- ზმნისწინიანი: **დეედუშმნა** (< **Düşman** = მტერი – სპარს.) = გადამტერა, შეეწინააღმდეგა: „მაწყვალთელი სელიმოღლი **დეედუშმნა** მეგემ ჩნენ დედესა“ (თუფექჩი ქონაქი, შ. ფუტკ., ქდკ)... **დეემოსაფირა** (< **Misafir** = სტუმარი – არაბ.) = ესტუმრა: „მე **დეემოსაფირე** ამეღამ“ (ბორჩხა, შ. ფუტკ., ქდკ); „**დეემოსაფირეთ** მეაც“ (ბორჩხა, შ. ფუტკ., ქდკ)... **დეიგელინა** (< **gelin** = რძალი) = რძლად გაიხადა: „თქმენი ციცაი **დეიგელინოუნა**“ (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ)...

დიალექტურ მასალაში გვხვდება ერთი და იმავე ნასესხები ძირის ზმნა უზმნისწინო და სხვადასხვა ზმნისწინიანი:

**დაყაფანება** (< **kapan** = მახე, ხაფანგი: „ყაფანი მუღწყეს დათესა ყანაში“ (იმერხ. – შ. ფუტკარაძე, ლექსიკ.). შ. ფუტკარაძე **kapan** ძირს უკავშირებს თურქულ **kapamak**-ს, რაც ნიშნავს დახურვას, დაკეტვას, ჩაკეტვას, აკრძალვას, შეჩერებას. მაგალითები:

ა-: **აყაფანებს**: „ამ თეფსა რითვინ არ **აყაფანეფ**, არ ვიცი“ (ინეგოლი)...

და-: **დააყაფანებს**: „სკოლები თელი **დააყაფანა**, მარტო ზაფხულში მოდიან“ (დევისყელი, ართვინი, მთქმ. ო. ილმაზი – ჩაწერ. რ. საღინაძის მიერ რიზეში, 2017 წ.); „**დააყაფანე** ფენჯერე, სიცივე შამოდის“ (ინეგოლი); „**დააყაფანე** ტელევიზიონი!“ (მეზითი); „კომონისტებმა სინორის კარები **დააყაფანეს**“ (სტამბ.); „რაზე **დააყაფანე** კარი?“ (იმერხევი); „მეაც მინდა **დააყაფანო** ოჯალი“ (სტამბ.)...

ჩა-: **ჩააყაფანებს** (= ჩაკეტავს): „დანაზე უკითხვენ დუას, **ჩააყაფანებენ**, დადებენ“ (სვირევანი, შ. ფუტკ., ქდკ)... გვხვდება ამავე მნიშვნელობის ქართული ძირის ზმნაც: **მოძრავს** = მოხურავს კარს, ფანჯარას: „შუადღიგულზე **კარებ მოძრავს** და დეიძინეფს“ (მურღული, შ. ფუტკ., ლექსიკ., ქდკ)...

ა- ზმნისწინიანი:

**ათორბავს** (< **torba** = ტომარა, თოფრა, ჩანთა – ლ. ჩლაიძე, 2001, 1371) – გადატ. საყვედური) = უსაყვედურებს, გალანძღავს, სათქმელს არ დაუტოვებს, გადატანით: ტომარაში ჩასვამს: „იმფრა **ათორბა** ზავალი ქალი, რომე უკან მუხედავი გააქცია“ (ინეგოლი); „დღეში ერთიგზოფ მაიც **ათორბავს** კაცსა, ფენა მაგარი ქალია“ (თუფექჩი ქონაქი, შ. ფუტკ., ქდკ)...

გა- ზმნისწინიანი:

**გააშუფელა** (< **surheli** = ეჭვი, საეჭვო) = დააეჭვა, დააფიქრა: „იმფრა ილაპარაკა, რომე კაცი **გააშუფელა**“ (ინეგოლი)...

**გაეშილდა** (< **yeşil** = მწვანე) = გამწვანდა, ბუნება მწვანედ შეიმოსა: „გაეშილდა პური“ (იმერხ., შ. ფუტკ., ქდკ).

**გასიხდა** (< **sıkı** = გაჭირვება, მძიმე მდგომარეობა, სიმკაცრე (ლ. ჩლაიძე, 2001, 1244) = გახშირდა? (შ. ფ.) = გამძნელდა, გამკაცრდა: „მემრე წასლა-წამოსლა დაჰა **გასიხდა**“ (იმერხ., შ. ფუტკ., ქდკ).

**გაუსტავდა** (< **usta** = ოსტატი, ხელოსანი): ხელოსანი გახდა, დაოსტატდა: „ეფეიჯა **გაუსტავდა** ემიაშენი, ეს ბულელი ოზუნა შამუაწუწვა“ (თუფექჩი ქონაქი, შ. ფუტკ., ქდკ).

მე- (< მო-) ზმნისწინიანი:

**მეიჰესაბებს** (< **Hesap** = ანგარიში, განზრახვა, ვარაუდი, ჩანაფიქრი – არაბ.) = მოიფიქრებს, განიზრახავს: „**მეეჰესაბო**, აბა!“ (ინეგოლი), „ნეტაი რა **მეიჰესაბა?!“** (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ). შდრ. თან. ქართ. **მოისაბაბებს** (რ. ს.)...

**მეეხიზმეთა** (< **Hizmet** = მომსახურება, სამსახური – არაბ.) = მოემსახურა, სამსახური გაუწია: „იმათ **მეეხიზმეთა** გელინმა“; „ახლანდელელები კარგა არ **მეეხიზმეთებიან** დედ-მამამთილსა და შეშინებული ვარ“ (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდკ)

შა- (< შე-) ზმნისწინიანი:

**შაფიშმანებს** (< **pişmanlık** – მონანიება, სინანული, სინდისის ქენჯნა – ლ. ჩლაიძე, 2001, 1171) = დააფიქრებს, გადააფიქრებინებს, დააეჭვებს: „იმდენი ჰალი ქნეს, რომ **შაფიშმანეს** ემიაი“ (ადაფაზ.)...

წე- (< წა-) ზმნისწინიანი:

**წეიყაფალთებს** (< **kahvaltı** = საუზმე) = ისაუზმებს, წაიხემსებს: „სეფა დადგმულია, **წეიყაფალთე** ერთდრამი“ (იმერხევი)...

**უზნისწინო ზმნები:**

**აშახავეფს** (< **şaka** = ხუმრობა, ოხუნჯობა – ლ. ჩლაიძე, 2001, 1287) = ახუმრებს: ყმელამფერ **აშახავეფს**, ძალიან არ იდერდოსო“ (თუფექი ქონაქი, შ. ფუტკ., ქდვ.)...

**იყონუშონ** (< **konuşmak** = ლაპარაკი) = ილაპარაკონ, იბასონ: „მოი ამეღამ, **ვიყონუშოთ** ჩუენსა“ (იმერხ.); „კაი იყო, **ვიყონუშევით**“ (ბორჩხა.)...

**უმუყდავებს** (< **Mujde** = სასიხარულო ცნობა, სასიამოვნო სიახლე – სპარს.) = ახარებს, აცნობებს: „**მიმუყდავებს** თქუენი მოსლა“ (იმერხ.) „რაცხა **გიმუყდავო** და გაგახარო!“ (მეზითი); „შენი ბაბოი **ვუმუყდავე** შენ ანასაო“ (ინეგოლი, შ. ფუტკ., ქდვ.)...

**ხეისუზდება** (< **hayirsiz** = სუსტდება, ავად ხდება, ჯანმრთელობას კარგავს): „ახალი ძლიეზი **ხეისუზდება** მელოგინობაში“ (სტამბ.)...

**ბ: აღწერთი წარმოება:**

**ზიარეთი ქნა** (< **ziyaret** – მონახულება) = მოინახულა, დაათვალიერა წმინდა, სალოცავი ადგილები: „შარშან **ზიარეთი ქნეს**“ (ინეგოლი)...

**თებრიქის ქმნა** (< **tebrik** = მილოცვა – თურქ.): „ჯემალას თებრიქი უზამეთ?!“ (ინეგოლი)...

**შაფალი ქნა** (< **Şafak** – განთიადი, რიჟრაჟი – ლ. ჩლაიძე, 2001, 1285, არაბ.) = ტროპული ლექსიკა: ირიჟრაჟა: „რავარც **შაფალი ქნა**, ჰემაც გემეღვიძა“ (ინეგოლი)...

**მუხაბერეს ქმნა** (< **Muhabere** = მიმოწერა, აზრების გაცვლა – არაბ.): „**მუხაბერე ქენევით**, დეილაპარიკეთ, ხისიმობა გააწყეთ“ (ბორჩხა.)...

**თემენას გაკეთება, აწევა** (< **temmena** = აღმოსავლური მისალმება ხელის შუბლთან მიტანით, თაყვანისცემა): „**თემენა იგვიწიეს** გენჯებმა“; „**თემენა გიყო** ძალმა?“ (მეზითი); „**თემენას აკეთებენ**“ (უბე)...

**გ. შერეული:**

**ორგანული წარმოება:** თურქეთელ ქართველთა სამზარეულოში მიღებული ერთ-ერთი კერძია **ყავურმა** (< **kavurma** = ხორცის კერძი, მოხრაკული ხორცი). მეტყველებაში მეტწილად გავრცელებულია მეტათეზისის გზით მიღებული **ყავურმა** (< **ყავურმა**): ხორცს ყავურმად ჩადებს, შეინახავს: „ცხვრის ხორციდან კაი **ყავურმა** კეთდება“ (თუფექი ქონაქი)... ორგანული წარმოებისაა **ჩაყავურუმებს**: „ყუელა წელიწად თითო ცხუარ **ჩაყავურუმებს** ზამთრითვინ“ (თუფექი ქონაქი). || აღწერთი წარმოების **ყავურმად ჩადება**: „იმ წელიწად თუელზე დაკვალით ორი ცხუარი და **ყავურმათ ჩავდეთ**“ (ინეგოლი);

ასევე: **ჰაზირობენ** (< **hazir** = მზა, გამზადებული – თურქ.) = სამზადისში არიან: „ბეწვის ხიდზე **ჰაზირობენ**“ (ჰაირიე)... **გააჰაზირებენ**: „პური ჰაზირია, **გააჰაზირებენ**“ (მაჩხატეთი)... **ჰაზირი / ჰაზირ / ხაზირი / ხაზერ / ხაზირები** გავრცელებულია თურქეთელ ქართველთა სხვა გამოთქმებშიც: „ანჯახ ჰირან **ჰაზირსა**“ (იმერხ.); „ყველაი აქ **ჰაზირ** ვჰამთ“ (ინეგოლი); „**ჰაზირ** ძალ მოქცემს თენექით“ (ჰაირიე ); „საჰმელები, ჩორბები ახლა **ხაზირები** გამოვიდა“ (ხასან-ფაშა); „ქალები საჰმელსა ჩუენ **ხაზერ** დიგვიდებენ“ (ფათსა); „დეგერეკა, მოვალო, **ხაზირობა ვიქით**“ (მარადიდი)...

თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში გავრცელებულ ნასესხებშია ზმნურ ფორმათა შესწავლა საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული დიალექტოლოგიისათვის. ამგვარი კვლევები ღირებულია ზოგადლინგვისტური და კულტუროლოგიური ასპექტებითაც, რადგან წარმოაჩენს ქართულ-თურქულ ურთიერთობებს.

## ლიტერატურა

გურგენიძე ნ., ქართულ დიალექტებში ნასესხებ თურქიზმთა ეტიმოლოგიისათვის: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/8/8175.pdf>

თურქულ-ქართული ლექსიკონი (ლ. ჩლაიძის რედ.), სტამბოლი, 2001.

კვანტალიანი ე., ქართულ-თურქული ლექსიკონი, 2010.

ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული (ჩვენებურების ნიგალური მეტყველების სალექსიკონო მასალა): [corpora.co](http://corpora.co)

*Rusudan Saghinadze*  
*Akaki Tsereteli State University; Recep Tayyip Erdogan State University*  
**SHAPES OF THE VERB FORMS IN SPEECH OF GEORGIANS LIVING IN TURKEY**  
**ABSTRACT**

The speech of Georgians living in Turkey for a long time, has been influenced by the Turkish language. The change has largely effected the vocabulary, the terminology of life and the names, but there is less impact on the verb. If ethnic Georgian takes Turkish name directly and uses them unchanged, this happens rarely with the verbs: the verb is mainly placed within the Georgian form, which is shaped by Georgian morphological means, prefix-suffixes. This is determined by the specification of Georgian verb, more concretely, by its polypersonalism.

Nowadays Georgian of ethnic Georgians living in different regions differ. The level of language knowledge differs by means of generations (young, middle, old). Turkish Georgians who are also called “Chveneburebi” (ours) can clearly see how the speech code mixing takes place. They perceive this event as an assimilation. That’s why such an expression appeared in their speech: **asimila / become asilile** (< asimile), which means that the person has changed, has been influenced, has been assimilated. For example, ethnic Georgians say: “we became asimile” (Bazgireti); “He/She is also assimilated” (Maradid) (Sh.Putkaradze).

The verbs in the speech of Turkish Georgians, that have borrowed base are mainly denominative, derived from the names. In dialectal material an organic, as well as descriptive forms of production can be excluded. Studing the verb forms having borrowed base is extremely interesting and important by means of general linguistics, as well as culturological aspects.

**ელზა ფუტყარაძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

**ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისა და ხატოვანი სიტყვა-თქმის შესახებ ზედა მაჭახლურში**

ქართული ენა ისტორიულად ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკულმართობის გამო დაიკარგა პირველი ქართული ტერიტორიები და, შესაბამისად, ქართული ენის გავრცელების საზღვრებიც შემცირდა. ერთ-ერთი ასეთი დაკარგული კუთხეთაგანია ისტორიული მაჭახლის (მიჭიხიანის) ნაწილი–ზედა მაჭახელი. მაჭახელი ორად იყოფა: ქვედა და ზედა მაჭახელად. ქვედა მაჭახელი ადმინისტრაციული დაყოფით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, ხოლო ზედა მაჭახელი – თურქეთშია მოქცეული, იგი შედის ბორჩხის რაიონში.

მიუხედავად იმისა, რომ ზედა მაჭახელი მოწყვეტილია თავის მასაზრდოებელ წყაროს–ქართულ ენას, ის მაინც ინარჩუნებს თავისთავადობას. უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილნი არ ივიწყებენ მშობლიურ ქართულს. პირიქით, ის, ვინც ქართულს ივიწყებს „გადარცხილ ქართველს“ უწოდებენ (მთქმ. ერსინ გორგაძე, სოფ. ეფრათი): „გადარცხილი ქართველი, ისიც ქართველია, ქართული ენა არ იცის“.

ზედა მაჭახელში ექვსი სოფელია–ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბითავი და ეფრათი. ექვსივე სოფელში დაცულია ქართული. მათი საოჯახო ენა ქართულია. მაჭახლის ხეობის ქართული მთელი რიგი ენობრივი თავისებურებებით ხასიათდება. ბუნებრივია, რომ აქაურ მეტყველებაში შესამჩნევია თურქული ენის გავლენა. ასევე, დაცულია არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური

ფორმები, სახასიათო და განსაკუთრებით საინტერესო საკუთრივ დიალექტური ფორმები. შეინიშნება ზანური სუბსტრატის კვალი. ამდენად, ზედა მაჭახლის ქართული მრავალმხრივ არის საინტერესო და მათი მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა კი სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის ქართული ენის სამხრულ-დასავლური კილოების თავისებურებათა შესახებ; გამოვლინდება ქართული ენათმეცნიერებისათვის, ენის ისტორიის, ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიისათვის საჭირო მასალა თუ საკითხები.

ზედა მაჭახლის მეტყველების შესწავლა აქტუალური და სიახლის მომცემია. ისტორიული ბედუკულმართობის გამო ფაქტიურად შეუსწავლელი იყო თურქეთში დარჩენილი სამხრულ-დასავლური მეტყველება. სამხრულ-დასავლურ დიალექტურ ჯგუფზე წარმოდგენას მხოლოდ აჭარული დიალექტი გვაძლევდა. ამდენად, აქაურთა მეტყველების შესწავლას არ აქვს დიდი ხნის ისტორია. მაჭახლური მეტყველების ტექსტები პირველად 1989–1993 წლებში ჩაიწერა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ (იხ. შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, I ტ. ბათ., 1993 წ.). წიგნში მოცემულია ზედა მაჭახლისა და ამასთანავე, თურქეთის შიდა პროვინციაში, ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში გადასახლებული მუჰაჯირი მაჭახლელების მეტყველების ნიმუშები. ასევე, ზედა მაჭახლური მეტყველების ენათმეცნიერული ანალიზია მოცემული შ. ფუტკარაძის წიგნში „ჩვენებურების ქართული“, II, ბათ., 2016 წ.

ზედა მაჭახლის მეტყველების თავისებურებათა ანალიზისას ვეყრდნობით ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას. 2015 წლის 1–10 აგვისტოს საქსპედიციო მივლინებით ვიყავით ზედა მაჭახელში, ჩავიწერეთ თემატურად მრავალფეროვანი მასალა. მასალა ასახავს ზედა მაჭახლის ექვსივე სოფლის მეტყველებას (იხ. ე. ფუტკარაძე, პირადი არქივი, 2015 წლის ექსპედიციის მასალები, ზედა მაჭახელი).

ზედა მაჭახლური მეტყველება საინტერესო და მრავალფეროვანია ლექსიკური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ყველაზე ცვალებადი ნაწილი ენისა არის ლექსიკა. დიალექტის ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში კი ლექსიკას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კუთხური მეტყველების თავისებურება აისახება სიტყვიერ ფონდში, რომლითაც დიალექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზედა მაჭახლურში ლექსიკის თვალსაზრისით განვითარების ორი ტენდენცია შეინიშნება: ძველი არქაული ფორმების შენარჩუნება და ახალი ლექსიკური ერთეულების გაჩენა.

აქაურთა მეტყველებას დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა. ამ კუთხის ისტორიულმა წარსულმა ახალი ქართული სიტყვა-თქმების დამკვიდრებას გზა გადაუღობა, ძველი ქართული სიტყვები კი შეძლებისდაგვარად განაგრძობდა არსებობას. არქაულ ლექსიკურ ფენას საკუთრივ ძველი ქართული ენის ლექსიკასთან ერთად წარმოადგენდა საშუალო ქართულის სიტყვა-თქმებიც. ლექსიკურ თავისებურებათა გამოსავლენად ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ როგორც ძველი ქართული ენის, ისე სულხან-საბას ლექსიკას.

როგორც ცნობილია, საბას წიგნში უხვადაა შეტანილი ცოცხალი მეტყველებიდან აღებული სიტყვები [ჩიქობავა, 1950:14]. მართალია, მისი ლექსიკის წყარო ძველი ქართული ტექსტებია, მაგრამ მან პარალელურად სათანადოდ აღწერა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა-თქმები. შესაბამისად, ლექსიკონში დაცული მეტყველების ნიმუშები, ლექსიკური დიალექტიზმები ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ჯგუფის კილოებისა თუ კილოკავების კუთვნილებას. ამ მიმართებითაც საინტერესოდ მიგვაჩნია ის შინაარსობრივი თანხვედრა, რაც დასტურდება ზედა მაჭახლურისა და საბას სალექსიკონო მასალის შედარებისას. ლექსიკონში დაცული ბევრი სიტყვა დღესაც დაცულია ზედა მაჭახლურში.

განსაკუთრებით სახასიათო კი საკუთრივ დიალექტური სიტყვა-თქმებია. ზოგიერთი ლექსიკური ერთეული კი სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა დიალექტებში ცნობილ მნიშვნელობათაგან რამდენადმე განსხვავებულ ლექსიკურ ნიუანსს ატარებს.

არქაულ ლექსიკურ ერთეულთაგან ზედა მაჭახლურ მეტყველებაში დაცულია სიტყვა **სამა**: ფერხულ **ვისამებდით**; კაი **სამა** იცოდენ, მემრენ დეიწყებენ **სამას**..... დამახასიათებელია კლარჯული დიალექტებისათვის: **სამას იქდენ**; შდრ. **საბა**: **სამა-როკვა შუშპარი**. ეს სიტყვა დღესაც დაცულია ზემო აჭარულ მეტყველებაში. შდრ. ნიჟ. **სამა- ცეკვა, როკვა**.

**დაბურვა** (დახურვა): სახე **დაბურილი** ქონდა დოდოფალ. შდრ. ძველ ქართულში: **საბურავი**: სახვეველი, რიდე, პირბადე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: „რომე ჩაცმა -**დაბურვასა** ვინ ღირს იყო მათგან კიდე“ (1659,2); „დია ედვა

სასალუქო დასაბურავ-ჩასაცემელი“ (1077,4); ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი“. ებურა ეხურას სინონიმია დღესაც ზემო აჭარულ დიალექტში.

**ტაროსი** (ამინდი): **ტაროსი** გამოვდესო; კაი **ტაროსი** გამოვდოდა; ქვეიდან **ტაროსმა** მეიშალა. შდრ. საბა: **ტაროსი**: „არს ამინდის მსგავსი მოგზაურთათვის, კეთილი დარი თუ ბოროტი ზღვასა“. საერთოდ, ტაროსი დაცულია მთლიანად სამხრულ-დასავლურ მეტყველებაში ამინდის აღსანიშნავად.

**გარგანი** (ჯოხი)– ხობოს **გარგან** მუუკაკუნებდი; წუუშინა **გარგანი** თავში. შდრ. საბა: „არგანი არს კვერთხის უსხოსი, საბრჯენელათ და დასაყრდენელი კაცთა უძღურთათვის“. ეს ლექსემა ისმის ზემო აჭარულში მოხუცთა მეტყველებაში და ზოგადად დაცულია ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში.

**ჭლიკი**–ფეხის ნაწილი მუხლიდან კოჭამდე-კანჭი: **ჭლიკები** გამობრუნებულ-გამობრუნებული აქვან; **ჭლიკები** მტკივა. შდრ. საბა: **ჭლიკი**//**ჭლაკი**. საყოველთაო გამოყენების სიტყვაა ზემო აჭარულისათვის. შდრ. ნიჟ.: ფეხის ნაწილი მუხლიდან კოჭამდე, კანჭი.

**ფუთხო**–მუწუკი: **ფუთხო** აქ; **ფუთხო** რომ დიგიმწიფდება, იმა გამოადინებს ბარამარღვაი. შდრ. ნიჟ.: ხმელი მუწუკი, ბავშვებს რომ გამოაყრის თავზე ან სახეზე; საბა:ფუთხი-ფინთი სიქაჩლე. საანალიზო ლექსიკური ერთეული საინტერესოა საერთოაჭრთველურ ენათა დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხისა და ფუძემდის კუთვნილი არქეტაპის აღდგენის კუთხით. სვანურში ფუთხუ(ფურთხო) რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: 1. საქონლის მჭლე ხორცისათვის დამახასიათებელი ბუმტუკები; 2. ქონში დაბუდებული მავნე უჯრედი, ხორცის შემაგრებული ბურთულა.

ზედა მაჭახლურში დაცულია **მწადია** ფორმა: ასლა **მწადია**. წადილი სურვილს ნიშნავს. შდრ. აბულამე: წადილი-სურვილი, ნდომა, გულის-სიტყვა, გულის-თქმა. წადილი ცნობილი ლექსიკური ერთეულია „ვეფხისტყაოსნისათვის“: „ესე იყო წადილი და მისი ნება“ (99,4); „ორნივე მიხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“(1271,4). მსურს, მნებავეს ზმნის გვერდით ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში დასტურდება **მწადს**, **გწადს**, **სწადს** ფორმა. დღევანდელ სალიტერატურო ენაში არ გვხვდება **მწადს** ზმნური ფორმა და არც წადილი. ძველი არქაული ფორმა დღესაც დაცულია აჭარულ დიალექტში: მე მწადია ამ საქმის გაკეთება. ამასთანავე, არცთუ სპორადულად გამოიყენება ეს ფორმა დიალექტში, თუმცა სტატკურ ზმნათა -ია დაბოლოებაზეა გადასული.

განსაკუთრებით საინტერესო ის სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები თუ სიტყვა-თქმებია, რომლებიც უშუალოდ ზედა მაჭახლური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ზმნა **წერის** მნიშვნელობით ხშირად ისმის **გადაწიგნა**: **გედეწიგნეთ**; მეიგონეთ, **გედეწიგნეთ**; იმნაირი ოჯახიცაა, რომ იტყვის რას **წიგნის**.

**ზიდვა**//**მიტანა** ზმნის მნიშვნელობით სისტემებურ ისმის **წიკვა**: ჩვენ არ ვწიკავთ; **წიკვენ** და არიან; თივას **წიკვდენ**; იფეგისას **უწიკებდა** ვინცხაი კაი იყო; ყაზილ თქვენთან **წიკვდენ**.

აქაურთა მეტყველებაში ცხოვრების მნიშვნელობით ყოველთვის ისმის **ჯდომა** სხვადასხვა მწკრივის ფორმით: ჩვენ რომ ვზივართ ლობალური ქვია; ქვაბისურ ბიძაები **ზიან**; გვიანიძეც არი, **ზიან**. ასეა დაცული აღნიშნული ლექსემა ზოგადად ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში.

**ყურების**//**ცქერის** მნიშვნელობით გვხვდება **ბუცება**: გვინდა ბაღან-ბუღანას ვებუცოთ: **მებუცა**, **მებუცა** და მემრენ გეიქცა.

გარდაცვალების მნიშვნელობით გვხვდება **დეიხარჯა**: ოსმან დედეი **დეიხარჯა**; ნენეი **დეიხარჯა**. ეს სიტყვა დღესაც გვხვდება ზემო აჭარულში.

ზედსართავი სახელი **პატარა** დასტურდება რამოდენიმე ფორმით: **პატინაი**, **პურწაი**, **პაწაწანაი**//**პაწაწალაი**, **პურწიწალაი**, **პატინაი**, **პაწვან-პაწვანი**, **წვიტ-წვიტი**, **პუწ**: **პატინაი** მიკრილი სოფელი იყო; **პაწაწალაი** დედეი გყავდა; ყანა **პაწაწანაია**; ნაწყვეტი რანა გითხრა **პურწაი**; **პაწვან-პაწვანი** არიან; **წვიტ-წვიტი** მარცვლები აქ; **პაწაწალა** ქოთანში ჩადებდი, **პუწა** გაწვიმდებოდა; **პურწიწალაი** ბაღანაა, **პატინაი**; **პუწა** გამოხვეწავენ.

**დიდი**, **დიდად** სიტყვის მნიშვნელობით გვხვდება **ბევრი**, **ბევრად**: **ბევრი** ხმა აქ; **ბევრად** ქარი ქრის. საუბრის მნიშვნელობით სპორადულად შეიძლება შეგვხვდეს **ქადაგება**: ცოტა **იქადაგა**.

ზედა მაჭახლურ მეტყველებაში გადაშენდა, გაქრა ზმნას ზოგჯერ ენაცვლება **ადგა**: ახლა **ადგა**, აღარაა ამფერობა; ადათებმა **ადგა**.

ამავე რიგისაა სიტყვები: **განიჟრა** (გაწვიმდა): **პუწა განიჟრა**; **წეიცილვებს** (გადაიდარებს): **მემრე წეიცილვებს**, ზე მოვა; **მიძრა** (მიხურვა): ამ სახლი კარ მიძრავე; **ჩავანაქნარებდი** (მოვკლავდი): გველ **ჩავანაქნარებდი**; **გაუწიწია** (გაუგრძელებია): ლოცვა **გაუწიწია**; **მომყურებია** (გამიგონია): არ **მომყურებია**; **გედევრეცხეთ** (შევიცვალეთ): ჩვენ **გედევრეცხეთ**; **გადარცხილი** ქართველები; **მოგება** (უნივერსიტეტში ჩარიცხვა): ჯერ ვერ **მეიგო** უნივერსიტეტში; **წაწვენ** (უკრავენ): გამოსლიხან **წაწვენ** მუზიკაი; **ბუჩუჩი**



(მოუფერებელი, მოუხერხებელი): ვერ გააფერებს, **ბუჩუჩი** იქნება; **პანჭიკი** (საცვალი): **პანჭიკ** გადაახურავ; **გაფუმტავს** (უმუხთლებს): არ გაფუმტავს; **გეიწურე** (გაიჩოჩე): პაწაი **გეიწურე**; **კილი** (მეტსახელი): **კილი** აქ, ზედმეტ დუშუბახებენ; **დუღიხვარა** (გაყიდა): დუღიხვარა, დუღუშპიონა; **ვებოგო** (ხელი შევეშალო): რისთვის **ვებოგო**; **მორუხები** (მოხუცები): ჩემნაირი **მორუხები** არ უნდანან; **ვიდელებდით** (ვითამაშებდით): კუკუშალას **ვიდელებდით**; **ახალმოზდე** (ახალგაზრდა); **ავადეელი** (ავადმყოფი); **ღარჭები** (ბავშვები); მაცივარზე **მივაფისავ** (მივაკრავ).

ამდენად, ზედა მაჭახლური მეტყველების ლექსიკური სიტყვა-თქმების გაცნობა მნიშვნელოვანია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული კონსერვირებული მასალა საუკუნეზე მეტი წლის წინანდელი ცოცხალი მეტყველების ნიმუშია.

ზედა მაჭახლურ მეტყველებაში გამოვლინდა არაერთი ხატოვანი სიტყვა-თქმა. ხატოვანი სიტყვები კი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ყოველდღიურ მეტყველებაში, თუმცა ნაკლებადაა ის შესწავლილი ქართული ენის დიალექტების მიხედვით. ასეთი ლექსიკური ნიმუშები ენის სამკაულს წარმოადგენენ. დიალექტში არსებული ბევრი ხატოვანი სიტყვა-თქმა გაამდიდრებდა ჩვენს სამწერლობო ენას. ხატოვანი სიტყვა-თქმანი ხალხის მხატვრული აზროვნების ნიმუშია და მათი აღნუსხვა საშური საქმეა. ზედა მაჭახლურ მეტყველებაში გამოვლენილი ხატოვანი სიტყვა-თქმანია:

**ტვინის გაფრენა**—დავიწყება: გუუფრინდა ტვინმა, ტვინმა დუღუბერა, ვერ ვიხსენებ.

**ვერ ჩახტა**—ვერ მიხვდა: ვუთხარი, ჰამა ვერ ჩახტა.

**ყურის არ მიცემა**— მოუსმენლობა: ბევრი უთხრა, მარა ამან ყური არ მიცა.

**ძველებიდან არ აწევა**—არაფრის დამახსოვრება, არაფრის სწავლა: ბარსამი თული რამიები იყო, ჰამა ძველებიდან რამე არ აწეით.

**თავის გარეცხვა**—დავიწყება: თავმა გეიცხა, აღარ მახსოვს.

**მუშამბაში გასახვევი**—მოსაფერებელი, გასაფრთხილებელი: მუშამბაში გასახვევი ყოფილხართ, ძველი სიმღერები რანაირათ შემეინახეთ.

**ხელის ზურგზე/ხელის გულზე სანურიბელი**—მოსაფერებელი, გასაფრთხილებელი: ძალიან მოგვეფერენ, ყურადღება მოგვაქციეს, იქ ხელი ზურგზე, ხელი გულზე გვანურიეს.

**ცაში გამოკერება**—დიდხანს სიცოცხლე, ხანგრძლივი სიცოცხლე: ცაში ხომ არ გამოვეკერები.

**წყლის სიგრძე ომრი**—დიდხანს სიცოცხლე: წყლი სიგრძე ომრი მოგცეს ღმერთმა.

**თავში გარბენა**—გახსენება, მოგონება: არ მახსოვს, მარა რაცხა ხანდახან გეირბენს თავში.

**როკამ ხევის ჩეიდვა**—სიმინდის ტარომ მარცვლობა დაიწყო: როკამ ხევის ჩეიდვა.

**ყურის ძირში სიტყვის შენახვა**—საიდუმლოს შენახვა, უთქმელობა: ყველაფერი არნა თქვა, ყურის ძირში შეინახე სიტყვა.

**ენა გველი**—მწარე, გესლიანი ენის მქონე: ენა გველი მაქო.

**ვირი ვერ წეიღებს**—ზედმეტი, ზომაზე მეტი, გადაჭარბებული: იმდენ გვირტყმიდა, რომ ვირი ვერ წეიღებს.

**მალახტოსავით არეული**—დაუფიქრებელი, მოუწესრიგებელი: მალახტოსავით გადარეული არნა იყო.

**ერთ სისწორეზე წასვლა**—ერთი საქმის კეთება: ბევრს არ მიეღვა-მოეღვა, ერთ სისწორეზენა წეხვიდე.

**ენით მოკალვა** (ტკბილი, ალერსიანი სიტყვა)— ჩემი დედამთილი მოკალევდა ენით.

**ახტარ-ბუხტარ, ამბურ-ჯუმბურ საუბარი**— დაუფიქრებელი, არათანმიმდევრული საუბარი: ახტარ-ბუხტარ ვლაპარაკობ, ამბურ-ჯუმბურ ვილაპარაკეთ.

**მოღამებული კაცი**— გაუცინარი: მაი მოღამებული კაცია.

ქართული ენის დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენისას კიდევ უფრო მეტად უნდა გამახვილდეს ყურადღება დიალექტში არსებულ ხატოვან სიტყვა-თქმებზე.

ამრიგად, ზედა მაჭახლური მეტყველება საინტერესო და მნიშვნელოვანია ლექსიკური თავისებურებებით. მართალია, ის მოწყვეტილია მასაზრობებელ წყაროს—ქართულს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეინარჩუნა თავისთავადობა. მაჭახლური მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა კი ბევრ საინტერესოსა და სპეციფიკურს გამოავლენს როგორც ენის ისტორიის, ისე დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის კუთხით.

### ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
3. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
4. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
5. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I ტ., 1998.
6. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, II ტ., 1998.
7. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, თბ., 1998.
8. ფუტყარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, I ტ. ბათ., 1993.
9. ფუტყარაძე შ., „ჩვენებურების ქართული“, II, ბათ., 2016.
10. ფუტყარაძე ე., საექსპედიციო მასალები, ზედა მაჭახელი, პირადი არქივი, 2015.
11. ჩიქობავა ა., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I ტ., 1950.

*Elza Putkaradze*

*Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute*

### **SOME LEXICAL UNITIES AND FIGURATIVE PHRASES IN UPPER-MACHAKHELA VOCABULARY ABSTRACT**

The work concerns to some lexical unities and figurative phrases in Upper-Machakhela vocabulary. As it is known, Upper Machakhela (Michikhiani) is one of the lost parts of Georgia.

Despite the fact, that Upper Machakhela is too far from its source of supplement- the Georgian language, it still preserves its uniqueness. The inhabitants of this oldest Georgian part remember the Georgian language quite well. Their vocabulary is characterized by a number of linguistic peculiarities. Naturally, the speech is greatly influenced by the Turkish language. However, we can find archaic lexical and grammatical forms, where the dialectical and habitual vocabulary is worth of paying particular attention, especially after noticing the tracer of Zan substrate.

The material, found during our expeditions on August 1-10, 2015, when we wrote down thematically diverse data, allows us to make deep analyses about the peculiarities of Upper Machakheli speech.

There are two tendencies of development of Upper Machakhela vocabulary from the lexical point of view: preserving old, archaic forms and appearing new lexical unities. The historical past of this region has broken the way for the new Georgian words and phrases to be established, while the old ones somehow continued to exist. In order to reveal the peculiarities of the lexical units, we have compared the lexemes to the old Georgian language, as well as the vocabulary of Sulkhan-Saba.

However, dialectical phrases and words are especially interesting. We have discovered that some lexical units carry different lexical nuance from the literary Georgian and other its dialects.

A thorough study of Machakhela speech will reveal many interesting and specific things in terms of language history, dialectology and lexicology.

## ქართული ენა თურქეთში „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ქარტიის“ კონტექსტში

ევროსაბჭოს უზადო დოკუმენტი: "რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტია" გამოქვეყნდა 1992 წლის 5 ნოემბერს. მისი მიზანია მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქტონი (ისტორიული) უმცირესობის<sup>1</sup> დედაენის დაცვა, რომელიც არ არის სახელმწიფო ენა და ემუქრება გაქრობის საფრთხე; კერძოდ, იხ. "ენის ქარტიის" პრეამბულა: "ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას".

"ენის ქარტიის" განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში კი ვკითხულობთ:

"ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქტონი ჯგუფები, რომელთა დედაენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა მცირე ხალხების შერწყმა უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან"<sup>2</sup>.

წარმოდგენილ ევროკონვენციაში გამოყენებული ტერმინი "ენა", უპირველეს ყოვლისა, გააზრებულია, როგორც ეთნოსის ისტორიული კულტურის ინტეგრალური (ძირითადი) ნიშანი; კერძოდ, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მე-17 განმარტებაში ვკითხულობთ: "ენის ცნება, რა მნიშვნელობითაც იგი ქარტიაშია გამოყენებული, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს ენას, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილს"<sup>3</sup>; შესაბამისად, "ენის ქარტიის" უმთავრესი მიზანი კულტურულ-ჰუმანიტარული ხასიათისაა; იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის, გამოყენებასა და განვითარებას. მისი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების გამოყენება განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; ხელი შეუწყოს ამ ენებზე მხატვრული ლიტერატურისა და სამწიგნობრო კულტურის ჩამოყალიბებას, დასაშვები გახადოს მათი გამოყენება მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

"ენის ქარტია" არ მოიცავს ყველა სახის უმცირესობის ენას. ამ ევროპული კონვენციით დაცულია მხოლოდ ისტორიული ენები, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე (იხ. "ენის ქარტიის" განმარტებითი ნაწილის 31-ე და 32-ე პუნქტები: the charter covers **only historical languages**, that is to say languages which have been spoken over **a long period** in the state in question). "ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს.

"ენის ქარტიის" დებულებები არ ეხება სახელმწიფო ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს".

<sup>1</sup> "ენის ქარტიის" შემქმნელთაგან განსხვავებით, ზოგი თანამედროვე სპეციალისტი ცდილობს, 100 წლით შემოსაზღვროს "ავტოქტონობა"; 200-წლიანი რუსული ოკუპაციისა და ანექსიის გამო საქართველოსათვის მიუღებელია ასეთი მიდგომა.

<sup>2</sup>[http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl\\_ka.pdf](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf)

<http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm> [http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default_en.asp);

<sup>3</sup> იხ.: [http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl\\_ka.pdf](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf); Sdr., inglisuri varianti: The concept of language as used in the charter focuses primarily on the cultural function of language (<http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm>).

"ენის ქარტიამი" ასევე ხაზგასმით წერია, რომ იგი არ მოიცავს მიგრანტი უმცირესობების ენებს" (მუხლი I, II), და, შესაბამისად, "ქარტიის" მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება (იხ. მე-10-11 განმარტებანი).

"ენის ქარტიის" არსის გააზრების კონტექსტში არსებითია ძირითადი ტერმინის: regional or minority language გაგება:

სამკომპონენტური ტერმინი regional or minority language ერთიანი ცნებაა და ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს ავტოქტონი მოსახლეობის იმ ისტორიულ ენას, რომელიც ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენა არ არის. regional or minority language არ ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს რომელიმე მხარეში ("რეგიონში") მცხოვრების უმცირესობის ენას; **არსებითია, რომ ეს უმცირესობა იყოს ავტოქტონი.**

ქარტიის მე-18-20, ასევე, 30-37-ე პუნქტების განმარტებით, ტერმინი "რეგიონული ან უმცირესობის ენა" მოიცავს სახელმწიფოს მკვიდრი ისტორიული (ავტოქტონი) ეთნიკური ჯგუფის ენის სამ სახეობას:

- ეთნიკური უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის მკვიდრი უმრავლესობის დედაენაა; "ქარტია" ამ სახეობას "რეგიონულ ენას" უწოდებს (იხ. პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი).

- არასახელმწიფო ენა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ძირძველი, მაგრამ ისეთი არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, რომელიც ვერ გაიგივდება ერთ რომელიმე რეგიონთან; "ქარტიის" ავტორები ენის ასეთ სახეობას "ტერიტორიის არმქონე ენას" უწოდებენ (36-ე განმარტება).

- არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ძირძველი, არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, თუმცა ეს მოსახლეობა ამჟამად უმცირესობაშია ამ რეგიონში<sup>1</sup>; ქარტია "რეგიონული ან უმცირესობის ენის ამ სახეობას "უმცირესობის ენას" უწოდებს<sup>2</sup>.

"ენის ქარტიის" ფარგლებში ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის პარალელურად, ევროპული კანონმდებლობა განიხილავს ახალი უმცირესობის ენობრივ უფლებების დაცვას, ოღონდ, ამ მიმართულებით არსებობს სხვა ევროკონვენციები; მათგან ყველაზე მასშტაბურია "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენცია". "ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ" (სტრასბურგი; 01.11.1995) თავისი არსით არის გაეროს დეკლარაციის გაგრძელება; მისი მიზანია არაძირითადი მოსახლეობის - ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის - ენობრივი უფლებების განსაზღვრა.

ქართველები დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხოვრობენ. უდავოა, რომ ქართველები ავტოქტონ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ თურქეთსა და აზერბაიჯანში, რამდენადაც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გავლების შემდეგ, ავტოქტონი ქართველობის ნაწილი აღმოჩნდა თურქებისა და აზერბაიჯანელების დომინანტობით შექმნილი სახელმწიფოების საზღვრებში; კერძოდ, ავტოქტონი ქართველები (ლაზები/ჭანები, მაჭახლელები, ლივანელები, იმერხეველები და ტაოელები) ლაზებისა და გურჯების სახელით ცხოვრობენ ტრაპიზონისა და ართვინის გუბერნიებში - ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ 150 წლის წინ ბევრი ქართველი იძულებით გადაასახლეს თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში; მათ შორის იყვნენ ტაო-კლარჯეთის მკვიდრი ქართველებიც; შესაბამისად, თურქეთში მცხოვრები ქართველების დედაენისა და დიალექტების დასაცავად გამოყენებული უნდა იქნას "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" (და არა, მხოლოდ "ჩარჩო კონვენცია").

<sup>1</sup> Article 1, b: territory in which the regional or minority language is used" means the geographical area in which the said language is the mode of expression of a number of people justifying the adoption of the various protective and promotional measures provided for in this Charter. "ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება "რეგიონული ან უმცირეს-ობის ენა", ნიშნავს გეოგრაფიულ რაიონს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს იმ რაოდენ-ობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს"; <http://www.diversity.ge/geo/resources.php?coi=014|11|12|16;> <http://www.diversity.ge/files/files/ETS-148-geo.pdf> და <http://portal.coe.ge/downloads/Charter%20%20Exp1%20report%20-%20Georgian.pdf>.

<sup>2</sup>იხ. პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი.

თურქეთი ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა, დღეს თუ არა ხვალ, თურქეთის პარლამენტის დღის წესრიგშიც დადგება "უმცირესობის შესახებ ენების ქარტიის" რეტიფიცირება. ვფიქრობთ, თურქეთში მცხოვრები ქართველების მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნებისა და თურქეთ-საქართველოს თანამედროვე კეთილმეზობლობის პირობებში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ქართული ენის (მისი სახესხვაობების) მიმართ ამოქმედდეს "ქარტიის" III ნაწილი - ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის მაღალი ხარისხი (**the higher level**), რაც გულისხმობს:

- სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე ავტოქთონი უმცირესობის ენაზე ხელმისაწვდომი გახადეს სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება (მინიმუმ - ავტოქთონი უმცირესობის ენის სწავლება ყველა დონეზე) /ენის ქარტიის მე-8 მუხლი/.

- ავტოქთონი უმცირესობის ენის გამოყენებას სისხლის სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ადმინისტრაციულ საკითხებზე სამართალწარმოებაში. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია, ხელმისაწვდომი გახადოს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკანონმდებლო ტექსტები; კერძოდ, ისინი, რომლებიც ეხებიან ამ ენებზე მოლაპარაკებას, თუკი ამ ტექსტების მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი /მე-9 მუხლი/

- ავტოქთონი უმცირესობის ენის გამოყენებას ხელისუფლების ადმინისტრაციულ ერთეულებში; ასევე, სახელმწიფო ვალდებულია, სურვილის შემთხვევაში, ავტოქთონი უმცირესობის წარმომადგენელს ნება დართოს, ჰქონდეს/მიიღოს თავისი გვარი თავისი ისტორიული დედაენის მიხედვით.

- ავტოქთონი უმცირესობის ენის გამოყენებას მასმედიაში იმ ზომით, რითაც რადიო და ტელევიზია ახორციელებენ სახელმწიფო სამსახურის ფუნქციებს /**მუხლი 11**/.

- ავტოქთონი უმცირესობის ენის გამოყენებას კულტურულ საქმიანობასა და თვითგამოხატვის სხვა სფეროებში /**მუხლი 12**/ და სხვ.

**Tariel Putkaradze**

*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

## **GEORGIAN LANGUAGE IN TURKEY IN THE CONTEXT OF "THE CHARTER OF REGIONAL OR MINORITY LANGUAGES"**

### **ABSTRACT**

A genuine document by the Council of Europe "European Charter for Regional or Minority Languages" was published on November 5, 1992. The aim of the charter is to preserve the language of the certain autochthon (historical) minorities<sup>1</sup> residing in a different state and which is not an official state language and is under a threat to become a vanishing language.; In particular, please see: the preamble of the "European Charter for Regional or Minority Languages": "Considering that the protection of the historical regional or minority languages of Europe, some of which are in danger of eventual extinction, contributes to the maintenance and development of Europe's cultural wealth and traditions";

In the first paragraph of the Explanatory Report to the "European Charter for Regional or Minority Languages", we read:

Many European countries have on their territory regionally based autochthonous groups speaking a language other than that of the majority of the population. This is a consequence of historical processes whereby the formation of States has not taken place on purely language-related lines and small communities have been engulfed by larger ones.<sup>2</sup>

In the presented Charter the word used "language", is first and foremost realized as the integral (main) historical-cultural sign of a certain ethnos; in particular, in the 17<sup>th</sup> paragraph of the Explanatory Report to the "European Charter for Regional or Minority Languages", we read: "The concept of language as used in the charter focuses primarily on the cultural function of language."<sup>3</sup> Therefore, the main idea of the "European Charter for Regional or Minority

<sup>1</sup> Unlike from the adopters of the Charter, many specialist think that the "Autochthonism" should cover 100 years; however such stance is unacceptable for Georgia due to the 200 year occupation and annexation from Russia.

<sup>2</sup> [http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl\\_ka.pdf](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf)  
<http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm> [http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default_en.asp)

<sup>3</sup> ix.: [http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl\\_ka.pdf](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf); Sdr., inglisuri varianti: The concept of language as used in the charter focuses primarily on the cultural function of language (<http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm>).

Languages” is of cultural-humanitarian nature; it aims to protect and preserve regional or minority languages, as part of the common European cultural heritage. Its task is to feasibly ensure the usage of the regional or minority language in educational or mass communication systems; ensure the existence of literature in those languages, and ensure the usage of a regional or a minority language in justice or administrative systems, also in social, economic and cultural life of a society.

The “European Charter for Regional or Minority Languages” does not encompass all minority languages. This European Charter protects only historical languages, which are spread on the territories of a certain state for a long period of time (Please, see “European Charter for Regional or Minority Languages” 31<sup>st</sup> and 32<sup>nd</sup> paragraphs of the charter: the charter covers **only historical languages**, that is to say languages which have been spoken over **a long period** in the state in question). These languages should differ from the existing languages of the state, which is used by the residing population.

“The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language.”

It is clearly emphasized in the Charter that “it does not include either dialects of the official language(s) of the State or the languages of migrants” and therefore, the aim of the Charter is not to establish language rights of the minorities. (Please, see the explanatory remarks of the articles 10 and 11).

In order to properly analyze the context of the Charter, we should bear in mind the terms: regional and minority language:

The three-component term regional or minority language is a unified notion and it is defined as follows, a historical language of an autochthon group of people in a certain state, which is not a state language. Regional or minority language does not necessarily mean a minority language of a group of people residing in a region in a certain state; it is essential that this group of people is autochthon;

In the articles 18-20, also 30-37 of the Charter, term “regional or minority language” encompasses three types of languages of an autochthon minority group residing in a certain state:

- "Non-territorial languages" means languages used by nationals of the State which differ from the language or languages used by the rest of the State's population but which, although traditionally used within the territory of the State, cannot be identified with a particular area thereof.

- "Non-territorial languages" are excluded from the category of regional or minority languages because they lack a territorial base. In other respects, however, they correspond to the definition contained in Article 1; paragraph a, being languages traditionally used on the territory of the State by citizens of the State.

- Non-state language, which is the mother language of the population residing on a territory of a certain state, however, this population is a minority in a given region;<sup>1</sup> the “Charter” describes this language as a “minority language”<sup>2</sup>

**In the context of the Charter along with the preservation of the language of the historical minority, the European legislature also considers the preservation of the language rights of the new minorities, but in this regard, there are different European conventions; Among these conventions, the most important is the “Framework Convention for the Protection of National Minorities”. Framework Convention (Strasbourg; 01/11/1995) with its essence represents an extension to the Declaration of the United Nations; whereas its main aim is to define the rights of the minorities – their language rights.**

Ethnic Georgians reside in various countries throughout the world. Indisputable, they represent an autochthon national minority in Turkey and Azerbaijan, to the extent that in the first half of the XX century after the Political and State demarcation, part of the autochthon Georgians found themselves within the borders of a state, which were dominated by ethnic Turks or Azeri’s; in particular, autochthon Georgians ( Laz/Chani, Matchakhelebi, Livanelebi, Imerkhevelebi and Taoelebi) are known as Laz and Gurjs, who reside in the governorates of Trabzon and Artvin – in the historical Tao-Klarjeti. It is worth noting that many of the Georgians were forcefully deported to the central regions of Turkey; among them were indigenous Georgians of Tao-Klarjeti; therefore, in order to preserve the mother language and dialects of Georgians there should be used “European Charter for Regional or Minority Languages” (Not only the “Framework Convention for the Protection of National Minorities”).

Turkey is a member state of the Council of Europe and today or tomorrow, the Turkish Parliament will have to ratify the “European Charter for Regional or Minority Languages”. We think that there are all preconditions in order for the Georgian language to be considered in the context of the 3<sup>rd</sup> Article of the Charter – by this we mean, preservation of a minority language with the higher level:

---

<sup>1</sup> **Article 1, b:** territory in which **the regional or minority language** is used” means the geographical area in which the said language is the mode of expression of a number of people justifying the adoption of the various protective and promotional measures provided for in this Charter. ”;

<http://www.diversity.ge/geo/resources.php?coi=0|14|11|12|16;> <http://www.diversity.ge/files/files/ETS-148-geo.pdf> <http://portal.coe.ge/downloads/Charter%20Exp1%20report%20-%20Georgian.pdf>

<sup>2</sup> Please, see article 1 of the Charter and explanatory remarks 18 and 19.

- to make available primary education in the relevant regional or minority languages; or to make available a substantial part of primary education in the relevant regional or minority languages; or to provide, within primary education, for the teaching of the relevant regional or minority languages as an integral part of the curriculum; (Article 8).
- to use the autochthon minority language in criminal and civil proceedings; apart from this, The Parties to the charter undertake to make available in the regional or minority languages the most important national statutory texts and those relating particularly to users of these languages, unless they are otherwise provided; (Article 9).
  - The use or adoption, if necessary in conjunction with the name in the official language(s), of traditional and correct forms of place-names in regional or minority languages. (Article 9).
  - To encourage and/or facilitate the broadcasting of radio programmes in the regional or minority languages on a regular basis; (Article 11).
  - To use the autochthon minority language in cultural and self-expression activities, etc., (Article 12).

**Thea Shavladze**

Batumi Shota Rustaveli State University

## **THE COMPARATIVE STUDY OF ENGLISH AND GEORGIAN RIDDLES**

### **Abstract**

Folklorists and linguists have always been interested in the study of the riddles. Riddles are not easy to study. They have complex linguistic and aesthetic structure and reveal a great deal about language and culture.

The aim of the paper is to conduct comparative research on English and Georgian Folklore riddles and find similarities and differences between them. Once Archer Taylor said "we can probably say that riddling is a universal art" and it is true because we can find semantically and structurally similar riddles in many languages. Many riddles appear in similar form across many countries, and often continents. They are "International Riddles."

The analysis revealed that the world vision of Georgian and English cultures towards most concepts is identical that causes semantic similarities in riddles.

**Key words: riddle, culture, universal, relative, folklore.**

The riddle has been the subject of considerable interest among anthropologists and folklorists for some time. Recently, linguists, too, have begun to examine the riddle, perhaps of the interest in humor in general. Much academic research on riddles has focused on collecting, cataloguing, defining and typologising riddles, with much of the key recent work done in the 1960s and 1970s. Some famous scientific works on riddles were written by A. Taylor (1951), Maranda (1971), M. Lieber (1976), Pepicello (1984), E. Weiner (1993, 1997) and others.

Riddles belong to that large family of expressions in which something is represented as something else, as in simile and metaphor. A resemblance is stated or implied and its significance is assumed to be more or less easily recognized — as when the camel is called the ship of the desert. But in the riddle there is introduced an element of calculated deception; the resemblance is submerged in deliberate ambiguity or obscurity. As in a detective story the clues are given but not made obvious. Aristotle in his "Rhetoric" noted that riddles are closely allied to metaphors: "Metaphors imply riddles, and therefore a good riddle can furnish a good metaphor."

My aim is to conduct comparative study and find similarities and differences in English and Georgian folklore riddles.

"Riddles are universal" – says Archer Taylor. Some are so widespread as to deserve the name of world-riddles. The same theme will appear in different places, at different times, with different treatment, either from a common origin scattered by oral or written transmission, or of spontaneous origin based on similar observation or similar mental processes (Taylor: 1951).

I will start my paper with those riddles that seem to have similar content in the interested cultures. In both cultures “Year” and “Months” are described nearly identically. Below are the riddles:

**A little old woman with twelve children: Some short, some long, some cold, some hot.**

**Erti alvis khe midgia, tormeti toti abia, Stsviva da stsviva photlebi, isev imdeni abia (= There is a poplar tree with twelve branches. Every time it loses its leaves, but the number of leaves is the same again and again).**

If we compare the above mentioned riddles to each other, we will see that in English “Year” is personified and is represented as an old woman with twelve children. In Georgian “Year” is compared to a poplar tree with twelve branches. In both riddles dominant word is numeral “twelve – tormeti” marking the number of months of the year. In English the months are characterized by the following adjectives: short, long, cold, hot, that make the riddle’s answer easily predictable. In Georgian riddle it is mentioned that the poplar tree loses its leaves (days) every time, but has the same number of the leaves again and again.

Concept “Tongue” is described in a similar way in both cultures. English riddle **“Without it you couldn’t say a word. It lives behind a long wall but is heard by everybody”** underlines the importance of the tongue as an organ of speech, marking the fact that without it no one can utter a word. There is some kind of description of the tongue as well. Sentence: “It lives behind a long wall” is metaphorical and shows the “residence” of the tongue, in the mouth, surrounded by a long wall of teeth. In Georgian there are several riddles on the same concept: **Erti ram ari tsiteli. Dzirtagan amosulia, dzvlis kubo akvs da shiga zis, arszedats gadasulia, avi da kargi misgan gvchirs, mtsare da gemrielia (= Something red with deep roots. It sits in a bone coffin and is sweet and bitter at the same time); Chkua-gonebis pharkhmali, patara, mousvenari, zogjer malamod sakhmari, zogjer gvelivit mkbenari (= It is small and restive. Sometimes it is like ointment, sometimes it is as bitter as a bite of a snake); rdzesavit tkbili, naghvelivit mtsare (= Sweet as milk, bitter as sorrow).** Georgian riddles having the answer “tongue” are much more descriptive: tongue is described as something small and restive, red, with deep roots, sitting in a bone coffin. The last phrase “sitting in a bone coffin” resembles to English “living behind a long wall” and marks the location of the tongue close to the teeth. Georgian riddles draw the listeners’ attention towards sweetness and bitterness of a tongue. In one riddle its sweetness is compared to the sweetness and softness of ointment and in the other to the sweetness of milk. In one riddle its bitterness is compared to the bite of a snake and in the other, tongue is compared to grief/sorrow. Such characterizations of the tongue underline the fact that tongue is the most important organ that can cause good and evil.

Positive attitude of both cultures towards celestial bodies like “The Sun” and “The Moon” are shown in the following riddles: **Two sisters fair and bright always running never meet; Erts kvekanas orta dzmata, ortav erti pheri aqvso, erti mudam sikrmeze dgas, erts sibere akhlo aqvso, erts djari qavs utvalavi, erts marto takhti aqvso (= Two brothers have the same colour, one is young, the other is getting older. One has an army around it, the other sits alone on the throne).** In the English riddle “the sun” and “the moon” are personified as fair sisters (marking the brightness and beauty of both ones), but in the Georgian riddle they are personified as two brothers (underlying their strength). Georgian riddle is much more informative, telling the listeners that one brother is young, the other is old: The first one has an army (stars around the moon), while the second one sits alone on its throne. There are riddles in both cultures where the same celestial bodies are described separately: **Who am I that shine so bright with my pretty silver light, peeping through your windows grey?** Here colour lexeme “silver” and verb “peep” can be used as key words of the riddle. In Georgian folklore “The Sun” is characterized in the following way: **vdgebi adre adrianad, pirsas viban namitao, okrostmasa gadavishli, vidgam oqros gvirgvinsao, maglidan rom gadmovkhedav, kvela midzghvnis salamsao (= I rise early in the morning, wash my face with dew, brush my golden hair and put on my golden crown. When I look down the earth and see how happy people are).** Here the key word is colour lexeme “golden.” The sun has golden hair and golden crown on it. It rises early in the morning and makes people happy.

The attitude towards “wind” and “rain” is negative in both cultures; “Wind” in Georgian riddles is described as something heartless, harmful, causing wicked actions: **erti ramea ugulo, usulgulo da ukuro, is rom saqmes gaaketobs, unda dajde da ukuro (= Something heartless and deaf that can cause chaos);** In the second Georgian riddle the strength of the wind is underlined: **erti ram aris khmiani, uchinari da phrtiani, zgvasa da khmelets daivlis, rom moundeba triali, mas katsi ver daakavebs amoghebuli khmliani (It has wings. It is noisy but invisible. It runs on the seas and lands and no one can stop it).** The strength of the wind is reflected in the following English riddle: **Water frowns at it, Trees shake their heads at it, Flowers bow at it, Clouds run away from it.**

I found some international riddles on “Wind” and “Rain” in English and Georgian cultures. They are: **What is without hands and without feet, without head and body, but can open a door? Ukelod, ufekhod, karebs aghebs (=Without hand and feet, it opens the door).** The description of the “wind” is absolutely identical in both cultures. The difference is in the form of the riddles. English riddle has the form of the interrogative sentence, while Georgian riddle has the form of the affirmative sentence. There is no difference in the form and content in the following riddles on “rain.” **I am asked to come, I am waited for, But I make them hide, when I come; tsaval – mnatrobzen, moval – memalebian (=When I go away, I am waited for, when I come, they hide).** Both riddles are based on stylistic device antithesis.



“Water” is the next concept that is similarly described in both cultures. In English we read: **You can’t cut it with a knife and leave no track.** In Georgian: **davkar khmali, ar daachnda kvali (= I struck a sword on it, but it left no track).** The difference is in one word: In English riddle there is a word “knife,” while in Georgian we come across word “sword.” Such riddles can be called “synonymous riddles” because their descriptive parts are similar.

I have found absolutely identical riddles in English and Georgian Folklore. Some of them are: **They do not eat me alone, But can’t eat without me – arts uchemod sheschams vinme, arts tu marto me mchams vinme (salt); It is silver outside and golden inside – shignit oqro, garet vertskhli (an egg); The field is white, Black is the seed, and the sower who sowed it was clever indeed – Tetri khnuli, shavi tesli, tesli mtesvels eubneba (a book).**

Although we have discussed radically different cultures, there is a great similarity between the riddles denoting universal phenomena. In case of English and Georgian, a cultural-lingual transfer is excluded. Therefore, there are universal phenomena described by different cultures via their prisms. In most cases they correspond with one another.

#### REFERENCE:

1. Andrew E. Jenness (2011) What is the Difference between an Undergraduate Thesis and a Riddle? Parsing the Linguistic and Cultural Structures of Folk Riddling.  
[https://www.swarthmore.edu/sites/default/files/assets/documents/linguistics/2012\\_Jenness.pdf](https://www.swarthmore.edu/sites/default/files/assets/documents/linguistics/2012_Jenness.pdf)
2. Pepicello, W., Th. A. Green. (1984) “The Language of Riddles: New Perspectives,” Columbus: Ohio State University Press.
3. Taylor, A. (1951) “English Riddles from Oral Tradition. Berkeley,” University of California Press.
4. Soloviova T. (1964) “300 English Riddles,” Moscow.
5. Tandilava Z., Zoidze E., Davitadze E. (1976) “Georgian Proverbs and Riddles,” Publishing House “Sabchota Adjara.”
6. Shioshvili T. (1996) “Vints amas ver gamoitsnobs ... Georgian Folklore Riddles,” Publishing House “Alioni.”
7. Anglo-Saxon Riddles of the Exeter Book (1963), translated by Paull Franklin Baum  
[https://en.wikisource.org/wiki/Anglo-Saxon\\_Riddles\\_of\\_the\\_Exeter\\_Book/Introduction](https://en.wikisource.org/wiki/Anglo-Saxon_Riddles_of_the_Exeter_Book/Introduction)

**მარინე ცერცვაძე**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი ჟურნალ „განთიადის“ 2016 წლის 1-2, 3-4 ნომრებში**

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი დღეს ფართოდ განხილვის საგანია. ქართულ ენაზე სულ უფრო ხშირად თარგმნიან თურქული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. თურქეთი დღეს ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოა და იმ ქართველებს, რომლებიც უბედობის, თუ 1877-78წ.წ. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, ამ ორი ქვეყნის შეთანხმებით, ოსმალეთშია გადასახლებული, შესაძლებლობა აქვთ არა მარტო გაეცნონ ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, არამედ თარგმნონ და საკუთარ გამოცემებში გამოაქვეყნონ.

თურქეთში არაერთი ჟურნალი ემსახურება ამ მამულიშვილურ საქმეს („ჩვენებურები“, „მამულიშვილი“, „ფიროსმანი“), მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ჩვენი სტატიის მიზანია მიმოიხილოს ჟურნალ „განთიადის“ მხოლოდ 2016 წლის ნომრების ის პუბლიკაციები, რომლებიც თურქულ ლიტერატურას, თურქ მწერლებს და მათ თარგმანებს ეხება.

ჟურნალი „განთიადი“ ქალაქ ქუთაისში გამოდის. უკვე მერამდენე წელია მოწინავე პოზიციებს არ თმობს და დაუღალავად ემსახურება ქართულ სალიტერატურო პროცესს.

2016 წლის პირველი ნომერი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებით იხსნება და გვაუწყებს

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის - ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია - ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ [1, გვ.3].

დღეს შეიცვალა წარმოდგენა თურქეთელი ქართველების მიმე ცხოვრების შესახებ. უკან დარჩა ის დრო, როდესაც მწარედ გვიტყობს გიორგი შატერაშვილის შესანიშნავი მოთხრობის „მტკვრის სათავეებისაკენ“ კითხვისას, როცა არა მარტო ქართველ კაცს, თევზსაც არ სურდა თურქეთში დარჩენა. გვახსოვს მტკვრის ტალღებს ადევნებული ორაგულების თავგადასავალი, საქართველოსკენ რომ მოიქარაიან და იქაური ქართველები შურის თვალთვალს გამოსცქერიან, რომ ისინი მალე შეძლებენ სამშობლოში დაბრუნებას.

ეს რომ ასე არ არის და საქართველოსთვის უამრავი სასიკეთო საქმის კეთება თურქეთშიც შესაძლებელია, კარგად ჩანს ჟურნალის 1-2 ნომერში დაბეჭდილ სერგო წურჭუმიას ინტერვიუში ფარნა-ბექა ჭილაშვილთან. ეს ამაგდარი ადამიანი, რომელიც ამჟამად სტამბულში ცხოვრობს, მრავალმხრივ მოღვაწეობს. არის მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, მუშაობდა ენციკლოპედიურ გამოცემებში, რედაქტორობს და გამოსცემს ჟურნალებს, არის არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი (მათ შორის-„ქართველების ისტორია“, 1993წელი).

მისი ავტორობით გამოიცა პოეტური კრებული „აპრილის ლექსები“ და მოთხრობების წიგნები-„დამტოვე შორს“ და „უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“.

ინტერვიუში კარგად ჩანს თურქეთის წიგნის მოყვარულთა მოთხოვნები და სურვილები, საუბარია თურქული გამომცემლობების მუშაკების სპეციფიკაზე, ორი ლიტერატურის კავშირებზე, იმაზე, რა უნდა გაკეთდეს ამ კავშირების განსამტკიცებლად და ახალ სიმაღლეზე ასაყვანად. ეს კი საპატიო მისიაა და თუ ყურადღებით გავეცნობით ამ ინტერვიუს, დავინახავთ, რომ ინტერვიუერი ბევრს იღწვის ქართული მწერლობის პოპულარიზაციისა და „თურქულ კულტურულ სივრცეში ღირსეულად წარმოჩენისათვის“ [1, გვ. 158].

ბატონი ფარნა იგონებს, რომ მისი ოჯახი 1877-78 წ.წ. ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულების შედეგად არის გადასახლებული თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე. რომ ოჯახში ძირითადად ქართულად ლაპარაკობდნენ, თუმცა ისე იყო დამახინჯებული თურქული სიტყვებით და კუთხური გამოთქმებით, რომ შეიძლება ქართული აღარც ეთქმოდა.

სტამბოლში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფარნა-ბექა ჭილაშვილმა მოძებნა ქართული ანბანი და ნელ-ნელა დაიწყო მოგზაურობა ქართული ლიტერატურის სამყაროში. ამ გზაზე მისი პირველი ორიენტირი ჰასან ჩელიქია, რომელიც საქართველოში სწავლობდა. სწორედ მის მიერ ქართულიდან ნათარგმნ ლექსებს „ალამაზებდა“ თურქულად, ანუ ხელახლა თარგმნიდა. შემდეგ პროზაზე გადავიდა და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება და სიხარული, როცა დაინახა, რომ ქართველმა მკითხველმა ის მიიღო და შეფასებებიც სათანადო იყო: „პირველივე მოთხრობაში, სწორედ იმაში ქართულ ენაზე რომ დაიწერა და რომელიც მხოლოდ დიალოგებზეა აგებული, ვიგრძენი ის სიხარული, კარგი ტექსტის წაკითხვას რომ მოაქვს“ (ბელა ჩეკურიშვილი).

ფარნა-ბექა ჭილაშვილს არ ახარებს ის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც თურქეთელ ქართველებს მხოლოდ იმიტომ აქებენ, რომ ის „ჩვენებურია“, შესაბამისად მათი მაქებარეც „ჩვენებუროლოგი“ გამოდის(საინტერესო შედარებაა), როდესაც არაფრის გამკეთებელსაც „დიდ ქართველს“ ემახიან და აქებენ.

ინტერვიუერი საკითხის ღრმა ცოდნით საუბრობს ქართული კულტურის პრობლემებზე თურქული გამომცემლობების მხრიდან და მიაჩნია, რომ თუ ქართული ლიტერატურის თარგმნის საქმე ადრე არაპროფესიონალურ დონეზე იდგა, ეს იმის ბრალი იყო, რომ თურქული გამომცემლობების მხრიდან არ იყო მოთხოვნილება ქართულ ლიტერატურაზე; ახლა, საქმე პროფესიონალურ დონეზეა; თვითონ მისთვის, ქართული ლიტერატურის თარგმნა სხვა კუთხით არის მნიშვნელოვანი: საკუთარი შემოქმედებით ის მკითხველს აცნობს თავის სულიერ სამყაროს, თავის ცას და მიწას, ამავე დროს, ის აცნობს თურქ მკითხველს ქართველ ნიჭიერ მწერლებს და პოეტებს: „უამრავი კაი, ნიჭიერი პოეტი და მწერალი გვყავს ჩვენ. ეგენი რომ მსოფლიოს არ გავაცნოთ, ცოდოა...ეგენი რომ არ ვთარგმნო, ალბათ, თავს კარგად ვერ ვიგრძნობ“[1, გვ.158].

სრულად აცნობიერებს რა იმ საკითხს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობაში ჩარევა ფრიად საპასუხისმგებლო საკითხია და ამ ურთიერთობებს სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ და თუ ხიდის გადებას დავაპირებთ ამ ორ ქვეყანას შორის, „ახლა სხვანაირი,

თანაბარი, თანასწორი ხიდების აშენება გვევალება...თუ ამაში მცირე წვლილი მექნება, თავს ბედიერად ვიგრძნობ“ [1, გვ.159].

ფარნა-ბექა ჭილაშვილის მიერ ნათარგმნი წიგნების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; საინტერესოა, რომ ისინი სრულიად განსხვავებული ტემპერამენტის თუ ენობრივი ქსოვილის მქონენი არიან, ეს თავისთავად იმ პრობლემას ხსნის, რომ თუ ქართული ლიტერატურა ჯერ-ჯერობით ვერ სარგებლობს პოპულარობით, მთარგმნელის არჩევანი იმ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება, რომ გააღვიძოს თურქეთის ქართველობა და ისეთ წიგნებს არჩევს სათარგმნად, რომ მკითხველს აჩვენოს კარგი ქართული ლიტერატურა.

ჟურნალის ამ ნომერში რუმბრიკით-ბიოგრაფიული პროზა, გრძელდება ბექდვა უმით ოსმანაღოღლუს რომანისა „ლაზი ვორე“. სამი თავი, რომელიც ამ ჟურნალშია დაბეჭდილი ერთი კაცის შინაარსით განსხვავებული ფიქრებია.

პირველ თავში ავტორი მოგვითხრობს თურქეთის მიერ დაპყრობილ ლაზებს, რომელთათვისაც ოსმალთა წესები და პირველ რიგში მრავალცოლიანობა მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა ლაზებს „ჭკვიან, ემძაკ, ჯიუტ ხალხად მოიხსენიებდნენ თურქული ისტორიული წყაროები, ხალხად, რომლისთვისაც მთავარი კულტურა, ნამუსი და მაღალი იდეალები იყო“ [1, გვ. 160].

ავტორი განიხილავს მუსტაფა ქემალის გამოსვლას პოლიტიკურ ასპარეზზე, მის არჩევას 1920 წელს სახელმწიფოს მმართველად და იმ უდიდეს ძვრებს, რომლებიც თავისთავად ლაზეთზეც ახდენდა გავლენას: ადრე თუ იკრძალებოდა ლაზური ენა, ახალი კანონმდებლობით ეს აკრძალვა გაუქმდა, ასევე მოიშალა ძველი საზღვრები სახელმწიფოებს შორის და მოხდა ლაზებისთვის სასიხარულო ამბავი-თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მოლაპარაკებების საფუძველზე ორი ქვეყნის და ორი სოფლის გამყოფი საზღვარი გაიხსნა, თან ერთხელ კი არა - სამჯერ და ეს პროცესი 1989წლის 11 აგვისტოს დამთავრდა სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნით.

მწერალი ობიექტურად ანალიზებს იმ სასიკეთო ძვრებს საზღვრის გახსნამ რომ მოიტანა „ამ ორი ქვეყნის ეკონომიკის, ტურიზმის, კულტურის განვითარებას. ასევე ის „სატრანზიტო გზად იქცა ევროპასა და აზიაში“ [1, გვ. 161].

უმით ოსმანაღოღლუს იხსენებს მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას-„თურქეთში მცხოვრები 10 000 ჩვენი სისხლი და ხორცი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს“; მართლაც, თურქეთის ბევრმა მცხოვრებმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, მათ შორის თვითონაც, თუმცა ამ გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით შესცქერის, რადგან არ შეიძლება 10 000 კაცში „ყველა საქართველოსთვის გულანთებულნი არიან“; ამის ალბათ არც საქართველოს სჯერა, მაგრამ უდიდესი საქმე რომ გაკეთდა, ეს არ შეიძლება არ აღინიშნოს.

რომანის მეორე თავია-მიმინო „ლაზი კაცის სიამაყე“. ავტორმა კარგად იცის მიმინოთი ნადირობა, დაწვრილებით აგვიწერს ამ პროცესს და ბოლოს ლაზური კერძის რეცეპტსაც შემოგვთავაზებს, რომელიც მიმინოთი ნანადირევი მწყრისაგან მზადდება.

მესამე თავია „ზუაში ბერეფე“(ზღვის შვილები). ავტორი ყვება იმ დიდ სიყვარულზე, ლაზ კაცს რომ აკავშირებს ზღვასთან, რომ ლაზებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ზღვა, თევზი, მეთევზეობა-მეზღვაურობა. აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ მეთევზე-მებადურთა ბედზე ზრუნვით, დარსა და ავდარში ზღვაში გასულ ადამიანთა ღმერთისადმი შევედრებით მდიდარია ლაზური ფოლკლორი და მიუხედავად იმისა, რომ „ყველა და ყველაფერი იცვლება, ვიცვლებით ჩვენც, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა ჩვენი უსაზღვრო სიყვარული ზღვისადმი“.

2016 წლის 3-4 ნომერი აგრძელებს „ლაზი ვორეს“ ბექდვას (მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავები). მესამე თავია „სუფრის აკადემია“, სადაც ავტორი აღიარებს, რომ სუფრის აკადემიისა და თამაღობის ინსტიტუტზე პირველად საქართველოში გაიგო და დიდი სიამოვნებითაც ჩაეწერა ამ „აკადემიაში“. ისწავლა სუფრაზე თავის დაჭერა, გაიგო, რომ „სუფრას, თამაღობას, ღვინის სმას თავისი წესები და კანონები აქვს“, რომ სუფრა, მთელი თავისი ისტორიით, ადათ - წესებით, კანონებით სახელმწიფოს გავს.

იმ „აკადემიაში“, სადაც ჩაირიცხა, თამადა „პროფესორი“ და თამადის მოადგილე „ლექტორები“ ასწავლიდნენ, ასეთ რამეს კი თურქეთში ვერასოდეს ისწავლიდა, რადგან თურქეთი მუსულმანური ქვეყანაა და ალკოჰოლის მიღება ცოდვად ითვლება, ის მხოლოდ „იატაკქვეშურად“ მოიხმარებოდა, რა აკადემიაზეა საუბარი, როცა იქ ხალხი ერთმანეთს მხოლოდ ჩაის, ყავის და

წვენის სასმელად ეპატიჟება. ასევე იყო ლაზებშიც - მათ სადღესასწაულო მაგიდაზე ღვინო არსად იყო. ბავშვობაში კი იყო მამის მხრიდან მცდელობა ბიჭისთვის რახის სმა ესწავლებინა, რამაც ნათესავების აღშფოთება გამოიწვია.

ავტორმა კარგად იცის, რომ თამადაობის ინსტიტუტის ცოდნით საქართველოში ვერავის გააკვირვებს, ამიტომ კვლავ ლაზებზე საუბრობს - მათ ოჯახში სტუმრად მისულ ქართველებზე, საქართველოში სტუმრობაზე და ყველა იმ სიკეთეზე ღვინის ზომიერად სმას რომ მოაქვს.

მეოთხე თავის სათაური გულს გაუთბობს ყველა ქართველს: „მე ვარ ლაზი, მამასადამე-ქართველი“. ავტორს მიაჩნია, რომ სრული უფლება აქვს გააკეთოს ასეთი განაცხადი. მას ხომ ქართველი მეუღლეც ყავს. ამით გათამამებულმა საქართველოს მოქალაქეობაც ითხოვა, მაგრამ პირველ ეტაპზე არ აღმოჩნდა საკმარისი მისი გულმართალი აღიარება, რომ ამ საქმეში მას ეხმარება ლაზური სისხლი და ლაზური ფესვები, და რომ საქართველო მას თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნია. მოქალაქეობა იმ ჯერზე ვერ მიიღო, მაგრამ დამოკიდებულება ისტორიული სამშობლოს მიმართ მაინც არ შეცვალა, უფრო მეტადაც გააცნობიერა, თუ რა დატვირთვა აქვს იმ მოცემულობას, რომ შენ ხარ ლაზი.

არა მარტო საქართველოში მცხოვრებთ აწუხებდათ მოძმე ლაზების და თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი ყველა ქართული ფესვების მქონე ადამიანის მონატრება, ასევე ლეგენდად იყო ქცეული საქართველოც ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, როცა მხოლოდ ერთი ქართული არხის მოძიება თუ შეეძლოთ ტელევიზორში. უდიდესი სიამოვნებით უყურებდნენ ყველაფერს ქართულს, თუნდაც ჩაის კრეფას ქართველი ქალების მიერ - ხომ შეიძლებოდა ერთ-ერთი მათგანი მათი ნათესავი აღმოჩენილიყო.

ეს ყველაფერი სულ მალე წარსულში დარჩა. 1997 წელს ბათუმში ჩამოსვლაა ის უდიდესი შთაბეჭდილება, ბიოგრაფიული რომანის ავტორი დიდი ემოციით და ექსპრესიით რომ მოგვითხრობს. დადის ბათუმის ქუჩებში, აგემოვნებს ქართულ კერძებს და ფიქრობს, რომ ამ ქვეყანაში გაატარა მთელი ბავშვობა და ახლა დაბრუნდა. ეცნობა ქართულ წეს-ჩვეულებებს, სწავლობს არა მარტო აჭარულ, იმერულ და რაჭულ დიალექტებს, ესაუბრება ქართველებს და: „მათთან საუბრები მეც ძალიან მსიამოვნებს და მიმტკიცებს საკუთარი წარმომავლობის რწმენას, ამყარებს საქართველოს მიწაზე გადადგმულ ჩემს ყოველ ნაბიჯს.

ამის შემდეგ, 2011 წლის 31 დეკემბერს სტუმრობა საახალწლო სუფრაზე საპატრიარქოში, მის უწმინდესობა ილია მეორესთან, „მისი ფაფუკი ხელის შეხება“, მისი დალოცვა, დაუვიწყარი შთაბეჭდილება; სტუმრობა 2012 წელს ბათუმში ლაზურ ფესტივალზე. ავტორს მტკიცედ სწამს, რომ ეს ყველაფერი დიდად უწყობს ხელს დათბობას ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

როცა თურქეთში ქართველი რძლის პატივსაცემად აღდგომას კვერცხებს წითლად შეღებავს დედამთილი, ამით ლაზების ტრადიციასაც აგრძელებს, მათაც ხომ იცოდნენ გაზაფხულზე ხახვის ფურცლებში კვერცხის შეღებვა. მაგრამ სულ სხვა განცდა ეუფლება ავტორს მაშინ, როდესაც აღდგომას საქართველოში ხვდება. თავის განცდებს ასე გადმოგვცემს: :თქვენთან საფლავიც კი თბილია.....თითქოს იქ მიცვალებულთან კი არა, ერთი სახლიდან მეორეში საცხოვრებლად გადასულ დიდი ხნის უნახავ ახლობელთან სტუმრად ხართ მისულნი. სულის უკდავების ასეთი ფორმით წარმოჩენა, გათავისებაც საოცრებაა“. ჩვენ კი ვიტყვით - უდიდესი სიყვარულის, მოწიწების და თანადგომის ასეთი სახით წარმოჩენაც საოცრებაა.

2013 წლის შემოდგომაზე უმით ოსმანოღლუს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭეს.

რადგან ჟურნალის შემდგომი ნომრების მიმოხილვა სცდება სტატიის ფარგლებს. ამ საკითხზე კვლევა გაგრძელდება მომდევნო სტატიებში.

ამრიგად სტატიაში განვიხილეთ ჟურნალ „განთიადის“ რამდენიმე ნომერში დაბეჭდილი ის მასალები, რომლებიც ქართულ - თურქულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება და ნათლად წარმოაჩენს ამ პროცესის იმ თავისებურებებს, ბოლო წლებში რომ აღინიშნება. ჟურნალში ეს თემა ფართოდაა წარმოდგენილი: აქ ვხვდებით ინტერვიუს თურქ მწერალთან, თურქი მწერლის ავტობიოგრაფიულ რომანს, სადაც საუბარია ყველა იმ პრობლემაზე, თუ სასიკეთო ძვრებზე, ამ ორი ქვეყნის ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში რომ ხდება. მასალები სცდება ერთი სტატიის საზღვრებს და გავაგრძელებთ შემდგომ სტატიებში.

### ლიტერატურა:

1. ჟურნალი „განთიადი“, #1-2, 2016 წელი.
2. . ჟურნალი „განთიადი“, #3-4, 2016 წელი.
3. ჟურნალი „განთიადი“, #5-6, 2016 წელი.
4. ჟურნალი „განთიადი“, #7-8, 2016 წელი.
5. . ჟურნალი „განთიადი“, #9-10, 2016 წელი.
6. . ჟურნალი „განთიადი“, #11-12, 2016 წელი.

*Marine Tsertsvadze*

*Gori State Teaching University*

## GEORGIAN–TURKISH LITERARY RELATIONS IN THE MAGAZINE “GANTIADI” FROM 2016, №1-2, 3-4 ABSTRACT

We have discussed those materials which were printed in the magazine ‘Gantiadi’. It refers to Georgian - Turkish relations and represents the characteristics of the process happening during the last years. Here we see an interview with a Turkish writer and also an autobiographical novel. The novel is about the problems and the progress going on in the literature and politics between these two countries.

ნელი ჭამბურიძე

გორის სახელწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### დევნილთა სევდა - „მესაფლავენი“

მკითხველისათვის ყოველი ნაწარმოები უნიკალურია და განუმეორებელი, ის ვერ ეტევა ვერავითარ (ჟანრით, ეპოქით) წინასწარმოცემულ სქემაში. ჩვენ აღვიქვამთ ტექსტს როგორც ნაწარმოებს, როგორც პირადად ჩვენთვის განკუთვნილ სათქმელს და ვცდილობთ გავიგოთ, განმარტოთ ეს სათქმელი, შევიმეცნოთ და განვიცადოთ სამყარო, რომელიც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. *ყველა მკითხველი რა თქმა უნდა, ერთნაირად ვერ გამოავლენს ემოციურ მგრძნობელობას წაკითხულისადმი, რამდენადაც ყველა ნაწარმოები წარმოადგენს გარკვეულ მოდელს და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადეკვატურად აღვიქვით ან წავიკითხეთ ნაწარმოები, როდესაც ჩავწვდებით ამ მოდელის ხასიათს. პასუხს სამარადისო შეკითხვაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს მხატვრულ ნაწარმოებს ადამიანის სულზე კარგად გამოხატავს კაფკას ჩინებული წერილი მისი ბავშვობის მეგობრისადმი – “ვფიქრობ, ყველაზე ხშირად ისეთ წიგნებს უნდა ვკითხულობდეთ, რომელიც ჩვენში ჭრილობას ტოვებს და გვამტკიცებს..... ჩვენ გვჭირდება წიგნები, რომლებიც უდაბნოსავით გვწვავენ და ღრმა დარდს აღვივებენ ჩვენში... წიგნი ცული უნდა იყოს, ჩვენში გაყინული ზღვის დასამსხვერვადად. ასეთია ჩემი რწმენა.” [1]*

ჩვენეული ხედვა გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის „მესაფლავენის“ ანალიზის ფსიქოლოგიური კოდითაა გაპირობებული. ამ შემთხვევაში ლიტერატურული ნაწარმოების აღქმა უშუალო გამოცდილებას ეყრდნობა, ვინაიდან თავად გვაქვს განცდილი ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, შესაბამისი პასაჟები შეიძლება აღუქმელი დარჩენილიყო. არის ნაწერები, რომლებიც თითქოს ჩვეული მხატვრული გემოვნებით მიჰყვება სიუჟეტს და მოულოდნელად შეგძრავს,

მოთხრობის სიუჟეტური ქარგა მხატვრული ოსტატობით სულისშემძვრელ რეალობად აღიქმევა და შენს შინაგან განცდებს, მიყურებულ ტკივილს შეგახსენებს, სულს აგიფორიაქებს, კითხვებისა და ფიქრების კორიანტელს შემოგაყრის და რომ არ უპასუხო, რომ არ შეაგებო სიტყვა, უკვე შეუძლებელია. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის „მესაფლავენი“ ტექსტში გადმოცემული მხატვრული „სამყაროს“ განცდა და შემეცნება, მკითხველის მიერ აზრობრივი კოლიზიების გათავისება, მწერლის უდავო ნიჭიერების მანიშნებელია. მოთხრობაში სინამდვილით სავსე რეალობა, დევნლთა პრობლემებისა და სევდის სიღმისეული აღქმა ფანტაზიისა და გამონაგონის გარეშე გადმოცემული. ომგამოვლილი სოფლის მკვიდრის, კონფლიქტის ზონის სიახლოვეს მცხოვრები მწერლის გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის სიუჟეტი ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: მთისკენ - სალოცავისაკენ ლტოლვა, საკუთარ ფესვებთან დაბრუნება და სიზმარში კათარზისის ფუნდამენტირება. მოთხრობის მთავარი ღერძი „გზის მოდელი“ - მთისკენ ლტოლვა აღიქმევა, როგორც დარღვეული მთლიანობის აღდგენის საკრალური გზის ფუნქცია, გამირის მისწრაფების, შინაგანი ხმის იდუმალი ძახილი, საკუთარ კერაზე დაბრუნება მიტევებისა და შენდობის გააზრებული სურვილით. მოთხრობის მეორე გზა - მთავარ გმირთა სიზმრისეული „გაბრმდობა“. პერსონაჟითა კართაზრისის შემდეგ მიტევების, შენდობის და შერიგების სურვილი გადაწყვეტილი ფაქტორია ახალი ურთიერთობების დასაწყებად.

მწერლმა გაგონილი და განცდილი მხატვრული ოსტატობით გარდაქმნა საკუთარ „სულის ქურაში“ და თანაზიარი გაგვხადა დევნილთა სევდის. ამ მწუხარებით სავსე სტიქონებიდან სიბერეშეჭიდებული, ომგამოვლილი დევნილები სევდიანი თვალებით იმზირებიან. ავტორიც ომგამოვლილი სოფლის მკვიდრია, ადგილის დედის მონატრება მასაც გამოუცდია, დევნილობაც გამოუცდია და ბოზდამშენის ჭურვების ხმაც. სწორედ მავთულხლართს მიღმა იწერებოდა მოთხრობა „ომზე და ადამიანურ ურთიერთობებზე“ (მოთხ. „მესაფლავენი“). რაც შეეხება გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ მეთოდს, აქ მთავარი იდეაა და არა თხზულების გარეგანი ჩარჩო. „სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო“ გვირჩევდა დიდი ილია. მოთხრობის ყველა სტრიქონი გაჭირვებაში გამობრმენმდილი სულთა წუხილია, ოკუპირებულ საზღვრის მიღმა დარჩენილთა დარდი და ფიქრია. თავისთავად ახალს თითქოს არაფერს გვეუბნება, მაგრამ აქ მთავარი მწერლის დამოკიდებულებაა. მოთხრობის მთავარი გმირი დევნილად ქცეული, ომგამოვლილი ნიკო ახლა უფრო ხელსგულზე ხედავს ყველაფერს და მონანულე ხევისთავივით ასკვნის: „კაცს თუ ღმერთი არ გწამს, ერთი სუნთქვის უფლებაც არა გაქვს“-ესაა სწორედ მწერლის მსოფლმხედველობაც და მრწამსიც. მოთხრობა სამომზობლოშივე დევნილად ქცეული კაცის მოგონებებით იწყება. ათასჭირგამოვლილი კაცი განსაცდელში კიდევ უფრო ღმად უფიქრდება ცხოვრებას: „გაჭირვებაში უფრო ხედავ ადამიანს სასწაულებს, სხვანაირად უყურებ ყველაფერს, თითქოს თვალი აგიხილა ღმერთმა.“ აღდგომის ღამეს ადგილისკერის, ახლობლების საფლავეების მონახულების განცდა კიდევ უფრო მძაფრდება და ექსტაზის სახეს ღებულობს. „ანგელოზის ფრთების ფართხუნი მესმოდა, არ მეჩვენებოდა, მართლა მესმოდა“ და სინანულით - ამ უდიდესი მადლის შეგრძნებით იწყება მოთხრობაში ჭარმაგი დევნილის აღსარება: „ბავშვობაში ბუნების მტერი ხარ, დიდობაში -ადამიანების, არ არსებობს შენი ცხოვრების ერთი წამი, რომ ვიღაცის მტერი არ იყო. შენ თვითონ ხარ მტერი და ამ დროს მტრებს ეძებ“. მარტო დაკოჟრილი ხელები, ნაჯაფი სხეული და ნატანჯი სული შერჩა. „არაფრის მქონე, სულშიჩაფურთხებულ არარაობად გადავიქეცი, თითქოს დიდი ხნის წინათ დაყამირდა ჩემი საფლავი და რისთვის ვარსებობდი, კითხვაზე პასუხი ვერ მეპოვნა და, ალბათ, ვერც ვიპოვიდი“-თითქოს ცოცხალ-მკვდრად გადაიქცა, „სამარიდან წამომდგარი მიცვალებულივით“დადის, უადგილოდ დაეხეტება: „არ მეგონა თუ ამოტრიალებულს დავინახავდი ცას და დედამიწას, არ მეგონა“- ამბობს ბერიკაცი. შიში ვერ დაუძლევი, ჭიქა-ქუხილის ხმა ქვემეხების ხმას აგონებს. მაინც მშობლიური ადგილების სიხლოვეს მიიწევს, ახლოს უნდა დასახლდეს, „იქვე ახლოს რომელიმე სოფელში დავსახდეთ, არაფერი გაგვიჭირდება...ბოლო-ბოლო ახლოს მაინც ვიქნებით.. არ მინდა ძვლები აქ ჩავყარო, მე აქ დიდხანს ვერ გავძლებ“ - ცრემლი ამომშრალიყო და უცრემლოდ ტირის დევნილი კაცის სული. ახალგაზრდების წინააღმდეგობის მიუხედავად ისევ ხეობის ახლოს დასახლებაზე ოცნებობენ. საზღვართან ქართული სპეცრაზმელი დგას, ისევ დევნილია, მასაც ასე სწამს, იქ უნდა იყოს, სადაც სამშობლო ეძახის.

გავყვეთ მოთხრობის მთავარი გმირის განცდებს: უფლის ტაძარი, ადგილის კერა, ეზო, მკათათვის მზეზე ამობრწყინებული ღიახვი „წყვდიადში ჩაძირულ ხეობას ვხედავდი, გამოკეტილ ეკლესიაში თვლემდნენ ღამურები, დუმდნენ სამრეკლოები და ღიახვის ნაპირიდან შეპარული ნიავი ვერ სძალავდა რო ოდნავ მაინც ჩამოერეკა მდუმარების ლუკმად ქცეული ძველთაძველი ზარები. წვალობდა, მაგრამ ვერ სძალავდა“ და მთავის მზეც ხეობიდან ამოდის. ისევ მიიწევენ ხეობის ახლოს, საკუთარი სალოცავები ეძახით „ვიდექი და გავყურებდი ქოჩორას მთასა, წითელ მიწებს გავყურებდი... გული გახეთქვას იყო,

ვუყურებდი, და ვაი იმ ცქერას! წითელი მიწების მაღლა ვიციქირებოდი, იქნებ მცხეთიჯვრის სალოცავი დავინახო-მეთქი“. ზუსტი, ნამდვილი, ჭეშმარიტი განცდა, არსებული რეალობისა, მთელი არსებით აღქმული ყოფა, მხოლოდ ერთი მზერა, ერთი თვალისგადავლება და სულისშემძვრელ ტკივილად დარჩენილი განცდა მოხუცი კაცისა. „მთასთან ახლოს მივედი, მავთულხლართები გაუბამთ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთას ხელების მოხვევა უნდოდა, ჩახუტება უნდოდა, მაგრამ ეკლიანი მავთულებით იყო შებოჭილი, მავთულები ეხვია ვეება მკლავებზე, ვიდექი და გავყურებდი ქოჩორა მთას, წითელ მიწებს გავყურებდი, მდუმარებას შეესანსლა ჩვენი სოფლები, სიკვდილი ნებივრობდა მთის ფერდობზე“. ასეთი მკვეთრი კონტრასტებით ცდილობს მწერლი დევნილთა უდიდესი ნოსტალგია და ტკივილი დაგვანახოს, მათ განცდებში ჩავგახედოს და სული აგვიფორიაქოს „...ვიდექი და იტყოდი, რო სხეული იქ დამეტოვებინა და ფრთებგამოსხმული მთისკენ მივფრინავდი“. ადგილისკერაზე დაბრუნების ოცნების ფიქრებს მიუყვება ბერიკაცი და სწამს, რომ „ტამართან მისასვლელ“ გზას აუცილებლად მოძებნის.

საინტერესო მხატვრულ ხორცშესხმას პოულობს მოთხრობაში სიზმართა სამყარო. სიზმარში ხორციელდება განსაცდელგამოვლილი პიროვნებების (ბათო, ნიკო) სულიერი ერთიანება. ვაჟს გმირების (ლელა, ალუდა, კვირია, მინდია) მსგავსად სიზმარი, ერთგვარი ღვთით ავსილობაა, აბსოლუტური სიბრძნით, ანუ ღვთაებრივი სიბრძნით აღვსების იდეალური ფორმაა. მოთხრობში „მესაფლავენი“ სიზმრისეული გარდასახვა უკან დასაბრუნებელი გზის მაძიებელ გმირებს შორის სულიერი კავშირის ჩამოყალიბების არეალია, მაგიური წრე, როგორც მიწიერ განზომილებაზე ზემადღებელი სამყოფელი, გამოვლილი განსაცდელისა და არსებული ნოსტალგიურის მდომარეობის ტრაგიკული გააზრების სივრცული შერწყმა, კათარზისი, როგორც ახალი აღმოცენებული შეგრძნებებისა და ახალი გზების ძიების დასაწყისი. სიზმრისმიერი გარდასვლა მიღმიერ სამყაროში ახალი ურთიერთობის დასაწყისია.

აღდგომის ღამეს ნიკოს ქართული სოფლიდან დევნილი ოსი მეზობლი ესიზმრა. გადაღობილ მინდორთან იდგა ბათო, ქალივით ქვითინებდა „დამწვარ კედლებს რო მაყვალი მოედო და თითქოს იმ მაყვლის ეკლებით მაქვს დაკაწრული სული“ - ტირის ბათო და მშობლების საფლავზე კვერცხის მიტანას სთხოვს მეგობარს. მოთხრობის კულმინაცია ბათოს იმედითა და სინანულით სავსე წერილია: „თუ დავბრუნდი, დავბრუნდი, მე იმედს არ ვკარგავ...ვერ გაგაცილე, ვერ გამოგემშვიდობე, მინდოდა მოვსულიყა და ბოდიში მომეხადა, ასე მეგონა, მე დავიწყე ეს დაწყევლილი ომი... ვიდექი სასაფლაოზე, ვხედავდი, როგორ გარბოდა, როგორ იხიზნებოდა ხალხი, ვიდექი და ვქვითინებდი. ომი ჩვენი ხორციით იკვებებოდა, ჩვენ გვჭამდა და ჩვენით ხარობდა.“ ახალი გზის გზის კონტურები გამოკვეთილია. ეს სინანულის გზაა, ცრემლიანი წერილით გაცხადებული. მოთხრობის კულმინაცია ბათოს სიზმარით იხსნება „მესაფლავეები ვიყავით სიზმარში... ალბათ, მალე გამოჩნდებოდნენ ჭირისუფლები... საწყალი მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, მაგაზე დიდი მადლი არაფერია მიცვალებულს რო საფლავს გაუთხრი და სამუდამო განსასვენებელს გაუმზადებო“ ბათოს და ნიკოს სიზმრისეულმა განცდებმა უნდა გამოკვეთოს ურთიერთმისასვლელი გზები. მოთხრობის მთავარი იდეა ადამიანური ურთიერთობების აღდგენის გზების ძიებაა. მოთხრობის დასასრულს ორი მეგობარი ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხვდება ქართველებისა და ოსების ძმობაზე დოკუმენტური ფილმის გადასღებად. „...სადაც, უცხო ნაპირზე გამოერიყა უმწეო ნაფოტებივით ცხოვრების ტალღას ორი არსება, ერთმანეთის მესაფლავედ ქცეული ორი მეგობარი“. კონფლიქტის ორივე მხარეს ჩადენილი ცოდვების გამო სწუხან. მომავალში ალბათ დაბრუნებაც გარდაუვალია. მათი აღდგენილი ურთიერთობა „მესაფლავედ“ ყოფნის მადლია, მათ წინაშე, ვისი სისხლიც დაიღვარა თავსმოხვეული კონფლიქტის გამო. რელიგიური მრწამსით გაჟღენთილი მოთხრობის თითოეული სტრიქონი ეძღვნება მათ, ვისაც რწმენა და იმედი არ დაუკარგავთ, ღვთის მადლით ისევ შერიგების და ურთიერთობის აღდგენის იმედით უკანდასაბრუნებელი გზების ძიებაში ათენებენ ღამეებს.

და ბოლოს, „ღმერთო! გერის წმინდა გიორგი, ნურავის გამოატარებ იმ მწარე დღეებს, რაც მე გავიარე. მზიანი დღეები მიეცი ყველას“-ასეთია ჭეშმარიტი ღირებულებების მატარებელი მწერლის ლოცვად აღვლენილი ფიქრები, რითაც ერთი პატარა, მაგრამ დიდი მადლის მატარებელი ფრაზა ხიდად გაუდო მავრთულხლართსგაღმა და გამოღმა მაცხოვრებელ (ოს და ქართველ) დევნილებს.

#### ლიტერატურა:

1. გიორგი სოსიაშვილი, „მესაფლავენი“, თბ., 2017

*Neli Champuridze*  
*Gori State Teaching University*  
**MELANCHOLY OF THE INTERNALLY DISPLACED PEOPLE – “THE GRAVE-DIGGERS”**  
**ABSTRACT**

The plot of the story by Giorgi Sosiashvili, the resident of a war-ravaged village, a writer living on the edge of a conflict zone, is stretched to two main directions – aspiration to the shrine, returning to his own roots and building a foundation for catharsis. The main point -aspiration towards mountain is apprehended as a sacred way for the reestablishing the infringed integrity as well as the hero's inner calling expressing conscious desire for forgiveness and returning home. Every line filled with religious belief reflects the people's life who have not lost hope and who are still searching the ways for reconciliation, recovering the relationship.

**ოთარ ჯანელიძე**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ურთიერთობების  
ისტორიიდან (1920-1921 წწ.)**

დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნება ორი მეზობელი ხალხი და სახელმწიფო, რომლებსაც წარსულში ერთმანეთთან შეუთავსებლობა, კონფლიქტი და შეტაკება არ ჰქონოდათ. ამაში გასაკვირი არც არაფერია, რადგან ძლიერის მიერ სუსტის შევიწროება ძველად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვეული წესი იყო. ძლიერი იქცეოდა როგორც სურდა, ხოლო სუსტი - როგორც შეეძლო. დიდი ხნის განმავლობაში, ლამის პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე, არ არსებობდა ამგვარი დაპირისპირების, ერთი ქვეყნის მიერ მეორეზე ძალადობის არა თუ აღმკვეთი, რაიმე შემზღვევადი მექანიზმიც კი. ამიტომ, როდესაც ისტორიის ამათუ იმ მოვლენაზე ვსაუბრობთ, მას თანამედროვე სტანდარტებით კი არ უნდა ვუდგებოდეთ, არამედ თავად განსახილველი მოვლენის ეპოქის ღირებულებათა გათვალისწინებით. და კიდევ ერთი: წარსული და მისი ისტორია არ უნდა გამოიყენებოდეს პოლიტიკის ინსტრუმენტად. ყოველგვარმა კონიუნქტურამ ადგილი უნდა დაუთმოს ობიექტურ, დოკუმენტებზე დაფუძნებულ მეცნიერულ კვლევასა და მიუკერძოებელ შეფასებას. ისტორია, როგორც არ უნდა იყოს იგი, და მით უმეტეს მისი ინტერპრეტაცია, აღარ უნდა რჩებოდეს წინააღმდეგობის კვანძად, სახელმწიფოთა შორის დღევანდელი თუ მომავალი ურთიერთობების ხელისშემშლელ ფაქტორად.

ეს შესავალი იმისათვის დამჭირდა, რომ წინამდებარე საკითხი სწორედ ორი მეზობელი სახელმწიფოს - საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თურქეთის ურთიერთობის მგრძნობიარე თემათა რიგს განეკუთვნება და იგი განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველმა საკითხმა კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, ოღონდ, თურქ ისტორიკოსებს პრობლემა უმთავრესად შესწავლილი აქვთ თურქული პირველწყაროების, ხოლო ქართველ სპეციალისტებს - ქართულ დოკუმენტური და პერიოდული პრესის მასალების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 20-25 წელია საქართველო-თურქეთს შორის მეტად შინაარსიანი ორმხრივი ურთიერთობა წარმოებს, რომელიც მეცნიერების სფეროსაც მოიცავს, დანაწიებით უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე დღემდე ვერ მოხერხდა



ერთობლივი კვლევა. არადა, სწორედ ამგვარი გზით შეიძლებოდა თუ ერთიანი აზრის ჩამოყალიბება არა, პოზიციების დაახლოება მაინც.

ოსმალეთი, გერმანიის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო აღიარა. ეს მოხდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში, სადაც ორი ქვეყნის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ე. წ. „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას.“ დასამალი არ არის, რომ ეს არ ყოფილა თანასწორთა შეთანხმება. საზღვრები ორ ქვეყანას შორის გაიმიჯნა 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად. ოსმალეთის ხელში ბათუმის, ყარსისა და არტანის ოლქების გარდა უნდა გადასულიყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც ასევე, უთანაბრო პირობებში აყენებდა ქართულ მხარეს (საქართველოს ევალეზობა ჯარის დემობილიზაცია, რკინიგზების დათმობა ოსმალეთის სამხედრო ნაწილების გადასადგილებლად და სხვ.).<sup>1</sup> ქართველი ემიგრანტი მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, რომ: „იარაღმოდერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახლშობილ რესპუბლიკას“.<sup>2</sup> თუ ამ ფრაზაში ემოცია ჭარბობს, უფრო აკადემიურია ამერიკელი მკვლევრის, ფირუზ ქაზემზადეს შეფასება. მისი სიტყვით: „ძვირად დაუჯდა საქართველოს მშვიდობა და დამოუკიდებლობა.“<sup>3</sup>

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გააპროტესტა ბათუმის ზავი და მოითხოვა მისი გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობით. გერმანიას თავდაპირველად არ სურდა თურქებისათვის ბათუმის დათმობა. ბერლინში ფიქრობდნენ, რომ მათთვის შეიძლებოდა არა ქალაქის, არამედ მხოლოდ ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილის გადაცემა.<sup>4</sup> გერმანიის თაოსნობით, კონფერენცია კონსტანტინოპოლში უნდა გამართულიყო, მაგრამ მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის დამარცხების გამო იგი აღარ ჩატარებულა.

არ განხორციელებულა ბათუმის ხელშეკრულების არც რატიფიკაცია, რის გამოც ზავი ძალაშიც არასოდეს შესულა, მაგრამ ოსმალურ ოკუპაციას „სამაჰმადიანო საქართველოდან“ მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა (მარტო ბათუმიდან დევნილთა რიცხვი 20 ათასი კაცი მოითვლიდა). ხელშეკრულების ერთადერთი დადებითი მნიშვნელობა საქართველოსათვის ის იყო, რომ ოსმალეთი, როგორც აღინიშნა, ფორმალურად ცნობდა ახლად წარმოშობილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.<sup>5</sup> ოფიციალურმა სტამბოლმა თავის წარმომადგენლად თბილისში აბდულ ქერიმ ფაშა დანიშნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა ოსმალეთში გრიგოლ რცხილაძეს მიენდო,<sup>6</sup> კონსულად კი იოსებ გოგოლაშვილი დაინიშნა.<sup>7</sup>

1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისსა და ოსმალეთს შორის დადებულმა მუდროსის დროებითმა ზავმა ვითარება საქართველოსათვისაც მნიშვნელოვნად შეცვალა. ოსმალეთს სამცხე-ჯავახეთის დეოკუპაცია უნდა განეხორციელებინა.<sup>8</sup> ბათუმსა და მის ოლქზე მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლი მყარდებოდა.

მალე საქართველოს ტერიტორია დატოვა გერმანიის სამხედრო კონტიგენტმაც, რომელიც აქ 1918 წლის ივნისის დამდეგს შემოვიდა, როგორც დამოუკიდებლობაგამოცხადებული ქვეყნის სუვერენიტეტის გარანტი. მათი ადგილი 1918 წლის დეკემბერ-იანვრიდან მოკავშირეთა ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, რომელთაც ბრიტანელი სარდლობა მეთაურობდა.

ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობას 1918 წლიდან მწელად შეიძლება ვუწოდოთ მშვიდობიანი და მთ უფრო კეთილმეზობლური. ამ ურთიერთობის ხასიათზე, ცხადია, გავლენას ახდენდა საგარეო ფაქტორები, ჯერ გერმანიის, შემდეგ რუსეთისა და ანტანტის სახელმწიფოთა

<sup>1</sup> Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, стр. 343-349.

<sup>2</sup> ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 32-33.

<sup>3</sup> ქაზემზადე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 162.

<sup>4</sup> Zurrer W., Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre 1918, Jahrbucher fur Geschichte Osteuropas, Wiesbaden, 1978, Bd. 26, S. 43, 56.

<sup>5</sup> ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 126.

<sup>6</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016, გვ. 350.

<sup>7</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 24 იანვარი.

<sup>8</sup> Рейфилд Д., Грузия. Перекресток империй. История длиной в три тысячи лет, М., 2017, с. 274.

ინტერესები და მათი ჭიდილი რეგიონში. თავად ოსმალეთიც, ომში განცდილი მარცხის მიუხედავად, იოლად ვერ ელეოდა იმპერიულ ამბიციებს და თავისი გავლენის დამყარება ისევ ეწადა არა თუ სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაზეც კი.<sup>1</sup> მართალია, ოსმალეთის პარლამენტმა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (1920 წლის თებერვალი),<sup>2</sup> მაგრამ სამხრეთიდან მოსალოდნელი აგრესიის საფრთხე ამით არ მოხსნილა.

1920 წელი პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო ოპტიმისტური საქართველოსათვის იყო, ვიდრე ოსმალეთისთვის. ამ წლის 10 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის ძალით მოსკოვი ოფიციალურად ცნობდა და აღიარებდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. 1920 წლის ზაფხულისათვის საქართველოში უცხოეთის არც ერთი ქვეყნის სამხედრო ძალა აღარ იმყოფებოდა.

რაც შეეხება ოსმალეთს, მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დროისათვის ოკუპირებული ჰქონდათ ანტანტის სამხედრო ძალებს, ხოლო 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ცნობილი ხელშეკრულებით ოსმალეთის სახელმწიფოებრიობას თითქმის გამანადგურებელი საფრთხე დაემუქრა. მართალია, სულთანმა მეჰმედ VI-მ ტახტი შეინარჩუნა, მაგრამ ხელისუფლებას არსებითად ანგორაში (ანკარა) აღმოცენებული დიდი ეროვნული კრების მთავრობა დაეუფლა გენერალ მუსტაფა ქემალის თავმჯდომარეობით. ქემალმა ძველი ოსმალეთის ნანგრევებზე ახალი თურქეთის შენება დაიწყო.<sup>3</sup>

1920 წლის აპრილიდან ანკარის (ანგორის) მთავრობამ პარტნიორული ურთიერთობა ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთთან. თურქეთის ახალი სახელმწიფოს მეთაური გენერალი მუსტაფა ქემალი დიდად იყო დავალებული მოსკოვისაგან, რადგან ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში აქედან მნიშვნელოვან შეიარაღებასა და ფინანსებს იღებდა.<sup>4</sup>

თურქეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ სუვერენული საქართველოს არსებობა მის ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მასთან უშუალო კავშირის დამყარებას არ ჩქარობდა. თურქი დიპლომატები საქართველოსთან ტერიტორიული გამიჯვნისა და საზღვრების პრობლემებზე მოსკოვთან მსჯელობდნენ და არა თბილისთან. ამ მხრივ შეთანხმებასაც მიაღწიეს: ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა დარჩენოდა, ართვინ-არტაანი კი თურქეთს კუთვნილებად ცხადდებოდა.

მიუხედავად ამისა, როგორც კი 1920 წლის 7 ივლისს მოკავშირეთა არმიამ ბათუმი დატოვა (ქალაქი და ბათუმის ოლქი საქართველოს იურისდიქციაში გადავიდა), ხოლო აჭარაში ქართული ჯარის ნაწილები განლაგდნენ, ანკარის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა. ანკარის ნოტა საქართველოს მთავრობას იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებაში დებდა ბრალს და მოუწოდებდა, თავი შეეკავებინა ამგვარი მოქმედებისაგან.<sup>5</sup>

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ანკარას შორის პირველი ოფიციალური კონტაქტები 1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებით თარიღდება, რაც რეგიონში შექმნილი ახალი რეალობით იყო განპირობებული. კერძოდ: 1920 წლის სექტემბერში თურქეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს სომხეთზე და არარატის რესპუბლიკა საგრძნობლად შეავიწროვეს. მათვე საქართველოს კუთვნილი ოლთისის ოლქიც დაიკავეს. შეიქმნა ამ ჯარების ქვეყნის ფარგლებში უფრო ღრმად შემოჭრის საშიშროება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა და თავდაცვისათვის მზადებას შეუდგა.

მდგომარეობის განმუხტვას შეეცადა თურქეთის მთავრობა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინადადებით, თბილისში ოფიციალური დელეგაცია გამოგზავნა.

<sup>1</sup> Zurrer W., Deutschland und die Entwicklung Nordkasiens in Jahre 1918, Jahrbucher fur Geschichte Osteuropas, Wiesbaden, 1978, s. 34, 47-50.

<sup>2</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 19 თებერვალი.

<sup>3</sup> ქაზეშაძე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 356.

<sup>4</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, с. 18.

<sup>5</sup> სვანიძე მ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1920 წ., ქართული დიპლომატია, წელიწადიულო., 11, თბ., 2004, გვ. 627-632.

1920 წლის 13 ნოემბერს ქიაზიმ ბეი თბილისში ჩამოვიდა. მისი სიტყვით: „ანგორის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ინტერესია, ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორას მთავრობებს შორის უმთავრესად ამ ძირითადი ინტერესებით განისაზღვრება. ... ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა მშვიდობიანი ცხოვრებით. ეს გონიერი პოლიტიკა დაახლოებს საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობებს და უფრო განამტკიცებს მათ მეგობრულ კავშირს.“<sup>1</sup>

ქართულმა მხარემ მეზობელი სახელმწიფოს შეთავაზება მიიღო. საქართველოს ოკუპაციის საფრთხე მოიხსნა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ქიაზიმ ბეი საქართველოში თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნა. 14 ნოემბერს ის უკვე ატყობინებდა ანკარას, რომ საქართველოს მთავრობას გადასცა რწმუნების სიგელი.<sup>2</sup>

ამ ფაქტის გამო გაზეთი „საქართველო“ შენიშნავდა: „საქართველოს მთავრობასთან თავისი ოფიციალი წარმომადგენლის დანიშვნა მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ორივე მთავრობას საშუალება ეძლევა მუდმივი ნორმალური ურთიერთობებით ამოსწურონ ზოგიერთი სადავო საკითხები. ...თავის დღეში საქართველო არ იქნება იმ მხარეთ, რომელიც პირველად აგრესიულ პოლიტიკას დაადგება. ...ორი მეზობელი ქვეყანა, განთავისუფლებული წარსული საბედისწერო შეცდომისაგან, ერთი მეორეს დაუახლოვდება და შეჰქმნიან იმ სიმტკიცეს, რომელიც ორივეს ააშორებს იმ ჩრდილოეთის საფრთხეს, რომელიც იქნება დღეს სთვლემდეს, ან იცდიდეს, მაგრამ, რომელიც ხვალ საშიშარ რეალ საფრთხეთ მოგვევლინება და ორივეს არსებობას საბედისწეროდ დაემუქრება.“<sup>3</sup>

მალე თბილისს ესტუმრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჟირ-სამი ბეი, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა აკაკი ჩხენკელსა და ნოე რამიშვილთან.<sup>4</sup> გადაწყდა, რომ თურქეთში თავის მისიას მიავლენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც. საქართველოს ელჩად ანგორაში სვიმონ მდივანი შეირჩა.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა თურქეთში 1920 დეკემბრის ბოლოს გაემგზავრა. ანკარის მთავრობის მეთაურმა ქართველი ელჩისაგან რწმუნების სიგელი მხოლოდ მომდევნო წლის 8 თებერვალს ჩაიბარა. ელჩის აკრედიტაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულ აღიარებას ნიშნავდა.<sup>5</sup> საპატიო მიღებისას მუსტაფა ქემალმა სიმონ მდივანს განუცხადა: „ჩვენ გვაერთებს საქართველოსთან არმც თუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვჭირდება ძლიერი აღმოსავლეთი ...ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი.“<sup>6</sup>

იგივე აზრს დაბეჭდვით ანვითერებდა თურქული პრესაც. მაგალითად ოფიციალური „ხაკიმეთი მილიე“ წერდა: „ქართველებმა უნდა ეძებონ თავისი ბედნიერებისა და მშვიდობის მთავარი საწინდარი თავის მეზობლებთან კარგ ურთიერთობაში. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ თურქეთში ნახავენ ყველაზე უფრო კეთილგანწყობილს და გულწრფელ მეგობარს.“

განცხადებები დამაიმედებელი იყო, მაგრამ როგორი იქნებოდა პრაქტიკული მოქმედება, ამას დრო წარმოაჩენდა. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურთან ოფიციალურ მიღებაზე მყოფ საქართველოს წარმომადგენლობის წევრს დიმიტრი შალიკაშვილს იმავე დღეს თავის დღიურში ჩაუწერია: „იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ახლა ვჭირდებით თურქებს და ამიტომ ასე კარგად გვეპყრობიან და გვეფერებიან. მაგრამ ხვალ თუ მდგომარეობა შეიცვალა, ისინი იმავე მოფერებით მიგვაჭყლეტენ კედელზე.“<sup>7</sup>

თურქეთი აგრძელებდა საბჭოთა რუსეთთან დაახლოების კურსს, რომელსაც პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევდა. რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელმა ალიანსმა ანტანტის სახელმწიფოთა

<sup>1</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 13, 19 ნოემბერი.

<sup>2</sup> წურწუშია ზ., აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბ., 2012, გვ. 215.

<sup>3</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 30 ნოემბერი.

<sup>4</sup> გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 22 დეკემბერი.

<sup>5</sup> სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბ., 2000, გვ. 148, 152.

<sup>6</sup> შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, №1, გვ. 56.

<sup>7</sup> შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, №1, გვ. 57

შემფოთება გამოიწვია. საფრანეთმა დააპირა ქემალის გადაბირება მისთვის სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის წინადადებითა და სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპენსაციების შეთავაზებით. ანკარისათვის სასურველი ამ დათმობების მიუხედავად, მუსტაფა ქემალი მოერიდა მოსკოვთან დაპირისპირებას, თუმცა ლონდონსა და პარიზთან თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს.

ანკარის ახალი დიპლომატიური დელეგაცია რუსეთთან მოლაპარაკების განსახლებლად მოსკოვს 1921 წლის 18 თებერვალს ეწვია.<sup>1</sup> კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რისთვისაც კრემლი კარგა ხნის განმავლობაში ემზადებოდა. დეტალურად შემუშავდა არა მხოლოდ საქართველოში შემოჭრის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა, არამედ წარმოებდა დიპლომატიური სამზადისისც საქართველოს იზოლაციაში მოსაქცევად (ინგლისთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენით მოსკოვმა მისგან სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლება მოიპოვა, ხოლო რეგიონის გარკვეული ტერიტორიის ქემალისათვის დათმობის სანაცვლოდ თურქეთი ნეიტრალიტეტზე დაითანხმა).

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს. გაჩაღებულ უთანასწორო ომში, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ანკარის ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში დახმარება აღუთქვა, სანაცვლოდ კი არდაგანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა.

ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალის ნეიტრალიტეტს.“<sup>2</sup> თურქეთი ერთის მხრივ ნოე ჟორდანიას არწმუნებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი გაძლიერება ანგორის ინტერესებშიც შედიოდა, მეორეს მხრივ კი მის წინააღმდეგ მოსკოვთან გარიგებას აწარმოებდა.

შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ნოე ჟორდანია დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა ამ წინადადებას,<sup>3</sup> მაგრამ ისე რომ, ქართულ მხარეს წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.<sup>4</sup>

საქართველოს მთავრობამ ართვინ-არდაგანიდან სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია გამოიყვანა და ეს სივრცე თურქეთს დაუთმო. თურქეთის არმიის ნაწილები ხსენებულ მიდამოებში განლაგდნენ.<sup>5</sup>

ანგორის მთავრობის შესაბამისმა სამსახურმა მაშინვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს არდაგანის მცხოვრებნი თურქთა ჯარებს ქალაქიდან მოშორებით მიეგებნენ. მუსტაფა ქემალის სიტყვით კი, „ამ ოლქების დაკავებას თან ახლდა მოსახლეობის მისალმება, რომელიც მოუთმენლად ელოდა შეერთებას თურქეთთან.“

ანგორის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში კიაზიმ ბეიმ ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ ამით თურქეთ-საქართველოს შორის სადავო საკითხები ამოიწურა და თურქეთი მზადაა „მეგობარ“ ქვეყანას საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ოპერაციებშიც დაეხმაროს.

1921 წლის 1 მარტს საქართველოს ელჩს თურქეთში სიმონ მდივანს თავის რეზიდენციაში ესტუმრა ქემალ ფაშა და იგი საქართველოსათვის იარაღის მიწოდების საკითხში დაამტკიცა.

დახმარება იმდენად აუცილებელი და საჩქარო იყო, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი სიმონ მდივინისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში შეთანხმებაზე ხელის მოწერასაც არ გამორიცხავდა, ოღონდ იმ პირობით, რომ „ახლავე აღმოგვიჩინონ სამხედრო დახმარება ომში აქტიურად ჩვენს სასარგებლო ჩარევით.“

1921 წლის 4 მარტს სიმონ მდივანს მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ავალუბდა: „უნდა მიიღოთ ზომები ანგორის ჩასარევიად. მარტო საკუთარი ძალებით საქართველო ვერ შეძლებს მოსკოვის გამკლავებას. დაარწმუნეთ ანგორა, რომ დაცდის პოლიტიკა შეუძლებელია.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> Кузнецова С. И., Установление советско-турецких отношений, М., 1961, с. 42-44.

<sup>2</sup> ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 123.

<sup>3</sup> Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934, с. 119; David Marshall Lang (excerpt from the book "A Modern History of Georgia"/NY/1962) [http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang\\_9a.htm](http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang_9a.htm)

<sup>4</sup> თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 18-20.

<sup>5</sup> Mantoux St., L'invasion de la Géorgie par les bolcheviks (15 février-17 mars 1921): une soviétisation atypique. <http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Mantoux%201.htm>

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას თავდაპირველად შიშობდა, თურქებს ბათუმი და ახალციხეც არ დაეკავებინათ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ საქართველო ჩრდილოელი მოძალადისაგან თავს ვეღარ დაიცავდა, თურქეთში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს უფლება მისცა ქემალ-ფაშასთან შეთანხმების უფრო კომპრომისული ვარიანტიც განეხილა. საარქივო დოკუმენტის თანახმად, „საქართველოს მთავრობა აძლევს ანკარის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრებისა შემდეგი პირობით. ამ ოლქების მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება ექნება საქართველოს მთავრობას. ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ამ ოკუპაციის მოხდენაში. ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ საბოლოოდ გამოირკვევა საქართველოს და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში.“<sup>2</sup>

რამდენიმე დღის შემდეგ სვიმონ მდივანმა ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ თურქებმა წინადადება მიიღეს, მაგრამ „პირობის დაწერა უხერხულად მიაჩნიათ“, სიტყვიერად კი სამმა მინისტრმა მთავრობის სახელით და პირადად აღმითქვა რომ, როგორც კი საქართველოს მდგომარეობა განმტკიცდება, ამ ოლქებიდან დაუყოვნებლივ ჯარს გაიყვანენ.<sup>3</sup>

სინამდვილეში, ანკარის ხელისუფლების მისწრაფება სხვა იყო.<sup>4</sup> ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა აჰმედ მუჰთარმა დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა: „მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ჩვენ ჯარებს მიეცათ ბათუმის დაკავების ბრძანება. ქალაქის დაკავების შემდეგ იქ ჩატარდება პლებისციტი და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი.“<sup>5</sup>

საგულისხმოა ასევე, რომ სიტყვა პლებისციტი გვხვდება ანგორის მთავრობის რამდენიმე მინისტრის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის სიმონ მდივანსათვის 1921 წლის თებერვლის ბოლოს გადაცემულ თურქეთ-საქართველოს შეთანხმების პროექტშიც. თურქები წინადადებას აყენებდნენ და მოითხოვდნენ: მას შემდეგ, რაც მათი ჯარები ბათუმის ოლქსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს დაიკავებდნენ, ამ რეგიონში ჩაეტარებინათ პლებისციტი.

ცხადია, თურქეთის ხელისუფლება საკუთარი გათვლებით მოქმედებდა და საქართველოს ინტერესებზე ნაკლებად ზრუნავდა, მით უფრო, როცა სამხრეთ კავკასიის მიწა-წყლის გაყოფაზე პარალელურად კრემლს უთანხმდებოდა.

ქართულ-თურქული მოლაპარაკების საფუძველზე, 1921 წლის 11 მარტს თურქეთის სამხედრო შენაერთები ბათუმის ოლქში შემოვიდნენ. მაგრამ არა საქართველოს დასახმარებლად. მეტიც, თურქებმა არათუ ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრეს ქართველების მხარდამხარ, არამედ პირიქით: საქართველოში მყოფი მათი XV საარმიო კორპუსის მეთაური და აღმოსავლეთის ჯარების სარდალი გენერალი კიაზიმ ყარაბეგი ფაშა XI წითელი არმიის სარდალს, გენერალ ანატოლი ჰეკერს საქართველოს დამარცხებაში თანადგომას აღუთქვამდა.<sup>6</sup>

თურქული დანაყოფები მოიწვედნენ ახალციხე, ახალქალაქის მაზრებისა და ბორჯომისაკენაც, მაგრამ მათზე ადრე აქ XI წითელი არმიის მე-18 ცხენოსანი დივიზია შევიდა დიმიტრი ჟლობას მეთაურობით და ეს ტერიტორია მთლიანად დაიკავა.<sup>7</sup> თვითმხილველის ცნობით, ახალციხეში 300-მდე თურქი ასკერიც იმყოფებოდა, მაგრამ რუსებსა და მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ

<sup>1</sup> სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში, „ქართული დიპლომატია“, წელიწადი, 10, თბ., 2003, გვ. 174-175; 178.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. №386; ასევე, გელავა ნ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საისტორიო მოამბე, 1998-1999, №71-72, გვ. 27.

<sup>3</sup> თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 27.

<sup>4</sup> ამას მკაფიოდ ცხადყოფს თურქეთის გენშტაბის სამხედრო ისტორიისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები. იხ. Askeri Tarih Belgeleri Dergisi, Genelkurmay Askeri Tarih ve Stratejik Etüt Başkanlığı Yayınları, Ankara, Ocak: 1999, Yıl:48, Sayı:107. დამოწმებულია რ. ყავრელაშვილის პუბლიკაციიდან: „რამდენიმე თურქული დოკუმენტი საქართველოს ისტორიის შესახებ (1921).“ <http://www.mtvarisklubi.com/2012/09/1921.html#.WID1L4ugfIU>

<sup>5</sup> Барсегов Ю., Геноцид армян: ответственность Турции и обязательства мирового сообщества, Документы и комментарий, том 2, часть 1, с. 435. <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm>

<sup>6</sup> Мартиненко Г., Легендарный поход 18-ой дивизий через Годердзский перевал, Тб., 1971, ст. 61-63.

<sup>7</sup> მესხია ე., 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი ბოლშევიკურ რუსეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, №4, გვ. 26.

ყოფილა. ახალციხეში საბჭოთა და თურქეთის არმიის ჯარისკაცების მეგობრულ და გულთბილ ურთიერთობაზე საუბრობს თურქი გენერალი კიაზიმ ყარაბეკირიც თავის წიგნში „ომი დამოუკიდებლობისათვის“.<sup>1</sup>

სამცხე-ჯავახეთში დროებით ორი ადმინისტრაცია გაჩნდა: 14 მარტს რუსულმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა განცხადება: „ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმი საბჭოთა საქართველოს ეკუთვნის.“ ხოლო 16 მარტს გაჩნდა თურქების განცხადება, რომლის თანახმადაც, „ანგორაში შემდგარი დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმი მშობლიურ მიწას უერთდება.“

თურქეთის სამხედრო ნაწილებმა, საქართველოსთან შეთანხმების დარღვევით, ბათუმის ოკუპაცია განახორციელეს. კიაზიმ ბეი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო დიდი ეროვნული კრების დადგენილებით სამუსლიმანო საქართველო თურქეთის ნაწილად გამოცხადდა.<sup>2</sup> ეს იმ დროს, როდესაც ბათუმში ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრება.

ბათუმში ოპერატიულად ჩამოვიდა ანგორის სამთავრობო დელეგაციაც. მან მოლაპარაკება გამართა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისთან, რათა ამ უკანასკნელს გამოეტანა დადგენილება ბათუმის ოლქის ავტონომიური სტატუსით თურქეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. თურქები არწმუნებდნენ მეჯლისის წევრებს, რომ ასეთ შემთხვევაში თავიდან აცილებდნენ ბოლშევიკების შემოჭრას ბათუმის ოლქში, ანგორის მთავრობას კი ადგილობრივ მოსახლეობას ფართო ავტონომიას მიანიჭებდა.

მემედ აბაშიძის სიტყვით, „მეჯლისი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესს, არ მიიღო მათი წინადადება“, მოლაპარაკება კი იმით დამთავრდა, რომ „ზრდილობიანად თავი დაუუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.“<sup>3</sup>

ბათუმსა და მისი ოლქში თურქთა ხელახალი გაბატონების საფრთხე იმდენად რეალური გახდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უმჯობესად მიიჩნია ბოლშევიკებს დაზავებოდა და მათთან ერთად ბათუმი გადაერჩინა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გამართული მოლაპარაკება საქართველოს რევკომთან და მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ომის დამთავრების გარდა შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეწყობას საბჭოთა ჯარებისათვის, რათა ისინი დაუყოვნებლივ შესულიყვნენ ბათუმში და აღეკვეთათ თურქთა აგრესია.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამარცხებული ხელისუფლება 17-18 მარტის დამეს ბათუმიდან ემიგრაციაში გაიხიზნა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ბათუმის საკითხზე დიდი ზეობა და დავა მიმდინარეობდა მოსკოვშიც, სადაც თურქეთ-საბჭოთა მოლაპარაკება გრძელდებოდა და უკვე 10 მარტისათვის ყველა ძირითადი საკითხი მხარეთა შორის შეთანხმებული იყო. კონფერენციის დასკვნითი სხდომა 16 მარტს გაიმართა. ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის „მშობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას.“<sup>4</sup> ამ დოკუმენტის ძალით, ბათუმი საქართველოს რჩებოდა, ხოლო ართვინისა და არდაგანის ოლქები თურქთა მფლობელობაში გადადიოდა.

ხელშეკრულების მიუხედავად, თურქები ბათუმის დაცლას აჭიანურებდნენ. ქალაქის განთავისუფლებას რამდენიმე დღიანი ბრძოლა დასჭირდა. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით მოძალადენი საბჭოთა ჯარის მონაწილეობის გარეშე განდევნა და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა.

### ლიტერატურა:

1. აბაშიძე მ., თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, ბათუმი, 1998.
2. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925.

<sup>1</sup> Kazim Karabekir, Istiklal Harbumiz, 4. Cilt. Istanbul, 2000, p. 1943. ვსარგებლობ რ. ყავრელაშვილის თარგმანით. იხ. ყავრელიშვილი რ., ბათუმის საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში (1921 წ. მარტი), წიგნში -ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011, გვ. 33-34.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1872, ანაწ. 1, საქმ. 10, ფურც. 6.

<sup>3</sup> აბაშიძე მ., თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, ბათუმი, 1998, გვ. 388-389.

<sup>4</sup> Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР, вып. III, М., 1922.

3. გაზ. „ერთობა“, 1920 წ.
4. გაზ. „საქართველო“, 1920 წ.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ.
6. გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ.
7. გელავა ნ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობა 1921 წლის თებერვალ- მარტში, საისტორიო მოამბე, 1998-1999, №71-72.
8. თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009.
9. მესხია ე., 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი ბოლშევიკურ რუსეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, №4.
10. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
11. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990
12. საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919, თბ., 2016.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1872, ანაწ. 1, საქმ. 10.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. №386.
15. სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბ., 2000.
16. სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 10, თბ., 2003.
17. სვანიძე მ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბ., 2004.
18. ქაზეშაძე ფ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016.
19. ყავრელიშვილი რ., ბათუმის საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში (1921 წ. მარტი), წიგნში - ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2011.
20. ყავრელიშვილი რ., რამდენიმე თურქული დოკუმენტი საქართველოს ისტორიის შესახებ (1921). <http://www.mtvarisklubi.com/2012/09/1921.html#.WID1L4ugfIU>
21. შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1991, №1.
22. Барсегов Ю., Геноцид армян: ответственность Турци и обязательства мирового сообщества, Документы и комментарий, том 2, часть 1. <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm>
23. Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959.
24. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919.
25. Кемаль М., Путь новой Турции, т. III, М., 1934, с. 119; David Marshall Lang (excerpt from the book "A Modern History of Georgia" NY/1962) [http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang\\_9a.htm](http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang_9a.htm)
26. Кузнецова С. И., Установление советско-турецких отношений, М., 1961. Рейфилд Д., Грузия. Перекресток империй. История длиной в три тысячи лет, М., 2017.
27. Мартиненко Г., Легендарный поход 18-ой дивизий через Годердзский перевал, Тб., 1971.
28. Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР, вып. III, М., 1922.
29. Mantoux St., L'invasion de la Géorgie par les bolcheviks (15 février-17 mars 1921): une soviétisation atypique. <http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Mantoux%201.htm>
30. Zurrer W., Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre 1918, Jahrbucher fur Geschichte Osteuropas, Wiesbaden, 1978.

*Otar Janelidze*

*Gori State Teaching University*

**FROM THE HISTORY OF RELATIONSHIPS BETWEEN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF  
GEORGIA AND TURKEY (1920-1921)**

**ABSTRACT**

The relations between the Democratic Republic of Georgia and Turkey in 1920-1921 belong to a range of sensitive topics and are differently covered in Georgian and Turkish historiography.

The contacts of the Democratic Republic of Georgia with Turkey were preceded by a difficult period of its neighborhood with the Ottoman Empire. Despite mutual recognition and diplomatic ties, the relationship of the

Government of Ankara, established in 1920 under the leadership of Mustafa Kemal with Georgian state was not effective.

Turkish government claimed that the existence of an "independent and strong" Georgia was in harmony with its interests. When in February, 1921, troops of the Soviet Russia invaded Georgia, government of Ankara promised to support official Tbilisi, in exchange for Ardagan-Artwin territories.

On the basis of negotiations, on March 11, 1921, Turkish military forces arrived in Batumi and occupied it. Colonel Kyazim Bei was appointed as the General-Governor of Batumi Region, and with the resolution of the Grand National Assembly, Muslim territory of Georgia was recognized as a part of Turkey.

On March 16, 1921, in Moscow there was signed a "brotherhood and friendship agreement" between the Soviet Russia and Turkey. According to this document, Batumi was to stay under Georgia, while Artwin and Ardagan districts were transferred to Turkey.

The Turks procrastinated the process of emptying of Batumi. The Government of the Democratic Republic of Georgia, which was defeated in the war with the Soviet Russia, was forced to emigrate, but Georgian troops under the command of General Giorgi Mazniashvili drove Turkish Asker armed forces from the city and thus retained Batumi for Georgia.

## სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებები Social and Economic Sciences

Öğr.Gör. **Dilara AYL**A, R.T.E.Ü  
Arş.Gör. **Akif Ziya BAYRAK**, R.T.E.Ü

### **Türkiye’de Fosil Enerji Tüketimi ve Reel Gayrisafi Yurtiçi Hasıla İlişkisinin Ekonometrik Analizi**

**Öz:** Bu çalışmada, 1980-2015 dönemi Türkiye ekonomisi için fosil enerji tüketimi ve reel gayrisafi yurtiçi hasıla arasındaki ilişki Engle-Granger eşbütünlük testi ve hata düzeltme modeline dayalı nedensellik yöntemiyle araştırılmıştır. Yapılan eşbütünlük analizi sonucunda, değişkenler arasında eşbütünlük ilişkisi olduğu tespit edilmiş ve söz konusu iki değişkenin uzun dönemde birlikte hareket ettikleri sonucuna varılmıştır. Nedensellik testi sonucunda ise, değişkenler arasında kısa dönemde herhangi bir nedensellik ilişkisinin olmadığı tespit edilmiştir. Bununla birlikte, uzun dönem çözümlemesinde, fosil enerji tüketiminden reel GSYH değişkenine doğru tek yönlü bir nedensellik ilişkisinin olduğu sonucuna ulaşılmıştır. Bu bağlamda fosil enerji tüketiminin ekonomik büyüme açısından bir uyarıcı niteliği taşıdığı söylenebilecektir.

**Anahtar Kelimeler:** Fosil Enerji Tüketimi, Reel GSYH, ECM Yöntemi

**Jel Kodları:** Q43, E01, C22

### **Econometric Analysis of Relationship Between The Fossil Energy Consumption and The Real Gross Domestic Product in Turkey**

**ABS:** In this study, the relationship between fossil energy consumption and real gross domestic product for Turkish economy in the period of 1980-2015 was examined by Engle-Granger cointegration test and causality method based on error correction model. As a result of the cointegration analysis, it was found that there was a cointegration relation between the variables and this was the result that the two variables acted together in the long run. As a result of the causality test, it was determined that there is no causality relation between the variables in the short term. However, in the long term analysis, it was concluded that there is a one-way causality relation from the fossil energy consumption to the real GDP variable. In this context, it can be argued that fossil energy consumption has a stimulating character in terms of economic growth.

**Keywords:** Fossil Energy Consumption, real GDP, ECM method

**Jel Codes:** Q43, E01, C22



## 1. Giriş

Bir toplumun ekonomik gelişmişlik düzeyi reel GSYH' da meydana gelen değişmeye göre yorumlanmaktadır. Bu gelişmeyi belirleyen ölçütler arasında kişi başına tüketilen enerjinin de etkisi bulunmaktadır. Enerjinin üretim faktörleri açısından önemli bir girdi olmasının ve enerjiye bağımlılığın artmasının bunda önemli bir etkisi vardır. Avrupa kıtasının sanayi devrimi ile birlikte büyümesinde kara altın olarak ifade edilen fosil enerjinin etkisinin inkâr edilemediği gibi küreselleşmenin hızla yayıldığı dünyamızda enerjiye bağımlılığın hızla artması da enerjinin ülkelerin kalkınma süreçlerindeki önemini ortaya koymaktadır.

İlkel dönemlerde kas gücü ile çalı-çırpı yardımıyla enerji elde edilirken, modern dönemlerde giderek kömür, petrol, akarsular ve doğal gaz aracılığı ile enerji elde edilmeye başlandığı bilinmektedir. Enerji kaynakları doğada yenilenebilir veya tüketilebilir olmalarına, doğrudan veya dolaylı olarak üretilmelerine, üretim aşamasında kullanılan teknolojinin eski veya yeni olmasına, ticaretinin yapılabilirlik derecelerine göre farklı kategoriler altında sınıflandırılır. Birincil ve ikincil enerji kaynakları, konvansiyonel ve konvansiyonel olmayan, yenilenebilir ve yenilenemeyen ve ticari ve ticari olmayan enerji olarak sınıflandırılmaktadır (Aydın, 2014:25). Fosil enerji; birincil, konvansiyonel, yenilenemeyen ve ticari enerji kaynağıdır.

Bu çalışmada öncelikle, enerji kaynaklarından hareketle fosil enerji kaynağından bahsedilmiş fosil enerji tüketimi-büyüme ilişkisi ortaya konmaya çalışılmıştır. Daha sonra yenilenemez enerji kaynağı olan fosil enerji tüketim verileri geniş bir aralık alınarak ekonomik büyüme ile nedensellik ilişkisi ortaya konmaya çalışılmıştır. Çalışmada sonuç olarak dünya genelinde öneme sahip olan enerjinin, Türkiye özelinde etkin şekilde kullanıp kullanmadığı belirlenmektedir.

## 2. Fosil Enerji Tüketimi ve Reel Gayrisafi Yurtiçi Hasıla Üzerindeki Etkisi

Enerji günümüzde evlerde, işyerlerinde, işletmelerde ve ulaştırma gibi birçok sektörde kullanılmaktadır. Bu katkı ülkelerin ekonomik büyümelerinde artış olarak karşımıza çıkmaktadır (Yapraklı, 2013: 45). Enerjinin ülke ekonomisindeki etkisinden dolayı "Enerji Ekonomisi" kavramı karşımıza çıkmaktadır. Enerji ekonomisi, efektif talebin azaltılmasıyla mutlak enerji tüketiminin düşürülmesi olarak tanımlanmaktadır. Efektif talep, fiyat ve yönetim politikasında yapılacak değişiklikler, teknolojik gelişmeler veya tüketicilerin enerji kullanım alışkanlıklarını değiştirmeleri suretiyle düşürülebilecektir (Fidan, 2006: 58).

Sanayi devriminden sonra ekonomik büyüme ve kalkınma, enerji kullanımına artan bir oranla bağlanmıştır. Tarım ve sanayinin makineleşmesi, ulaşım yapısının giderek büyümesi daha büyük oranda enerji harcamaları gerektirmektedir. Emek kıtlığı ve yükselen ücretler ile karşılaşan sanayiciler, ekonomik nedenlerle emek yerine enerji ve sermaye ikamesi yoluna gittiklerinden, ekonomik yapının enerjiye olan bağımlılığı daha da artmıştır. 1970'li yıllardaki petrol şoklarına kadar çok düşük olan enerji fiyatları, kalkınmış ve kalkınmakta olan ülkeleri enerjiye bağımlı hale getirerek, enerji girdisini, ekonomik büyüme ve ekonomik kalkınmanın en önemli faktörü haline getirmiştir (DEKTMK, 2004).

Enerji ile ekonomik büyüme arasındaki ilişkiyi etkileyen faktörlere bakılacak olursa; enerjinin kaynak dağılımı üzerindeki etkisi, hasıla bileşimindeki değişiklikler, istihdam yapısındaki değişme, enerji ile sermaye arasındaki ilişki, enerji girdisinin bileşimindeki değişiklikler, enerji etkinliği ve teknolojik gelişme karşımıza çıkmaktadır. Enerjiye dayalı büyümenin nedenlerine bakıldığında da sanayinin üretim, istihdam ve ihracat yapısı, ülkelerin büyüme ve rekabet gücü stratejileri, verimlilik artışının kaynakları ve ekonomik krizlerin ön plana çıktığı görülmektedir (Yapraklı, 2013:110).

Literatürde enerji tüketimi ve ekonomik büyüme arasındaki ilişki hem ulusal hem uluslararası alanda birçok çalışmaya konu olmuştur. Bu ilişki iyi seviyede olmasına rağmen ilişkinin yönü hakkında hala ortak bir fikir yoktur. Enerji tüketimi ve ekonomik büyüme arasındaki ilişkilere yönelik çalışmalar Tablo 1'de gösterilmiştir.

| Başlığı   | Yazar\Yazarlar                                  | Kullanılan Model ve Veriler  | Yayımlandığı Yer   | Sonuç  |
|---|---|--|--|--|
| "Enerji ve GSMH Arasındaki Nedensel İlişki: Uluslararası Bir Karşılaştırma"   | Eden S. H. YU<br>Jai-Young CHOI<br>(1985)       | Kore, Filipinler, ABD, İngiltere, Polonya ülkeleri için 1954-1976 dönemine ait enerji tüketimi ile GSYİH arasındaki ilişkiyi Standart Granger nedensellik analiz yöntemi ile incelemiştir.         | Energy Development Dergisi   | İncelenen Kore ve Filipinlerde enerji tüketiminden GSYİH'ya doğru bir ilişki bulunmuştur. Amerika, Polonya ve İngiltere'de ise nedensellik ilişkisine rastlanılmamıştır. |
| "Enerji Girdisinin Ekonomik Büyüme Üzerindeki Etkisi: Avrupa Birliği Ülkeleri Üzerine Ampirik Bir Değerlendirme"                    | Cumhur ÇİÇEKÇİ<br>(2013)                        | Avrupa Birliğindeki 15 ülke için 1984-2005 dönemine ait birincil enerji tüketim verileri ve reel GSYİH verileri kullanılmıştır. 15 ülke için panel birim kök testi analizi yapılmıştır.            | Enerji, Ekonomi ve Ekoloji Konferansı  | Enerji kullanımındaki artış ekonomik büyümede bir artış meydana getirmektedir.   |
| "Hindistan'da Enerji Tüketimi ile Ekonomik Büyüme Arasındaki Nedensellik: Çelişen Sonuçlarla İlgili Bir Not"                        | Shyamal PAUL<br>R. N.<br>BHATTACHARYA<br>(2004) | Hindistan için 1950-1996 yılları arasındaki enerji tüketimi ve ekonomik büyüme verileri kullanarak nedensellik ilişkisi Engle-Granger eşbütünlüme ve Granger nedensellik testi ile belirlenmiştir. | Energy Economics Dergisi   | Enerji tüketimi ile ekonomik büyüme arasında iki yönlü nedenselliğin var olduğu tespit edilmiştir. Ayrıca nedensellik yönünde aymdır.                                    |
| "Türkiye'de Enerji Tüketimi, CO2 Emisyonu ve Ekonomik Büyüme Arasındaki İlişki: 1960-2013 Dönemi"                                   | Çiğdem KARIŞ<br>(2017)                          | Türkiye için 1960-2013 enerji tüketimi ve ekonomik büyüme verileri kullanılmıştır. Toda-Yamamoto nedensellik yöntemi ile ilişki belirlenmeye çalışılmıştır.  | Uluslararası Sosyal Bilimler Sempozyumu, Bildiri Kitabı  | Ekonomik büyümeden enerji tüketimine doğru tek yönlü pozitif bir ilişki bulunmuştur.   |
| "CO2 Emisyonlarının ve Yenilenebilir Enerji Tüketiminin Türkiye'de Ekonomik Büyüme Üzerindeki Etkileri: ARDL Eşbütünlüme Yaklaşımı" | Murat Can GENÇ<br>Dilek<br>TANDOĞAN (2015)      | Türkiye için 1980-2010 enerji tüketimi ve ekonomik büyüme verileri kullanılmıştır. ARDL Eş-bütünlüme yöntemi ile ilişki belirlenmeye çalışılmıştır.  | Fifth International Conference on Environmental Management, Engineering, Planning and Economics (CEMEPE 2015) and SECOTOX Conference | CO2 emisyonlarının büyüme doğru tek yönlü pozitif bir ilişkisi bulunmuştur. Yenilenebilir enerji tüketiminden büyüme tek yönlü negatif bir ilişki bulunmuştur.           |
| "Petrol Tüketiminin Türkiye'de Ekonomik Büyüme Etkisi"  | Harun TERZİ<br>Uğur Korkut<br>PATA (2016)       | Türkiye için 1974-2014 yıllarındaki petrol tüketim verileri ile büyüme verileri kullanılmıştır. Yöntem olarak; Eş-bütünlüme, Hsiao's Granger nedensellik ve VAR analizi kullanılmıştır.            | Doğuş Üniversitesi Dergisi   | Petrol tüketimi ile büyüme arasında tek yönlü ve pozitif bir ilişki bulunmuştur. İlişkinin dönemi ise kısa dönemdir.   |

|  |  |  |   |   |
|--|--|--|---|---|
| “Türkiye Ekonomisinde Enerji Tüketimi ve Ekonomik Büyüme”                          | Mehmet MUCUK<br>Doğan UYSAL<br>(2009)                            | Türkiye için 1960-2006 dönemine ait reel GSMH ve enerji tüketim verileri kullanılmıştır. Analizlerde birim kök testi, Eş-bütünleşme testi, Granger nedensellik testi ve varyans ayrıştırması kullanılmıştır. | Maliye Dergisi                                | Enerji tüketimi ile büyüme uzun dönemde birlikte hareket ettiği anlaşılmıştır. İlişki enerji tüketiminden büyümeye doğru ve pozitif yöndedir.                                     |
| “Türkiye’de Ekonomik Büyüme İle Elektrik Tüketimi İlişkisi: Sınır Testi Yaklaşımı” | Erdal KARAGÖL<br>Erman<br>ERBAYKAL<br>H.Murat<br>ERTUĞRUL (2007) | Türkiye için 1974-2004 döneminde ekonomik büyüme ile elektrik tüketimi ilişkisi incelenmiştir. Sınır testi yaklaşımı ile araştırılmıştır. Eş bütünleşme ve ARDL modeli ile analiz yapılmıştır.               | Doğuş Üniversitesi Dergisi                    | Elektrik tüketimi ile büyüme arasında kısa dönemde pozitif bir ilişki olduğu belirlenmiştir. Uzun dönemde negatiftir.   |
|                   | Bayan                            | 223     | 59,5 |
| Yaş               | 18-20                            | 191     | 50,9 |
|                   | 21-23                            | 166     | 44,3 |
|                   | 24-26                            | 18      | 4,8  |
| Bölüm             | Bankacılık ve Finans             | 240     | 64   |
|                   | Uluslararası Ticaret ve Lojistik | 135     | 36   |
| Sınıf             | 1                                | 107     | 28,5 |
|                   | 2                                | 123     | 32,8 |
|                   | 3                                | 74      | 19,7 |
|                   | 4                                | 71      | 18,9 |
| Barınılan Yer     | Devlet Yurdu                     | 299     | 79,7 |
|                   | Ev                               | 76      | 20,3 |
| Öğrenci Geliri    | 500 TL ve altı                   | 100     | 26,7 |
|                   | 500-999 TL arası                 | 244     | 65,1 |
|                   | 1.000 TL ve üzeri                | 31      | 8,3  |
| Öğrenci Harcaması | 500 TL ve altı                   | 75      | 20   |
|                   | 500 – 999 TL arası               | 232     | 61,9 |
|                   | 1.000 TL ve üzeri                | 68      | 18,1 |

Tablo 2’de görüldüğü üzere ankete katılan 375 öğrencinin; %40,5’i bay, %59,5’i ise bayandır. %64’ü Bankacılık ve Finans,%36’sıUluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde eğitim görmektedir. %28,5’i birinci,%32,8’i ikinci, %19,7’si üçüncü ve %18,9’u ise dördüncü sınıf öğrencisidir. %79,7’si devlet yurdunda, %20,3’ü evde kalmaktadır. Ankete katılan öğrencilerin; % 26,7’si 500 TL’nin altında,%65,1’i 500-999TL arasında ve %8,3’ü ise 1000 TL ve üzeri gelire sahip olduğu görülmektedir. % 20’si 500 TL’nin altında, % 61,9’u 500-999 TL arasında, %18,1’nin 1000 TL ve üzerinde harcama yaptığı görülmektedir.

#### 4.2. Toplam Tüketim Tahminleri

Çalışmamızdaki toplam tüketim tahminleri Keynesyen tüketim fonksiyonu baz alınarak yapılmıştır. Bilindiği üzere Keynesyen iktisat teorisinde tüketime ilişkin açıklamalar Keynesyen Mutlak Gelir Hipotezine dayanan tüketim fonksiyonundan hareketle yapılmaktadır (Çoban, 2009:46).

$C = C_0 + cY_d$  şeklindeki verilen bu tüketim fonksiyonunda;

C: Toplam tüketimi

$C_0$ : Otonom tüketimi

c: Marjinal tüketim eğilimi

$Y_d$ : Harcanabilir geliri göstermektedir.

Öğrencilerin *toplam tüketimleri* ile gelirleri arasındaki ilişkiyi ortaya koymak üzere tahmin ettiğimiz tüketim fonksiyonu Keynesyen tüketim fonksiyonunun notasyonları değiştirilmiş biçimi  $Y = b_0 + b_1X$  şeklindedir. Bu fonksiyonda;

Y: Toplam tüketim harcamaları

X: Gelir

$b_0$ : Otonom (gelirden bağımsız) tüketim,

$b_1$ : Marjinal tüketim eğilimidir.

Kullanacağımız ekonometrik model ise;  $Y_i = b_0 + b_1X_i + u_i$  şeklindedir.

Burada;

$Y_i$ : i’inci öğrencinin aylık tüketim harcaması,

$X_i$ : i’inci öğrencinin aylık geliri,

$u_i$ : Hata terimidir.

Tahmin sonuçlarına göre, değişen varyansın varlığı White testi ile aranmış ve F istatistiğine ait Prop değeri  $P < 0,05$  ise  $H_0$  hipotezi kabul edilerek değişen varyansın olmadığı, aksi durumda ise değişen varyansın olduğu sonucuna ulaşılmıştır ( $H_0$ : Değişen varyans yok,  $H_1$ : Değişen varyans var). Ayrıca çoklu doğrusal bağlantının varlığı Varyans Inflation Factors (VIF) ile aranmış  $VIF < 10$  ise çoklu doğrusal bağlantının olmadığı, aksi durumda ise çoklu doğrusal bağlantının olduğu sonucuna ulaşılmıştır.

Tahmin edilen *genel tüketim model* sonucu aşağıdaki gibidir;

$$Y = 90 + 0,98X$$

(t) (2,07) (39,88)

Tahmin sonuçlarına bakıldığında  $b_0$  ve  $b_1$  katsayılarının istatistiki olarak %5 önem düzeyinde anlamlı oldukları görülmektedir. Çünkü hepsinin hesaplanan t değerleri tablo değerlerinden büyüktür. Öğrencilerin toplam harcama fonksiyonu incelendiğinde otonom tüketim harcamalarının aylık 90 TL, marjinal tüketim eğilimlerinin ise 0,98 olduğu yani gelirlerindeki her 1 TL'lik artışın 98 kuruşunu (%98'ni) harcadıkları sonucuna ulaşılmıştır. Ayrıca, White testi  $P = 0,009 < 0,05$  olduğundan dolayı değişen varyansın olmadığı,  $VIF = 1 < 10$  olduğundan dolayı çoklu doğrusal bağlantının bulunmadığı tespit edilmiştir. Ayrıca modelin bir bütün olarak anlamlı olduğu sonucuna ulaşılmıştır (F istatistiğine ait prop değeri = 0000 < 0,05 olduğundan dolayı).

Çalışmada gelir-tüketim ilişkisini analiz etmek amacıyla üç ayrı model tahmin edilmiştir. İlk olarak ***cinsiyetlere göre tüketim harcamaları*** ve marjinal tüketim eğilimleri arasında bir fark olup olmadığı incelenmiştir. Bu yüzden yapay değişkenli bir tüketim fonksiyonu tahmin edilmiştir. Bu model;

$$Y_i = b_0 + b_1X_i + b_2D + b_3Z + u_i \text{ biçimindedir ve}$$

$Y_i$ : i'inci öğrencinin aylık tüketim harcaması,

$X_i$ : i'inci öğrencinin aylık geliri,

D: D = 0 erkek öğrenciler, D = 1 kız öğrenciler olarak cinsiyet yapay değişkenidir.

Z: Z = D\*X: Kız ve erkek öğrencilerin marjinal tüketim eğilimleri arasındaki farkı gösteren yapay değişkendir.

*Erkek öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E (Y_i / D = 0) = b_0 + b_1X_i + b_2(0) + b_3(X_i \cdot 0) + u_i$$

$$Y_i = b_0 + b_1X_i + u_i$$

*Kız öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E (Y_i / D = 1) = b_0 + b_1X_i + b_2(1) + b_3(X_i \cdot 1) + u_i$$

$Y_i = (b_0 + b_2) + (b_1 + b_3)X_i + u_i$  olarak elde edilir. Bu fonksiyonlarda;

$b_0$ : Erkek öğrencilerin otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$b_1$ : Erkek öğrencilerin marjinal tüketim eğilimi,

$(b_0 + b_2)$  : Kız öğrencilerin otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$(b_1 + b_3)$ : Kız öğrencilerin marjinal tüketim eğilimi,

$b_2$ : Kız ve erkek öğrencilerin tüketim fonksiyonlarının sabit terim farkı,

$b_3$ : Kız ve erkek öğrencilerin marjinal tüketim eğilimi farkını göstermektedir.

Tahmin edilen model sonucu aşağıdaki gibidir;

$$Y = 9,6 + 0,99X + 86D - 0,01Z$$

(t) (0,39) (32,4) (1,90) (-1,38)

Erkek öğrencilerin otonom tüketimleri 9,6 TL, kız öğrencilerin otonom tüketimleri ise 95,6 TL'dir (9,6+86). Erkek öğrencilerin marjinal tüketim eğilimi 0,99 (%99), kız öğrencilerin marjinal tüketim eğilimi ise 0,98 (0,99-0,01)'dir. Yani erkek öğrencilerin marjinal tüketim eğilimi, kız öğrencilerin marjinal tüketim eğiliminden 0,01 (%1) daha azdır. Ancak  $b_0$ ,  $b_2$  ve  $b_3$  katsayılarının istatistiki olarak %5 önem düzeyinde anlamlı olmadıkları (hesaplanan t değerleri tablo değerlerinden küçük olduğu için) görülmektedir. *Bu da öğrenci cinsiyetinin tüketim harcamaları üzerinde bir etkisinin olmadığını göstermektedir.* Modelin bir bütün olarak anlamlı olduğu sonucuna ulaşılmıştır (F istatistiğine ait prop değeri = 0000 < 0,05). Ayrıca, White testi  $P = 0,001 < 0,05$  olduğundan dolayı değişen varyansın olmadığı, VIF değerlerinin  $b_1, b_2$  ve  $b_3$  katsayıları için sırasıyla 1,6 – 7,8 ve 8,8 ( $VIF < 10$ ) olduğundan dolayı çoklu doğrusal bağlantının bulunmadığı tespit edilmiştir.

Çalışmada ikinci olarak öğrencilerin ***bölgelerine göre tüketim harcamaları*** ve marjinal tüketim eğilimleri arasında bir fark olup olmadığı incelenmiştir. Bunun için kullanılan yapay değişkenli model;

$$Y_i = b_0 + b_1X_i + b_2D + b_3Z + u_i \text{ biçimindedir ve}$$

$Y_i$ : i'inci öğrencinin aylık tüketim harcaması,

$X_i$ : i'inci öğrencinin aylık geliri,

D: D = 0 Uluslararası Ticaret ve Lojistik, D = 1 Bankacılık ve Finans bölüm yapay değişkenidir.

Z: Z = D\*X: Uluslararası Ticaret ve Lojistik ile Bankacılık ve Finans öğrencilerin marjinal tüketim eğilimleri arasındaki farkı gösteren yapay değişkendir.

*Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E (Y_i / D = 0) = b_0 + b_1X_i + b_2(0) + b_3(X_i \cdot 0) + u_i$$

$$Y_i = b_0 + b_1X_i + u_i$$

*Bankacılık ve Finans bölümünde okuyan öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E (Y_i / D = 1) = b_0 + b_1X_i + b_2(1) + b_3(X_i \cdot 1) + u_i$$



$Y_i = (b_0 + b_2) + (b_1 + b_3)X_i + u_i$  olarak elde edilir. Bu fonksiyonlarda;

$b_0$ : Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrenciler için otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$b_1$ : Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrenciler için marjinal tüketim eğilimi,

$(b_0 + b_2)$  Bankacılık ve Finans bölümünde okuyan öğrenciler için otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$(b_1 + b_3)$  Bankacılık ve Finans bölümünde okuyan öğrenciler için marjinal tüketim eğilimi,

$b_2$ : Bankacılık ve Finans bölümü ile Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrencilerin tüketim fonksiyonlarının sabit terim farkı,

$b_3$ : Bankacılık ve Finans bölümü ile Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrencilerin marjinal tüketim eğilimi farkını göstermektedir.

Tahmin edilen model sonucu aşağıdaki gibidir;

$$Y = 39,3 + 0,99X + 6,8D - 0,03Z$$

$$(t) (1,27) (26,8) (0,17) (-0,6)$$

Uluslararası Ticaret ve Lojistik bölümünde okuyan öğrencilerin otonom tüketimleri 39,3 TL, Bankacılık ve Finans bölümünde okuyan öğrencilerin otonom tüketimleri ise 46,1 TL'dir. Bankacılık ve Finans bölümünde okuyan öğrencilerin marjinal tüketim eğilimi diğer bölüme göre 0,03 (%3) daha azdır. Tahmin sonuçları incelendiğinde  $b_0$ ,  $b_2$  ve  $b_3$  katsayısının hesaplanan t değeri tablo değerinden küçük olduğu için istatistikî olarak %5 önem düzeyinde anlamlı olmadığı görülmektedir. Bu da öğrencilerin eğitim gördükleri bölümün tüketim harcamaları üzerinde bir etkisinin olmadığını göstermektedir. Modelin bir bütün olarak anlamlı olduğu sonucuna ulaşılmıştır (F istatistiğine ait prop değeri = 0000 < 0,05 olduğundan dolayı). Ayrıca, White testi  $P = 0,001 < 0,05$  olduğundan dolayı değişen varyansın olmadığı, VIF değerlerinin  $b_1, b_2$  ve  $b_3$  katsayıları için sırasıyla 2,2 – 7,8 ve 7,9 < 10 olduğundan dolayı çoklu doğrusal bağlantının bulunmadığı tespit edilmiştir.

Çalışmada son olarak öğrencilerin *barındıkları yerlere (ev ve yurt) göre tüketim harcamaları* ve marjinal tüketim eğilimleri arasında bir fark olup olmadığı incelenmiştir. Bunun için kullanılan yapay değişkenli model;  $Y_i = b_0 + b_1X_i + b_2D + b_3Z + u_i$  biçimindedir ve

$Y_i$ : i'inci öğrencinin aylık tüketim harcaması,

$X_i$ : i'inci öğrencinin aylık geliri,

$D$ :  $D = 0$  ev,  $D = 1$  yurt için barınılan yer yapay değişkenidir.

$Z$ :  $Z = D * X$ : Ev ve yurttan kalan öğrencilerin marjinal tüketim eğilimleri arasındaki farkı gösteren yapay değişkendir.

*Evde kalan öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E(Y_i / D = 0) = b_0 + b_1X_i + b_2(0) + b_3(X_i \cdot 0) + u_i$$

$$Y_i = b_0 + b_1X_i + u_i$$

*Yurttan kalan öğrenciler için tüketim fonksiyonu;*

$$E(Y_i / D = 1) = b_0 + b_1X_i + b_2(1) + b_3(X_i \cdot 1) + u_i$$

$Y_i = (b_0 + b_2) + (b_1 + b_3)X_i + u_i$  olarak elde edilir. Bu fonksiyonlarda;

$b_0$ : Evde kalan öğrenciler için otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$b_1$ : Evde kalan öğrenciler için marjinal tüketim eğilimi,

$(b_0 + b_2)$ : Yurttan kalan öğrenciler için otonom (gelirden bağımsız) tüketimi,

$(b_1 + b_3)$ : Yurttan kalan öğrenciler için marjinal tüketim eğilimi,

$b_2$ : Yurttan ve evde kalan öğrencilerin tüketim fonksiyonlarının sabit terim farkı,

$b_3$ : Yurttan ve evde kalan öğrencilerin marjinal tüketim eğilimi farkını göstermektedir.

Tahmin edilen model sonucu aşağıdaki gibidir;

$$Y = 116 + 0,93X - 87D + 0,05Z$$

$$(t) (2,5) (17,6) (-1,7) (0,88)$$

Evde kalan öğrencilerin otonom tüketimleri 116 TL, yurttan kalan öğrencilerin otonom tüketimleri ise 29 TL'dir. Evde kalan öğrencilerin marjinal tüketim eğilimi 0,93 (%93), yurttan kalan öğrencilerin marjinal tüketim eğilimi ise 0,98 (%98)'dir. Tahmin sonuçları incelendiğinde  $b_2$  ve  $b_3$  katsayısının hesaplanan t değeri tablo değerinden küçük olduğu için istatistikî olarak %5 önem düzeyinde anlamlı olmadığı görülmektedir. Bu da öğrencilerin barındıkları yerlerin tüketim harcamaları üzerinde bir etkisinin olmadığını göstermektedir. Modelin bir bütün olarak anlamlı olduğu sonucuna ulaşılmıştır (F istatistiğine ait prop değeri = 0000 < 0,05 olduğundan dolayı). Ayrıca, White testi  $P = 0,002 < 0,05$  olduğundan dolayı değişen varyansın olmadığı, VIF değerlerinin  $b_1, b_2$  ve  $b_3$  katsayıları için sırasıyla 4,6 – 8,1 ve 9,9 < 10 olduğundan dolayı çoklu doğrusal bağlantının bulunmadığı tespit edilmiştir.

### 4.3. Harcama gruplarına ait fonksiyonlar ve gelir esneklikleri

Harcama gruplarına ait fonksiyonlar ve gelir esneklikleri aşağıdaki tabloda verilmektedir.

**Tablo 3:** Harcama Grupları ve Gelir Esneklikleri

| Harcama Grupları      | Esneklik Değeri |
|-----------------------|-----------------|
| Haberleşme            | 0,8             |
| Barınma               | 0,2             |
| <b>Kişisel Bakım</b>  | <b>1,4</b>      |
| <b>Giyim</b>          | <b>1,3</b>      |
| Gıda                  | 0,9             |
| Eğitim                | 0,5             |
| <b>Kültür-Eğlence</b> | <b>1,5</b>      |
| Ulaşım                | 0,9             |
| <b>Şans Oyunları</b>  | <b>2,6</b>      |

Kişisel bakım, giyim, kültür-eğlence ve şans oyunları harcamalarının lüks mal, diğer harcama türlerinin ise normal mal niteliğinde olduğu sonucuna ulaşılmıştır. Dikkat çeken sonuçların başında haberleşme harcamaları gelmektedir. Daha önceleri lüks mal niteliğinde yer alan haberleşme harcamalarının artık zorunlu mal niteliğine dönüşmüş olduğu göze çarpmaktadır. Bu durumu günümüzde akıllı telefonların yaygın kullanımının (bağımlılığın yüksek olmasının) bir sonucu olarak yorumlamak mümkündür..

#### Sonuç

Çalışma, Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi Fındıklı Uygulamalı Bilimler Yüksekokulu öğrencilerinin otonom tüketimleri ile marjinal tüketim eğilimlerini tespit etmek ve harcama gruplarına ait gelir esnekliklerini tahmin etmek amacıyla yapılmıştır. Daha önce yapılmış birçok çalışmada (Tarı ve Çalışkan 2003; Tarı, Çalışkan, Bayraktar, 2006; Tarı ve Pehlivanoglu, 2007; Yayar ve Çoban, 2012) lüks mal niteliğinde yer alan haberleşme harcamalarının artık zorunlu mal ( $e = 0,8$ ) niteliğine dönüşmüş olduğu göze çarpmaktadır. Ayrıca, cinsiyet, barınılan yer ve eğitim görülen bölümün tüketim harcamaları üzerinde bir etkisinin olmadığı tespit edilmiştir.

#### Kaynakça

- Acaroğlu H., Kartal, Z. ve Güllü M. (2017), “Üniversitelerin Bölgesel Ekonomik Kalkınma Üzerindeki Etkisi: Eskişehir’in Sivrihisar İlçesi Üzerine Bir Araştırma”, Anadolu International Conference in Economics V, May 11-13, Eskişehir, Turkey.
- Aydın, A. vd. (2015), “Bandırma İktisadi ve İdari Bilimler Fakültesi’nin Bandırma Ekonomisine Katkılarının Hesaplanması: 2014 Yılı Örneği”, Dora Basım Yayın Dağıtım Ltd. Şti., Bandırma 2015
- Çayın, M. ve Özer, H. (2015), “Üniversitelerin İl Ekonomisine Katkısı ve Öğrencilerin Tüketim Yapısı Muş Alparslan Üniversitesi Örneği”, Dokuz Eylül Üniversitesi İİBF Dergisi, Cilt:30, Sayı:2
- Houthakker, H. S. (1957), “An International Comparison of Household Expenditure Patterns, Commemorating the Centenary of Engel’s Law”, *Econometrica*, Vol. 25, No. 4, pp. 532-551.
- Özer, H. (1992), *Erzurum’da Tüketim Harcamalarının Ekonometrik Analizi*, Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü (Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi), Erzurum.
- Özer, H. (1999), *Türkiye’de Hanehalkı Harcamalarının Doğrusal Harcama Sistemi Yaklaşımıyla Analizi*, Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü (Yayımlanmamış Doktora Tezi), Erzurum.
- Tarı, R., Ş. Çalışkan ve Y. Bayraktar (2006), “Kocaeli Üniversitesi Öğrencilerinin Gelir ve Tüketim İlişkisi Üzerine Ekonometrik Bir İnceleme”, *Kocaeli Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi*, Cilt 11, Sayı 1, ss. 168-179.
- Tarı, R. ve F. Pehlivanoglu (2007), “Kocaeli İlinde Tüketici Davranışlarının Gelir-Harcama Grupları İlişkisi Açısından Analizi”, *Kocaeli Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi*, Cilt 13, Sayı 1, ss. 192-210.
- Üçdoğruk, Ş. (1997), “İzmir İli Kentselinde Gıda Harcaması Gelir Elastikiyetleri”, *Hacettepe Üniversitesi İktisadi ve İdari Bilimler Fakültesi Dergisi*, Cilt 15, Sayı 1, ss. 101-123.
- Yayar, R., Karanfil, N., Şeker, H. (2017). “The Econometric Analysis of Student Expenditures: A Case Study of Amasya University”, *Business and Economics Research Journal*, Cilt: 8, Sayı: 2, ss: 167-181
- Yaylalı vd., (2006), *Üniversite Gençliğinin Gelir-Harcama Kalıpları Araştırması*, Atatürk Üniversitesi, Yayın No: 957, Erzurum.

### ციფრული ეკონომიკა - მომავლის ეკონომიკა

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული უდიდესი რევოლუცია ხდება. მსოფლიოში ეკონომისტები ეკონომიკური ზრდის მოდელირებას კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ციფრული ტექნოლოგიების ხარჯზე ახდენენ. დღეს ციფრული პროცესები გახდა არა მხოლოდ ეკონომიკის ინტეგრირებული ნაწილი, არამედ როგორც ციფრული ეკონომიკა. ფაქტობრივად, თანამედროვე ეკონომიკა ციფრულ ტექნოლოგიებს ეფუძნება, რაშიც ვგულისხმობთ: ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების ვაჭრობას, ელექტრონულ კომერციას, ციფრულ პროცესებს, ინტერნეტ საგნებს, ციფრული ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებას, ფინტექისა და ბლოკჩეინის სისტემებს და ასევე სხვა ციფრულ ეკონომიკურ აქტივობას. ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი მსოფლიოში ძალიან სწრაფია, თუმცა ეს გასაკვირი როდია, რამეთუ მსოფლიოს მძლავრი ფინანსური კრიზისის ფონზე, სამუშაო ადგილების შექმნას, საწარმოო ხარჯების მინიმიზაციას, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებას, მამასადამე ყველაზე აქტუალურ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს - სწორედ ციფრული ეკონომიკის პრინციპზე დაყრდნობით ებრძვიან. სოციალური მედია, მობილური ვებსერვისები, კომპიუტერული ქლაუდ-სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმ ფორმებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება და წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სტიმულატორს. ერთეული ორგანიზაციების, ინდუსტრიებისა ან სულაც ქვეყნების წინაშე დგას არჩევანი – გაითავისონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიკეთე თუ ზრდის ტემპი შეანელონ და არაკონკურენტულ ერთეულებად იქცნენ. რთული სათქმელია, რამდენად მიჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, თუმცა დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეკონომიკა ქვეყნების ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის თანამედროვე, უძლიერესი ინსტრუმენტია.

ციფრული ეკონომიკის პოტენციური ძალა, საჯარო და ბიზნეს სექტორს ციფრული ინოვაციების გავლენის ქვეშ აქცევს. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც მაღალია ქვეყნის ციფრული მზადყოფნა, მით უფრო სწრაფად ხდება ციფრული ეკონომიკის ფორმირება. მაღალია სარგებელი და დაჩქარებულია ეკონომიკური აქტივობა ან, პირიქით, დაბალი მზადყოფნის პირობებში ციფრული პროცესების გავლენა წარმოქმნის ახალ გამოწვევებს და ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. კვლევები ადასტურებს, რომ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ციფრული ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, 5 წელიწადში 30%-ით გაიზარდა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების რაოდენობა 5%-ით. აღსანიშნავია, რომ საწარმოების 9%, რომლებიც ციფრულ სამუშაოს ეწევა, ნაციონალური წარმოების 7%-ს ქმნის. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის „სასწაულების“ შესახებ წარმოდგენას ინტერნეტ-კომპანიების კაპიტალიზაცია ქმნის, რომელთაც (თითოეულს) იმაზე მეტი მოგება გააჩნია, ვიდრე საქართველოს ეკონომიკაა. კერძოდ: Google/Alphabet (ბაზრის კაპიტალიზაცია 510 მლრდ დოლარი), Amazon (341 მლრდ დოლარი), Facebook (340 მლრდ დოლარი), Tencent (206 მლრდ დოლარი), Alibaba (205 მლრდ დოლარი), Priceline (63 მლრდ დოლარი), Uber (63 მლრდ დოლარი), Baidu (62 მლრდ დოლარი), Ant Financial (60 მლრდ დოლარი), Salesforce (ბაზრის კაპიტალიზაცია 57 მლრდ დოლარი, 2016 წელს). 2016 წლიდან მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს, ანუ 3 მილიარდ ადამიანს აქვს წვდომა ინტერნეტთან. ეს თავისთავად გულისხმობს ცოდნის გავრცელების გამარტივებულ პროცესებს, საერთაშორისო ბაზრებზე შედწევის სიმარტივეს და ა.შ. აშშ და შვედეთი ტრენდსეტერები არიან: ბოლო რამდენიმე წელიწადში 500,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შტატებში, მობილური აპლიკაციების ინდუსტრიაში შეიქმნა. აქვე, მოდით განვიხილოთ სილიკონის ველის, როგორც ინოვაციური ეკოსისტემის ტრენდსეტერის შემთხვევა: სილიკონის ველი ქმნის სტარტაპ-ეკოსისტემას არა მხოლოდ კალიფორნიაში, არამედ აშშ-ში მთლიანად და ამას საჯარო სექტორის ფრთხილი, შერჩევითი ჩართულობის ფონზე ახორციელებს. სტენფორდის უნივერსიტეტის პოზიციონირება და მათი სამეწარმეო საქმიანობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის არსებობა პოზიტიურად აისახება სან-ფრანცისკოს ყველაზე ინოვაციურ სივრცეზე, სადაც ინოვაციური კურსდამთავრებულები ახალი იდეებით იპყრობენ სილიკონის ველს. ამასთან, კალიფორნიის

საგადასახადო სისტემა არ არის მომართული ინოვაციების ხელშეწყობასა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე, შესაბამისად, ის ჯერ კიდევ სრულყოფის პროცესშია. ძალიან საინტერესოა ციფრული ეკონომიკური სინგაპურის მაგალითზე, სადაც ქვეყნის მთავრობა უწყვეტად ეძებს შესაძლებლობებს მაღალი ტექნოლოგიების დასაწერად. ინოვაციური სტარტაპ-ეკოსისტემის ხელშეწყობისთვის სამთავრობო დონეზე შექმნილი სააგენტოები იძიებენ ინვესტორებს, ვენჩურულ კაპიტალისტებსა და მაღალტექნოლოგიურ სპეციალისტებს, რომლებიც სხვადასხვა ინდუსტრიის ციფრულ პლატფორმაზე გადაწყობას შეძლებენ. შედეგად, არსად ბიზნესის მართვა ისე მარტივი არ არის, როგორც სინგაპურში. მთავრობის აქტიური ქმედებები და სწორი პოლიტიკა სინგაპურის წარმატების განმსაზღვრელია.

ევროპის ქვეყნები ჯერ კიდევ მიმდევრის პოზიციაში არიან. ციფრული ეკონომიკის პრინციპები სრულფასოვნად, ევროპული ორგანიზაციების მხოლოდ 2%-ს აქვს დანერგილი, 41% სრულიად არაციფრულია, არ გამოიყენება ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემები, საქმის წარმოება არა ვირტუალურ, არამედ ძირითადად რეალურ დოკუმენტბრუნვაზეა დამყარებული. გადავხედოთ სტატისტიკას:

- ციფრულ ეკონომიკაში უკვე დასაქმებულია 200 მილიონი ადამიანი. 2020 წლამდე ეს რიცხვი 50%-ით გაიზრდება;

- ევროპის მასშტაბით, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავენ დამატებით 5 მილიონი ადამიანი;

- Intel-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში 19 მილიონი პროგრამისტია, მათი რიცხვი 2019 წელს 25 მილიონამდე გაიზრდება;

- 2020 წელს 50 მილიარდი უკაბელო მოწყობილობა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას;

- 2020 წელს ახალი სამუშაოს დაწყების მსურველი კანდიდატების 90% დადგება სავალდებულო მოთხოვნის წინაშე, რომ მათ უნდა იცოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;

- საერთაშორისო ორგანიზაციების 75% 2016 წლისთვის გეგმავს მასშტაბურ ინვესტირებას ციფრულ ტექნოლოგიებში. წარმოდგინეთ, რამდენ შესაძლებლობას იძლევა მაღალტექნოლოგიური სფერო ახალგაზრდებისთვის, ვისთვისაც კომპიუტერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, და ეს იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი საგანგაშო პარამეტრებს აღწევს: საბერძნეთი – 55%, ესპანეთი – 52%, ევროპის სხვა ქვეყნები – 20-22%, საქართველო – 31%. ასეთ პირობებში ციფრული ეკონომიკის განვითარება, ინოვაციების ხელშეწყობა, მაღალტექნოლოგიური სისტემების მცირე ორგანიზაციებში დანერგვაც კი შესაძლოა, სინათლის ერთადერთი სხივი იყოს გვირაბის ბოლოს.

განვითარებადი ქვეყნების ციფრული ეკონომიკის ზრდის ყოველწლიური საშუალო მაჩვენებელი 18%-ს აღწევს. განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში კი საშუალოდ 8%-ს. აღნიშნული ტენდენციის დასამკვიდრებლად ამოქმედებულია რამდენიმე გლობალური პროექტი: “ევროკავშირის ინციატივა – Digital Agenda For Europe, Europe 2020 Initiative”; “ეკონომიკური ფორუმის ინციატივა – Grand Coalition for Digital Jobs-ი და სხვა. ევროკავშირის მხრიდან იგეგმება მილიონობით ინვესტიციის განხორციელება პერსონალის გადამზადებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის, მთავარია, რომ ქვეყანას ამის სურვილი და პოტენციალი გააჩნდეს. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველო ფლობს ციფრული ეკონომიკის რესურსსა და პოტენციალს, თუმცა მის სარგებელს და პოტენციალს ვერ ითვისებს. მიზეზი მდგომარეობს ციფრულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. კერძოდ: ქვეყანაში არ ხორციელდება ციფრულ პროცესებზე ზემოქმედების ღონისძიებები; ციფრული აქტივობის ფინანსური მხარდაჭერა მცირეა. ასეთი ძალისხმევის შედეგიც უმნიშვნელოა; ფრაგმენტულია ციფრული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ღონისძიებები; მცირეა ინტერნეტ-ტექნოლოგიების შექმნის სტიმულირებისა და ციფრულ ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები; საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ხელს ვერ უწყობს ციფრული ბაზრისა და ინტერნეტ-ბიზნესის მდგრად განვითარებას; ელექტრონულ კომერციას ჩანასახშივე აფერხებს ინტერნეტ-ვაჭრობის დაბეგვრის სისტემა და დაბეგვრის ტარიფი. დღემდე, ინტერნეტის სამშობლოში, აშშ-ში, რამდენიმე შტატში ელექტრონული კომერციის გადასახადი არ მოქმედებს (ინტერნეტ-მომხმარებლისათვის). სამწუხაროდ, საქართველოში, სამომხმარებლო ინტერნეტ-პროდუქტი, რომლის ღირებულება აღემატება 300 ლარს, ექვემდებარება დაბეგვრას; ეკონომიკური დიპლომატია ვერ ქმნის ციფრული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პირობებს; მასასადამე, საქართველოში არსებული ლეგალური, ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი მნიშვნელოვანწილად აფერხებს ციფრული

ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. ევროკომისიის მიერ რეკომენდებული აქტივობების თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში, 20%-იანი ზრდა საკმაოდ რეალისტური მიზანია საქართველოსთვის. საუბარია აქტივობების 5 ძირითად მიმართულებაზე: ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების არსებობა; ციფრული ბიზნესგარემოს სტიმულირება და მხარდაჭერა; გამარტივებული წვდომა ფინანსებთან; ციფრული უნარებისა და ნიჭის მხარდაჭერა; ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება. განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერს საქართველოში ციფრული ეკონომიკის წარმატება, თუ განვიხილავთ ბერლინის მაგალითს, სადაც დაბალი საცხოვრებელი ხარჯის გამო, მაღალტექნოლოგიურ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები ემიგრირებენ. ქვეყანა მათთვის განსაკუთრებულ საგადასახადო შეღავათებს აწესებს იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტები ინოვაციურ ბიზნესს წამოიწყებენ.

როდესაც ვმსჯელობთ ციფრული ეკონომიკის შესახებ, არ შეიძლება არ ავლნიშნოთ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინიციატივა, რომელიც ციფრული ეკონომიკის განვითარებას ეხება. მან წარმოადგინა 10 ნაბიჯი, რომელიც აუცილებელია ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის: 1) დასაქმების საერთაშორისო პორტალების ხელმისაწვდომობის გაზრდა; 2) კონსულტაციების დასაქმების ქსელებში ჩართვის მიზნით გაწევა; 3) კონკრეტული ვაკანსიების პრომოცია; 4) საკომუნიკაციო კამპანია - "გაუზიარე მეტი ცოდნა"; 5) ერთობლივი აქტივობების განხორციელება დაინტერესებულ მხარეებთან ერთად; 6) ღია კარის დღეები; 7) ტრენინგები და სემინარები; 8) გადამზადება IT პროგრამირების თემებზე; 9) ციფრული ტექნოლოგიების ლაბების გახსნა; 10) ციფრული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. მათ Facebook გვერდზე დაიწყეს ინფორმაციის მოწოდება დასაქმების საერთაშორისო პორტალების შესახებ. ეს ინიციატივა ახალგაზრდების დისტანციურ დასაქმებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ციფრულ სამუშაო ადგილებზეა საუბარი. ყველა დაინტერესებულ პირს წვდომა ექნება სამუშაო ადგილებზე, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ. კადრების ტრენინგები და გადამზადებაც აქტიურად ხდება. მათი განცხადებით, ციფრული ეკონომიკა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც მომავლის ეკონომიკა. 2016 წელს მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის მაჩვენებელი 1 ტრილიონი დოლარია. სფეროში დაახლოებით 200 მილიონი ადამიანი მუშაობს. უნივერსიტეტი გამოდის ინიციატივით, რომ ამ მსოფლიო ტრენდს საქართველოც შეუერთდეს და ამის გაკეთებას, პირველ რიგში, თავად იწყებს. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ჩაატარა მასშტაბური გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულთა 91 პროცენტი თანახმაა, რომ გაიაროს გადამზადება, თუ დასაქმების პერსპექტივას დაინახავს. მათი გაანგარიშებით და მეზობელი ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, ციფრულ ეკონომიკაში დასაქმებულის საშუალო წლიური ანაზღაურება საქართველოში 68 000 ლარი იქნება.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ "გაციფრულება" არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სტარტაპების გაჩენას ბაზარზე. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. ეკონომიკური ზრდა სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას, ციფრული სამეწარმეო კულტურის არარსებობასა და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება, როგორც ჩანს სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი. ციფრული ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა და, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება.

#### ლიტერატურა:

1. <http://forbes.ge>
2. <http://bpi.ge>
3. <http://www.ipress.ge>
4. <https://idfi.ge>
5. <http://www.commersant.ge>
6. <http://www.economy.ge>
7. <http://younggreens.ge>
8. <http://www.culturedialogue.com>

*Natia Iluridze*  
*Gori State Teaching University*  
**DIGITAL ECONOMICS - ECONOMICS OF THE FUTURE**  
**ABSTRACT**

Nowadays cyber economics is recognized as economics of the future. The modern economy is based on digital technologies. Digital economics is a modern, powerful instrument for the emerging financial crisis of countries. The Studies show that the number of companies that are part of the digital economy, they are more developed. The legal, technological or human barrier in Georgia significantly hinders the possibilities for the introduction of principles of digital economy. The barriers that exist in this direction include unified education reforms, lack of digital enterprise culture and a number of regulations that are likely to be solved by active involvement of the state.

**ნესტან ლომია**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ისლამი და ფილოსოფია**

ისლამი მსოფლიო რელიგიათა შორის ყველაზე ახალგაზრდა რელიგიაა. იგი ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე, კერძოდ – ჰიჯაზში, VII საუკუნის დასაწყისში.

ისლამის ფუძემდებელი მუჰამედი მექაში დაწინაურებულ ყურაიშიანთა ტომის, ბანუ ჰაშიმის გვარის წარმომადგენელია. მუსულმანთა წმინდა წიგნი ყურანია, რომელიც არაბულ ენაზეა შესრულებული და კლასიკადაა მიჩნეული, მუსლიმთა წესით, ის არც უნდა ითარგმნებოდეს სხვა ენებზე, რადგან ჭეშმარიტი აზრი შეიძლება დაიკარგოსო.

არაბულ ილსოფიას არსებითად ისლამთან ერთად ჩაეყარა საფუძველი. პირველი მუსულმანური სპეკულაციური თეოლოგები – მუთა ზილიტები – ღმერთთან, სამყაროსა და ადამიანთან დაკავშირებული „დიადი საკითხების“ განხილვამ აზიარა ანტიკურ ფილოსოფიას. შეიქმნა ე.წ. მუსულმანური რაციონალიზმი ამ მიმართულებას დაუპირისპირდნენ ორთოდოქსული მუსულმანური თეოლოგიის წარმომადგენლები. მუთაქალიმები, რომლებიც ებრძოდნენ არაისლამურ იდეებს.

ფილოსოფიის თვალსაზრისით სულ სხვანაირად აღიქმება ყურანი. ისლამური ფილოსოფია ბერძნულის ღრმა გავლენით განვითარდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო პლატონისა და არისტოტელეს ზეგავლენა, რომელიც შემდგომ ნეოპლატონიზმში გადაიზარდა. ერთისა და მრავლობის საკითხი ისლამში დიდ ადგილს იჭერს და მისტიკოსთა ნაწერებშიც მის გარშემო ტრიალებს. თვითმყოფადი ერთისაგან („აჰადია“) წარმოსდგება მრავლობა, რომელიც ისევ ერთეულობას უბრუნდება და მასში იძირება. მისტიკოსთა შორის – როგორც ამბობს მ. ჰორტენი – დიდი მნიშვნელობა აქვს რეალიტიურ ერთებას, ანუ ქვეყნიერნი ნივთნი ჰქმნიან მხოლოდ მოჩვენებით მრავლობას, ნამდვილად კი ისინი ერთობას წარმოადგენენ, რადგან მათში პირველადი არსობა ყველასათვის თანაბარია. ყველაფერს ატარებს ერთი და იგივე არსი, რომელსაც არაბულად ეწოდება „ჰაყიყა“.

ისლამის ფილოსოფიურ სწავლებაში საიქიოს გამო სხვადასხვა შეხედულებათა, ზოგადად აღიარებულია აზრი, ქრისტიანობის გავლით, რომლის თანახმად კაცის უკანასკნელი მიზანი არის ხილვა ღმერთისა. ავიცენა (X–XII) თავის თხზულებაში „პირველი პრინციპი და უკუქცევა“, ამბობდა – ნეტარება საიქიოში არის კაცის სულის გაერთიანება მოქმედ გონებასთანო. ავერეთსის აზრით: კაცის უკანასკნელი მიზანია გაერთიანება მსოფლიო სულთანო. ალ. ფარაბი საიქიოში გვამოხირობას არ ცნობდა და მხოლოდ სულის სიცოცხლეს აღიარებდა; სუჰრავანდი წერდა ფარაბი და ავიცენა ასწავლიანო, რომ სულის

მხოლოდ წმინდა გონებრივი ნაწილი და არა გვამობრივი და მცენარეული პრინციპი, სიკვდილის შემდეგ არსებობას განაგრძობს. რაზი ფიქრობდა: სრული სულიერი ცხოვრება იწყება მას შემდეგ, რაც სული მიწიერ გვამს მოშორდება; სული იქნება საიქიოში ან ნათელის გვამსა. ალ. ფარაბი გარკვეულად ამბობდა: კაცის უკანასკნელი მიზანი არის სულის ღმერთთან გაერთიანება. სულის მიბრუნება თავის სამშობლოში. ამასვე ასწავლიდა ბაღლა და იბნ – თუფალი. რასაკვირველია, მისტიკოსთათვის უდავო რწმენა იყო: სულისა ღმერთთან გაერთიანება, სულის ჩადირვა და შთანთქმა ღმერთში გაერთიანებით.

კლასიკური არაბი ფილოსოფოსების აზრით, (ალ–ფარაბი) მიწიერ ბედნიერებას და ზეციურ ნეტარებას მიაღწევს ის, ვინც სრულყოფილ თეორიულ ცოდნას დაუკავშირებს მორალურ, ღირსეულ, ცხოვრებას და ქცევას. არამატერიალური, უხილავი ტრანსცედენტური, სულიერი სამყაროს მკვლევარი, ამბობს, რომ უმაღლესი მეცნიერება არის მეტაფიზიკის ცოდნა და მხოლოდ მორალური ქცევით გამორჩეული ადამიანი მიაღწევს იმქვეყნიურ ბედნიერებას და იმქვეყნიურ ნეტარებას – ესაა არაბ ფალსიფა–ფილოსოფოსთა მრწამსი.

არაბ ფილოსოფოსებს სწამდათ, რომ განსრულებულ ფილოსოფოსს მარტო გონების მეშვეობით და გრძნობათა ორგანოების დაუხმარებლად შეუძლია უმაღლეს სულიერ რეალობათა ხილვა. ფილოსოფოსმა უნდა მოიშოროს სხეულთან, მატერიალურ სამყაროსთან დამაკავშირებელი ჟინი, ჩვევები, ვნებები, მან უნდა გაწმინდოს თავისი სული. მაშინ მისი სული იქცევა სარკედ, რომელშიც ირეკლება ღვთაებრივი რეალობები. განსრულებული ფილოსოფოსის სული არის გულდაგულ გაკრიალებული სარკე, რომელშიც ირეკლება ღვთაებრივი რეალობები. ასეთი ადამიანი ბედნიერია მიწიერი ცხოვრების მანძილზე და სიკვდილის შემდეგ ის ცხოვრობს სულიერ სამყაროში და აღწევს სრულ ნეტარებას; მაგრამ თუ არ ცხოვრობს მორალურად, ამათა ინტელექტუალურ ბედნიერებაზე ოცნება. მიწიერ ბედნიერებას და სულიერ ნეტარებას მიაღწევს მარტო ის, ვინც უმაღლეს ცოდნას და სულიერ გაწმინდას შეუთავსებს მორალურ ღირსეულ ცხოვრებას. არაბმა ფილოსოფოსებმა აიტაცეს პლატონის იდეა, რომლის თანახმადაც საგანთა და მოვლენათა არსის მცოდნე ფილოსოფოსმა იცის, თუ რა არის სიკეთე. თეორიული ცოდნა და სიბრძნე ამათა, ეთიკის ნორმებისგარეშე. ესაა არაბული ფილოსოფიის სიბრძნე.

ფილოსოფია და რელიგია არიან ადამიანის სამყაროში ორიენტაციის ძირითადი სტრატეგიები. რელიგიისა და ფილოსოფიის მიმართების ბუნება განსაზღვრულია პავლე მოციქულის სიტყვებში: „ფილოსოფიამ მორწმუნეს უნდა მისცეს თავისი რწმენის გონივრული ახსნა“. რელიგიური გამოცხადების ჭეშმარიტება რჩეულთა, ერთეულთა ხვედრია. ადამიანთა უმრავლესობისათვის გონება არის ერთადერთი საშუალება გამოცხადების ჭეშმარიტების გაგებისა. ფილოსოფია და რელიგია თანამშრომლობენ ადამიანის ყოფიერების ნათელყოფის საქმეში და ცდილობენ პასუხი გასცენ ადამიანისათვის უმნიშვნელოვანეს კითხვებს. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია და რელიგია არის ორი განსხვავებული გზა ერთისაკენ. ეს არის აბსოლუტური მარადისობა, ყოფიერება, როგორც ჰეგელი წერდა, ფილოსოფია და რელიგია ერთიანია შინაარსით, მაგრამ განსხვავდება გადმოცემის ფორმით. ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რელიგია მოითხოვს ექსისტენციურ პრაქტიკას მორწმუნისაგან და რწმენის ინსტიტუციონალურ ობიექტივაციას.

ფილოსოფიის მიზანია ახსნას რელიგიის არსი და მისი არსებობის აუცილებლობა. ფილოსოფიას რელიგიასთან მიმართებაში აქვს კონსტრუქციული და კრიტიკული ფუნქცია. კრიტიკული ფუნქციის მეშვეობით იგი რწმენას იცავს ცრურწმენისაგან, ფანტაზიისაგან, ფუნდამენტალიზმისაგან და რწმენას უფრო გულწრფელსა და სუფთას ხდის. რაც შეეხება ფილოსოფიის კონსტრუქციულ ფუნქციას, ფილოსოფია ეძებს რელიგიის მეტაფიზიკურ საფუძველს. ფილოსოფიის მიზანია ღმერთის არსებობის დასაბუთებისათვის თეორიული არგუმენტების მოძიება და ადამიანის მიერ ღმერთის გაგების შესაძლებლობის ახსნა. ფილოსოფია იკვლევს ღვთაებრივის ამქვეყნად გამოვლენისა და არსებობის ფორმებს (საკვირველი, ბედი, განგება). ასევე ღმერთისა და სამყაროს მიმართების ფორმებს (თეიზმი, დეიზმი, პანთეიზმი). ფილოსოფია იკვლევს რწმენის გამოვლენის ფორმებს. ფილოსოფია ცდილობს გონების საშუალებებით ნათელყოს, გასაგები გახადოს ადამიანისათვის რწმენისა და ღვთაებრივის პარადოქსი, საკვირველება და ადამიანი მზად გახადოს ამ საკვირველთან და პარადოქსთან შესახვედრად.

განასხვავებენ რელიგიურ, გონივრულ და ფილოსოფიურ რწმენას რელიგიური რწმენისათვის ღმერთი მიუწევდომელია. გონივრული რწმენის ადამიანს ეუბნება – გაბედე შეიმეცნო ღმერთი. ფილოსოფიური რწმენისათვის ღმერთი გააზრების საგანია. რწმენის გონითად გადაქცევისას იგი კარგავს საკვირველის დანახვის უნარს. იგი შინაგან წინააღმდეგობაში ვარდება, აღიარებს ღმერთს, მაგრამ მას აქცევს ცოდნის საგნად და კარგავს საკვირველებას. ეს გონებას აპათიასა და გულგრილობაში აგდებს. მორწმუნეთათვის კი ყოველი ხდომილება საკვირველია, რადგან ღმერთის გამოვლენაა.

ისლამის სარწმუნოებრივ საფუძველს ე.წ. „5 ბურჯი“ შეადგენს. 1. ერთი ღმერთისა და მუჰამედის წინასწარმეტყველური მისიის აღიარება; 2. ხუთგზის ყოველდღიური ლოცვა (ასსალათი, ანუ ნაზიმი); 3. მარხვა (საუნი, ურუზა); 4. მოწყალების გაცემა (ზაქათი); 5. მოსალოცად წასვლა მექაში, სიცოცხლეში ერთხელ მაინც (ჰაჯი).

ისლამი არ არის ერთიანი რელიგია, მორწმუნეთა უმრავლესობა ტრადიციულ ისლამს – სუნიზმს აღიარებს, რომელიც სუნასა და ყურანს ემყარება. შიიტები ყურანს ქარაგმულად განმარტავენ, ხოლო სუნაში მხოლოდ იმ ხადისებს აღიარებენ, რომელიც მუჰამედის სიძის – მეოთხე ხალიფა ალის სახელს უკავშირდება, მათ აქვთ საკუთარი წმინდა გადმოცემა – ახბარი. ცნობილია, აგრეთვე მუსულმანური სექტები: ისმაილისტები, დრუიზები, ვაჰაბისტები.

ისლამში ღმერთი მოიაზრება, როგორც სამყაროს შემოქმედი, მარადიული სული, იგია პირველი და უკანასკნელი, ამასთან იგი უპიროვნო არსია. მუსულმანურ მონოთეიზმთან მჭიდროდაა დაკავშირებული აბსოლუტური მორჩილების იდეა, რომელიც ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს. ღვთის მიერ დადგენილი წესრიგისადმი უსიტყვოდ მორჩილების მოთხოვნა აისახა ყოვლისშემძლე ღმერთისა და წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ მოძღვრებაში. აბსოლუტური წინასწარგანზრახულობის იდეისა და ადამიანის თავისუფლების იდეის მომხრენი ყურანში თავისი თვალსაზრისის დადასტურებას პოულობენ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ადრეულ პერიოდში მუჰამედი და მისი მიმდევრები არისტოკრატიათა ბრძოლის დროს ნების თავისუფლებას ქადაგებდნენ, ხოლო, როცა ისლამი ოფიციალური რელიგია გახდა. წინასწარგანზრახულობის იდეა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან იდეად იქცა, რომელსაც უნდა გაემართლებინა, როგორც ახალი, ფეოდალური წყობილების, ისე საღვთო ომის (ჯიჰადი) აუცილებლობა, როგორც ღვთის ნების გამოვლენა.

ისლამი არასოდეს ყოფილა მხოლოდ რელიგია. ის უფრო ცხოვრების წესია, როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ისე სახელმწიფოებისთვის სწორ მორალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკური ქცევის ნორმების განმსაზღვრელი. „ისლამის გზა“, რომელიც მუჰამედ მოციქულის (570-632) მოძღვრებას ეფუძვნება და ყურანშია გადმოცემული, ყველა მუსლიმისათვის ღვთის გაცხადებულ სიტყვას წარმოადგენს; ხოლო სუნა (ანუ „გატკეპნილი ბილიკი“), მართლმორწმუნე მაჰმადიანთა მიერ დაცული ადათ-წესების კონა, გადმოცემით, თავად მუჰამედის ცხოვრების წესიდან იღებს სათავეს.

პარალელურად ვითარდებოდა მუსულმანური სკოლასტიკის ორთოდოქსალური, შეხედულება, რომელიც ალ-აშარის სახელთანაა დაკავშირებული და ანტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში მუთაქალიმების ტრადიციას აგრძელებს. ვითარდება აგრეთვე, მისტიკური მიმართულება სუფიზმი, რომელშიც ნეოპლატონისტურ საწყისებთან ერთად ძველი ინდური და ირანული კულტურული ელემენტებიც გვხვდება. სუფიზმთან ახლოს იდგნენ სპარსი პოეტები ომარ ხაიამი და ჯალალ-ალ დინ რუმი. ორთოდოქსალური ისლამური ფილოსოფიისა და ანტიკური კულტურის ორთაბრძოლაში ისლამის გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო ალ-ღაზალი. მან მუსულმანურ ორთოდოქსალიზმს სუფიზმიც დაუმორჩილა. XII-XIII სს-ში აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში არაორთოდოქსალური ფილოსოფიის წინააღმდეგ იქმნება ძლიერი ოპოზიცია, ფილოსოფოსებს – დევნიან, სიტყვა „ფილოსოფოსი“ სააუგო სიტყვად იქცევა.

XII ს-დან არაბული ფილოსოფიის ცენტრი დასავლეთში, არაბულ ესპანეთში ინაცვლებს. აქ პირველ დიდ ფილოსოფოსად ითვლება არისტოტელეს კომენტატორი, რაციონალისტი იბნ ბაჯი. მაჰმადიანი თეოლოგები მას ათეისტად მიიჩნევენ. იბნ ბაჯას რაციონალიზმი განავითარა იბნ ტუფაილმა, რომელმაც შექმნა დეისტური მოძრაობა ბუნებრივი რელიგიის შესახებ. დასავლეთ არაბული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელია იბნ რუშადი (ავერეოსი). იგი ანვითარებდა არისტოტელეს ფილოსოფიის მატერიალისტურ ელემენტებს და ებრძოდა რელიგიის დამცველ ალ-ღაზალის. იბნ-რუშადის მოძღვრებამ ჭეშმარიტების ორმაგი ბუნების შესახებ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია – ქრისტიანულ ფილოსოფიას, მან ასევე განიცადა ებრაული ფილოსოფიის დიდი გავლენა.

ავერეოსისათვის არისტოტელე არის წესი და ნიმუში შექმნილი ბუნების მიერ ადამიანური სრულყოფილების ძირეული მაგალითის საჩვენებლად. ამდენად არისტოტელეს სწავლება მისთვის თვით ჭეშმარიტებაა და ის ამ სწავლების გადმოცემასა და განმარტებას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, ავერეოსის აზრით, არისტოტელეს ფილოსოფია სიღრმისეულად ეთანხმება მუსულმანურ რელიგიას, მეტიც, მეცნიერული და თვალსაჩინო ხერხებით გადმოგვცემს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც რელიგია გაუნათლებელი ადამიანებისათვის გასაგები, მარტივი და პრიმიტიული ფორმით გამოხატავს. მაგრამ არისტოტელეს ძირეულ სწავლებად ავერეოსი ყოველივე არსებულის აუცილებლობას მიიჩნევს. თვით სამყაროც აუცილებელია, რადგან იგი აუცილებლადაა შექმნილი ღმერთის მიერ. ამიტომაც არ შეიძლება



მას დროში დასაბამი ჰქონდეს, ის მარადიულია. თავისი აუცილებელი ხასიათის გამო სამყარო ისეა შექმნილი, რომ ყოველივე მასში მომხდარი სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. სამყაროს წესრიგი იმგვარია, რომ ადამიანს არ ძალუძს მისი შეცვლა ან დამსხვრევა. ეს წესრიგი მართავს თვით ადამიანის ქმედებასაც, რომელსაც არავითარი ინიციატივის უნარი და თავისუფლება არ გააჩნია.

ყოფის აუცილებლობის დოქტრინის გარდაუალი დოქტრინა სამყაროს მარადიულობის შესახებ, როგორც ავიცენა, ავერჯოსიცი უშვებს სამყაროს შექმნის ფაქტს, რადგანაც სამყაროს არსებობა შესაძლებელი არსებობაა, რომელიც ღმერთის შემოქმედებითი რაობის გარეშე არ განხორციელდებოდა. მაგრამ სამყაროს შექმნაში ავერჯოსიცი ღმერთის თავისუფალ ქმედებას კი არ ხედავს, არამედ თვით ღმერთის აუცილებელ გამოვლინებას, რომელსაც როგორც ასეთს, არა აქვს დასაწყისი დროში. მას შემდეგ, რაც ღმერთი არსებობს, ანუ ab aeterno, უნდა არსებობდეს სამყაროც, რადგან ის ღმერთის აუცილებელი გამოვლინებაა.

ყოფის აუცილებლობა და სამყაროს მარადიულობა ავერჯოსიციისთვის ტიპობრივი დოქტრინებია. მესამე ასეთი დოქტრინა ინტელექტს შეეხება. ჯერ კიდევ ავერჯოსამდე მოღვაწე ფილოსოფოსებმა აღკვიდიდან ავიცენამდე ჩამოაშორეს ადამიანს აქტიური ინტელექტი და ის ღმერთს მიაკუთვნეს. ადამიანისაგან ავერჯოსიცი პოტენციურ ინტელექტსაც აცალკევებს, რომელსაც მისი წინამორბედი მოაზროვნეები ადამიანის რაციონალურ სულად აღიქმავდნენ, რადგანაც, თუ პოტენციური ინტელექტი აქტიურ ინტელექტად შეიძლება გარდაიქმნას, მასაც იგივე ბუნება უნდა ჰქონდეს. ადამიანი მხოლოდ მონაწილეობს ღვთაებრივ ინტელექტში და ამ მონაწილეობაში იღებს სათავეს საგნებიდან ინტელიგირებული ფორმების აბსტრაგირებისადმი მიდრეკილება, რომელიც აყალიბებს კონცეფციებსა და პრინციპებს, საიდანაც გამომდინარეობს ადამიანური ცოდნა. ავერჯოსიცი უბრუნდება სინათლისა და ფერების არისტოტელისეულ შედარებას და განავრცობს მას; როგორც მზე ასხივოსნებს ჰაერს და ამოქმედებს საგანთა ფერებს, აქტიური ინტელექტიც ასევე ასხივოსნებს პოტენციურ ინტელექტს და ამვარად განაწყობს ამ უკანასკნელში თანამონაწილე ადამიანის სამშვინველსა გრძობადი წარმოდგენებიდან ცნებათა და უნივერსალურ ჭეშმარიტებათა აბსტრაგირებისაკენ. ამგვარად, ინტელექტი ერთია ყველა ადამიანისათვის და განცალკევებულია მათი სამშვინველისაგან.

ავერჯოსიცი ამტკიცებდა, რომ ფილოსოფიის რელიგიური რწმენა მისი რაციონალური საქმიანობაა და რომ სარწმუნოების ამგვარი საქმიანობის შემცველია. სქოლასტიკოსებმა ამ დოქტრინას ორმაგი ჭეშმარიტების დოქტრინა უწოდეს: ერთია გონების ჭეშმარიტება, რომელსაც ადამიანი ფილოსოფიის მეშვეობით აღწევს, და მეორეა რწმენის ჭეშმარიტება, როდესაც რელიგიური ხელისუფალი აცხადებს ამ წესებს.

რელიგია – იდეათა და ქმედებათა სისტემაა, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე, რომელიც ზემოქმედებენ სამყაროზე და ადამიანის ცხოვრებაზე. კაცობრიობა იცნობს და ცნობს მსოფლიო რელიგიებს: ბუდიზმს, ქრისტიანობას, ისლამს და იუდეურ რელიგიას ებრაელებისათვის. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება დასახელებული ღმერთად, ბუდა, ქრისტე, თუ სხვა, ადამიანი ის ფენომენია, რომელსაც უნდა ჩასწვდეს და შეიმეცნოს იდეუმალი და ამაღლებული ფენომენის – რელიგიის არსი. რწმენა სუბიექტურია იმ აზრით, რომ მისი სხვებისათვის გადაცემა შეუძლებელია, მას ახასიათებს შინაგანი დარწმუნებულობა და ადამიანის შინაგან მდგომარეობას გამოხატავს. ცოდნა კი საჯარო ფენომენია. იგი ობიექტურია და მისი სხვისათვის გადაცემა შეიძლება რელიგიურ რწმენაში. მოცემული ჭეშმარიტება სხვა ხასიათისაა. იგი არ ასახავს რეალობას, არამედ გამოხატავს ჩემს სუბიექტურ მდგომარეობას და მიმართებას. რწმენაში მოცემული ცოდნის ობიექტური შემოწმება შეუძლებელია. რელიგიური რწმენა, როგორც აზროვნების წესი, არ ექვემდებარება ობიექტურ შემოწმებას და არ საჭიროებს უფრო მაღალ, უტყუარ ცოდნას დასაბუთებისათვის. ასევე მეცნიერულ ცოდნაში მოცემულია რწმენა. აქ რწმენა ვლინდება, როგორც ცოდნის სუბიექტური მოდალობა.

### ლიტერატურა:

1. ვალერიან რამიშვილი, „ფილოსოფია“, თბ., 2010.
2. ალბერტ შტეკლი, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, თბ., 1994.
3. გურამ თევზაძე, „აღორძინების ხანის ფილოსოფია“, თბ., 2008.
4. დავით თინიკაშვილი, ზურაბ ჯაში, „მსოფლიო რელიგიები“, თბ., 2013.
5. გურამ თევზაძე, „ანტიკური ფილოსოფია“, თბ., 1995.
6. გურამ თევზაძე, „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“, I ნაწილი, 1981.

7. ირაკლი ლომოური, „რას ქადაგებს რელიგია“, თბ., 2010.
8. მარიამ ცხოვრებაშვილი, გურამ თავხელიძე, „რელიგია–ისლამი“, თბ., 2013.

*Nestan Lomaia*  
*Sokhumi State University*  
**ISLAM AND PHILOSOPHY**  
**ABSTRACT**

The paper considers a question of origin and development of Islam based on the Qur'an. Historically, Islam was originated in the 7th century on the Arabian Peninsula, which spread to neighboring countries: Turkey, Iran, Central Asia and most of the Arab states.

In the paper the Islamic Golden Age is marked the period when the scientists contributed invaluable contributions to the development of philosophy, such as Al-Qind, Al-Farabi, Avicenna, and Averroes.

At the end of the paper it is analyzed and explained the aim of philosophy, the essence of religion and the necessity of its existence. Philosophy wishes to explain and substantiate to the person the possibility of man and supernatural power which may be a way to faith, but not faith.

**თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე**  
 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ციფრული რეკლამირების ინოვაციური მეთოდების გამოყენების მექანიზმები საქართველოში  
 კონკურენტუნარიანი ბიზნესის ფუნქციონირებისათვის**

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა ციფრული მარკეტინგული კომუნიკაციის როლი. საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესის ფუნქციონირებისათვის აქტუალურია ციფრული რეკლამირების ინოვაციური მეთოდების სწორი და ეფექტური გამოყენება კომპანიის იმიჯის შექმნის, ბიზნესის განვითარებისა და წარმოების, ბრენდის ფორმულირების დროს.

რეკლამა პროდუქტის საზოგადოებამდე მიტანის ერთ-ერთი ფორმაა - მწარმოებელი ყოველთვის დაინტერესებულია, თავისი პროდუქტი მიიტანოს მომხმარებელამდე, რაც საკმაოდ რთულია. რადგან მომხმარებელი, როგორც წესი, ახალს ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს. ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა რეკლამის არსი ასე ჩამოაყალიბა: - „რეკლამა ეს არის ხელოვნება, დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“.

საქართველოში სარეკლამო საქმიანობა კანონითაა ნებადართული. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონის მიზანია სარეკლამო ბაზარზე კონკურენციის განვითარება, დაინტერესებულ მხარეთა უფლებების დაცვა და არასათანადო რეკლამების თავიდან აცილება. 102-ე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი რეკლამას შემდეგნაირად განმარტავს: „...საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში - საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების,

საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“.<sup>1</sup>

ინტერნეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ძალიან სწრაფად იზრდება ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კომპიუტერთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ტელევიზორთან და ეს შეუქცევადი პროცესია. საქართველოში ყოველ წელს ინტერნეტის აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა მინიმუმ 50%-ით იზრდება.

ინფორმაციის ინტერნეტის საშუალებით ოპერატიული გავრცელების გზით ხდება შეხედულების ფორმირება კომპანიაზე, ბრენდებზე, საქონელზე. კომერციული მიზნებით ამ შეხედულებაზე ზემოქმედება შესაძლებელია და საჭიროა. მარკეტინგული საქმიანობა – Social Media Marketing მიმართულია მომხმარებლის ლოიალურობის გაზრდაზე სოციალურ ქსელებში, ბლოგებსა და ფორუმებზე მუშაობის გზით. იმ ფონზე, როცა ტელევიზია კვლავაც ყველაზე გავლენიანი მედია საშუალებაა, ინტერნეტრეკლამაზე დანახარჯები სულ უფრო სწრაფად იზრდება, შესაბამისად რეკლამა ინტერნეტში დღითიდღე უფრო ეფექტური ხდება. ის საშუალებას იძლევა მივაწვდინოთ ხმა ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომელთა ყურადღების მიპყრობა სხვა საშუალებებით რთული და ძვირია. ინტერნეტში განსათავსებელი რეკლამის ფასები სხვადასხვა საიტზე განსხვავებულია და დამოკიდებულია: საიტის პოპულარობაზე, რეკლამის სახეობაზე (ვიდეორეკლამა, საბანერო რეკლამა, კონტექსტური რეკლამა). რეკლამების ფასები და ეფექტურობა განისაზღვრება მისი „ნახვების“ რაოდენობით. ძალიან სწრაფად იზრდება იმ ადამიანებთა რაოდენობა, რომლებიც კომპიუტერთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ტელევიზორთან და ეს შეუქცევადი პროცესია. ამდენად, ინტერნეტ რეკლამა საუკეთესო ვარიანტია ამა თუ იმ პროდუქციის გასაყიდად.

ინტერნეტრეკლამის მთავარი უპირატესობაა შესაბამისი ინტერესების მქონე მომხმარებლების მოძიება და მათთან პირდაპირი წვდომა. ამჟამად ბაზარზე ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს რეკლამა "google"-სა და "facebooke"-ში. ბილ გეტსს თუ ვენდობით: – „თუ თქვენი ბიზნესი არ არის ინტერნეტში, ესე იგი, თქვენ არ ხართ ბიზნესში“. Zenith Optimedia-ს ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, 2017 წელს ინტერნეტრეკლამამ შესაძლოა, პირველად გადაუსწროს სატელევიზიო რეკლამას ბიუჯეტით. კომპანიის წინა კვლევის მიხედვით, ინტერნეტრეკლამა სატელევიზიო რეკლამას 2018 წელს გადაუსწრებდა.<sup>2</sup>

შესაბამისად, ინტერნეტრეკლამა თანამედროვეობის წამყვანი ტრენდი ხდება. როგორც წესი, როდესაც მსოფლიოში რაიმე ტენდენცია შეინიშნება, საქართველოშიც გვიან, მაგრამ იმავე ტემპით ვითარდება. ცალსახად შეინიშნება ტენდენცია, რომ სატელევიზიო რეკლამა აღარ არის დამაკმაყოფილი მომხმარებლისთვის და შესაბამის შედეგებსაც არ იძლევა. ინტერნეტ რეკლამაში იმავე ბიუჯეტს დახარჯვის შემთხვევაში კი მიღებული ეფექტი გაცილებით უფრო დიდია. დღევანდელი საზოგადოება დიდ დროს ატარებს ინტერნეტში და ნაკლებს ტელევიზორებთან. დღეს კომპიუტერებისა და გაჯეტების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენილია. შესაბამისად, სარეკლამო ბაზარიც ამ მიმართულებით ვითარდება. ამას ემატება სხვადასხვა საშუალებებით რეკლამის გადახვევის ფუნქციაც. ამ ფონზე ცალსახად იზრდება ინტერნეტ რეკლამებიდან მიღებული შედეგები და, რაღა თქმა უნდა, შემოსავლებიც.

ყველაფერთან ერთად არსებობს პრობლემებიც, ინტერნეტმარკეტინგის დიდი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ინტერნეტ მომხმარებლებს აღიზიანებთ ინტერნეტ რეკლამების გამოჩენა. რაც უფრო მეტია ასეთი რეკლამა, მით უფრო ღიზიანდებიან მომხმარებლები. გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ინტერნეტმომხმარებელთა 92% პროცენტი მზად არის გამოიყენოს ინტერნეტრეკლამის მბლოკავი პროგრამები.

ინტერნეტრეკლამაზე მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, ახლო მომავალში მისი ოდენობა ინტერნეტსივრცეში არა თუ შემცირდება, არამედ მოიმატებს, რაც შედეგად უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევს მომხმარებელში, თუმცა, მეორე მხრივ, თუ რეკლამა განსხვავებულია და ხიბლავს ადამიანთა დიდ მასებს, ასეთ რეკლამას პოზიტიური შედეგი გარანტირებული ექნება.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მუდმივად მზარდია. ინტერნეტ-რეკლამა მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც, ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეკლამის სახეობაა. საიტის ხასიათი და შინაარსი ადვილად განსაზღვრავს მის მიზნობრივ აუდიტორიას, რომელიც ასაკობრივადაც და ინტერესებითაც ძალიან განსხვავებულია. საქართველოში ინტერნეტ-ბაზრის

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, 102 მუხლი 2 (II)

<sup>2</sup> <https://bpn.ge/teqnologiebi/2572-internet-reklama>

თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელთა უმეტესობა საიტებს სამსახურიდან ეცნობა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჩვენთან მომხმარებლის მინიმუმ 70-80% დასაქმებულია. ეს კი ინტერნეტში რეკლამის დამკვეთს დიდ უპირატესობას ანიჭებს, რადგან ეს აუდიტორია მათი პროდუქტის ან მომსახურების პოტენციური მყიდველია.

არსებული ტენდენციის თანახმად, სულ უფრო მეტი ბიზნესი ხდება ინტერნეტზე დამოკიდებული. არიან ისეთი ბიზნესებიც, რომლებიც მთლიანად ინტერნეტს იყენებენ გადაყვანილი.<sup>1</sup> წარმატებული ბიზნესისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ინტერნეტში დამკვიდრება, თუ კომპანია ვერ მონახავს ნიშას ინტერნეტში, იქ იქნებიან მისი კონკურენტები, რომლებიც სრულიად მოემსახურებიან ინტერნეტს იყენებულ მომავალი კლიენტების ნაკადს. ეს ნაკადი კი სულ უფრო იზრდება.

ნებისმიერი კომპანიის ინტერნეტში წარმოჩენის საფუძველია ეფექტური ვებსაიტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად ელემენტებსა და პრინციპებს:

მიზიდველი საიტის დიზაინი – რა ფუნქციების და სირთულისაც არ უნდა იყოს საიტი, მას უნდა გააჩნდეს ეფექტური დიზაინი, სწორედ ვიზუალურ ექსპრესიას მომხმარებელს პირველად შთაბეჭდილება კომპანიისა და მისი პროდუქტის შესახებ. საიტის დიზაინი, ფერებითა და სპეც-ეფექტებით უნდა ასოცირდებოდეს კომპანიის ბრენდთან;

მობილურ ხელსაწყოებთან ადაპტირებულობა – საიტი უნდა იყოს სწრაფი და ადაპტირებული ნებისმიერ მობილურ ტელეფონთან, პლანშეტთან და სხვა ტიპის ხელსაწყოებთან. ამის მიზეზი მობილური ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებაა, შესაბამისად მობილური მოწყობილობების მომხმარებლების რიცხვი უკვე აჭარბებს კომპიუტერული მონიტორით მოსარგებლე პირთა რაოდენობას;

საიტის მასალები – საიტის მასალები უნდა იყოს საინტერესო წასაკითხი, ადვილად აღქმადი და არ უნდა შეიცავდეს გრამატიკულ/ენობრივ ხარვეზებს;

ინფორმაციულობა – თქვენ რომ იყოთ მომხმარებელი რა შეკითხვები გაგიჩნდებოდათ? მნიშვნელოვანია, რომ საიტზე განსაზღვრული იყოს რაც შეიძლება მეტი ასეთი შეკითხვის პასუხი;

საკონტაქტო მონაცემები – საიტის მომხმარებელს უნდა გააჩნდეს დაუყოვნებლივი წვდომა თქვენს საკონტაქტო მონაცემებთან, რამდენიმე წამის დაგვიანება და მან შეიძლება საერთოდ გადაიფიქროს დაკონტაქტება.

ქართველ ინტერნეტმომხმარებელთა უმეტესობა ეძებს პროდუქტს/მომსახურებას გუგლის საძიებო სისტემაში. იმისათვის, რომ გუგლის საძიებო სისტემაში კომპანიის საიტი შესთავაზოს იმ მომხმარებელს, რომელიც ეძებს შემოთავაზებულ პროდუქტს/მომსახურებას საჭიროა საიტის ოპტიმიზაცია და სწორი კონტენტ-მარკეტინგის განხორციელება. ამასთან, საჭიროა მაღალი ხარისხისა ფოტო-ვიდეო მასალა, მეტი მომხმარებლის მოზიდვისა და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებისთვის. ნებისმიერ ფოტო-ვიდეო მასალას უნდა გააჩნდეს ბრენდირებული დიზაინი და შესაბამისად უნდა ასოცირდებოდეს კომპანიის ბრენდთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების დაცვა, დაუშვებელია ისეთი ფოტო-ვიდეო მასალის გამოყენება, რომელზეც კომპანიას ნებართვა არ გააჩნია.

ციფრული მარკეტინგის როლი ბიზნესში უაღრესად დიდია, რომ წარმოვიდგინოთ მასშტაბურობა, ფეისბუქის, Youtube-ისა და გუგლის საერთო სარეკლამო შემოსავლები აღემატება ერთად აღებული მთელი მსოფლიოს ჟურნალების, გაზეთებისა და ტელევიზიით მიღებულ სარეკლამო შემოსავლებს. საქართველოც არ ჩამორჩება აღნიშნულ ტენდენციებს, სოციალური მედია საკმაოდ დიდ ნაწილს იკავებს ქვეყნის მთლიანი სარეკლამო ბაზრის წილში. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფეისბუქი და ინსტაგრამი, ასევე მზარდი პოპულარობა გააჩნია Pinterest-ს.<sup>2</sup>

ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები გვამლევენ მომხმარებლებთან კომუნიკაციის მრავალმხრივ შესაძლებლობას, თუმცა ხშირად კომპანიები, მაინც ვერ ახერხებენ მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციას, რასაც პოტენციური კლიენტების დაკარგვა მოყვება შედეგად. ამდენად, მომხმარებელთა კომუნიკაციისას, მთავარი არის პასუხის დროულად და პოზიტიურად მიწოდება.

ტრადიციულთან შედარებით ციფრული რეკლამირების ინოვაციურ მეთოდებს რამდენიმე ცალსახა უპირატესობა აქვს: გაცილებით უფრო ხარჯეფექტურია, საშუალებას იძლევა, ფოკუსირება გაკეთდეს კონკრეტულ სეგმენტზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდოს კომპანიის პროდუქტიულობა, ადვილია შედეგების დათვლა და ანალიზის გაკეთება. ინტერნეტის შემთხვევაში

<sup>1</sup> დ. ვაშაყმაძე: ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ - „რეკლამის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ #1-2, 2015

<sup>2</sup> <http://www.itdc.ge/index.php?sec-id=18&lang-id=GEO>

რეკლამის დამკვეთს ხელი მიუწვდება უფრო ზუსტ სტატისტიკაზე: კონკრეტულად როდის და რამდენმა ადამიანმა ნახა მისი რეკლამა.

აქტუალურია სოციალურ ქსელებში ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც მომხმარებელს შესთავაზებს რეკლამას მისი პროფილისა და ქცევის საფუძველზე. ამასთან, ისეთი დიზაინთა და კონტენტით, რომელიც სხვებისგან გამორჩეული და პოზიტიურად აღქმადი იქნება. ამისათვის აუცილებელია ამ პროცესში პროფესიონალი დიზაინერების, ანალიტიკოსებისა და ფსიქოლოგების ჩართულობა.

ჩვენს ქვეყანაში ციფრული რეკლამირების ინოვაციური მეთოდების დანერგვისათვის სულ უფრო მობილური გარემო იქმნება. "პალიტრა მედიის" ორგანიზებით სარეკლამო სფეროს წარმომადგენლებისთვის გაიმართა ვორქშოპი, სახელად "ციფრული რეკლამირების ინოვაციური მეთოდები". დონისძიებაზე, რომელიც "სილიკონ ველი თბილისის" სამუშაო სივრცეში მოეწყო, ციფრული მარკეტინგის ახალ შესაძლებლობებზე, ქართული ბაზრისთვის ინოვაციურ პროგრამა Ad Ocean-ზე ისაუბრეს. პროგრამა ქართულ ბაზარზე "პალიტრა მედიას" შემოაქვს და ამიერიდან ონლაინრეკლამა უფრო მარტივი, მოსახერხებელი და ეფექტური გახდება. ციფრული მარკეტინგის წარმოების ერთ-ერთი წარმატებული პროგრამაა Ad Ocean, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბიზნესებს სწორი მარკეტინგული კამპანიის წარმოებასა და ეფექტურობის ზრდაში ეხმარება. ის არის რეკლამის განთავსების მოწინავე ინსტრუმენტი ვებსივრცეში. სწორედ ამ პროგრამას ნერგავს ქართულ სარეკლამო ბაზარზე "პალიტრა მედია."

ვორქშოფს 100-მდე ბიზნეს კომპანიის მარკეტინგის მენეჯერები და სარეკლამო ინდუსტრიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, როგორც აღნიშნეს, შეთავაზება საინტერესო იყო და მისი საქართველოში დანერგვა კომპანიებს ეფექტურად რეკლამირებაში დაეხმარება.

"ძალიან საინტერესო არის Gemius-ის პლატფორმა Ad Ocean. სარეკლამო ბანერებთან დაკავშირებული საკმაოდ ბევრი საინტერესო შეთავაზება აქვს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. სიახლე სტანდარტულ ბანერებთან შედარებით ბევრად უფრო ეფექტურია. ვთვლი, რომ ეს კომპანიებისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რადგან მომხმარებლებს შეუძლიათ მათი რეკლამა, მათი ბანერები სხვებისგან გამოკვეთილად იხილონ," - აღნიშნა "ხალიკ ბანკი საქართველოს" მარკეტინგის მენეჯერმა თემო ბაბუნაშვილმა. Ad Ocean ქართველი მომხმარებლებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი.<sup>1</sup>

ხელოვნური ინტელექტისა და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით განვითარებისა და წარმატების შანსები აქვთ კომპანიებს, რომლებიც დროულად მონახავენ საკუთარ ნიშას ვირტუალურ სამყაროში, ხოლო ისინი, რომლებიც ამას ვერ მოახერხებენ, გაქრებიან ასპარეზიდან. დღეისათვის საქართველოში ციფრული რეკლამირების როლი უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად, მეტი სამოქმედო ასპარეზია ინოვაციური მეთოდების დანერგვისთვის, რომელიც მომავალში მეტი წარმატების განმაპირობებელი იქნება.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, 102, მუხლი 2 (II)
2. [http://www.itdc.ge/index.php?sec\\_id=18&lang\\_id=GEO](http://www.itdc.ge/index.php?sec_id=18&lang_id=GEO)
3. <https://bnp.ge/ad-info/22689-internet-reklama-vs-satelevizio-reklama.html?lang=ka-GE>
4. <https://bnp.ge/teqnologiebi/2572-internet-reklama>
5. დ. ვაშაყმაძე: ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ - „რეკლამის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ #1-2, 2015.

<sup>1</sup> <https://bnp.ge/ad-info/22689-internet-reklama-vs-satelevizio-reklama.html?lang=ka-GE>

*Tamar Makasarashvili, Lia Nadiradze*

*Gori State Teaching University*

**MECHANISMS OF USING INNOVATION METHODS OF DIGITAL ADVERTISING IN  
GEORGIA FOR THE FUNCTIONING OF COMPETITIVE BUSINESS  
ABSTRACT**

Proper and efficient use of digital advertising innovative methods is actual for the purpose of establishing competitive business, creating the company's image, as well as for business development and production in Georgia.

Innovative methods of digital advertising have some unambiguous advantages: it is much more expensive to enable, focus on the specific segment and thus significantly increase the productivity of the campaign, it is easy to calculate and analyze the results: an advertiser has access to more accurate statistics, especially when and how many people have seen his advertisement.

It is actual to introduce the innovative technologies in social networks, which are offered by the customers on the basis of their profile and behavior. In addition, the design and content should be distinguished and positive from others. In this process it is necessary to involve professional designers, analysts and psychologists.

The companies, which find their niche in the virtual world in time, have chances of success and those who cannot do it, will disappear from the field. Nowadays, the role of digital advertising in Georgia is far lower than in developed countries, therefore there are more operational aspects of innovative methods, which will be more successful in the future.

**ნესტან მამუჭაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის  
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

**ბეჟა (ფარნა) ჩილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი,  
რედაქტორი და მწერალი**

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული თვითმყოფადობისათვის. ამ ბრძოლაში იცავდა და ქმნიდა საკუთარ მატერიალურ და სულიერ კულტურას. თავდადებით იგერიებდა მტერს ერთიანი საქართველოს საიმედო ფარი, მისი კარიბჭის დარაჯი - სამხრეთი საქართველო.

1453 წელს, კონსტანტინოპოლის დამორჩილების შემდეგ, ოსმალთა დამპყრობლებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, მესხეთში, იგივე სამცხე-საათაბაგოში. 1595 წელს იგი აღწერეს და შეადგინეს გადასახლების წიგნი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, რომლის შედეგად ამ მხარეში დასრულდა ქართული მიწათმფლობელობა. ამის შესაბამისად მოაწყვეს მხარის მართვაც, მას „გურჯისტანის ვილაეთი“ ე. ი. „საქართველოს პროვინცია“ უწოდეს და რვა „სანჯაყად“ ანუ „ვილაად“ („სადროშოდ“) დაყვეს.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა, რომლის ერთ-ერთ ფრონტს აჭარა-ქობულეთი და ყარსი-არტაანი წარმოადგენდა. იმდროინდელი ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა ომის მიმდინარეობას. „დროებისა“ და „ივერიის“ დიდი ნაწილი სწორედ ამ მასალებს ეთმობოდა. ყველაფერი გაკეთდა აჭარა-ჭანეთის მიტაცებული მიწა-წყლის დედასამშობლოსთვის შემოსამტკიცებლად.

“დაბრუნებულ მიწა-წყალზე ცხოვრება ისე არ წარიმართა, როგორც ამაზე დიდი ილია ოცნებობდა. ქართველი ხალხი მთალიანად როდი იყო ამაღლებული ერისკაცად. ქართველებს შორისაც იყვნენ ვიწრო ნაჭუჭში გამომწყვდეული კაცუნები. მათ აღმაცერად დაუწყეს ცქერა მუსლიმან ძმებს. “თათარი” დაუმახეს იმ ქართველს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის “გურჯი” ერქვა, “თათარი” ოსმალებსაც კი არ შეურქმევიათ. ამ ხნის განმავლობაში ქართული იყო მისი “ნენეს ენა”... რუს მოხელებსაც ეს უნდოდათ, გააჩარეს აგიტაცია-პროპაგანდა:

– თქვენ თათრები ხართ და სათათრეში გადასახლდეთ გირჩევნიათო”. ამასვე აკეთებდნენ ოსმალეთის იმპერიის ემისრებიც” (ფუტკარაძე 1993:14).

მაჰმადიანი ქართველების გადასახლების – მუჰაჯირობის (“მუჰაჯირი” არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წასვლას) ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ხალხი გადაესახლებინა ოსმალეთში.

ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება – დაებრუნებინათ სულთნის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, საბოლოოდ დასრულდა აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნებითა და ბათუმის ჭეშმარიტად ქართულ ქალაქად გადაქცევით, მაგრამ ამ სიხარულს სევდაც ახლდა, რადგან ათასობით ჩვენი მემამულე საზღვარს იქით დარჩა.

მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები, ჩვენებურები, დღესაც ცხოვრობენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. უმეტესმა მათგანმა მოახერხა და შეინარჩუნა მშობლიური ენა. სარწმუნეობის შეცვლის მიუხედავად, ისინი ჭეშმარიტ ქართველებად დარჩნენ. ისინი იქ, სხვა ქვეყანაში ქართველობენ და განადიდებენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. მართალია, ბევრის წინაპარმა საქართველოშივე უარყო ქრისტიანობა, მაგრამ ქართველობა მათში გენეტიკური კოდივით დევს. გადასახლებულები კომპაქტურად სახლდებოდნენ, ქართულ სოფლებს ქმნიდნენ და ენას უვლიდნენ. ეს ხომ „ჩვენებურთა გადარჩენილი ჩვენებურობაა.” (ხალვაში 2007:181)

სწორედ ერთ-ერთი მათგანია ბექა-ფარნა ჩილაშვილი (ფაჰრეთთინ ჩილოღლუ). ცივი თურქეთის ქართულ სოფელში აღიზარდა, უფრო მოგვიანებით ისტორიული სამშობლოს სიყვარულმა გადააწყვეტინა ლიტერატურული ქართულის შესწავლა და მრავალი ჭეშმარიტი ქართული საქმის სულისჩამდგმელიც გახდა.

ფაჰრეთინ ჩილოღლუმ შეკრიბა თურქეთში მოღვაწე ქართველი პოეტების შემოქმედება, შექმნა მინიანთოლოგია და მას “ცხელი სევდა” უწოდა.

ფაჰრეთინ ჩილოღლუ ორიგინალური ხედვის პოეტია. იგი ზოგჯერ, თითქოს ამქვეყნიურ საზღვრებში ვერჩატეული, ირეალური სამყაროსაკენ იხედება იმედის თვალით. გარდა მისი ორიგინალური ლექსებისა, არაერთი კარგი ქართველი მწერლისა თუ პოეტის ნაწარმოები თარგმნა თურქულად, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წავგიყვანდა (გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ ჭილაძე, ეკა ბაქრაძე. სხვადასხვა თაობის ეს პოეტები ერთად შეკრიბა).

ჩვენებურ ფარნა ჩილაშვილს უყვარს სამშობლო, ეამაყება, რომ გურჯისტანიდანაა... ფიქრობს მავთულხლართით ჩაკეტილ საზღვარზე. სწორედ საზღვარს მიღმა დარჩენილი ქართველის უსაზღვრო ფიქრებია გადმოცემული მისივე მოთხრობების კრებულში “სასაზღვრო ფიქრები”. ფიქრები სამშობლოზე უსაზღვროა... მშობლიური კუთხის ღირსეულად წარმოჩენაა სწორედ ორენოვანი ჟურნალის რედაქტორის უმნიშვნელოვანესი მისია...

“უცხო ცის ქვეშ თითქოს ყველაფერი უცხოა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერი გვეუცხოება. ამ ცის ქვეშ მოვდივართ და მივდივართ ისე, რომ არაფერს ვითხოვთ. მარტო პირველი სიყვარული მიგვყვება თან...” (ჩილოღლუ 2009:3).

...ეს პირველი სიყვარული მშობლიური ფესვების სიყვარულია, რომელიც ქართულად აწერინებს მას. “ჩემთვის ქართული იდენტურობა ძალზედ მნიშვნელოვანია. ის ამავედროულად მანიჭებს კუთვნილების შეგრძნებას, რომელსაც ჩემი ბავშვობის უდიდესი ნაწილი შეადგენს. ვიყო ქართველი, ეს არის შეგრძნება, შეგნება იმისა, რომ გამაჩნია საკუთარი “მე”, რომელიც ისტორიულად მერგო. მართალია ამ საზოგადოებაში ვცხოვრობ არა მარტო ამ იდენტურობით, არამედ მე ვხედავ საკუთარ თავს ორმაგი იდენტობით, ორი ენითა და ორი კულტურით. სანამ ამა თუ იმ საზოგადოებაში ვიღაცის განსხვავებულობის მიზეზი არ გამოიწვევს აგრესიას, მანამ მაქვს უპირატესობა მეორე “მეს” ქონებისა. ის, რაც ჩვენ გვქმნის და რასაც თავად ვაკეთებთ, არის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ სხვათაგან გამოგვარჩევს. ასეთი ხედვა განმასხვავებს მე ჩემი ქართული წარმომავლობით საზოგადოების სხვა წევრთაგან. მიმაჩნია, ეს არის საინტერესო გამოცდილება იმისა, რომ ხარ ნაწილი ამ საზოგადოებისა, და

თან სწორედ ეს საზოგადოება მინარჩუნებს ჩემს ინდივიდუალურობას. ის, რომ იმ გარემოცვაში, რომელიც სრულიად არ გახლავთ ჩემთვის უცხო, იცხოვრო როგორც “უცხომ”, არის ამ გამოცდილების ამოსავალი წერტილი”. – აცხადებს ბექა-ფარნა ჩილაშვილი გერმანელი ჟურნალისტის კონსტანცე ლეჩისადმი მიცემულ ინტერვიუში.

პროფესიით ჟურნალისტის პუბლიცისტური საქმიანობა თავდაპირველად ჟურნალ “ჩვენებურებში” დაიწყო. ეს ჟურნალი 70-იან წლებში დააარსა უცხოეში მოღვაწე შარვან აქინმა (შალვა თევზაძე) და ყველასათვის ცნობილმა აკმედ მოლაშვილმა, რომლის მკვლევლობამაც ცამეტი წელი შეაფერხა გამოცემა. აღდგენილი “ჩვენებურები” ფაქრეთინ ჩილოღლუმ 1993 წელს ნური მერჯანს (ოთარ იმედაშვილი), იბერია იმედაშვილსა და მუსტაფა იაკუთს (გურამ ხიმშიაშვილი) დაუტოვა, თვითონ კი ახალი ჟურნალის – “მამული” გამოცემა დაიწყო. მართალია ჟურნალის ყდა ქართულ და თურქულ ენებზეა გაფორმებული, იგი ძირითადად თურქულენოვანი იყო, თუმცა მთავარი მისთვის მაინც საზღვარსაქეთ დარჩენილთა ყოფისა და კულტურის ასახვა გახლდათ. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ჟურნალში ქართულ ენაზეც იბეჭდებოდა. მაგალითად 1997 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია თამაზ და ოთარ ჭილაძეების ლექსები ქართულ და თურქულ ენებზე (ფარნა ჩილაშვილის თარგმანი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიის სათაური მართალია თურქული ასოებითაა, მაგრამ სიტყვები ქართულია: „ჩვენი თამაზი და ოთარი“. ამავე ჟურნალის მეორე ნომერი კი საზოგადოებას ამცნობს, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთათვის ფაქრეთინ ჩილოღლუს მიერ იქნა გამოცემული „დედა ენა“, რაზეც თურქეთში მცხოვრებ მრავალ ქართველს ადრე ოცნებაც კი არ შეეძლო. „მამული“, როგორც გამოცემილები ამბობენ, კულტურული ჟურნალი გახლდათ და მართლაც მთელი კოლექტივი ცდილობდა სრულყოფილად აღეწერათ ქართველთა და არა მარტო ქართველთა, კავკასიის ხალხთა ცხოვრებაც, მაგრამ უსახსხრობის გამო ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა და დაიხურა. თითქმის ათი წლის შემდეგ მოახერხა ფარნა ჩილაშვილმა და აღადგინა ჟურნალის გამოცემა, ოღონდ სხვა სახელითა და ფორმატით.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა. თავისი საქმიანობა ამით არ შეუწყვეტია ახალგაზრდა მწერალს. თურქეთის პრესტიჟულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები საქართველოს, ქართული ლიტერატურის შესახებ. ცალკე წიგნად გამოიცა მისი ნაშრომი სათაურით “ეთნიკური დაპირისპირებები რუსეთის ფედერაციასა და ამიერკავკასიაში”. ფასდაუდებელია მისი ნაშრომი “საქართველოს ისტორია”, რომელიც თურქულენოვან მკითხველს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ. ეს წიგნი იმ ქართველებსაც შეეხება, რომლებიც დიდი ხნის წინათ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს და სხვა ქვეყნებში გადახვეწილებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა და ქართველობა.

ფაქრეთინ ჩილოღლუ ჟურნალ “ფიროსმანის” რედაქტორი და პუბლიცისტი გახლდათ, რომელიც 2007 წლის მაისიდან გამოდიოდა. ჟურნალი ორენოვანია – თურქულ-ქართული.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით არის სავსე თითოეული ნომრის დასაწყისში მოთავსებული რედაქტორის მიმართვა მკითხველისადმი. მშობლიური კუთხის სურნელის მონატრება ამ მიმართვების ერთ-ერთი მთავარი შტრიხია. “ყველა გადასახლებას სულისშემძვრელი ადამიანური მოგონებები ახლავს. განსაკუთრებით მაშინ, როცა გადასახლებულები მხოლოდ ადამიანები არ არიან: ემიგრაცია ეხება მთელ მათ ყოფა-ცხოვრებას, მცენარულ კულტურებს, ცხოველებს... ჩვენი გადასახლების ყველაზე დიდი მუჰაჯირი ღომია, რომელმაც თავისი არსებობა პირველ მიწაზე კი არა, გადასახლებულ მიწაზე დაასრულა” (ჩილოღლუ 2008:3)

„ფიროსმანის“ პირველსავე ნომერში ერთმანეთს ენაცვლება ქართველ და თურქ ავტორთა წერილები, რომლებითაც საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველები და არაქართველებიც ეცნობიან ორი ერის კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც მეგობრობისა და სიახლოვის საწინდარია. ეს ტრადიცია ფეხბედნიერ მეგზურად გასდევს “ფიროსმანის” ყოველ ნომერს.

ჟურნალი იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ მასში მოთავსებულ სტატიათა ავტორები მხოლოდ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები არ არიან. აქ წარმატებულად თანამშრომლობენ უცხოელები. სასიამოვნო ფაქტია, რომ პირველსავე ნომერში დაბეჭდილი წერილი “ნიკო და მარგარიტა” (გვ. 6-8) ეკუთვნის თურქ ჟურნალისტს – თურმუშ აქულუქს, რომელიც პერსონალურად განიხილავს ნაივური მხატვრობის გენიალურ ქმნილებას – აქტრისა და მარგარიტას – და თურქულენოვანი ტექსტის მეშვეობით, თურქი მკითხველისთვისაც შინაურსა და ახლობელს ხდის ტრაგიკული ბედის ქართველ მხატვარს – ნიკალა ფიროსმანაშვილს.



ყოველი სიახლე, რაც საქართველოში ხდება, ჩვენი ხალხის კულტურულ-ისტორიულ წარსულთან და ეროვნულ ტრადიციებთან ერთად, ასახავს ჰპოვებს „ფიროსმანის“ ფურცლებზე. ჟურნალის საშუალებით ვეცნობით ჩვენებურთა ცხოვრებას, მათში შემონახულ ქართულ წეს-ჩვეულებებს, თურქი ხალხის ისტორიას, მათ ტრადიციებს. გარდა ამისა, უკვე აღვნიშნეთ და ისევ ვიმეორებთ, რომ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა აისახება ჟურნალის ფურცლებზე. ჩვენ მხოლოდ სათაურებს ჩამოვთვლით, რაც ნათელს ხდის მკითხველისათვის ცნობილი ხდება სოფო ხალვაშის წარმატება (იხ. სალომე კიკალეიშვილის წერილი „სოფო ევროვიზიაზე“, 1, გვ.15-16); „მინდიას ტრაგედია“ (იხ. ლორან მიგნონის „მინდიას ტრაგედია“ – 1, გვ.17-19); ქართული სტუმარ-მასპინძლობისა და მშობლიური ენის მადლი (იხ. აიდინ აქინის წერილების სერია „როგორ ვისწავლე ქართული“ – 1, გვ.45-46; 2, გვ.46-47); კოლხური თეთრის ისტორია (იხ. მაია პატარიძის წერილი „კოლხური თეთრი“ – 2, გვ.20-22); გამოჩენილი ექიმის – ისმეთ დინდარის ღვაწლი (იხ. ერდალ ქუჩუქის წერილი „თავმდაბალი მიქელაძე“ – ისმეთ დინდარი – 2, გვ. 40-42); სარფსაქეთა მაჭახლის ყოფა-ცხოვრება (იხ. იუნუს ისინის „მაჭახლის მეორე მხარე“ – 2, გვ. 43-45); ოქროს საწმისის მითოსი (იხ. თამარ მახალდიანის „ლეგენდა ოქროს საწმისზე“ – 3, გვ. 10-15); სტამბოლის ქართული სავანე (იხ. ირაკლი კოპლატაძის „ქართველები და სტამბოლის ზღაპარი“ – 3, გვ. 24-29), რომელსაც ქართველი მკითხველი მანამდე იცნობდა პროფესორ შუშანა ფუტკარაძის პუბლიკაციებით; სტამბოლელი ჩვენებურების – ზაზაძეების მოღვაწეობა (იხ.: ელიზბარ ცივნარიძის „ზაზაძეების სამი თაობა“ – 3, გვ. 34-38); ქართული ხალხური თამაშები (იხ. თ. ფუტკარაძის ლეფიკი: „უძველესი ქართული ხალხური თამაში“ – 3. გვ. 50-52), თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის მოღვაწეობა (იხ. თურქეთში მცხოვრები ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის – გურამ ხიმშიაშვილის თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი – 3, გვ. 53-54); ართვინელთა უძველესი რწმენა-წარმოდგენები (იხ.: თანერ ართვინელის „კუდიანები ართვინის მოსახლეობის რწმენაში“ – 4, გვ. 29-31); დმანისელი მზია და ზეზვა (იხ. დ. ლორთქიფანიძის „დმანისელი“ – 5, გვ. 7-9); გურჯი ხათუნის ტრაგედია და დიდქართველური სულისკვეთება (იხ. დ. ტურტაშვილის „გურჯი ხათუნი – სელჩუკების ქართველი დედოფალი“ – 5, გვ. 18-23); თამარ მეფის ციკლის კლარჯული თქმულებები (იხ. ირაკლი კოპლატაძის „თქმულებები თამარ მეფის საფლავის შესახებ ისტორიულ კლარჯეთში“ – 5, გვ. 26-32); ქართველ მუჰაჯირთა სევდა (იხ. თ. შიოშვილის „რუსეთ-თურქეთის ომებისა და აჭარელთა მუჰაჯირობის ამსახველი ფოლკლორი“ – გვ. 6, გვ. 4-7); ნაოსნობის ძველქართული ტრადიცია (იხ.: როინ მალაყმადის „ნაოსნობა ნიგალის ხეობაში“ – 6, გვ. 18-20); ქართული სიმღერის უნიკალური მრავალხმოვანება (იხ. აიდინ აქინის „ქართული პოლიფონიის შესახებ“ – 6, გვ. 44-47) და სხვა.

იცხოვრო უცხო ცის ქვეშ, როგორც უცხომ და ქართული საქმე აკეთო, მარტივი არ უნდა იყოს; იცხოვრო უცხო ცის ქვეშ და შენივე ერისათვის წერო და ილაპარაკო ქართულად, გესმოდეს ქართული მიწისა, კულტურისა და სიყვარულისა, გიყვარდეს და ისიც ქართულად, მარტივი როდია.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ბექა-ფარნა ჩილაშვილის კრებულზე „სასაზღვრო ფიქრები“, რომელიც 2006 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა დაბეჭდა. სათაურიდანაც ჩანს, რომ მასში საზღვარს მიღმა დარჩენილი ჩვენებურის უსაზღვრო ფიქრებია გადმოცემული. მწერალი ბევრს ოცნებობს. მისი ოცნება შეეხება ყველაფერს ქალს, მშობლიურ მიწა-წყალს, წარსულსა და აწმყოს. ნაჩვენებია, თუ როგორ შეცვალა ახალმა ეპოქამ ძველი, თუმცა მთავარი, სულიერი, მაინც შეუცვლელი დარჩა: „სადაც ადრე ტროლეიბუსები ძლივს მიიზღაზნებოდნენ, ახლა რელსებზე შემდგარი ჩქარი მატარებელი მიჰქროდა. არ შეცვლილიყო მხოლოდ მეექვსე საუკუნეში აგებული ეკლესია და ამ ეკლესიაზე ათასი წლისთ უმცროსი მეჩეთი. ისინი ერთმანეთს ისევ შურითა და ეჭვით უცქერდნენ. ისტორიის ყველაზე სისხლიანი აჯანყებები და ყველაზე ცნობილი ცხენთა შეჯიბრებები სწორედ აქ ხდებოდა“ (ჩილოდლო 2006:18). ვკითხულობთ ამ სიტყვებს და ჩვენთვის ამკარა ხდება, რომ დღევანდელია წარსულის გარეშე წარმოდგენილია. „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისაო“ – წერდა ლაიბნიცი და ილიამაც ეს სიტყვები შემთხვევით როდი წარუძმდვარა ეპიგრაფად მის საუკუთესო პოემას. მან კარგად უწყოდა რომ ისტორია ქმნიდა დღევანდელია, ხოლო დღევანდელი კი მომავლის საფუძვლად იქცეოდა. სწორედ ამაზე სურდა ყურადღების გამახვილება წარმომავლით ქართველს და, დამერწმუნებით, რომ ამ ერთ აზრსავე მოახერხა და ჩაატია მთელი ტრაგედია საზღვარსიქით დარჩენილი ქართველებისა, რომლებსაც მართალია რწმენა შეუცვალეს, მაგრამ ქართული სული ვერ მოსპეს და დღეს ბევრი მათგანი ორი იდენტობით, ორი კულტურით ცხოვრობს.

შუქრე ჩაფურსაც ოცნებებით უცხოვრია („მოხუცი კაცის სიკვდილი“), თეთრი რაშებით ჩაუქროლა მასაც მიუწვდომელმა ოცნებებმა და გზად დაჭრილი თეთრი ცხენი (დამსხვრეული ოცნებები)

შემოხვედრია. იხსენებს სიკვდილის წინ განვლილ გზას და თითქოს სინანულიც ჩნდება, მაგრამ მოთხრობის დასასრული მაინც იმედიანია – “დილის ნისლში მოგოგმანე მტრედებს მიაშტერდა” (ჩილოღლუ 2006:31), – მან სამუდამოდ მოიპოვა სიმშვიდე.

საზღვარს იქით დარჩენილი მარტოსული კაცის ფიქრებია გადმოცემული მოთხრობაში “დამტოვე შორს”. გმირში მონატრებას ბადებს შავი ზღვის ტალღები და სადღაც, შორს დარჩენილზე ოცნებობს. “შენ ამჯერადაც წახვედი და დამტოვე შორს. ისე შორს, რომ უკვე აღარც თუ შემიძლია შენთან მოსვლა და არც შენ შეგიძლია დაბრუნება” (ჩილოღლუ 2006:45). – რა არის ეს, ქალის მონატრებით გამოწვეული დარდი, თუ მონატრება შორეული ქვეყნისა, რომელსაც მისთვის სამუდამოდ წარუტაცნია გული და მხოლოდ შავი ზღვის ტალღები აკავშირებთ მათ ერთმანეთთან? ალბათ ორივე ერთად.

საინტერესოა მოთხრობა “გადაღმა მცხოვრები გოგონა”. ჯემალი პაპის მონათხრობით გაიზარდა და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არც კი სჯეროდა მოხუცის ნაამბობისა, მაინც იხსენებდა ხოლმე. მოწიფულმა სამსახური სასაზღვრო ჯარში დაიწყო. “გადაღმა, მეორე მხარეს ერთი სოფელი მდებარეობდა. როგორც ჩანდა, იგი ძველი იყო და საზღვრის გავლებამდეც არსებობდა” (ჩილოღლუ 2006:118).

ჯემალს უკვირდა, რომ, მიუხედავად საზღვრის სიახლოვისა, სოფელი ჯერ კიდევ არსებობდა. მან შორიდან ლამაზი ქალიშვილიც შეამჩნია და მას არა მარტო ცხადში ხედავდა, არამედ ეზმანებოდა კიდევ. პაპის ნაამბობი მოაგონდა და იფიქრა, რომ ეს გოგონა მწყემს პირამუსის შეყვარებული იყო. მოგვიანებით, პაპის კიდევ ერთი მონათხრობი გაიხსენა: “ომის შემდეგ, სოფლის შუა გამდინარე ღელე საზღვრად გამოაცხადეს. ამ ახალი საზღვრის გამოისობით ძმა - ძმას, დედა - შვილს, დანიშნული - დანიშნულს მოსწყდა. სოფლელებს ადრე არ სჯეროდათ, რომ ღელე საზღვრად იქცეოდა და მასზე აგებულ ხიდს დაანგრევდნენ, მაგრამ ეს დღეც დამდგარიყო და სამხედროებს ეს ხიდი დაენგრიათ” (ჩილოღლუ 2006:121).

ამ ღელის პირას არსებული სოფლითა და იქ მცხოვრები გოგონთი დაინტერესდა ჯემალიც. ის ჭოგრიტით შესცქეროდა მიუწვდომელ ქალს და მასში დიდი ხნის მონატრებული “დედის ახალგაზრდობა გაახსენდა. დედა ბავშვობის ასაკში დაკარგა და ახლა დედის მსგავსის დანახვა აღელვებდა” (ჩილოღლუ 2006:121).

იმდენად დიდი იყო გოგონას ნახვის სურვილი, რომ ჯემალი ღამით საზღვარზე გადაიპარა და დილაზე სიმინდის ყანაში დაიმალა. დილით კი მასთან მივიდა. “ახსოვდა გოგონასთვის სათქმელი, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა, თითქოს პაპის ენა დავიწყებოდა”.

გოგონას ყვირილზე ჯემალი დაიჭირეს. “ჯემალი, სამხედროებს რომ მიჰყავდათ, უკან მოიხედა და გოგონას უთხრა:

– შენ გამო მოვედი, ცოტაც დედაჩემისთვის.

მამაპაპური ენა გახსენებოდა” (ჩილოღლუ 2006:122).

დამერწმუნებით, რომ ახალგაზრდა ავტორმა მოახერხა ერის ტრაგედია ამ პატარა მოთხრობაში სრულყოფილად გადმოეცა.

თუკი დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ბექა-ფარნა ჩილაშვილის მოთხრობები რეალურისა და ირეალურის ზღვარზე იქმნება. ამას თავადაც ხშირად დასძენს. ისინი თითქოს ზღაპრული სამყაროდან ამოტივტივებული თემებია, რომლებიც მწერლის ბავშვობის პერიოდიდანაც მოდის. ამიტომაც ხშირი მსგავსება ქართულ ლიტერატურასა თუ ფოლკლორში არსებულ თემებთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი ავტორი, მიუხედავად სხვა ნიადაგზე გადარგვისა, მშობლიური ფესვების ძიებაშია, მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებაზე ოცნებობს.

ბექა-ფარნა ჩილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ) ორიგინალური ხედვის პოეტია. მის პოეზიას თავიდან ბოლომდე გასდევს მსუბუქი სევდა და დიდი სიყვარული ყველასა და ყველაფრის მიმართ. ზოგჯერ, თითქოს ამქვეყნიურ საზღვრებში ვერჩატეული, ირეალური სამყაროსაკენ იხედება იმედის თვალით. მის შემოქმედებაში მთავარი ყურადღება უშუალოდ სათქმელზეა გადატანილი, რომელიც საკმაოდ ღრმაა:

“დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა  
მონადირის თოფიდან გასროლილი  
ტყვიის სადარი  
შიგ გულში ხვდება  
დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა  
უკუნ ღამეს ციციანთელებს უქრობს”

(ჩილოდლუ 2006:9).

ფაჰრეთინ ჩილოდლუს ლექსები სხადახვა დროს გამოქვეყნდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ხოლო მოთხრობათა კრებულს – “სასაზღვრო ფიქრები”, ასრულებს კარი, რომელშიც მისი ლექსებია შეტანილი. მათ გამოქვეყნებაზე თავიდან უარი უთქვამს ავტორს, რადგან თვლიდა, რომ უხერხული იყო, მისი ქართულით დაწერილი ლექსების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა. ბუბა კუდავას კი მისთვის უთქვამს: “კარგი” ლექსები ჩვენთან ისედაც ბევრია, ეს არის ჩვენთვის ახალი და საინტერესო, თურქეთში ქართველს სათქმელის ქართულად თქმა რომ მოსურვებია, თან ლექსადაო”.

ასე მოხვედრილა ამ კრებულში მოთხრობების გვერდით ქართულად დაწერილი ლექსები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწერლის პოეზიაში იგრძნობა ქართველ პოეტთა გავლენა, განსაკუთრებით გალაკტიონისა. სწორედ ამიტომ ეთაყვანება მაჰმადიანი პოეტი ღვინოსა და ღამეს, ვერცხლისფერს კი მისთვის მისტიული ელფერი შეუძენია და მესაიდუმლედ თეთრი ღამე გადაქცეულა.

“რომ შენ და ჩემს გარდა  
და ერთი ბოთლი ღვინის,  
არ იყოს არაფერი  
არც ცა, არც დედამიწა”.

(ჩილოდლუ 2006:138)

სწორედ გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვა ბექა-ფარნა ჩილაშვილმა ლექსი “რომელი საათია” (ამ სათაურით ერთ-ერთი მართლაც და გენაიალური ლექსი ქართული პოზიის მეფესაც აქვს დაწერილი).

“რომელი საათია?  
შენ ხომ უკვე გძინავს  
და მთვარეს თუ არა.  
ვიდაც აკაკუნებს კარს  
და ჩურჩულით მეკითხება  
რომელი საათია?  
შენ ხომ არა ხარ,  
კართან დაჩოქილი?  
რომელი საათია?  
შენ უკვე აღარ ხარ!  
კვლავ შუაღამე,  
კვლავ ვერცხლის პერანგი,  
კართან დაჩოქილი  
სიკვდილის ჟანგი”

(ჩილოდლუ 2006:132).

დაგვერწმუნებით, ამ ლექსში გ. ტაბიძის შემოქმედების გამოძახილი ნათელია. ვერცხლისფერი პერანგი, შუაღამე და რიტორიკული შეკითხვა – რომელი საათია, მისივე შემოქმედებისაკენ მიგვიძღვის.

ქართული სევდა, საკუთარ თავში რაღაცის ძიება და მონატრება “ჩვენებურის” პოეზიის მთავარი სათქმელია. მას თითქოს ერთი კითხვა არ ასვენებს, თუ ვინ არის და პასუხს ყველგან ეძებს: ტაძარში, მეჩეთში, სინაგოგაში, ქართლის დედისგანაც კი ელის პასუხს:

“შენ ეკლესიის დედაბოძო,  
შენ მითხარი:  
ვინ ვარ მე?  
რომელი დედის შვილი,  
ქართველი თუ თათარი?!”

(ჩილოდლუ 2006:144)

ამ მცირე ამონარიდიდანაც ჩანს, რომ რომ ბექა-ფარნა ჩილაშვილის სატკივარი საქართველოა, დიდი ხნის წინ დაკარგული სამშობლო, რომელიც ყოველთვის აკლდა მის სულს:

“შენ აკლიხარ,  
მზევ ჩემო,  
საქართველო!”

(ჩილოდლუ 2006:140)

პოეტი ისტორიული ბედუკურმართობით გამოწვეულ ტკივილს მოკლედ ამბობს:

“ – დედა,

შაქარი მინდა!  
– წაყურდი!  
ნუ ლაპარაკობ ჩვენებურად,  
ქალაქში სირცხვილია.  
– კარგი, მაშინ –  
“შექერ ისთიორუმ”  
(ჩილოღლუ 2006:137).

საინტერესოა, ასევე ბექა-ფარნა ჩილაშვილის ლექსი “სიყვარულის შვიდი დღე”. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, უფალმა სამყარო შვიდ დღეში შექმნა და მასში უდიდესი სიყვარული ჩააქსოვა.

“გადავწყვიტე მერე  
და ვბრძანე: მიყვარხარ!  
ეს იყო მეექვსე დღე.  
ჯოჯოხეთის მეცეცხლურად  
დაიწვა ტუჩები ტუჩზე,  
ეს იყო მეშვიდე დღე.  
და შეიქმნა სიყვარული”!  
(ჩილოღლი 2006:136)

მოცემული ლექსი, პირდაპირი გაგებით სიყვარულის მტანჯველ გრძნობას ეხება, თუმცა ამდროულად, ვფიქრობთ, ლექსის სათაური ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა განმსჭვალული.

გამოფხიზლება და რეალურ სამყაროზე თვალის გასწორება კი მძიმე აღმოჩნდება მისთვის, რადგან რეალობა უცხო მიწაზე ცხოვრებაა, სიზმარი კი – მშობლიური კუთხე, რაც ვაი რომ ზმანებაა და მეტი არაფერი. ქართველი ხალხის მატთანეში ცრემლითა და ოხვრით ჩაწერილი მუჰაჯირობის ისტორია დღესაც გულს უკლავს ამ სიტყვების მკითხველს და მწარედ ჩააფიქრებს ჩვენი ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგული იმ ასეულ ათასობით ქართველის ბედზე, რომლებიც თვალცრემლიანნი განშორდნენ მამულს და აღარ ეღირსათ მშობლიური ცის ხილვა.

ეს გახლავთ ტკივილი მუჰაჯირი ქართველის შთამომავლისა, რომელმაც მოახერხა და დაიბრუნა დიდი ხნის წინ დაკარგული სამშობლო. სხვათა კალთის ქვეშ შეფარებულთ არ დაუვიწყნია მშობლიური და იქ, უცხო მხარეში შეუნარჩუნებია ქართული გენი, მათ ხომ „სადაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველეს“ (ხალვაში 2007:183)

დასასრულ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბექა-ფარნა ჩილაშვილი ღირსეული ქართველი პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია საუკუნეთა მანძილზე მშობლიურ ფესვებთან დაშორების შემდეგ ქართული საქმის კეთება, საქმისა, რომელიც მის წინაპრებს აეკრძალათ. არ არის მარტივი წერო ქართულად, წერო ქართულ პრობლემებზე, ქართველთა გულისტკივილზე, იყო ორენოვანი ჟურნალის – “ვიროსმანის” რედაქტორი და ორი მეზობელი ერის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში საკუთარი სიტყვა თქვა, წვლილი შეიტანა.

#### ლიტერატურა:

1. მეგრელიძე 1964: მეგრელიძე ს. “აჭარის წარსულიდან”, თბილისი.
2. ფუტყარაძე 1993: ფუტყარაძე შუშანა. “ჩვენებურების ქართული”, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა. ბათუმი.
3. ჩილოღლუ 2006: ჩილოღლუ ფაჰრეთინ. “სასაზღვრო ფიქრები”, გამომცემლობა “არტანუჯი”. თბილისი.
4. ჩილოღლუ 2008: ჩილოღლუ ფაჰრეთინ. “მას შემდეგ რაც ღომი
5. ხალვაში 2007: ხალვაში ფროდონ. “ომრი”, ბათუმი.
6. ჭიჭინაძე 1909: ჭიჭინაძე ზაქარია. “მუსლიმან ქართველთ საქართველო”, ტფილისი.
7. informationszentrum welt 2008: “Ichhalte es für einen Vorteil, eine zweite identität zu haben”. Lesen und Tee trinken - Literatur in der turkey.

*Nestan Mamuchadze*

*Batumi Shota Rustaveli State University / Tbilisi Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate*

**BEKA-PHARNA CHILASHVILI (FAHRETTIN CHILOGLU) - PUBLIC FIGURE, PUBLICIST,  
EDITOR AND A WRITER**

**ABSTRACT**

Beka-Pharna Chilashvili (Fahrettin Chiloglu) is a descendant of Georgian muslims, whose fate turned out to be tragic at the end of XIX century as they left their motherland forever. Learning the language gave him an opportunity to get to know Georgian culture, fully understand Georgian literature and start translating. Fahrettin Chiloglu is a poet with an original perspective. Barbed-wire could not repress the love of the motherland, it only made him miss it more and have a greater interest towards his brothers who were left on the other side of the fence. A very few people would be able to do Georgian work after the centuries of being far away from their roots.

**თამარ ნადირაძე**

**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**რისკის მახასიათებლები და მართვის მეთოდები**

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საზოგადოებრივი წარმოების განვითარება შეუძლებელია რისკების თავისებურებათა შესწავლისა და მათი სამეურნეო ბრუნვაში ოპტიმალურად მორგების გარეშე. თანამედროვე კონკურენტულ, არაპროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოში ბიზნესორგანიზაციებისათვის სულ უფრო რთული ხდება ბაზარზე პოზიციების დამკვიდრება და არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ რისკები მრავალფეროვანია, (მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, ზოგადად ეკონომიკური, ფინანსური, საბანკო, სავალუტო, საპორტფელო და ა.შ.) მათი უარყოფითი შედეგები საბოლოოდ ფინანსურ ურთიერთობებში იყრის თავს. რისკი სხვა არაფერია, თუ არა ნებისმიერი საშიშროება ქონების, ფულადი და სხვა ფასეულობათა გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა, რომლებიც ფინანსურ დანაკარგებში კონცენტრირდება.

„რისკის“ ცნება, როგორც ადამიანური საქმიანობის ნებისმიერი სახის განუყოფელი ატრიბუტი მყარად დგას ჩვენს ცხოვრებაში. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, რისკის შესახებ მეცნიერების განვითარების, მისი ფუნქციების, თავისებურებების, რისკების ფაქტორების სახით დამატებით სტიმულს წარმოადგენს. მეორე მხრივ იგი გამოკვლევების ნაირსახეობას, ეკონომიკური რისკის თეორიის ძირითადი ცნებისადმი მიდგომის მრავალფეროვნებას გამოხატავს. რისკების თეორიის ფუძემდებლად მიჩნეულია ფრანგი მეცნიერი რ. კანტილონი. სწორედ მან შემოიტანა პირველმა რისკის ცნება საბაზრო ურთიერთობების თეორიაში. იგი რისკს კონკურენციის წესების მიხედვით წარმართული ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობის თვისების სახეობად განიხილავდა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის გაღრმავების შედეგად ჩვენს ქვეყანაში იმატა საფინანსო რისკების წარმოქმნის საშიშროებამაც. საფინანსო რისკების კვალდაკვალ ფართო განვითარება ჰპოვა საბაზრო რისკებმაც. საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი ამ რისკებისაგან ბიზნესის დაზღვევის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის რეალობაში. ბევრი რისკის დაზღვევა შეიძლება, მაგრამ, ცხადია, ყველა სახის რისკს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ დააზღვევს.

ბიზნესის პირობების განუსაზღვრელობას შეუძლია არა მარტო დანაკარგების, არამედ დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა გამოიწვიოს, ამიტომ ყველა რისკი დაიყოფა სუფთა და სპეკულაციურ რისკებად. სუფთა რისკები - საკრედიტო ლიკვიდურობის რისკებია- მხოლოდ

დანაკარგების მომტანია, ხოლო - სპეკულაციური რისკები როგორც დანაკარგების, ასევე დამატებითი მოგების მიღების საწინდარიცაა.

კორპორაციის ფინანსურ საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საინვესტიციო ურთიერთობათა განხილვა და რისკის ფაქტორი სამეურნეო სუბიექტისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და საკუთრებითი ურთიერთობების სრულყოფის ურთულეს საქმეში. ბიზნესში რისკის წარმოშობა დაკავშირებულია იმ სუბიექტთა მოქმედებასთან, რომლებიც ურთიერთობაშია კორპორაციის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასთან (აქციონერები, კრედიტორები, კლიენტები, მომწოდებლები, საწარმოო პერსონალი და ხელისუფლება). რისკის სრულად გამოვლენისათვის აუცილებელია იგი განხილულ იქნეს მასზე მოქმედი ფაქტორის გათვალისწინებით. კორპორაციაში რისკების მრავალრიცხოვანი სახეების გამოვლენა-შესწავლისათვის აუცილებელია ყველა იმ რისკის ჩამონათვალი გაკეთდეს, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კორპორაციაში. რისკის შეფასება წარმოადგენს იმ დანახარჯების განსაზღვრას, რომლებიც დაკავშირებულია რისკის სახეებთან და გამოვლენილია რისკის მართვის პირველ ეტაპზე.

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს რისკის შესამცირებლად მისი მართვის 4 ძირითად საშუალებას:

- რისკისგან თავის დაღწევას;
- ზარალის თავიდან აცილებას;
- რისკის უშუალოდ მიღებას;
- რისკის გადატანას.

გამოვლენილი რისკის დასაძლევად შერჩეული საშუალებების რეალიზაციის მთავარი პრინციპი უნდა გახდეს ნაკლები დანახარჯებით გამოვიყენოთ ეს საშუალებები.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე. რისკის მართვის პროცესი არის კოორდინირებული და თანმიმდევრული უწყვეტი ქმედებების ერთობლიობა. მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები დამოკიდებულია დაწესებულების სპეციფიკაზე, მის მიზნებსა და სტრატეგიაზე.

რისკის მართვა მრავალსაფეხურიანი პროცესია და შედგება სამი ეტაპისაგან:

- რისკის ანალიზი
- რისკის მართვა
- კონტროლი

რისკის გარემოს შეფასება გულისხმობს იმ ძირითადი პარამეტრების განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება რისკის მართვა და პროცესისათვის შესაბამისი ფორმატის განსაზღვრა.

რისკის გარემოს შეფასება მოიცავს:

- რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრას;
- შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას;
- რისკის კრიტერიუმების ჩამოყალიბებას.

რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრა მოიცავს დაწესებულების მიზნების, ამოცანების, სტრატეგიის, მასშტაბის და პარამეტრების განსაზღვრას. ასევე, მთლიანად რისკის მართვის პროცესის განხორციელების მასშტაბისა და საზღვრების დადგენას.

რისკის მართვის საწყის ეტაპზე საჭიროა მოხდეს რისკების შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით დაყოფა.

ძირითადი შიდა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების რისკის მართვის ღონისძიებებზე არის:

- დაწესებულების მმართველობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები და ანგარიშვალდებულების ფარგლები;
  - დაწესებულების შესაძლებლობები რესურსებისა და ცოდნის თვალსაზრისით (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, დაწესებულების კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა);
- გარე ფაქტორებს წარმოადგენს:
- ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი, კულტურული, ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე;
  - დაწესებულების საქმიანობით დაინტერესებული დაწესებულების გარეთ არსებული პირები, ასევე მათთან ურთიერთობა, მათი მოლოდინი და აღქმა.

გარე და შიდა ფაქტორებისა და რისკის მართვის შინაარსის შემუშავების შემდგომ უნდა განისაზღვროს რისკის კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება იყოს ოპერაციული, ტექნიკური, ფინანსური, სამართლებრივი, სოციალური, გარემოსდაცვითი, ჰუმანიტარული ან სხვა. ჩვეულებრივ კრიტერიუმში დამოკიდებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებზე, მოლოდინებსა და მოსაზრებებზე.

პირველ ეტაპზე, უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი კრიტერიუმი რისკის შეფასებისათვის, რაც შემდგომში უნდა განვითარდეს და დაიხვეწოს კონკრეტული რისკების იდენტიფიკაციის და რისკის ანალიზის ტექნიკის არჩევის შესაბამისად. ასევე, რისკის კრიტერიუმში უნდა შეესაბამებოდეს რისკის კატეგორიას და რისკის დონის გამოსახვის მეთოდს.

კომერციული საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისტემაა, ურომლისოდაც შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა. სწორედ ამის გამო, რისკის მართვა ბანკებში სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელი რისკი ხვალინდელი პოტენციური დანაკარგია. საბაზრო ურთიერთობებში რისკი და შემოსავალი ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა. ძალიან ადვილია გაასესხო თანხა და მიიღო შემოსავალი რისკიანი მსესხებლისაგან, მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ოპერაციას აქვს ფასი და ეს ფასი სწორედ გაწეული რისკია.

საბანკო სისტემების ფინანსური მდგრადობა სხვა არაფერია, თუ არა საბანკო სექტორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობა. იგი, უპირატესად, დამოკიდებულია იმ რისკების რეალურ შეფასებაზე, რომლებიც საბანკო საქმიანობის ფუნქციონირების პროცესში შეიძლება წარმოიშვას. თავის მხრივ, რისკის არსი განხილულ უნდა იქნეს, როგორც მოსალოდნელი უარყოფითი მოვლენა, რომელიც განსაზღვრულ ქმედებას მოსდევს. საბანკო საქმიანობაში არსებობს სხვადასხვა ტიპის რისკები, რომელთა შორის ძირითადად გამოყოფენ: საფინანსო, ფუნქციონალურ და სხვა გარეშე რისკებს.

➤ საფინანსო რისკი დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან აქტივებისა და პასივების მოცულობაში, შემოსავლიანობაში, ღირებულებასა და სტრუქტურაში;

➤ ფუნქციონალურ რისკს ადგილი აქვს ნებისმიერი პროდუქციის შექმნის ან მომსახურების გაწევისას.

რისკის მართვა კომერციულ ბანკებში, ანუ რისკმენეჯმენტი, ესაა რისკების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მათი დონის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი. რისკების მართვის სისტემა კომერციული ბანკის ეფექტიანი მართვის, არსებული რისკების მინიმიზაციის, ახალი რისკების გამოვლენისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები კომერციული ბანკების რისკმენეჯმენტის მიმართულებით ეფუძნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მდიდარ გამოცდილებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებს. ფაქტობრივად, ამ მოთხოვნებს პასუხობს მთელი საბანკო ზედამხედველობა, რომლის მიზნებია კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების მეშვეობით საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმიზაცია და ამ გზით ბანკების დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მართლზომიერების ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგების რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს.

საბანკო ზედამხედველობის განხორციელებისას, კომერციული ბანკების რისკის მართვის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შექმნილია მთელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ რისკების მინიმიზაციას. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისეთი ნორმატიული აქტები, როგორებიცაა: „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“.

მსოფლიო პრაქტიკას დღემდე არ შეუქმნია საქონელმწარმწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვის დაზღვევაზე უკეთესი მექანიზმი. სადაზღვევო ურთიერთობათა შინაარსი, უპირატესად, სრულიად გამოხატავს სარისკო, გამაფრთხილებელ და საკონტროლო ფუნქციებს. სარისკო ფუნქციის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა სადაზღვევო ფონდის ნაწილის გადანაწილება მიყენებული ზარალის დასაფარავად.

განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო გამოცდილება მოწმობს, რომ სადაზღვევო ბაზარს გააჩნია თვით განვითარების ძლიერი მექანიზმი-სადაზღვევო მომსახურების მარკეტინგის სახით, რომელიც ორიენტირებულია დამზღვევთა მუდმივად მზარდი სადაზღვევო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სადაზღვევო მარკეტინგის მეშვეობით ხორციელდება მომხმარებელთა სადაზღვევო დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფა და სადაზღვევო ბაზრის დინამიური განვითარება. სადაზღვევო მარკეტინგის განსაკუთრებულობა და მისი ამოცანები შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად:

➤ დღევანდელი გადმოსახედიდან, მომხმარებელთა უმრავლესობა გულგრილად ეკიდება დაზღვევას. გამომდინარე აქედან, სადაზღვევო მარკეტინგის სამსახურმა უნდა გაატაროს შედარებით აგრესიული მეთოდები, რათა სადაზღვევო ბაზარზე უფრო მეტად გამოიკვეთოს სადაზღვევო ინტერესი;

➤ სადაზღვევო ორგანიზაციები დიდ გავლენას განიცდიან გარემო ფაქტორების მხრიდან. აღნიშნულ პროცესებში ეფექტური ლავირების მექანიზმს კი წარმოადგენს სადაზღვევო მარკეტინგი.

➤ დაბალი სადაზღვევო კულტურა, დაკარგული რწმენა დაზღვევის მიმართ, ნებაყოფლობითი სადაზღვევო ხელშეკრულებების დადების სურვილის არქონა მომხმარებელთა მხრიდან და სხვა არასასურველი ფაქტორები ამნელებს სადაზღვევო მარკეტინგის საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს განსაზღვრავს მის განსაკუთრებულობას ამ პრობლემების დაძლევის მიმართულებით.

სადაზღვევო მარკეტინგის საქმიანობისათვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სადაზღვევო აგენტების, სადაზღვევო ბროკერებისა და თავად სადაზღვევო კომპანიის პერსონალის მოტივირებული საქმიანობა. სადაზღვევო მარკეტინგი გამოირჩევა განსაკუთრებული სპეციფიკით, რომელიც გამომდინარეობს თვით დაზღვევის ეკონომიკური ბუნებიდან და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დამოუკიდებელ ინვესტორს ყოველთვის უხდება რისკის გაწევა, ამიტომ ინვესტორმა კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე უნდა შეისწავლოს ბაზარი, გაეცნოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ჩასწვდეს საგადასახადო სისტემის არსს და სხვა. ერთი სიტყვით, ინვესტორი ყოველთვის დგას არჩევნის წინაშე და იგი ცდილობს ამოიჩიოს მრავალი ალტერნატიული ვარიანტიდან მხოლოდ, საუკეთესო.

ინვესტიციურია ის ნებისმიერი რისკი, რომელიც საინვესტიციო საქმიანობის პროცესში ჩნდება და ინვესტიციების განხორციელების შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ მიუღებლობის შესაძლებლობა ან ალბათობა ახასიათებს. ეს მიდგომა მაქსიმალური დანაკარგების პროგნოზირების შესაძლებლობას გვაძლევს იმ მოვლენების დადგომის შემთხვევაში, რომლებიც რისკის გენერირებას ახდენენ და ამიტომ იგი ინვესტირების ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ სფეროშია მისაღები.

რისკები, რომლებიც საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, არ არსებობს თავისთავად, კონკრეტული ქმედებისაგან დამოუკიდებლად. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რისკი ან რისკთა ერთობლიობა აღმოცენდება ყოველთვის, როდესაც რაიმე გადაწყვეტილება მიიღება, თითქოს თანსდევს მას და განსაზღვრავს მისი წარმატებით განხორციელების შანსს. სხვა სიტყვებით, რისკები ყოველთვის არსებობენ, ერთნი ჩნდებიან და იზრდებიან, მეორენი მუდმივად მცირდებიან და თითქმის ქრებიან, მესამენი ერთმანეთთან ერთდებიან, რითაც ქმნიან თვისობრივად ახალ რისკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რისკისგან გაქცევა ან მისგან სრულიად თავის დაღწევა - შეუძლებელია. ეს არის თავის დაღწევა არამართო არასასურველი ხდომილებების ახდენისა, არამედ სასურველისა. ამ აზრით ანდაზა „ვინც არ რისკავს - ის ვერ სვამს შამპანურს!“ აბსოლუტურად სწორია.

### **ლიტერატურა:**

1. ქოქიაური ლ., ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული), თბ., 2009.
2. ასათიანი ვლ., ცაავა გ., კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 2014.
3. კაკულია რ., ლავთაძე გ., ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა, თბ., 2012.
4. Воронин Ю. М., “Управление банковскими рисками”, М., 2007.
5. Вохмянина Ю. Н., “Финансовая устойчивость банков в условиях макроэкономической нестабильности” - Нижний Новгород, 2013.
6. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.

### **ინტერნეტ-რესურსები:**

1. <http://forbes.ge/news/>;
2. <http://www.geostat.ge>
3. <http://www.nplg.gov.ge/>



*Tamar Nadiradze*  
*Gori State Teaching University*  
**FINANCIAL RISK CHARACTERS AND METHODS OF MANAGEMENT**  
**ABSTRACT**

There was always a certain risk with human daily life, which was caused by them decision or exist despite of her/him wishes and aspirations. In the modern competitive and unpredictable economic conditions, maintenance and defense of current position is becoming more and more complicated. The development of social manufacture is impossible without optimally fitting and studying risk characters. We should remember that there is variety of risks (microeconomic, macroeconomic, general economic, financial, banking, currency, **portfolio and etc.**), **which is linked to financial relations.**

**The aim of master thesis is to present dynamics of modern financial market, business problems and management of financial risks.** Risk analyze process consists methods of risk assessment and reduction.

In the thesis are discussed risk factors, as considerable challenges of 21 century, which can make impact on financial sector and can cause probability of negative results. It is characterized by its nature and revealing specifics. We will discuss mechanisms of risk neutralize and defense, its forms and characters.

**Hasan ÖRÜCÜ<sup>1</sup>**  
**Tolgahan ŞAFAK<sup>2</sup>**  
**Süleyman KANDEMİR<sup>3</sup>**

**TÜRK HUKUK SİSTEMİNDE ÇOCUK, ÇOCUK İŞÇİ KAVRAMI ÜZERİNE HUKUKİ VE PSİKOLOJİK BİR İNCELEME**

**Özet**

Türkiye’de çocuk işçiliği, yapılan istatistiklere göre gittikçe azalma eğiliminde olmasına rağmen tamamen ortadan kalktığını söylemek mümkün değildir. Onsekiz yaşın altında ve henüz gelişme çağındaki olan çocukların iş hayatının zorlu koşullarında varlık göstermesi son derece zordur. Ruhi ve bedeni gelişimlerini gerçekleştirebilmesi ise mümkün görülmemektedir. Gelişim dönemi son derece hızlı olan 18 yaş altındaki kitlenin çalışma hayatını düzenleyecek olan mevzuat çalışmaları da bu anlamda önem arz etmektedir. Bu hassasiyete katkı olması amacıyla bu çalışmada, sadece Türkiye’nin değil dünyanın da en önemli problemleri arasında yer alan “Çocuk İşçiliği” kavramı ile ilgili uluslararası ve ulusal hukuki düzenlemelerin ergenlik döneminin psikososyal gelişimiyle ne derece örtüştüğü konusunda bir inceleme olacaktır.

**Anahtar Kelimeler:** Çocuk işçi, Çalışma hayatı, Çocuk psikolojisi, Psikososyal gelişim

**A LEGAL AND PSYCHOLOGICAL REVIEW OF THE CONCEPT OF CHILD AND CHILD WORKERS IN TURKISH LAW SYSTEM**

**Abstract**

When statistics on child labor in Turkey are examined, it is seen that this phenomenon tend to decrease gradually; however, it is not possible to say that it has completely disappeared. For the children under the age of eighteen who are still in the age of development, it is extremely difficult to exist under the hardest conditions of working life. Under these circumstances, it is not possible that these individuals can perform their spiritual and bodily

<sup>1</sup> Öğr. Gör. Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi, Adalet Meslek Yüksekokulu, Rize-Türkiye, [hasan.orucu@erdogan.edu.tr](mailto:hasan.orucu@erdogan.edu.tr)

<sup>2</sup> Öğr. Gör. Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi, Adalet Meslek Yüksekokulu, Rize-Türkiye, [tolgaha.safak@erdogan.edu.tr](mailto:tolgaha.safak@erdogan.edu.tr)

<sup>3</sup> Öğr. Gör. Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi, Adalet Meslek Yüksekokulu, Rize-Türkiye, [suleyman.kandemir@erdogan.edu.tr](mailto:suleyman.kandemir@erdogan.edu.tr)

developments in a healthy way. Legislative studies that will regulate the working life of individuals under the age of eighteen, who have a very sensitive developmental period and require special care, is also important at this point. In this study, which is prepared to contribute to this important situation, will examine the extent of which the national and international legal regulations related to the concept of child labor, which are among the most important problems of many countries in the world as well as in Turkey, correspond to the psychosocial development of adolescence.

**Key Words:** Child worker, Working life, Child psychology, Psychosocial development

## Giriş

Dünya üzerinde 250 milyon çocuk işçi olduğu Uluslararası Çalışma Örgütü (ILO) verileriyle ifade edilmektedir. Türkiye’de bu rakam 2012 yılı için, 6 ile 17 yaş arasındaki çocuk nüfusu dikkate alındığında 15 milyon 247 bin kişidir. Bu çocuklardan 893 bini ekonomik veri getiren bir işte çalışıyor. Bu rakam çocukların % 5,9’luk kısmına denk gelmektedir. 6 ile 14 yaş arasında çalışan çocukların %32,7’si, 15 ile 17 yaş grubu arasında ise %67,3’lük dilime denk gelmektedir. Eğitim hayatına devam eden 6 ile 17 yaş arasındaki çocuklardan % 3,2’si bir taraftan çalışmaya devam etmektedir. 2006 yılında bu oran % 2,2 olarak izlenmişti. (TÜİK, 2017) Tük çocuk işçi konusunda yeni bir çalışma yapmadığından 2012 verilerini kullanacağız.

